

პილარ 3
წლიური ანგარიში
2023



თიბისი

სარჩევი

| | |
|---|-----|
| 1. მიმოხილვა | 3 |
| 2. სს „თიბისი ბანკის“ მმართველობითი ანგარიშგება..... | 3 |
| 3. ჯგუფის შესახებ ინფორმაცია და ჯგუფის სტრუქტურა | 4 |
| 4. კორპორაციული მმართველობა | 6 |
| 5. ბანკის სტრატეგია | 26 |
| 6. რისკის მართვა..... | 27 |
| 7. გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) სტრატეგია..... | 58 |
| 8. კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნება | 62 |
| 9. ანაზღაურების პოლიტიკა ტოპ მენეჯმენტისთვის და სამეთვალყურეო საბჭოს არაადმასრულებელი დირექტორებისთვის | 89 |
| 10. ტერმინების განმარტება..... | 104 |

1. მიმოხილვა

„კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 92/04 ბრძანების თანახმად, კომერციულ ბანკებს მოეთხოვებათ რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინფორმაციის გამოქვეყნება მათ რისკ-პროფილთან და რისკის დასაშვებ დონესთან, კორპორაციულ მართვასა და ანაზღაურების პოლიტიკასთან დაკავშირებით წლიური პერიოდულობით.

პილარ 3-ის წლიური ანგარიში (შემდგომში „ანგარიში“) მომზადებულია ქართულ და ინგლისურ ენებზე და ხელმისაწვდომია „თიბისი ბანკის“ და საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდებზე.

2. სს „თიბისი ბანკის“ მმართველობითი ანგარიშგება

ხელმძღვანელობა ვალდებულია მოამზადოს სს „თიბისი ბანკის“ (შემდგომში „ბანკი“) ფინანსური ანგარიშგება ყოველი ფინანსური წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად. წლიური ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად უნდა ასახავდეს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას და ფინანსურ შედეგებს მოცემული პერიოდისთვის ხელმძღვანელობამ არ უნდა დაამტკიცოს ფინანსური ანგარიშგება, სანამ ის არ დაკმაყოფილდება იმ ფაქტით, რომ ბანკის მითითებული პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სამართლიანი და მართებული ინფორმაცია.

ხელმძღვანელობა თვლის, რომ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მან სათანადო სააღრიცხვო პოლიტიკები გამოიყენა, რომლებიც მხარდაჭერილია გონივრული განსჯით და შეფასებებით და რომ დაცულია შესაბამისად მიჩნეული ყველა სააღრიცხვო სტანდარტი. ხელმძღვანელობას ასევე სჯერა, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

ამასთან, ხელმძღვანელობა ვალდებულია მოამზადოს ანგარიში საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 22 ივნისის ბრძანებით №92/04 დამტკიცებული კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში „ანგარიში“). ანგარიში მზადდება სს „თიბისი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებულ შიდა პროცესებთან და კონტროლის მექანიზმებთან სრული შესაბამისობით. წესი არ მოითხოვს ანგარიშის აუდიტორულ შემოწმებას გარე აუდიტორის მიერ, შესაბამისად ანგარიშში მოცემული ინფორმაცია არ იქნება აუდიტირებული.

ანგარიში დაამტკიცა სამეთვალყურეო საბჭომ 2024 წლის 2 აპრილს და მისი სახელით ხელი მოეწერა შემდეგი პირების მიერ:

გიორგი მეგრელიშვილი
ფინანსური დირექტორი

ნინო მასურაშვილი
რისკების მართვის დირექტორი

3. ჯგუფის შესახებ ინფორმაცია და ჯგუფის სტრუქტურა

სს „თიბისი ბანკი“ (შემდგომში „ბანკი“) დაფუძნდა 1992 წლის 17 დეკემბერს და ის საქართველოში მდებარეობს. ბანკი არის აქციებით შეზღუდული სააქციო საზოგადოება და დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ბანკის ძირითადი საქმიანობა არის უნივერსალური საბანკო ოპერაციები, რაც მოიცავს კორპორაციულ, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების, სცალო და მიკრო ოპერაციებს საქართველოში. ბანკი არის საქართველოსა და აზერბაიჯანში დაფუძნებული კომპანიების ჯგუფის (შემდგომში „ჯგუფი“) მშობელი საწარმო. მათი ძირითადი ბიზნეს საქმიანობაა საბანკო, სალიზინგო, საბროკერო და საბარათე მომსახურების გაწევა კორპორაციული კლიენტებისა და ფიზიკური პირებისთვის. ბანკი საქმიანობს 1993 წლის 20 იანვრიდან საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გაცემული საბანკო საქმიანობის გენერალური ლიცენზიის საფუძველზე. ბანკის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილია: მარჯანიშვილის ქუჩა №7, 0102 თბილისი, საქართველო. ბანკი დაარეგისტრირა ვაკის რაიონულმა სასამართლომ და მისი რეგისტრაციის ნომერია 204854595.

საქართველოში ბანკს 123 (2022 წ: 129) ფილიალი¹ აქვს.

საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფი“ წარმოადგენს (შემდგომში „TBCG“ ან „კომპანია“) გაერთიანებულ სამეფოში დაფუძნებული საჯარო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „TBCG“ ფლობდა სს „თიბისი ბანკის“ (შემდგომში „ბანკი“) სააქციო კაპიტალის 99,88%-ს (2022 წ.: 99,88%), შესაბამისად ის ბანკის საბოლოო და პირდაპირი მშობელი საწარმო იყო. საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფის“ რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: ბიშოფსგეითი №100, C/O Law Debenture, ლონდონი, ინგლისი, EC2N 4AG. საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფის“ სარეგისტრაციო ნომერია: 10029943.

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის აქციონერთა სტრუქტურა ასე გამოიყურება:

| მფლობელები | წილობრივი მონაწილეობა (%) 31 დეკემბრის მდგომარეობით | |
|--|--|----------------|
| | 2023 | 2022 |
| საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფი“ | 99.88% | 99.88% |
| სხვა | 0.12% | 0.12% |
| სულ | 100.00% | 100.00% |

2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფის“ აქციონერთა სტრუქტურა ბენეფიციარი მფლობელების წილების მიხედვით ასე გამოიყურებოდა:

| მფლობელები | წილობრივი მონაწილეობა (%) 31 დეკემბრის მდგომარეობით | |
|---|--|----------------|
| | 2023 | 2022 |
| Dunross & Co. | 6.50% | 6.58% |
| Allan Gray Investment Management | 3.88% | 5.66% |
| BlackRock | 4.72% | 3.99% |
| Vanguard Group | 4.39% | 3.91% |
| Fidelity International | 3.02% | 3.88% |
| JPMorgan Asset Management | 3.81% | 3.86% |
| ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი | 2.99% | 3.54% |
| Schroder Investment Management | 3.18% | 1.96% |
| დამფუძნებლები* | 15.83% | 16.04% |
| სხვა** | 51.68% | 50.58% |
| სულ | 100.00% | 100.00% |

* დამფუძნებლები გულისხმობს მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძის პირდაპირ და არაპირდაპირ მფლობელობას.

** სხვა აქციონერები გულისხმობს როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ მფლობელ პირებს.

¹ ლომბარდების გამოკლებით.

შვილობილი და მეკავშირე საწარმოები კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში შედიან შემდეგი ძირითადი შვილობილი საწარმოები:

| შვილობილი საწარმოს სახელწოდება | ხმის უფლების მქონე და ჩვეულებრივი აქციების წილი საწესდებო კაპიტალში 31 დეკემბრის მდგომარეობით | | საქმიანობის ან დაფუძნების ძირითადი ადგილი | დაფუძნების წელი | ძირითადი საქმიანობა |
|---|---|---------|---|-----------------|--------------------------------|
| | 2023 | 2022 | | | |
| სს „გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია“ | 99.53% | 99.53% | თბილისი, საქართველო | 2001 | ბარათების დამუშავება |
| შპს „თიბისი კაპიტალი“ | 100.00% | 100.00% | თბილისი, საქართველო | 1999 | საბროკერო საქმიანობა |
| სს „თიბისი ლიზინგი“ | 100.00% | 100.00% | თბილისი, საქართველო | 2003 | ლიზინგი |
| შპს „თიბისი კრედიტი“ | 100.00% | 100.00% | ბაქო, აზერბაიჯანი | 1999 | არასაბანკო საკრედიტო ინსტიტუტი |
| შპს „თიბისი ფეი“ | 100.00% | 100.00% | თბილისი, საქართველო | 2008 | გადახდების დამუშავება |
| შპს „თიბისი ინვესტ-ჯორჯია“ | 100.00% | 100.00% | რომათ-განი, ისრაელი | 2011 | ფინანსური სერვისები |
| შპს „ინდექსი“ ² | N/A | 100.00% | თბილისი, საქართველო | 2009 | ეკოსისტემა |
| შპს „თიბისი ესეთ მენეჯმენტი“ | 100.00% | 100.00% | თბილისი, საქართველო | 2021 | აქტივების მართვა |

² შპს „ინდექსი“ 2023 წელს შეიძინა „თიბისი ჯგუფის წევრმა კომპანიამ - შპს „T Net“.

ჯგუფს აქვს ინვესტიციები შემდეგ მეკავშირე საწარმოებში:

| მეკავშირე საწარმოს სახელწოდება | ხმის უფლების მქონე და ჩვეულებრივი აქციების წილი საწესდებო კაპიტალში 31 დეკემბრის მდგომარეობით | | საქმიანობის ან დაფუძნების ძირითადი ადგილი | დაფუძნების წელი | ძირითადი საქმიანობა |
|---|---|--------|---|-----------------|------------------------|
| | 2023 | 2022 | | | |
| სს „კრედიტიწფო საქართველო“ | 21.08% | 21.08% | თბილისი, საქართველო | 2005 | ფინანსური შუამავლობა |
| სს „თბილისის საფონდო ბირჟა“ | 28.87% | 28.87% | თბილისი, საქართველო | 2015 | ფინანსები, მომსახურება |
| სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“ | 22.87% | 22.87% | თბილისი, საქართველო | 1999 | ფინანსები, მომსახურება |
| სს „საქართველოს საფონდო ბირჟა“ ³ | 17.33% | 17.33% | თბილისი, საქართველო | 1999 | ფინანსები, მომსახურება |
| სს „კავკასიურესტრი“ ³ | 10.03% | 10.03% | თბილისი, საქართველო | 1998 | ფინანსები, მომსახურება |

² შპს „ინდექსი“ 2023 წელს შეიძინა „TBCG“ ჯგუფის წევრმა კომპანიამ - შპს „T Net“.

³ ჯგუფს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს სს „საქართველოს საფონდო ბირჟაზე“ და სს „კავკასიურესტრზე“ წარმომადგენლებით დირექტორთა საბჭოში, რომლებსაც მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციად მოიაზრებს.

რეგისტრაციის ან დაფუძნების ქვეყანა ასევე წარმოადგენს თითოეული ზემოაღნიშნული შვილობილი და მეკავშირე საწარმოს საქმიანობის ძირითად ადგილს.

ჯგუფის კორპორაციული სტრუქტურა შედგება მთელი რიგი ურთიერთდაკავშირებული სამეურნეო სუბიექტებისგან, რომლებიც მოიცავს შვილობილ და მეკავშირე საწარმოებს. ეს საწარმოები არ კონსოლიდირდება ან აღირიცხება წილობრივი მეთოდით, მათი არაარსებობის გამო. ქვემოთ წარმოდგენილია ამ სამეურნეო სუბიექტების სრული სია, დაფუძნების ქვეყანა და თითოეული კლასის აქციის საკუთრების სტრუქტურა.

| ხმის უფლების მქონე და ჩვეულებრივი აქციების წილი საწესდებო კაპიტალში 31 დეკემბრის მდგომარეობით | | | | | |
|--|-------------|-------------|--|------------------------|----------------------------|
| კომპანიის სახელწოდება | 2023 | 2022 | საქმიანობის ან დაფუძნების ძირითადი ადგილი | დაფუძნების წელი | ძირითადი საქმიანობა |
| შპს „თიბისი ინვესტ ინტერნიშენალი“ ⁴ | 100.00% | 100.00% | თბილისი, საქართველო | 2016 | ინვესტირების ინსტრუმენტი |
| „უნივერსიტეტის განვითარების ფონდი“ ⁴ | 33.33% | 33.33% | თბილისი, საქართველო | 2007 | განათლება |
| შპს „საქართველოს ნატურალური პროდუქტები“ ⁴ | 25.00% | 25.00% | თბილისი, საქართველო | 2001 | ვაჭრობა, მომსახურება |
| შპს „თიბისი თრეიდი“ ⁴ | 100.00% | 100.00% | თბილისი, საქართველო | 2008 | ვაჭრობა, მომსახურება |
| სს „დივერსიფაიდ კრედიტ პორტფოლიო“ | 100.00% | 100.00% | თბილისი, საქართველო | 2021 | აქტივების მართვა |
| სს „დივერსიფაიდ კრედიტ პორტფოლიო“ | 100.00% | N/A | თბილისი, საქართველო | 2023 | აქტივების მართვა |

4. კორპორაციული მმართველობა

„კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 92/04 ბრძანების (შემდგომში „წესი“) თანახმად, ჰოლდინგური მმართველობითი სტრუქტურის არსებობისას, ბანკებმა უნდა გასცენ ინფორმაცია ჰოლდინგის სამეთვალყურეო საბჭოსა და მასთან არსებული კომიტეტების და ასევე, ბანკთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის შესახებ.⁵

შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფი“ (შემდგომში „კომპანია“) სს „თიბისი ბანკის“ მშობელი საწარმოა (შემდგომში „თიბისი ბანკი“ ან „ბანკი“), წინამდებარე თავი მოიცავს ინფორმაციას კომპანიის შესახებ.

4.1 კომპანიის დირექტორთა საბჭო

„კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის №92/04 ბრძანების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ თავში წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს მონაცემებს როგორც სს „თიბისი ბანკის“ (შემდგომში „ბანკი“), ასევე ბანკის მშობელი საწარმოს საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფის“ (შემდგომში „კომპანია“ ან „TBC PLC“) შესახებ. TBC PLC-ის გადაწყვეტილების მიმღები მთავარი ორგანოა დირექტორთა საბჭო (შემდგომში „PLC საბჭო“). ბანკს ასევე მართავს ბანკის სამეთვალყურეო საბჭო (შემდგომში „სამეთვალყურეო საბჭო“). შესაბამისად, ჯგუფში ორი მმართველი ორგანოა, თუმცა „PLC საბჭოს“, სამეთვალყურეო საბჭოს და მათი შესაბამისი კომიტეტების

⁴ დროებით უმოქმედო.

⁵ წესის მუხლი 6, ქვეპუნქტი „გ“.

კომპეტენციები ეფექტურად არის დაბალანსებული, რაც უზრუნველყოფს მათი ფუნქციების სათანადოდ გადანიშნულებას, იქნება ეს TBC PLC-ისთან თუ ბანკთან დაკავშირებული საკითხები.

სამეთვალყურეო საბჭოსა და „PLC საბჭოს“ არააღმასრულებელი წევრების ერთნაირი შემადგენლობა აქვთ. „PLC საბჭო“ და სამეთვალყურეო საბჭო შემდეგი რვა დამოუკიდებელი არააღმასრულებელი წევრისგან შედგება: არნე ბერგრენი - თავმჯდომარე, ცირა კემულარია - უფროსი დამოუკიდებელი არააღმასრულებელი წევრი (SID), პერ ანდერს ფასტი, ერან კლაინი, თიმოს კ. კირიაკოპულოსი, ნინო სუქნიძე, რაჯეევ სონი, და ჯანეტ ჰეკმანი. აგრეთვე, „PLC საბჭოს“ შემადგენლობაში შედის აღმასრულებელი წევრი ვახტანგ ბუცხრიკიძე.

გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნების თანახმად, „PLC საბჭოს“ წევრები ყოველ წელს ხალახლა აირჩევა ერთი წლის ვადით „TBC PLC“-ის აქციონერთა საერთო კრებაზე, შესაბამისად „PLC საბჭოს“ ყველა წევრის კანდიდატურა არჩევის ან ხელახლა არჩევისათვის კენჭისყრაზე დგება წლიურ საერთო კრებაზე.

„PLC საბჭო“ ყოველწლიურად აკონტროლებს კომპანიის რისკის მართვისა და შიდა კონტროლის სისტემებს, გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად. ამავდროულად, „PLC საბჭოს“ თითოეული წევრი ვალდებულია საჭიროებისამებრ სათანადო დრო და ყურადღება დაუთმოს მის მოვალეობებს. ეს მოიცავს „PLC-ის საბჭოს“ და შესაბამისი კომიტეტების სხდომებზე დასწრებას, ასევე საკონფერენციო ზარებში მონაწილეობას, ადგილზე ვიზიტებს და ელექტრონული ფოსტით ეფექტურ კომუნიკაციას. „PLC საბჭოს“ წევრები ასევე ვალდებული არიან წინასწარ გაეცნონ შეხვედრის მასალებს და დამატებითი დრო დაუთმონ ჯგუფურ საქმიანობას, განსაკუთრებით მაღალი აქტივობის პერიოდში. „PLC საბჭოს“ ყველა წევრი ასევე ახორციელებს მკაცრ და მორგებულ ინდუქციურ პროგრამას, რომელიც კომპანიის მდივნის მიერ არის ორგანიზებული.

„PLC საბჭოს“ კომპეტენცია, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, ასევე მოიცავს „TBC PLC“-ის სტრატეგიის, გრძელვადიანი გეგმების, რისკის დასაშვები დონის და ყოველწლიური ბიუჯეტის შემუშავებას, ასევე ჯგუფის კაპიტალის ცვლილების, წილის გამოსყიდვის, მნიშვნელოვანი შენაძენების და შერწყმის შეფასებას. დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია „PLC საბჭოს“ უნარების, გამოცდილების და კომპეტენციების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ კომპანიის ვებგვერდზე, ბმულზე: <https://tbcbankgroup.com/about-us/leadership/board-of-directors/>. საბჭოსთან დაკავშირებული საკითხები შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე: https://tbcbankgroup.com/media/1301/41_-schedule-of-reserved-matters-2.pdf.

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა

სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ბიოგრაფიები



არნე ბერგრენი
თავმჯდომარე

ბანკს 2019 წლის ივლისში შეუერთდა; თავმჯდომარედ დაინიშნა 2021 წლის 26 თებერვალს

გამოცდილება

- გამოცდილება საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებში და მთავრობების კონსულტაცია
- საბჭოს წევრობის და კომიტეტის თავმჯდომარის გამოცდილება გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებულ სხვა ბანკებში
- გამოცდილება საინვესტიციო საბანკო საქმიანობაში და ბანკის რესტრუქტურული ზაციის ხელმძღვანელობაში
- სტრატეგიის დაგეგმვის და განხორციელების ღრმა ცოდნა

არნე ფინანსური მომსახურებების ინდუსტრიაში მუშაობდა 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში. მას ეკავა რამდენიმე მმართველობითი და საკონსულტაციო თანამდებობა ცნობილ საფინანსო დაწესებულებებში, მათ შორის საერთაშორისო მონეტარულ ფონდში, მსოფლიო ბანკში, „Swedbank“-ში, „Carnegie Investment Bank AB“-ში და შვედეთის ფინანსთა სამინისტროსა და ბანკების მხარდაჭერის უწყებაში. არნეს წამყვანი თანამდებობა ეკავა შვედეთის 1991-93 წლების საბანკო კრიზისთან ბრძოლის საკითხებში. აზიის კრიზისის პერიოდში, ის ეხმარებოდა FRA-ს ტაილანდში და FSC/KAMCO-ს სამხრეთ კორეაში პრობლემური აქტივების დამუშავებაში. არნე ასევე იყო არაადმასრულებელი დირექტორი აქტივების მართვის კომპანიებში თურქეთსა და სლოვენიაში და ბოლო დრომდე მუშაობდა საბერძნეთის „პირაეუს ბანკში“.

მიმდინარე გარე არაადმასრულებელი თანამდებობები

- „Hoting Innovations AB“-ის თავმჯდომარე

კომიტეტის წევრობა

- კორპორაციული მართვის და ნომინაციის კომიტეტის თავმჯდომარე
- ანაზღაურების კომიტეტის წევრი



ცირა კეზულარიძე
სამეთვალყურეო საბჭოს უფროსი
დამოუკიდებელი
არაადმასრულებელი წევრი

ბანკს 2018 წლის სექტემბერში შეუერთდა, დაინიშნა უფროსი დამოუკიდებელ დირექტორად 2021 წლის 15 სექტემბერს

გამოცდილება

- 23-ზე მეტწლიანი სიღრმისეული გამოცდილება ენერჯეტიკის სფეროში, მათ შორის რეგულირებადი საქონლით ვაჭრობისა და ფინანსური მომსახურებების მიმართულებით
- ლონდონის დირექტორების ინსტიტუტის სერტიფიცირებული დირექტორი (გაერთიანებული სამეფო)
- ბრიტანულ-ქართული საზოგადოების ყოფილი წევრი და გაერთიანებულ სამეფოში ქართული საზოგადოების თავმჯდომარე
- შესაბამისი გამოცდილება ინფორმაციის უსაფრთხოების რისკის მართვაში

თავისი კარიერის მანძილზე ცირა სხვადასხვა ფუნქციას ასრულებდა საბაზრო რისკის მართვის მიმართულებით საქონლით ვაჭრობის კომპანიებში, მათ შორის „Dynergy Inc.“ აშშ-ში და გაერთიანებულ სამეფოში,

ასევე „Shell International Trading & Shipping Ltd (STASCO)“ ლონდონში, რუსეთის, დსთ-ის და კარიბის ქვეყნების ოპერაციებში. 2005-2016 წლებში, ის მრავალ მმართველობით ფუნქციას ასრულებდა, რაც მოიცავდა M&A და კომერციული ფინანსების სფეროებს, ჯგუფის სახაზინო განყოფილებას, ვაჭრობისა და მიწოდების დეპარტამენტებს გაერთიანებულ სამეფოში, მოსკოვსა და ბარბადოსში. მანამდე ცირა ჯგუფის საპენსიო სტრატეგიის და სტანდარტების ხელმძღვანელი იყო კომპანიაში „Shell International Ltd“, ლონდონში. 2019 წლიდან 2022 წლის შუა პერიოდამდე ცირას ეკავა შიდა აუდიტისა და გამოძიების განყოფილების ხელმძღვანელის პოზიცია „Shell“-ის ვაჭრობის და მიწოდების გლობალურ ორგანიზაციაში, რომელიც მსოფლიოს ვაჭრობის და მიწოდების უმსხვილესი ბიზნესია. 2022 წლის ივლისში ცირა დაინიშნა კორპორაციულ ვიცე პრეზიდენტად და გაერთიანებული სამეფოს რეგიონულ ინსპექტორად, რომელიც პასუხს აგებდა „Shell“ ჯგუფის კორპორაციული სეგმენტის ფინანსურ მართვაზე. ცირა „Shell UK“-ის დირექტორთა საბჭოს და „Shell UK“-ის რეგიონული კოორდინირების გუნდის წევრი და გაერთიანებული სამეფოს კრიზისების მართვის შტაბის უფროსია.

მიმდინარე გარე არააღმასრულებელი თანამდებობები

- დახურული საპენსიო ფონდის - შპს „British Gas Trustee Solutions“ რწმუნებული დირექტორი (Shell-ის მიერ British Gas-ის შესყიდვის შემდეგ)
- რწმუნებული დირექტორი შპს „Shell Trustee Solution“

კომიტეტის წევრობა და ფუნქციები საბჭოში

- აუდიტის კომიტეტის წევრი
- კორპორაციული მართვის და ნომინაციის კომიტეტის წევრი
- ანაზღაურების კომიტეტის წევრი



ჯანეტ ჰეპმანი
სამეთვალყურეო საბჭოს
დამოუკიდებელი წევრი

ბანკს 2023 წლის თებერვალში შემოუერთდა

გამოცდილება

- 30-ზე მეტწლიანი გამოცდილება კორპორაციულ, საინვესტიციო და განვითარების საბანკო მიმართულებით
- ხანგრძლივი გამოცდილება გლობალური საბანკო ურთიერთობების მიმართულებით
- 15-ზე მეტწლიანი გამოცდილება ოპერაციების მართვაში.
- ბიზნეს-გეგმების და სხვადასხვა იურისდიქციაში (მათ შორის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, ჩრდილოეთ აფრიკაში, შუა აზიასა და ცენტრალურ აზიაში) სტრატეგიული ცვლილების შემუშავების და მიწოდების შესაბამისი გამოცდილება. ეს მოიცავდა მნიშვნელოვან პარტნიორობას ადგილობრივ სამთავრობო უწყებებთან.

ჯანეტი ადრე ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის სამხრეთ და აღმოსავლეთ ხმელთაშუა (SEMED) რეგიონის მმართველი დირექტორი იყო. კაიროში დაფუძნებული, ის ასევე იყო ეგიპტის რეგიონული ხელმძღვანელი. „Citigroup“-ში ხანგრძლივი კარიერის მანძილზე, მას ევროპის, ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის (EMEA) რეგიონების სხვადასხვა პოზიციები ეკავა და პასუხს აგებდა გლობალურ საბანკო ურთიერთობებზე ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკის რეგიონებში (CEMEA).

მიმდინარე გარე არააღმასრულებელი თანამდებობები

- ასტანას საერთაშორისო ბირჟის საბჭოს წევრი და აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე
- „ეარ ასტანას“ საბჭოს წევრი, ყაზახეთი
- „Citybank“-ის საბჭოს წევრი, ყაზახეთი

კომიტეტის წევრობა

- ანაზღაურების კომიტეტის წევრი
- რისკების კომიტეტის წევრი
- გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის და ეთიკის კომიტეტის წევრი



ბანკს 2021 წლის ივლისში შეუერთდა

გამოცდილება

- ხანგრძლივი გამოცდილება საბანკო, საკრედიტო, კაპიტალის ბაზრებისა და იურიდიულ სფეროში
- მნიშვნელოვანი გამოცდილება რისკების, კორპორაციული მართვის, სტრატეგიებისა და სტრუქტურირების მიმართულებით
- გამოცდილება ძლიერი განვითარებადი ბაზრების საბანკო და დაინტერესებული პირების მართვის მიმართულებით
- შესაბამისი გამოცდილება ინფორმაციის უსაფრთხოების რისკის მართვაში

ერან კლიანი

სამეთვალყურეო საბჭოს
დამოუკიდებელი წევრი

ერანი გამოცდილი საერთაშორისო ბანკირი და ადვოკატია ისეთ წამყვან საფინანსო დაწესებულებებში წამყვან პოზიციაზე მუშაობის ოცწლიანი გამოცდილებით, როგორც არის „Commerzbank“, „Citibank“, „ING Financial

Markets“ და „Deutsche Bank“ როგორც განვითარებულ, ისე - განვითარებად ბაზრებზე. ერანმა ღირებული ცოდნა შეიძინა კაპიტალის ბაზრებში, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების, საცალო დაკრედიტების, კორპორაციული მართვის, ლიკვიდობისა და საბალანსო უწყისის მართვი, ასევე რისკის მართვის, აუდიტისა და სტრატეგიის განხორციელებაში. ადრე მუშაობდა, როგორც არაადმსრულებელი დირექტორი და რისკების კომიტეტის თავმჯდომარე უკრაინის უმსხვილეს ბანკში „პრиватბანკი“

მიმდინარე გარე არაადმსრულებელი თანამდებობები

- არ უჭირავს მიმდინარე დამატებითი თანამდებობა საბჭოში

კომიტეტის წევრობა

- გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის და ეთიკის კომიტეტის თავმჯდომარე
- ტექნოლოგიების და მონაცემების კომიტეტის წევრი
- რისკების კომიტეტის წევრი



პერ ანდერს ფასტი
სამეთვალყურეო საბჭოს
დამოუკიდებელი წევრი

ბანკს 2021 წლის ივლისში შეუერთდა

გამოცდილება

- გენერალური დირექტორის და მაღალი რგოლის აღმასრულებლის დიდი გამოცდილება (20 წელზე მეტი) წამყვან ბანკებსა და სხვა საფინანსო დაწესებულებებში
- 30 წელზე მეტი დაგროვილი გამოცდილება დამოუკიდებელი არააღმასრულებელი დირექტორის როლში
- საფონდო ბირჟაზე კოტირებული სუბიექტების კორპორაციული მართვის, ხელმძღვანელობის და სტრატეგიული კონსულტაციის უნარები
- ფინანსური ანგარიშგების, ინვესტორებთან ურთიერთობისა და შიდა კონტროლების მართვის მნიშვნელოვანი გამოცდილება
- შესაბამისი გამოცდილება ფინანსური საინფორმაციო ტექნოლოგიების (fintech) და კრედიტის მართვის ინდუსტრიებში ევროპის მასშტაბით

განვლილი 25 წლის განმავლობაში პერ ანდერსი რამდენიმე კომპანიის - „SBAB ბანკის“, „Hoist Finance“ და „European Resolution Capital“-ის გენერალური დირექტორი იყო, ასევე ეკავა ფინანსური დირექტორის და უმაღლესი რგოლის სხვა აღმასრულებელი პოზიციები წამყვან ჩრდილოეთ ევროპულ ბანკში „SEB“. მიღებული აქვს სტრატეგიულ კონსულტანტად მუშაობის დიდი, 10-ზე მეტწლიანი გამოცდილება კომპანიებში „McKinsey & Company“ და „QVARTZ“ (დღეს „Bain & Company“).

პერ ანდერსი 15-ზე მეტი წლის განმავლობაში იყო ევროპის საფინანსო დაწესებულებების არააღმასრულებელი დირექტორი. ამასთან, აქვს 20-ზე მეტ ევროპულ ქვეყანაში, მათ შორის უკრაინაში არააღმასრულებელ დირექტორად, უფროს აღმასრულებლად და კორპორაციებისა და მთავრობებისთვის მრჩეველად მუშაობის დიდი პროფესიული გამოცდილება.

მიმდინარე გარე არააღმასრულებელი თანამდებობები

- დაგროვილი კაპიტალის მართვის მომსახურების კომპანიის „Lyra Financial Wealth“ თავმჯდომარე
- კერძო საინვესტიციო მართვის კომპანია „Atle Investment Management/Services“-ის საბჭოს წევრი
- უკრაინული კორპორაციული ბანკის „უკრგასბანკი“ საბჭოს წევრი და აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე

კომიტეტის წევრობა

- აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე
- რისკების კომიტეტის წევრი
- ანაზღაურების კომიტეტის წევრი



თიმოს კირიაკოპულოსი
სამეთვალყურეო საბჭოს
დამოუკიდებელი წევრი

ბანკს 2021 წლის ივლისში შეუერთდა

გამოცდილება

- დიდი გამოცდილება გლობალურ კაპიტალის ბაზრებისა და რეგიონულ საბანკო სექტორში, ასევე ზედამხედველობის ქვეშ მყოფ სუბიექტებში
- რისკის მართვის ექსპერტი, ინვესტორი, საინვესტიციო ბანკირი და ბალანსის ოპტიმიზატორი
- საოპერაციო ტრანსფორმაციის და კრიზისის მართვა სისტემური ბანკების და Fintech მიმართულებით
- მართვის გამოცდილება, რისკებისა და აქტივების მართვის მიმოხილვის ძლიერი უნარი როგორც ლისტინგში შემავალი, ასევე სამთავრობო საწარმოებისთვის

თიმოსი საბანკო მაღალჩინოსანია მნიშვნელოვანი საერთაშორისო გამოცდილებით. ის სპეციალიზდება საოპერაციო ტრანსფორმაციის სფეროებში, ბალანსის ოპტიმიზაციისა და რისკის მართვის, ფინანსური ინჟინერინგის და საპორტფელი მენეჯმენტის მიმართულებით. თიმოსი აღმასრულებელი დირექტორი და რისკების მართვის დირექტორი იყო „Piraeus Bank S.A.“-ში, რომელიც ლისტინგში შესული წამყვანი ბერძნული ბანკია; იყო მმართველი დირექტორი „Goldman Sachs Inc.“-ის ძირითადი ფიქსირებული შემოსავლის ვალუტის და საქონლით ვაჭრობის განყოფილებაში და მუშაობდა საბჭოს და აღმასრულებელ თანამდებობებზე სადაზღვევო-ტექნიკური, ფინანსურ-ტექნიკური, ფინანსური მომსახურების და საკონსულტაციო სექტორებში.

მიმდინარე გარე არააღმასრულებელი თანამდებობები

- „Growthfund“-ის, საბერძნეთის ნაციონალური ფონდის ინვესტიციების კომიტეტების საბჭოს წევრი და თავმჯდომარე
- საბერძნეთის საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული ბანკის - „Attica Bank“ საბჭოს წევრი
- Fintech სფეროში ახლად ლიცენზირებული კომპანიის „Agreed Payments SA“ საბჭოს წევრი

კომიტეტის წევრობა

- რისკების კომიტეტის თავმჯდომარე
- აუდიტის კომიტეტის წევრი
- ტექნოლოგიების და მონაცემების კომიტეტის წევრი



რაჯეევ სონი
სამეთვალყურეო საბჭოს
დამოუკიდებელი წევრი

ბანკს 2021 წლის ნოემბერში შემოუერთდა

გამოცდილება

- გლობალური კორპორაციული მართვის ძლიერი 40-წლიანი გამოცდილება
- მნიშვნელოვანი საკონსულტაციო და ადმასრულებელი გამოცდილება ტექნოლოგიურ და კიბერ-უსაფრთხოების კომპანიებში, ფინანსური მომსახურებისა და სხვა ინდუსტრიულ სექტორებში
- დიდი გამოცდილება კადრების მართვაში
- შესაბამისი გამოცდილება ინფორმაციის უსაფრთხოების რისკის მართვაში

რაჯეევს კორპორაციული ზრდის უფროსი ადმასრულებლის 40-წლიანი გამოცდილება აქვს. ის სპეციალიზდება ციფრულ ტექნოლოგიებში და საქმიანობდა ფინანსური მომსახურების და სხვა ინდუსტრიულ სექტორებში ევროპაში, ჩრდილოეთ ამერიკასა და აზიაში. რაჯეევს ეკავა ადმასრულებელი თავმჯდომარის და არაადმასრულებელი დირექტორის პოზიციები, ოქსფორდის უნივერსიტეტის სამედიცინო ტექნოლოგიური ინოვაციების კომპანიაში შპს „OXSIGHT“. იყო შპს „Zensar“-ის საინფორმაციო ტექნოლოგიების გლობალური სამსახურის გენერალური დირექტორის უფროსი კონსულტანტი გაერთიანებულ სამეფოში და საკონსულტაციო საბჭოს წევრი აშშ-ის სილიკონის ველის კიბერუსაფრთხოების კომპანიაში „Garble Cloud Inc.“. მანამდე რაჯეევს მიღებული ჰქონდა საოპერაციო გამოცდილება „HCL Technologies“ და IT სერვისების ფორმაში, რომელიც ორიენტირებულია საბანკო და ფინანსურ სექტორზე, Mphasis, „Hewlett Packard“-ის კომპანიის პრეზიდენტის თანამდებობაზე მუშაობით. რაჯეევი მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ექსპერტი იყო დაბალი ნახშირბადის ეკონომიკური კეთილდღეობის სამუშაო ჯგუფში და მონაწილეობდა კლიმატის ცვლილების შესახებ დისკუსიებში დავოსის ზაფხულის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმში.

მიმდინარე გარე არაადმასრულებელი თანამდებობები

- არ უჭირავს მიმდინარე დამატებითი თანამდებობა საბჭოში

კომიტეტის წევრობა

- ტექნოლოგიების და მონაცემების კომიტეტის თავმჯდომარე
- გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის და ეთიკის კომიტეტის წევრი
- კორპორაციული მართვის და ნომინაციის კომიტეტის წევრი



ნინო სუქნიძე
სამეთვალყურეო საბჭოს
დამოუკიდებელი წევრი

ბანკს 2021 წლის ნოემბერში შეუერთდა

გამოცდილება

- ფინანსური სერვისების ძლიერი გამოცდილება
- იურიდიულ მრჩეველად მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება ფინანსური მომსახურების წამყვან სექტორში გარიგებების და საფონდო ბირჟების მიმართულებით
- მართვის, მარეგულირებელი და რისკის მართვის მნიშვნელოვანი გამოცდილება, მათ შორის ლონდონის საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებულ კომპანიაში
- გამოცდილება საკონსულტაციო კომპანიებში სხვადასხვა სექტორში, მათ შორის სატელეკომუნიკაციო, ფარმაცევტულ, ენერგეტიკულ და კომერციულში.

ნინო ბიზნეს-იურისტი საქართველოს ბაზარზე 20-ზე მეტწლიანი გამოცდილებით. მას აქვს საფუძვლიანი ცოდნა და გამოცდილება პრაქტიკის სხვადასხვა სფეროში, მათ შორის საბანკო, ფინანსურ, კორპორაციულ, მარეგულირებელ, კონკურენციისა და კაპიტალის ბაზრებზე. 2017-2020 წლებში ის სს „საქართველოს ბანკის“ გენერალური მრჩეველი იყო. საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის“ ჯგუფში“ მოსვლამდე ის სხვადასხვა თანამდებობაზე იყო საერთაშორისო იურიდიულ ფირმებში „Dentons“ და „DLA Piper“ 11 წელზე მეტი ხნის განმავლობაში. დღეს ნინო იურიდიული ფირმის - შპს „სუქნიძე და პარტნიორები“ მმართველი პარტნიორია.

მიმდინარე გარე არააღმასრულებელი თანამდებობები

- საქართველოს ვაჭრობისა და მრეწველობის პალატის ვიცე პრეზიდენტი
- „Care Caucasus“ - ქართული საქველმოქმედო ორგანიზაციის საბჭოს წევრი

კომიტეტის წევრობა

- აუდიტის კომიტეტის წევრი
- კორპორაციული მართვის და ნომინაციის კომიტეტის წევრი

კომპანიის დირექტორთა საბჭოს კომიტეტები

„PLC საბჭო“ გარკვეული პასუხისმგებლობის დელეგირებას ახდენს კონკრეტულ კომიტეტებზე და მათგან იღებს მხარდაჭერას. კომიტეტები განიხილავენ და რეკომენდაციებს გასცემენ მათზე დელეგირებულ საკითხებზე. „PLC საბჭოს“ სტრუქტურაში ექვსი კომიტეტია: აუდიტის კომიტეტი, ანაზღაურების კომიტეტი, კორპორაციული მართვისა და ნომინაციის კომიტეტი, რისკების კომიტეტი, ტექნოლოგიებისა და მონაცემების კომიტეტი, გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის და ეთიკის კომიტეტი. თითოეული კომიტეტის კომპეტენციები მათი დებულებებით განისაზღვრება.

აუდიტის კომიტეტი

აუდიტის კომიტეტი, რომელიც გარე აუდიტორებთან, შიდა კონტროლებთან და ფინანსურ ანგარიშგებასთან ურთიერთობს, ასევე აქვს კომუნიკაცია ბაზართან და მარეგულირებლებთან. აუდიტის კომიტეტი მოქმედებს ხელმძღვანელობისგან დამოუკიდებლად, აქციონერების წინაშე თავისი ფიდუციური ვალდებულების შესასრულებლად და იმის უზრუნველსაყოფად, რომ მათი ინტერესები სათანადოდ იყოს დაცული შიდა კონტროლების, ფინანსური ანგარიშგების და მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის ეფექტურობის მხრივ, ასევე გარე აუდიტორებთან შესაბამისი ურთიერთობის შესანარჩუნებლად.

- „PLC“-ის შიდა ფინანსური და არაფინანსური კონტროლების გადახედვა შიდა კონტროლის სტრუქტურის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად და მათი ცვლილების შესახებ, ასევე „PLC“-ის რისკების კომიტეტთან დაკავშირებით ნებისმიერი რეკომენდაციის განხილვა; ჯგუფის შიდა კონტროლის, რისკის მართვის, შესაბამისობის უზრუნველყოფის და მმართველობის ფუნქციების შეფასება, მართვა და მონიტორინგი;
- ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობის მონიტორინგი იმის უზრუნველსაყოფად, რომ ისინი აკმაყოფილებდნენ ყველა საკანონმდებლო მოთხოვნას და შესაბამის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტს, ასევე იმის უზრუნველსაყოფად, რომ განსჯის ყველა სფერო სრულად იყოს გათვალისწინებული „PLC საბჭოსთვის“ „TBC PLC“-ის შესახებ სამართლიანი, დაბალანსებული და გასაგები რეკომენდაციის გაცემამდე;
- ჯგუფის შიდა აუდიტორული საქმიანობების ეფექტურობის და დამოუკიდებლობის გათვალისწინება და მისი ურთიერთობა გარე აუდიტორებთან; და
- რეკომენდაციების გაცემა „PLC საბჭოზე“ ჯგუფის გარე აუდიტორების დანიშვნასთან, განმეორებით დანიშვნასთან და მოხსნასთან დაკავშირებით და მათი ანაზღაურების და დასაქმების პირობების დამტკიცება.

რისკების კომიტეტი

რისკების კომიტეტი „TBC PLC“-ის შესაძლო რისკებზე და კაპიტალთან დაკავშირებულ საკითხებზეა ორიენტირებული. რისკების კომიტეტის უპირატესი მიზანია „PLC საბჭოს“ დახმარება რისკის მართვის და ფუნქციების და პასუხისმგებლობების შესრულებაში.

რისკების კომიტეტი ასევე პასუხისმგებელია რისკის კულტურის უზრუნველყოფაზე „TBC PLC“-ის კულტურის შესაბამისად და ის ჯგუფს ეხმარება რისკის დასაშვები დონის, რისკის მასშტაბის და კატეგორიების განსაზღვრაში, რომელსაც „PLC საბჭო“ ჯგუფისთვის მისაღებად მიიჩნევს.

ამ მიზნის მისაღწევად რისკების კომიტეტი პასუხს აგებს მისი დასკვნების განხილვასა და „PLC საბჭოსთვის“ წარდგენაზე ჯგუფის რისკის მართვის სტრატეგიის ფარგლებში, რაც მოიცავს რისკებთან დაკავშირებულ პრინციპებს, პოლიტიკებს, მეთოდოლოგიებს, სისტემებს, პროცესებს, პროცედურებს და ადამიანურ რესურსებს. ეს ასევე გულისხმობს რისკის პრინციპებსა და პოლიტიკებში ახალი ან არსებითი ცვლილებების განხილვას, ასევე ნებისმიერი მოქმედების განხილვას, რაც წარმოიქმნება ამგვარი პოლიტიკის არსებითი დარღვევით. რისკების კომიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს აუდიტის კომიტეტთან და გეგმავს ერთობლივ შეხვედრებს საერთო საკითხებთან დაკავშირებით.

რისკების კომიტეტი „PLC საბჭოს“ კონსულტაციას უწევს რისკის ასპექტებზე, რისკის დასაშვები დონის და რისკის მიმართ ჯგუფის ამტანობაზე მიმართული სტრატეგიული ოპერაციების შესახებ. რისკების კომიტეტი განხილავს და ამტკიცებს შიდა რისკის მართვის შესახებ ანგარიშგებას და ჯგუფის სიცოცხლისუნარიანობის შესახებ ანგარიშს, რომლებიც „PLC“-ის ყოველწლიურ ანგარიშგებაშია შესული. ის უზრუნველყოფს იმ განვითარებადი და ძირითადი რისკების დეტალურ შეფასებას, რომლებიც ჯგუფის წინაშე დგას, მათ შორის რისკებისა, რომლებიც საფრთხეს უქმნის ბიზნეს-მოდელს, მომავალ შესრულების მაჩვენებლებს, გადახდისუნარიანობას და ლიკვიდობას.

ანაზღაურების კომიტეტი

ანაზღაურების კომიტეტი ხელმძღვანელობს ანაზღაურებასთან დაკავშირებულ საკითხებს, როგორც არის ანაზღაურების ისეთი დონის განსაზღვრა, რომელიც ხელს უწყობს კადრების მოზიდვას და შენარჩუნებას და ამის დაბალანსებას ჩვენი დაინტერესებული პირებისთვის მისაღები ანაზღაურების დონით. ანაზღაურების კომიტეტი პასუხს აგებს ჯგუფის ანაზღაურების პოლიტიკის პრინციპების შედგენასა და მიმოხილვაზე და „TBC PLC“-ის და ბანკის აღმასრულებელი დირექტორების ანაზღაურების საკითხების განსაზღვრასა და დამტკიცებაზე, ასევე ბანკის დირექტორთა საბჭოს წევრების (დირექტორების) მართვაზე. ანაზღაურების კომიტეტმა ასევე უნდა გადახედოს დაქირავებულ პირთა ანაზღაურების სტრუქტურის ნებისმიერ მნიშვნელოვან ცვლილებას „TBC PLC“-ის შიგნით. ანაზღაურების კომიტეტი ასევე ვალდებულია გასცეს ანგარიში „PLC“-ის ანაზღაურების პოლიტიკის და პრაქტიკების შესახებ, რომლებიც „PLC“-ის ყოველწლიურ ანგარიშში იქნება ჩართული და უზრუნველყოფს იმას, რომ ამგვარი ანგარიში ყოველწლიურად წარედგინოს აქციონერებს დასამტკიცებლად.

კორპორაციული მართვისა და ნომინაციის კომიტეტი

კორპორაციული მართვის და ნომინაციის კომიტეტი პასუხს აგებს ნიჭიერი თანამშრომლების მართვაზე და ნომინირებაზე, ასევე მემკვიდრების გეგმის განსაზღვრაზე „PLC საბჭოსა“ და აღმასრულებელი გუნდისთვის.

ჯგუფს შიგნით კორპორაციული მმართველობის განვითარებასა და ფუნქციონირებასთან მიმართებით, კორპორაციული მმართველობის და ნომინაციის კომიტეტის მთავარი პასუხისმგებლობებია:

- კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო მითითებების ცვლილების დამტკიცება, ჯგუფის ამგვარ სახელმძღვანელო პრინციპებთან და მოქმედ საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგი და, საჭიროების შემთხვევაში, „PLC საბჭოსთვის“ რეკომენდაციების გაცემა ამგვარი ცვლილებების ან დამატებითი მოქმედებების თაობაზე;
- დამოუკიდებლობის სტანდარტების განხილვა „PLC საბჭოს“ წევრებისთვის; და
- „PLC საბჭოს“ და მისი კომიტეტების შესრულების მაჩვენებლების და ეფექტურობის შეფასების პროცესის მონიტორინგი და შეფასება (მათ შორის ამ კომიტეტის ყოველწლიური ეფექტურობის თვითშეფასება).

ნომინირებასთან დაკავშირებით კომიტეტის მთავარი პასუხისმგებლობები მოიცავს შემდეგს:

- „PLC საბჭოს“ სტრუქტურის, ზომის და შემადგენლობის რეგულარულად მიმოხილვა, მისი უნარების, გამოცდილების, დამოუკიდებლობის და ცოდნის მიმდინარე ბალანსის შეფასების, მათ შორის მრავალფეროვნების და გენდერული თანასწორობის გათვალისწინებით;
- სხვადასხვა გამოცდილების მქონე კანდიდატების გამოვლენა და რეკომენდაციების მიცემა „PLC საბჭოსთვის“ ამ უკანასკნელის შემადგენლობის შესახებ;
- „PLC საბჭოს“ თავმჯდომარის და მისი უფროსი დამოუკიდებელი წევრის დახმარება ყოველწლიური შეფასების პროცესის განხორციელებაში „PLC საბჭოს“ და მისი კომიტეტების მთლიანი და ინდივიდუალური შესრულების მაჩვენებლების და ეფექტურობის შესაფასებლად;
- „PLC საბჭოსთვის“ ხანგრძლივ პერიოდში რეკომენდაციების გაცემა მისი მემკვიდრეობის გეგმის შესახებ.

ტექნოლოგიების და მონაცემების კომიტეტი

ტექნოლოგიური და მონაცემების კომიტეტი, რომელიც 2021 წლის ივნისში შეიქმნა, „PLC საბჭოს“ ეხმარება სტრატეგიის მნიშვნელოვანი დრავირების, მონაცემების დამუშავებასა და კიბერ-საკითხებთან, ასევე IT რესურსებთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში.

ტექნოლოგიების და მონაცემების კომიტეტის მიზანია „PLC საბჭოსთვის“ ინფორმაციის მიწოდება და მისი მხარდაჭერა შემდეგში:

- კომპანიის და მისი შვილობილი საწარმოების ტექნოლოგიების და მონაცემების დამუშავების სტრატეგიის მიმოხილვა ჯგუფის სტრატეგიული გეგმის ფარგლებში, რომელიც „PLC საბჭოს“ მიერ არის დამტკიცებული;
- ხელმძღვანელობის მუშაობის მეთვალყურეობა ჯგუფის არსებულ IT სტრატეგიაში, საქმიანი და მარეგულირებელი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით.

გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის და ეთიკის კომიტეტი

გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის და ეთიკის კომიტეტი, რომელიც 2022 წლის იანვარში დაფუძნდა, უზრუნველყოფს კომპანიის მუდმივ ორიენტირებას გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით საკითხებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია ყველა ჩვენი დაინტერესებული პირისთვის. ამ კომიტეტის მიზანია „PLC საბჭოს“ მხარდაჭერა და კონსულტირება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:



- კომპანიის და მისი შვილობილი საწარმოების გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (i) სტრატეგიის, (ii) პოლიტიკისა და (iii) პროგრამების განხორციელების ზედამხედველობა და იმის უზრუნველყოფა, რომ გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის სტრატეგია მოიცავდეს ჯგუფის ყველა შესაბამის საქმიანობას;
- ღირებულებების, ქცევისა და კულტურის საერთო ხედვის დანერგვის ხელშეწყობა და ხელმძღვანელობის საქმიანობის ზედამხედველობა, რაც გულისხმობს ჯგუფში (i) ეთიკის კულტურის, (ii) სათანადო ქცევის და (iii) თანამშრომელთა ეთიკური ინკლუზიურობის წახალისებას.

თითოეული კომიტეტის ფუნქციები დეტალურად იხილეთ მათ დებულებებში შემდეგ ბმულზე: <https://www.tbcbankgroup.com/esg/governance/committees/>

კომპანიის მართვის „სარკისებური სტრუქტურის“ პოლიტიკის შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭოს ერთნაირი საკომიტეტო სტრუქტურა აქვს, მათ შორის კომიტეტების შემადგენლობის მხრივაც.

„PLC საბჭოს“ კომიტეტების შემადგენლობა ასე გამოიყურება:

| Member | Audit Committee | Risk Committee | Remuneration Committee | CGN Committee | Technology & Data (T&D) Committee | ESG & Ethics Committee |
|--------------------------|-----------------|----------------|------------------------|---------------|-----------------------------------|------------------------|
| Arne Berggren (Chairman) | | | Member | Chairperson | | |
| Tsira Kemularia (SID) | Member | | Member | | | Member |
| Janet Heckman | | Member | Chairperson | | | Member |
| Eran Klein | | Member | | | Member | Chairperson |
| Per Anders Fasth | Chairperson | Member | Member | | | |
| Thymios Kyriakopoulos | Member | Chairperson | | | Member | |
| Rajeev Sawhney | | | | Member | Chairperson | Member |
| Nino Suknidze | Member | | | Member | | |

 Chairperson
  Member

კომპანიის დირექტორთა საბჭოს წევრთა დამოუკიდებლობა

„PLC საბჭოს“ და სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა შესაბამისი კომიტეტების ჩათვლით იდენტიფიცირებული, არააღმასრულებელი წევრობის თვალსაზრისით.

კორპორაციული მართვის და ნომინაციის კომიტეტს „PLC საბჭოსგან“ მიღებული აქვს „PLC საბჭოს“ არააღმასრულებელი წევრების დამოუკიდებლობის შეფასების უფლებამოსილება, გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის კოდექსის შესაბამისად. მას შეფასებული და დადასტურებული აქვს, რომ „PLC საბჭოს“ ყველა არააღმასრულებელი წევრი, რომლის კანდიდატურა წლიური საერთო კრების კენჭისყრაზე არჩევით ან განმეორებითი არჩევით დგება, დამოუკიდებლად არის მიჩნეული. ეს დასკვნა მიღებულ იქნა ყველა იმ გარემოების გათვალისწინების შემდეგ, რასაც შესაძლოა შეეღებოდა, ან შესაძლოა რომ შეეღებოდა მათი დამოუკიდებლობა. გაერთიანებული სამეფოს კორპორაციული მართვის კოდექსის შესაბამისად, „PLC საბჭოს“ თითოეული წევრი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს „PLC საბჭოს“ ისეთი ნებისმიერი მოვლენის შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მის დამოუკიდებლობაზე. ამავდროულად, სამეთვალყურეო საბჭოს ყველა არააღმასრულებელი წევრი, ასევე მიჩნეულია დამოუკიდებლად საქართველოს კორპორაციული მართვის კოდექსით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად.

მრავალფეროვნება და ინკლუზიურობა

საბჭო განსაზღვრავს მრავალფეროვნების უზრუნველყოფის მნიშვნელობას და გამოავლენს ჩვენი ბიზნესის მნიშვნელოვან სარგებელს, რომელიც მომდინარეობს მრავალფეროვანი გამოცდილების მქონე საბჭოს და ხელმძღვანელი გუნდის შრიდან, რაც მოიცავს დიდ გამოცდილებას, კულტურულ ცოდნას და სხვადასხვა პერსპექტივას განხილვებში და აუმჯობესებს გადაწყვეტილების მიღების ხარისხს. 2020 წლის სექტემბერში საბჭომ მიიღო მრავალფეროვნების პოლიტიკა, რომელიც ბოლოს 2023 წლის დეკემბერში გადაიხედა. პოლიტიკა უზრუნველყოფს იმას, რომ საბჭოში თანამდებობაზე დანიშვნით განხორციელდეს კონტრიბუცია ჯგუფის მრავალფეროვნების და ინკლუზიურობასთან დაკავშირებული მიზნების მიღწევაში.

ეთნიკური და გენდერული მრავალფეროვნება

„PLC საბჭო“ განაგრძობს „Parker Review“-ს მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას, რაც გულისხმობს საბჭოში სულ მცირე ერთი BAME (შავკანიანი, აზიელი და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი) წევრის ყოფილ და ჯგუფი გეგმავს მომავალში დააკმაყოფილოს ეს რეკომენდაციები. „PLC საბჭო“ ითვალისწინებს „Parker Review“-ის განახლებულ ამბიციებს, განსაზღვროს აღმასრულებლებსა და მათ უშუალო დაქვემდებარებულ პირებთან დაკავშირებული მიზნები. მიუხედავად იმისა, რომ „PLC საბჭოს“ ჯერ არ შეუთანხმებია მიზნები, კორპორაციული მართვისა და ნომინაციის კომიტეტსა და „PLC საბჭოს“ შორის განხილვები ჩატარდა იმის თაობაზე, როგორ შეიძლება იყოს ეს მიზნები კომპანიისთვის, იმ რეგიონის გათვალისწინებით, რომელშიც ის ფუნქციონირებს. საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფის“ სამუშაო ძალის უმრავლესობა საქართველოსა და უზბეკეთზე მოდის, ამიტომ ის შეეცდება დაგეგმოს იმ ქვეყნებისთვის მნიშვნელოვანი მიზნები,

რომლებშიც განთავსებულია სამუშაო ძალა, ასევე შესაბამისი იქნება გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული კომპანიისთვის.

„PLC საბჭო“ ასევე მოწოდებულია უზრუნველყოს გენდერულ დივერსიფიკაციასთან დაკავშირებით „FTSE Women Leaders Review“-ის მიერ გაცემული მიზნების დაკმაყოფილება. წინამდებარე წლიური ანგარიშის გამოცემის თარიღის მდგომარეობით, ცხრა წევრიდან სამი (33%) ქალია, ხოლო საბჭოს წამყვანი თანამდებობებიდან ერთ-ერთიც ქალს უჭირავს და ჩვენი კორპორაციული მდივანიც ქალია. ამასთან, ჩვენი აღმასრულებელი კომიტეტის ქალთა წარმომადგენლობა და მათზე უშუალოდ დაქვემდებარებულ პირთა რაოდენობა 44%-ს შეადგენს. კომპანია FTSE 350 ინდექსში იმ 68 ორგანიზაციას შორის არის, რომლებმაც „Alexander Hampton Review“-ის მიზანს 2025 წლისთვის დადგენილ ვადაზე ადრე მიაღწიეს.

კორპორაციული მართვისა და ნომინაციის კომიტეტი აცნობიერებს ნებისმიერი დამატებითი არააღმასრულებელი დირექტორის მოძიების უზრუნველყოფის საჭიროებას, ითვალისწინებს საბჭოებისთვის ისეთ ძლიერ მხარეებს, როგორც არის მრავალფეროვნება, მათ შორის გენდერული, ეთნიკური და მრავალფეროვნების სხვა მახასიათებლების მიხედვით. „PLC საბჭო“ განაგრძობს ყველა მომავალ თანამდებობებზე დანიშვნის უზრუნველყოფას „PLC საბჭოს“ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული მიზნების მხარდაჭერის გზით.

ასევე კარგი პროგრესი გვაქვს მთელს ორგანიზაციაში ქალთა კომუნიკაციის ძლიერი არხების შექმნის მიმართულებით, რადგან გვჯერა ქალებთან დაკავშირებული პროგრესის ხელშეწყობა კომპანიის ყველა დონეზე დაგეგმვარება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიმდებ როლებში ქალბატონების ხელშეწყობის მდგრადი პროგრესის მიღებაში. წლის განმავლობაში კომპანიამ აღმასრულებელ კომიტეტში აირჩია კადრების განყოფილების ქალი ხელმძღვანელი, რაც ამ ჯგუფის გენდერული ნიშნით დაბალანსებას შეუწყობს ხელს.

დირექტორთა საბჭოს და კომიტეტის სხდომებზე დასწრება

ქვემოთ მოცემულია „PLC საბჭოს“ და კომიტეტის სხდომებზე დასწრების გრაფიკი. 2023 წლის განმავლობაში „PLC საბჭომ“ განაგრძო პერსონალური და სატელეფონო კონფერენციის სახით მოწყობილი შეხვედრების ეფექტურად განხორციელება. ყველა კომიტეტს თავმჯდომარე უძღვება და მისი წევრები „PLC საბჭოს“ არააღმასრულებელი წევრები არიან. საბჭოს თითოეული კომიტეტის თავმჯდომარე „PLC საბჭოს“ შეხვედრაზე წარმოადგენს ანგარიშს კომიტეტის საქმიანობის შესახებ, მათ შორის საკითხებზე, რომლებიც კომიტეტის რეკომენდაციით საჭიროებს „PLC საბჭოს“ მიერ დამტკიცებას. კომიტეტის დღის წესრიგის და კომიტეტის შეხვედრის მიმდინარეობის პროცესი „PLC საბჭოს“ ანალოგიურია.

PLC საბჭოს და კომიტეტის სხდომებზე დასწრება 2023 წელს ასე გამოიყურებოდა:

| საბჭოს წევრი | საბჭო | ანაზღაურების კომიტეტი | აუდიტის კომიტეტი | რისკების კომიტეტი | კორპორაციული მმართველობის და ნომინაციის კომიტეტი | გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის და ეთიკის კომიტეტი | ტექნოლოგიების და მონაცემების კომიტეტი |
|-----------------------------|-------|-----------------------|------------------|-------------------|--|--|---------------------------------------|
| არნე ბერგრენი | 20/20 | 7/7 | - | - | 5/5 | - | - |
| ცირა კემულარია ⁶ | 20/20 | 5/5 | 8/8 | - | - | 4/4 | - |
| პერ ანდერს ფასტი | 20/20 | 7/7 | 8/8 | 12/12 | - | - | - |
| ერან კლაინი | 20/20 | - | - | 12/12 | - | 4/4 | 4/4 |
| თიმოს კირიაკოპულოსი | 20/20 | - | 8/8 | 12/12 | - | - | 4/4 |
| რაჯეევ სონი | 20/20 | - | - | - | 5/5 | 4/4 | 4/4 |
| ნინო სუქნიძე ⁷ | 20/20 | 2/2 | 8/8 | - | 5/5 | - | - |
| ჯანეტ ჰეკმანი ⁸ | 18/18 | 5/5 | - | 9/10 | - | 2/2 | - |
| ვახტანგ ბუცხრიკიძე | 20/20 | - | - | - | - | - | - |

⁶ ცირა კემულარია ანაზღაურების კომიტეტს 2023 წლის 23 თებერვალს შემოუერთდა;

⁷ ნინო სუქნიძემ ანაზღაურების კომიტეტი 2023 წლის 23 თებერვალს დატოვა

⁸ ჯანეტ ჰეკმანი საბჭოს 2023 წლის 23 თებერვალს შემოუერთდა და ვერ შეძლო რისკების კომიტეტის სპეციალურ კრებაზე დასწრება, რომლის მოწვევაც გარკვეული ვალდებულების მიზეზით მოკლე ვადებში მოხდა. თუმცა მან განხილულ მასალებზე სრული კომენტარები წარმოადგინა. დანიშვნის შემდეგ ჯანეტი გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის და ეთიკის კომიტეტის ყველა შეხვედრას დაესწრო.

სამეთვალყურეო საბჭოს და შესაბამისი კომიტეტების კრებებზე დასწრება 2023 წელს ასე გამოიყურებოდა:

| საბჭოს წევრი | საბჭო | ანაზღაურების კომიტეტი | აუდიტის კომიტეტი | რისკების კომიტეტი | კორპორაციული მმართველობის და ნომინაციის კომიტეტი | გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის და ეთიკის კომიტეტი | ტექნოლოგიების და მონაცემების კომიტეტი |
|---------------------|-------|-----------------------|------------------|-------------------|--|--|---------------------------------------|
| არნე ბერგენი | 15/15 | 5/5 | | | 5/5 | | |
| ცირა კემულარია | 15/15 | 5/5 | 9/9 | | | 4/4 | |
| პერ ანდერს ფასტი | 15/15 | 5/5 | 9/9 | 12/12 | | | |
| ერან კლანი | 15/15 | | | 12/12 | | 4/4 | 4/4 |
| თიმოს კირიაკოპულოსი | 15/15 | | 9/9 | 12/12 | | | 4/4 |
| რაჯივ სონი | 15/15 | | | | 5/5 | 4/4 | 4/4 |
| ნინო სუქნიძე | 15/15 | 2/2 | 9/9 | | 5/5 | | |
| ჯანეტ ჰეკმანი | 11/11 | 3/3 | | 5/6 | | 1/1 | |

პასუხისმგებლობების გადანაწილება

აღმასრულებელი და არააღმასრულებელი პასუხისმგებლობები მკაფიოდ არის გამიჯნული, რაც ანგარიშვალდებულებას და ზედამხედველობას უწყობს ხელს. თავმჯდომარის და გენერალური დირექტორის (შემდგომში „გენერალური დირექტორი“ ან „CEO“) ფუნქციები გამიჯნულია. მათი პასუხისმგებლობები მკაფიოდ არის განსაზღვრული წერილობით და რეგულარულად გადაიხედება „PLC საბჭოს“ მიერ.

| თავმჯდომარე | „PLC საბჭოს“ უფროსი დამოუკიდებელი წევრი |
|--|--|
| თავმჯდომარის ძირითადი პასუხისმგებლობაა „PLC საბჭოს“ ხელმძღვანელობა და ეფექტურად წარმართვა. | უზრუნველყოფს საბჭოს და თავმჯდომარის უზარეულო მუშაობას და სხვა დირექტორებთან შუამავლის როლს ასრულებს, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, ხელმისაწვდომია პარტნიორებისთვის. |

| გენერალური დირექტორი | „PLC საბჭოს“ არააღმასრულებელი წევრები |
|---|--|
| გენერალური დირექტორის ძირითადი ვალდებულებაა ჯგუფის საქმიანობის მართვა. ის პასუხს აგებს ჯგუფზე გავლენის მქონე მმართველობით ყველა საკითხზე. | აღმასრულებელი პირების კონსტრუქციული შემოწმება, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, არის თავმჯდომარის მხარდამჭერი ორგანო. ამასთან, უფროსი დამოუკიდებელი დირექტორთან ერთად, უზრუნველყოფს ჯგუფის სამეწარმეო ხელმძღვანელობას და მთლიან საბჭოსთან ერთად პასუხს აგებს ჯგუფის გრძელვადიანი წარმატების უზრუნველყოფასა და პარტნიორებისთვის მდგრადი ღირებულების შექმნაზე. |

თავმჯდომარის, გენერალური დირექტორის და უფროსი დამოუკიდებელი დირექტორის პასუხისმგებლობების გადანაწილების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია ვებგვერდზე: <https://www.tbcbankgroup.com/> .

საკუთარი ვალდებულებების შესრულების პროცესში დამოუკიდებელი კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში, საბჭოს და მის ნებისმიერ წევრს შეუძლიათ მიმართონ პირდაპირ „TBC PLC“-ის. არსებობს დადგენილი პროცედურა დირექტორებისთვის შესაბამის ვითარებებში „TBC PLC“-სგან დამოუკიდებელი პროფესიონალური რჩევის მისაღებად. ამგვარი მოთხოვნები არ გაცემულა 2023 წელს. ყველა დირექტორზე ვრცელდება დირექტორების და თანამდებობის პირების ვალდებულებების დაზღვევა.

კორპორაციული მდივანი

2022 წლის აგვისტოში „TBC PLC“-ის კორპორაციულ მდივანად დაინიშნა „LDC Nominee Secretary Limited“. კორპორაციული მდივნის დანიშვნა და გადაყენება საბჭოს გადაწყვეტილების საკითხს წარმოადგენს, „PLC საბჭოზე“ მიკუთვნებული საკითხების ფარგლებში.

საბჭოზე მიკუთვნილი საკითხები

„PLC საბჭო“ პასუხს აგებს „TBC PLC“-ის გრძელვადიან მდგრად წარმატებაზე, მისი სტრატეგიის და მიზნის განსაზღვრის, სასურველი კულტურის დანერგვის და რისკის მართვის სათანადო ჩარჩოს უზრუნველყოფის გზით. „PLC საბჭოს“ შემდეგი მნიშვნელოვანი ფუნქციები გააჩნია:

| ფუნქცია | აღწერა |
|---|---|
| მიზანი, ღირებულება და კულტურა | ხელმძღვანელობის დახმარება ძირითადი ღირებულებების და კულტურის შექმნაში, რაც ჯგუფს მისცემს საუკეთესო შესაძლებლობას მიაღწიოს მიზანს ცხოვრების გასამართლებლად. |
| კორპორაციული სტრატეგიის დაგეგმვა და მონიტორინგი | სტრატეგიული გეგმის და მიზნების შეთანხმება და დამტკიცება. საბჭო განსაზღვრავს და მიმოიხილავს შესრულების ინდიკატორებს, შეთანხმებული სტრატეგიის განხორციელების პროგრესის შესაფასებლად. |
| ორგანიზების და ხელმძღვანელობის ეფექტურობა | იმის უზრუნველყოფა, რომ ორგანიზაციის ხელმძღვანელობა, დიზაინი, შესაძლებლობები და მხარდამჭერი სისტემები შეესაბამებოდეს ჯგუფის მოთხოვნებს და არსებული და მომავალი საქმიანობების დივერსიფიცირებულ სტრატეგიებს. |
| საოპერაციო და ფინანსური მაჩვენებლები | ჯგუფის შესრულების მაჩვენებლების განხილვა ხდება სტრატეგიული მიზნების, ბიზნეს-გეგმების და ბიუჯეტების საფუძველზე. აუდიტის კომიტეტის მხარდაჭერით, საბჭო ამტკიცებს ჯგუფის ყოველწლიურ და შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებებს. |
| პარტნიორის და დაინტერესებული პირის ჩართულობა | თავისი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, კომპანია ახალანსებს დაინტერესებული პირების და ჯგუფის გრძელვადიან ინტერესებს. |

საბჭოს შეფასება

წელიწადში ერთხელ ტარდება შეფასების პროცესი, რომელიც ინდივიდუალურად განიხილავს საბჭოს, მისი კომიტეტების და „PLC საბჭოს“ წევრების საქმიანობის შედეგებს. ეს მიმოიხილვა გამოავლენს ძლიერ და გასაუმჯობესებელ სფეროებს, ავლენს წვრთნის გეგმებს ჩვენი „PLC საბჭოს“ წევრებისთვის და განსაზღვრავს ცოდნის, გამოცდილების ან მრავალფეროვნების ნაწილებს, რომლებიც მემკვიდრეობის გეგმებში უნდა იყოს გათვალისწინებული.

2021 წელს „TBC PLC“-ამ დაიკვირვა შპს „Lintstock“ სამი წლით საბჭოს საქმიანობის შესაფასებლად. შპს „Lintstock“ საკონსულტაციო ფირმაა, რომელიც საბჭოს ეფექტურობის მიმოხილვის მიმართულებით სპეციალიზირდება და მას სხვა სახის კავშირი არ აქვს „TBC PLC“-სთან, ბანკთან ან საბჭოს რომელიმე წევრთან.

2023 წლის საბჭოს შეფასების შედეგები:

2023 წლის შეფასების უკუკავშირით დადგინდა, „PLC საბჭო“ მაღალი ჩართულობა „PLC საბჭოს“ შეფასების პროცესში. დადგინდა, რომ თავმჯდომარე ახდენდა მაღალი პერფორმანსის უზრუნველყოფი ძლიერი კულტურის ხელშეწყობას და „PLC საბჭოს“ წევრები მოწოდებული იყვნენ შეექმნათ დამატებული ღირებულება ბიზნესისათვის. „Lintstock“-მა დაასკვნა, რომ „PLC საბჭომ“ და უმაღლესმა მენეჯმენტმა 2021 წლიდან გაუმჯობესებები უჩვენა მემკვიდრეობის გეგმის, სტრატეგიის და რისკის მართვის მიმართულებით და შენიშნა, რომ არაადამსრულებელ წევრებსა და მენეჯმენტს შორის თანხობის დონე განაგრძობდა ზრდას. გამოხატულია ნდობა „PLC საბჭოს“ უნარის მიმართ, დეტალურად შეამოწმოს ბიზნესი. მიმოხილვის ფარგლებში, „Lintstock“ დაესწრო „PLC საბჭოს“ და კომიტეტის შეხვედრებს, ასევე შეამოწმა „PLC საბჭოს“ და კომიტეტის დოკუმენტები, მათ შორის შეხვედრის მასალები და დებულებები. „Lintstock“-მა ასევე ჩაატარა სამეთვალყურეო საბჭოს ანალიზი „Lintstock“-ის მმართველობის ინდექსთან მიმართებით, რომელიც პერფორმანსის დაახლოებით 60 მაჩვენებელს მოიცავს 200-მდე საბჭოს მიმოხილვებიდან, რომლებიც ბოლო დროს ჩაატარა „Lintstock“-მა, კონკრეტულად ფინანსური მომსახურების გამწვევი კომპანიებისთვის. ეს დირექტორებს დაეხმარა იმის გაგებაში, თუ როგორ ხდება სამეთვალყურეო საბჭოს შედარება სხვა მსგავს ორგანიზაციებთან და მიღებული შედეგების კონტექსტში განხილვაში. შეფასების შესახებ განხილვების შემდეგ, საბჭო ახდენს იმ პრიორიტეტების იდენტიფიცირებას და მათზე შეთანხმებას, რომლებიც უწყვეტ გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს, მათ შორის:

- საბჭოში და კომიტეტებში მუშაობის ფორმების განხილვა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ისინი ყოველთვის სათანადო დონეზე ჩატარდეს.

- შვილობილი საწარმოს მმართველობითი ჩარჩოს გაუმჯობესება ინფორმაციის ნაკადების გამჭვირვალობის და დელეგირების ლიმიტების შენარჩუნების უზრუნველსაყოფად, „თიბისის“ საერთაშორისო მასშტაბით ზრდასთან ერთად.
- ბოლო დროს გამოვლენილი გაუმჯობესების იმპულსის მხარდაჭერა, რამდენიმე სფეროში მიღწეული პროგრესის საფუძველზე, ჯგუფის მომავალი წარმატების მხარდასაჭერად.

წლიური საერთო კრება

2024 წლის საერთო კრების შეტყობინება ყველა აქციონერს შეხვედრამდე სულ მცირე 21 სამუშაო დღით ადრე გაეგზავნება და ასევე გამოქვეყნდება ჩვენს ინვესტორებთან ურთიერთობის ვებგვერდზე: www.tbcbankgroup.com. დადგენილებებზე კენჭისყრას გამოაცხადებს მარეგულირებელი საინფორმაციო სამსახური და მისი შედეგი გამოქვეყნდება ჩვენს ინვესტორებთან ურთიერთობის ვებგვერდზე: www.tbcbankgroup.com.

4.2 სს „თიბისი ბანკის“ დირექტორთა საბჭო

ხელმძღვანელი პირების ბიოგრაფიები



ვახტანგ ბუცხრიკიძე
გენერალური დირექტორი

- წამყვანი ბანკირი კავკასიასა და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში
- 25-ზე მეტწლიანი გამოცდილება სტრატეგიულ და ფინანსურ ხელმძღვანელობაში
- სტრატეგიული დაგეგმვის და განვითარების, სტარტაპების და ფინანსურ-ტექნიკური მართვის, შერწყმისა და შესყიდვების და კაპიტალის და სასესხო კაპიტალის, თანხების მოზიდვის და ინვესტორებთან ურთიერთობების საფუძვლიანი ცოდნა და გამოცდილება

ვახტანგ საბანკო და ფინანსურ სექტორში მუშაობის 30-ზე მეტწლიანი გამოცდილება აქვს. ის ჯგუფს შეუერთდა 1992 წელს საქართველოში მისი დაფუძნების მომენტიდან - სტარტაპის ეტაპიდან მიმდინარე ბაზრის ლიდერი ფინანსური ტექნოლოგიების დაწესებულებად ჩამოყალიბებამდე. ის „თიბისი ბანკს“ 1993 წელს უფროსი მენეჯერის სახით შეუერთდა და 1996 წელს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე გახდა. 1998 წლიდან მას ეკავა სს

„თიბისი ბანკის“ გენერალური დირექტორის თანამდებობა და კომპანიის გენერალურ დირექტორად 2016 წლის მაისში დაინიშნა.

ვახტანგი ცნობილი ბანკირია კავკასიასა და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში და მიღებული აქვს რამდენიმე პრესტიჟული ჯილდო, მათ შორის 2011 წლის საუკეთესო ბანკირის ჯილდო GUAM-ისგან (საქართველო-უკრაინა-აზერბაიჯანი-მოლდოვა). ეს არის დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის ჯილდო და ასევე წლის გენერალური დირექტორის წოდება (2014 წ.) ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში და დსთ-ში EMEA-ს (ევროპა, ახლო აღმოსავლეთი და აფრიკა) ფინანსური ჟურნალისგან. 2019 წლის მარტის თვეში მან სპეციალური ჯილდო - „Responsible Capitalism in Adversity“ მიიღო პრესტიჟული ორგანიზაციისგან „FIRST“ - მრავალდისციპლინარული საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის მიზანია მრეწველობაში, ფინანსებსა და მთავრობებში ლიდერებს შორის დიალოგის ხელშეწყობა.

მიმდინარე გარე (ჯგუფს მიღმა) არააღმასრულებელი თანამდებობები

- საქართველოს ბანკების ასოციაციის საბჭოს წევრი
- საქართველოს ბიზნეს-ასოციაციის საბჭოს წევრი
- Visa-ს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, შუა აღმოსავლეთის და აფრიკის (CEMEA) ბიზნეს-საბჭოს წევრი



გიორგი მეგრელიშვილი
დირექტორი, ფინანსური
დირექტორი

გიორგი სს „თიბისი ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილის და ფინანსური დირექტორის თანამდებობაზე 2020 წლის ოქტომბერში დაინიშნა. ის ბანკს ფინანსური დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე შემოუერთდა 2020 წლის მარტის თვეში.

გიორგის ფინანსურ მომსახურებაში გლობალური ხელმძღვანელობის 25-წლიანი გამოცდილება აქვს. „თიბისიში“ მოსვლამდე, გიორგი იყო „Newest Markets N.V.“-ის (ამსტერდამი) დირექტორი და კაპიტალური რისკების და სტრეს-ტესტის განყოფილების ხელმძღვანელი. მანამდე, 2008-2019 წლებში, გიორგის რამდენიმე წამყვანი პოზიცია ეკავა ლონდონის „Barclays Bank“-ში, მათ შორის ბარკლის ხაზინის დირექტორის, ბარკლის შიდა მსხვილი დავალიანებების განყოფილების ხელმძღვანელი და ბარკლის ცენტრალური დაგეგმვის ხელმძღვანელი. ბარკლში მუშაობის დროს გიორგი ასევე იყო კაპიტალის და დავალიანების ინდივიდუალური მართვის ხელმძღვანელი შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანიაში „Barclays Bank“ და სტრატეგიული დაგეგმვის განყოფილების ხელმძღვანელი „Barclaycard UK“-

ში. კარიერის დასაწყისში გიორგის სხვადასხვა წამყვანი მმართველობითი თანამდებობა ეკავა რამდენიმე ქართულ ორგანიზაციაში.

გიორგი ბიზნეს-ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხს ფლობს კემბრიჯის უნივერსიტეტის მოსამართლის ბიზნეს-სკოლიდან.



გიორგი თხელიძე
დირექტორი, კორპორაციული და
საინვესტიციო საბანკო საქმე,
დაგროვილი კაპიტალის მართვის
სამსახური

გიორგი ბანკში მიმდინარე თანამდებობაზე 2016 წლის ნოემბერში დაინიშნა, სადაც ის კორპორაციულ და საინვესტიციო საბანკო ბიზნესს ხელმძღვანელობდა. 2021 წლის იანვრიდან გიორგი ასევე პასუხს აგებს ბანკის დაგროვილი კაპიტალის მართვის სამსახურზე და სალიზინგო ბიზნესზე. გიორგი პირველად „თიბისის“ 2014 წელს შეუერთდა, როგორც გენერალური დირექტორის მოადგილე და რისკების მართვის დირექტორი.

გიორგის გლობალური ფინანსური მომსახურების 20-ზე მეტწლიანი გამოცდილება აქვს. „თიბისი ბანკში“ მოსვლამდე ის ბარკლის საინვესტიციო ბანკში მუშაობდა, სადაც მას ეკავა ევროპის, შუა აზიის და აფრიკის რეგიონის საფინანსო დაწესებულებების ჯგუფის ვიცე პრეზიდენტის თანამდებობა. მანამდე იყო ბარკლის სასესხო დაფინანსების და რესტრუქტურისა და რევიზიის ასოცირებული დირექტორი. თავისი კარიერის მანძილზე ბარკლში, ლონდონში, გიორგი მუშაობდა და წარმატებით განახორციელა არაერთი M&A ოპერაცია, სასესხო და კაპიტალის ბაზრის ტრანზაქციები ევროპის საფინანსო დაწესებულებებთან. საქართველოში მისი კარიერის მანძილზე გიორგი იყო საქართველოში წამყვანი სადაზღვევო კომპანია „ალდაგის“ გენერალური დირექტორი და

მანამდე ეკავა პროგრესული წამყვანი თანამდებობები იმავე კომპანიაში.

გიორგი სტენფორდის აღმასრულებელი პროგრამის (SEP) კურსდამთავრებულია, ფლობს ბიზნეს-ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხს ლონდონის ბიზნეს-სკოლისგან და სამართლის მაგისტრის ხარისხს (LLM) საერთაშორისო კომერციულ კანონმდებლობაში ნოტინგემის უნივერსიტეტიდან.



თორნიკე გოგიანიშვილი
დირექტორი, საცალო და მიკრო,
მცირე და საშუალო საწარმოების
საბანკო მომსახურების, გადახდების
დეპარტამენტი

თორნიკე მიმდინარე პოზიციაზე - სს „თიბისი ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილე და საცალო მომსახურების განყოფილების ხელმძღვანელი - 2020 წლის იანვარში დაინიშნა. ამასთან, თორნიკე მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების საბანკო მომსახურების განყოფილებას 2021 წლის იანვრიდან ხელმძღვანელობს. ის „თიბისის“ 2018 წელს შემოუერთდა საოპერაციო დირექტორის სახით.

თორნიკეს ფინანსური მომსახურების და ოპერაციების მართვის 20-ზე მეტწლიანი გამოცდილება აქვს საქართველოში და ცენტრალურ, აღმოსავლეთ ევროპის და ევროპის რეგიონში. „თიბისიში“ მოსვლამდე ის „საქართველოს ბანკის“ ჯგუფის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე და ოპერაციების დირექტორი იყო, მანამდე კი სხვადასხვა წამყვანი თანამდებობა ეკავა იგივე ორგანიზაციაში. 2008-2010 წლებში თორნიკე „BG Bank Ukraine“-ის (საქართველოს ბანკის შვილობილი საწარმო) ფინანსური დირექტორის იყო. უფრო ადრე თორნიკე ქართული სადაზღვევო კომპანიის „ალდაგი“ აღმასრულებელი დირექტორის, ასევე „UEDC PA“-ის საკონსულტაციო განყოფილების ფინანსური დირექტორის თანამდებობა და სხვადასხვა მმართველობითი თანამდებობა ეკავა კომპანიაში „BCI Insurance“.

თორნიკე ფლობს ბიზნეს-ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხს კავკასიის ბიზნეს-სკოლიდან და აღმასრულებელ დიპლომს ოქსფორდის ბიზნეს-სკოლიდან.



ნინო მასურაშვილი
დირექტორი, რისკების მართვის
დირექტორი

ნინო სს „თიბისი ბანკის“ რისკის მართვის დირექტორად 2020 წელს დაინიშნა. მანამდე მას პროგრესული წამყვანი პოზიციები ეკავა „თიბისიში“ მას შემდეგ, რაც ის პირველად შემოუერთდა ბანკს 2000 წელს. ნინო ბანკის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე იყო 2006 წელს და სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა „თიბისის“ საცალო და მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების განყოფილებას. ნინო ასევე „თიბისის“ მნიშვნელოვანი შვილობილი საწარმოების სამეთვალყურეო საბჭოებში მოღვაწეობს, მათ შორის „თიბისი უზბეკეთში“, „თიბისი ლიზინგში“ და „თიბისის“ ციფრული საბანკო მომსახურების პლატფორმაზე „სფეის ინტერნეიშენალი“.

ნინოს საქართველოში ფინანსური და საბანკო მომსახურების 25-წლიანი გამოცდილება აქვს. ადრე სხვადასხვა წამყვანი და მმართველობითი თანამდებობა ეკავა კომპანიებში სს „თბილკომ ბანკი“ და „Barents Group“.

ნინო ფლობს ბიზნეს-ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხს მართვის ევროპული სკოლისგან (თბილისი).

ბანკის დირექტორთა საბჭოს პასუხისმგებლობები

გენერალური დირექტორი

გენერალური დირექტორი ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე და მისი ძირითადი პასუხისმგებლობაა ბანკის საქმიანობის მართვა სტრატეგიული მიზნების მიღწევის და სტრატეგიის განხორციელების მიმართულებით. ეს მოიცავს ბანკის ყოველდღიური ოპერაციების მართვას და საოპერაციო გადაწყვეტილების აღსრულებას. გენერალური დირექტორი ასევე პასუხს აგებს ბანკის საერთო კომერციული მიზნების შეთავაზებას, შემუშავებას და ზედამხედველობას. აღმასრულებელ გუნდთან ერთად ის ანგარიშვალდებულია „თიბისი ბანკის“ ყველა აღმასრულებელი საკითხის მართვაზე. აღმასრულებელი ხელმძღვანელობის ყველა წევრი მას წარუდგენს ანგარიშს, ხოლო თავად უშუალოდ ზედამხედველობს კადრების მართვის, ექაილ ტრანსფორმაციის, ბრენდის გამოცდილების და მარკეტინგის, უსაფრთხოების, მაკრო ფინანსური ანალიზის, მონაცემთა ანალიზის და სამეთვალყურეო საბჭოს მხარდაჭერის მიმართულებებს.

დირექტორი, ფინანსური დირექტორი

ფინანსური დირექტორი (CFO) ანგარიშვალდებულია გენერალური დირექტორის და სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე და სტრატეგიულ ფუნქციას ასრულებს ბანკის საერთო მართვაში. ფინანსურ დირექტორს აქვს ყველა ფინანსური და ბექ-ოფისის ოპერაციებთან დაკავშირებული საქმიანობების დაგეგმვის, განხორციელების, მართვის და კონტროლის უპირატესი პასუხისმგებლობა. ეს მოიცავს ინვესტორთან ურთიერთობებს და ფულადი სახსრების მოზიდვას, სახაზინო საქმიანობებს, ფინანსურ ანალიზს, სტრატეგიულ დაგეგმვას და ბიუჯეტირებას, ფინანსურ აღრიცხვას, მარეგულირებელ ანგარიშგებას, გადასახადებს და ყველა სხვა შესაბამის საკითხს, ასევე ფულადი სახსრების მართვას, სესხების ადმინისტრირებას, საკორესპონდენტო საბანკო საქმეს, ნასყიდობას, ლოგისტიკას, უზრუნველყოფის მართვას და შეფასებისა და საანგარიშსწორებო-სალარო ცენტრს.

დირექტორი, კორპორაციული და საინვესტიციო საბანკო საქმე, დაგროვილი კაპიტალის მართვის სამსახური

კორპორაციული და საინვესტიციო საბანკო საქმის დირექტორი ანგარიშვალდებულია გენერალური დირექტორის და სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე და ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბანკის საერთო მართვაში. მას აქვს უპირატესი პასუხისმგებლობა ბანკის კორპორაციული და საინვესტიციო საქმიანობის დაგეგმვაში, განხორციელებაში, მართვასა და კონტროლში. კორპორაციული და საინვესტიციო საბანკო მომსახურების განყოფილების დირექტორი მართავს მისი კლიენტების ფინანსური მომსახურების ფართო სპექტრის შეთავაზებას. საქმიანობა მოიცავს საკრედიტო, საკლირინგო, საინვესტიციო დეპოზიტებს, ასევე სპეციალური პროდუქტების ორგანიზებას მაღალი ბრუნვის მქონე კლიენტებისთვის, როგორც არის საფინანსო დაწესებულებები, დიდი კომპანიები და სახელმწიფო კომერციული კომპანიები.

დირექტორი, საცალო, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების საბანკო მომსახურება და გადახდები

საცალო, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების საბანკო მომსახურების და გადახდების დირექტორი ანგარიშვალდებულია გენერალური დირექტორის წინაშე და მისი უპირატესი პასუხისმგებლობაა ბანკის საცალო, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების ბიზნესის სტრატეგიის, მისი პროდუქტების დიაპაზონის და შესაბამისი ბაზრის ფორმულირება და განხორციელება. დირექტორი ასევე პასუხს აგებს ახალი პროდუქტების და მომსახურების გაწევის არხების შემუშავებაზე, ასევე ბიზნეს-საქმიანობების დაგეგმვასა და მართვაზე საცალო მომსახურების, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების სეგმენტისთვის, რაც მოიცავს გაყიდვებს, მომხმარებლებზე ზრუნვას, მომგებიანობას, ფილიალის ოპერაციებს, ციფრულ და სხვა არხებს და ანგარიშგებას, ბიუჯეტირებას და ანალიზს.

დირექტორი, რისკების მართვის დირექტორი

რისკების მართვის დირექტორი (CRO) ანგარიშვალდებულია გენერალური დირექტორის და სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. რისკების მართვის დირექტორის უპირატესი პასუხისმგებლობაა ბანკის რისკის მართვასთან დაკავშირებული საქმიანობის მართვა, მათ შორის შესაბამისობის უზრუნველყოფა, რისკების აღკვეთა, იდენტიფიცირება, შეფასება, მიტიგაცია, მონიტორინგი და ანგარიშგება.

ბანკის დირექტორთა საბჭოს დონეზე ფუნქციონირებს შემდეგ კომიტეტები, რომლებიც მენეჯმენტს ეხმარებიან ყოველდღიური მართვის განხორციელებაში:

| კომიტეტის წევრი | ინტერესთა კონფლიქტის მართვის კომიტეტი (მოცემული შემთხვევისთვის) | საინფორმაციო უსაფრთხოება მართვის კომიტეტი | ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი (ALCO) | გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის კომიტეტი | გარემოსდაცვითი კომიტეტი |
|--|---|---|---|--|-------------------------|
| გენერალური დირექტორი | X | X | X | X | |
| ფინანსური დირექტორი | | | X | X | |
| საინფორმაციო ტექნოლოგიების დირექტორი | | X | | | |
| რისკების მართვის დირექტორი | X | X | X | X | X |
| დირექტორი, საცალო და მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები, გადახდები | | | X | X | |
| ჯგუფის ოპერაციების გენერალური დირექტორი უზბეკეთში | | | | X | |
| დირექტორი, კორპორაციული, საინვესტიციო საბანკო საქმე და დაგროვილი კაპიტალის მართვის სამსახური | | | X | X | |
| საოპერაციო რისკების განყოფილების ხელმძღვანელი | | X | | | |
| შესაბამისობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული რისკების დეპარტამენტის ხელმძღვანელი | X | X | | X | |
| შესაბამისობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული რისკების და კონტროლის განყოფილების ხელმძღვანელი | X | | | | |
| უსაფრთხოების სამსახურის ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი | | X | | | |
| საინფორმაციო უსაფრთხოების განყოფილების უფროსი | | X | | | |
| ფინანსური დანაშაულის რისკის მართვის განყოფილების უფროსი | | | X | | |
| ფინანსური ბაზრების, ვაჭრობისა და საბალანსო უწყისის მართვის დეპარტამენტის უფროსი | | | X | | |
| საწარმოს რისკის მართვის განყოფილების ხელმძღვანელი | | | X | | |
| საბალანსო უწყისის მართვის განყოფილების ხელმძღვანელი | | | X | | |
| IT ოპერაციების ხელმძღვანელი | | X | | | |
| გარემოსდაცვითი კოორდინაციის, სოციალური და მმართველობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი | | | | X | |
| კორპორაციული ბიზნესის საკრედიტო რისკის განყოფილების უფროსი | | | | | X |
| სახაზინო და ფინანსური მომსახურებების განყოფილების უფროსი | | | X | | |
| გარემოსდაცვითი კოორდინატორი | | | | | X |
| კადრების მართვის განყოფილების ხელმძღვანელი | | X | | | |
| მცირე და საშუალო საწარმოების და კორპორაციული ბიზნესის საკრედიტო რისკის განყოფილების უფროსი | | | | | X |

5. ბანკის სტრატეგია

ჩვენი სტრატეგიული პრიორიტეტები გვეხმარება ჩვენი მისიის განხორციელებაში, გავუმარტივოთ ადამიანებს ცხოვრება.

საქართველოში ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის წამყვანი ფინანსური მომსახურებების შეთავაზებით, ჩვენ შეგვიძლია ჩვენი მისიის შესრულება.

თითოეული ეს პრიორიტეტი ყურადღებით შეირჩა და კარგად იქნა მოფიქრებული იმის უზრუნველსაყოფად, რომ მათ ხელი შეუწყონ ბანკის მაღალ მომგებიანობას, ძლიერი ზრდის პროფილს და მომხმარებლების ნდობას.

ჩვენი 3 მთავარი სტრატეგიული პრიორიტეტი

1. წამყვანი პოზიციის შენარჩუნება ქართულ საბანკო სივრცეში

- ბანკის პოზიციის გამყარება მასობრივ საცალო ვაჭრობის სეგმენტში.
- კაპიტალის ეფექტურობის და საკომისიო შემოსავლის ზრდა, გადახდებზე კონკრეტული ფოკუსით.
- საოპერაციო ეფექტურობის და პროდუქტიულობის ზრდა.
- ანდერაიტინგის ხარისხის გაუმჯობესება, რომელზეც მოქმედებს მოწინავე ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა და მონაცემთა ანალიზის შესაძლებლობები.
- საუკეთესო ტალანტების მოზიდვა და განვითარება.

2. ციფრული შესაძლებლობების გამლიერება

მეტი ციფრული ჩართულობა ტრანზაქციებში, გაყიდვებსა და სასერვერო ინფრასტრუქტურაში:

- როგორც ყოველდღიური, ისე ყოველთვიური ციფრულად აქტიური მომხმარებლების რაოდენობის ზრდა.
- საცალო ტრანზაქციების განტვირთვის კოეფიციენტის მაღალ დონეზე შენარჩუნება.
- გაყიდვების განტვირთვის ზრდა ძირითად პროდუქტებში.
- პროდუქტიულობის ზრდა პროცესების გაციფრულების გზით.

3. სამომხმარებლო გამოცდილების მომდევნო ეტაპზე გადაყვანა

- მომხმარებელზე მორგებული ფინანსური მომსახურებების და პროდუქტების შემუშავება, lifestyle შეთავაზებებთან ერთად და მათი ყველაზე მოხერხებული ფორმით მიწოდება.
- საუკეთესო სამომხმარებლო გამოცდილების შექმნა ყველა არხში.
- ჩვენი ტექნოლოგიური ნოუ-ჰაუს გამოყენება, რათა გავაუმჯობესოთ კლიენტებისთვის შეთავაზებული პროდუქტები და მომსახურება და გავაუმჯობესოთ დროის განაწილების ხარისხი.

6. რისკის მართვა

რისკის მართვის სტრუქტურა

ბანკი იყენებს რისკის მართვის სრულყოფილ ჩარჩოს, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული რისკის მდგრადი კულტურის შემუშავებაზე ორგანიზაციის შიგნით. ეს ჩარჩო სტრატეგიულად არის შემუშავებული იმის უზრუნველსაყოფად, რომ გამოყენებული იყოს ეფექტური მმართველობითი შესაძლებლობები და მეთოდოლოგიები, ხელშეწყობილი იყოს რისკის გონივრული მართვა და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება.

რისკის მართვის სისტემა, რომელიც ბანკის საერთო სტრატეგიულ მიზნებს შეესაბამება, განსაზღვრავს სტანდარტებს და მიზნებს, ასევე ფუნქციებს და პასუხისმგებლობებს. ბანკის ძირითადი რისკები, რომლებიც დეტალურად არის განხილული წინამდებარე თავში, სისტემატურად კონტროლირდება და იმართება რისკების მართვის ჩარჩოს ფარგლებში, რაც ხელს უწყობს ორგანიზაციაში და მის შვილობილ საწარმოებში თანმიმდევრულობის უზრუნველყოფას.

რისკების მართვის დირექტორის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი და ბანკის დამოუკიდებელი რისკის მართვის განყოფილების მიერ შემუშავებული ჩარჩო ყოველწლიურად გადაიხედება და მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. ეს მოიცავს რისკის მართვას ბანკის დაცვის სამი ხაზის საოპერაციო მოდელის მიხედვით.

ბანკის რისკის აპეტიტი, რომელსაც აქვს პრინციპების, პოლიტიკების და პრაქტიკების ძლიერი ნაკრების მხარდაჭერა, განსაზღვრავს სხვადასხვა რისკის მიმართ ტოლერანტობის მისაღებ დონეებს. ეს სტრუქტურირებული მიდგომა ხელმძღვანელობს დადგენილ საზღვრებში რისკის აღების საკითხს, რაც უზრუნველყოფს რისკის მართვის პროაქტიულ და დისციპლინირებულ პოზიციას.

ბანკი ფუნქციონირებს იმ პრინციპის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ყველა გუნდი ინაწილებს რისკის მართვის პასუხისმგებლობას, განსაკუთრებული აქცენტით მათზე, ვინც კლიენტის წინაშე დგას. ამასთან, რისკის მართვის განყოფილება რისკის მართვის აქტივობების ზედამხედველობის და მონიტორინგის კრიტიკულ ფუნქციას ასრულებს. ეს მოიცავს ჩარჩოს შემუშავებას და უზრუნველყოფს მხარდაჭერი პოლიტიკების, სტანდარტების და საოპერაციო პროცედურების დაცვას. რისკების მართვის დირექტორი რეგულარულად წარუდგენს ანგარიშს სამეთვალყურეო საბჭოს რისკების კომიტეტს ბანკის რისკების პროფილის, ასევე ბანკის შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობის მაჩვენებლების შესახებ.

გარდა ამისა, ბანკში დანერგილია მკაცრი პროცესი არსებითი და განვითარებული საფრთხეების იდენტიფიცირებისა და მართვისათვის. სამეთვალყურეო საბჭოს რეგულარულად ეცნობება იმ საფრთხეების შესახებ, რომლებიც პოტენციურად ნეგატიური ეფექტის მატარებელია ბანკის მიერ სტრატეგიული მიზნების შესრულებისთვის. ბანკის მიერ გამოყენებული სრულყოფილი მიდგომა ითვალისწინებს არსებითი და განვითარებული საფრთხეების ურთიერთდამოკიდებულებას, რაც აძლიერებს დაინტერესებული მხარეებისთვის რისკების შესახებ ინფორმაციის მიწოდების პროცესს.

რისკის მართვა

ბანკის რისკის მართვის სტრუქტურა შექმნილია რისკის მართვის პროცესში სრულყოფილი მიმოხილვის და სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღების უზრუნველსაყოფად. სამეთვალყურეო საბჭოს რისკის კომიტეტი და ბანკის რისკის მართვის განყოფილება წამყვან როლს კისრულობს რისკების ეფექტური მართვის ორგანიზებაში.

სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე, რისკის მართვის ზედამხედველობის პასუხისმგებლობასთან ერთად, ეფექტური დამუშავების მიზნით რისკის მართვის და კონტროლის აქტივობები კომიტეტებზე არის დელეგირებული. პასუხისმგებლობები მოიცავს რისკის მართვის პრაქტიკების სტრატეგიულ მიზნებზე მორგებას, რისკის აპეტიტის განსაზღვრას, რისკის მართვის პოლიტიკების განხილვას და დამტკიცებას, პასუხისმგებლობიანი რისკის აღების კულტურის ხელშეწყობას და რისკის იდენტიფიცირების და შეფასების პროცესების მონიტორინგს. კომიტეტებს აქვთ ვალდებულება გადახედონ განვითარებული და ძირითადი რისკების რეგულარულ შეფასებებს, რასაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეს ბიზნეს-მოდელზე, შესრულების მაჩვენებლებზე, გადახდისუნარიანობასა და

ლიკვიდობაზე. მათ ხელმძღვანელობას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს რისკის ეფექტური მართვისა და ბანკის გრძელვადიანი სიცოცხლისუნარიანობისთვის.

დირექტორთა საბჭოს დონეზე კომიტეტები კრიტიკულ როლს ასრულებენ ბანკში რისკის ეფექტური მართვის ზედამხედველობაში. რამდენიმე კომიტეტს საქმიანობის სხვადასხვა სფერო აქვს განსაზღვრული (მაგ. ფინანსური რისკები, რეპუტაციის რისკი, საინფორმაციო უსაფრთხოება), მათი პასუხისმგებლობები მოიცავს რისკის ზომის ზედამხედველობას და რისკის მიტიგაციისა და კონტროლის შესახებ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებას. მიუხედავად იმისა, რომ კომიტეტებს განსხვავებული სპეციფიკური ვალდებულებები აქვთ, საერთო მისია უცვლელი რჩება: რისკის მართვის პრაქტიკების შეთანხმება მარეგულირებელ მოთხოვნებთან და რისკის დადგენილ ტოლერანტობასთან.

რისკის კულტურა და დაცვის სამი მიმართულება

ბანკის რისკის მართვის ჩარჩოს და პრაქტიკებს საფუძვლად უდევს რისკის ძლიერი კულტურა, რომელიც ხაზს უსვამს დაწესებულების მიერ რისკის გონივრულად და სტრატეგიულად აღების ვალდებულებას. ბანკი მოელის, რომ მისი ხელმძღვანელები რისკის მართვის ძლიერ ქცევას, რისკების აღების სასურველ დონეზე სიცხადის უზრუნველყოფას, მათი შესაბამისი შესაძლებლობების და ჩარჩოების შემუშავებას ავლენენ და ახდენენ თანამშრომლების მოტივირებას მიიღონ რისკზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები.

ბანკში რისკის კულტურის მართვის მნიშვნელოვანი პრინციპები მოიცავს შემდეგს: საბჭოს ხელმძღვანელობა (საბჭო განსაზღვრავს ტონს და ადგენს რისკზე დაფუძნებულ კულტურას ორგანიზაციაში); თანამშრომელთა ცნობადობა და ანგარიშვალდებულება (ბანკი უზრუნველყოფს იმას, რომ ყველა დონეზე მისმა თანამშრომლებმა იცოდნენ დაწესებულების მიდგომა რისკის მიმართ და ჰქონდეთ ცოდნა იმისა, რომ ფიზიკური პირები ანგარიშვალდებული არიან თავის მოქმედებებზე, ბანკის სტანდარტებზე დაფუძნებული რისკის აღების ქცევის მხრივ); კომუნიკაცია (ღია, გამჭვირვალე და ეფექტურ კომუნიკაციას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს ბანკის რისკის კულტურისთვის); და ანაზღაურების ინიციატივები (ბანკი ავითარებს რისკის კულტურას, ანაზღაურების ინიციატივების და რისკის მართვის თანმიმდევრული პრაქტიკების შესაბამისობის უზრუნველყოფის გზით).

რისკის კულტურის მიმართ ეს გლობალური მიდგომა უზრუნველყოფს იმას, რომ ბანკს და მის შვილობილ საწარმოებს აქვთ მოქნილი და პროაქტიული ცოდნა, რომელშიც რისკის მართვა საორგანიზაციო დნმ-შია ინტეგრირებული.

რისკის სრულყოფილად მართვის მიზნით, ბანკი იყენებს დაცვის მოდელის სამ ხაზს:

- დაცვის პირველი ხაზი: ბიზნეს-ლაინები, როგორც მოწინავე დამცველები, ჩართული არიან რისკის აღების აქტივობებში, რისკებზე თავისი გავლენის ცოდნით, რომელიც ხელს შეუწყობს ან შეუშლის ბანკის მიზნების განხორციელებას. კარგად დაფუძნებული რისკის კულტურა რისკის აღების გადაწყვეტილებების საფუძველს წარმოადგენს.
- დაცვის მეორე ხაზი: რისკის მართვის ფუნქციები უზრუნველყოფენ რისკის ეფექტურად მართვას და კონტროლს, გამოცდილების, რისკების იდენტიფიცირების, შეფასებისა და მონიტორინგის კონსოლიდირების და პირველი ხაზისთვის დახმარების გაწევის გზით. ისინი ბიზნეს-ლაინებისგან დამოუკიდებლად მოქმედებენ და ქმნიან ჩარჩოებს და ინსტრუმენტებს რისკის ეფექტურად სამართავად.
- დაცვის მესამე ხაზი: შიდა აუდიტის ფუნქცია უზრუნველყოფს სამეთვალყურეო საბჭოს დარწმუნებას იმაში, რომ დაცვის პირველი და მეორე ხაზების რისკის მართვის და კონტროლის მცდელობები აკმაყოფილებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრულ მოლოდინებს.

რისკის აპეტიტი

რისკის აპეტიტი დონე განისაზღვრება მისაღები ლიმიტების ნაკრების სახით, რაც ქმნის რისკის კომბინირებულ დონეს, რომლის მისაღებადაც ბანკი მზად არის დამტკიცებული სტრატეგიის საფუძველზე უკუგების მიღების და ღირებულების შექმნის მიზნით. ბანკის რისკის აპეტიტის ჩარჩო, რომელიც მართავს კორპორაციული რისკის მართვის პროცესს, ადგენს ბანკის საქმიანობის შედეგების სამართავად დასაშვები დონის რისკის აღების მასშტაბს და პროცესს.

ბანკის მუდმივად ცვალებადი რისკების პროფილის გათვალისწინებით, ბანკის რისკის დასაშვები დონის ჩარჩო რეგულარულად გადაიხედება, ახლდება და მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, რათა განხორციელდეს ბანკის მიერ რისკის აღების სასურველ დონესთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

თითოეული რისკისთვის განისაზღვრება რისკის რაოდენობრივი მაჩვენებლები და რისკის აპეტიტი დგინდება რისკის დასაშვები დონის განცხადებებითა და ლიმიტების ფორმით, რომლებიც განსაზღვრავენ იმ რისკის დონეს, რომლის მიღებაც სურს ბანკს სტრატეგიული მიზნების მიღწევის პროცესში.

ამ ეტაპზე რისკების ლიმიტები ჩვეულებრივ საქმიან პირობებში განისაზღვრება. რისკის აპეტიტი განისაზღვრება 3-5 წლიანი პერიოდისთვის. რისკის აპეტიტის ჩარჩო გადაიხედება და ახლდება ყოველწლიურად ან უფრო ხშირად სტრატეგიის, საბაზრო პირობების ან სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების ცვლილების შემთხვევაში.

რისკის აპეტიტის ჩარჩო მოიცავს ხარისხობრივ და რაოდენობრივ მაჩვენებლებს. ორგანიზაციის რაოდენობრივი მაჩვენებლები ორ დონედ იყოფა. პირველი დონის მაჩვენებელი უნდა დამტკიცდეს და გაკონტროლდეს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. მეორე დონის მაჩვენებლების დამტკიცება და მონიტორინგი დირექტორთა საბჭოს პასუხისმგებლობაა.

რისკის აპეტიტი განსაზღვრავს ლიმიტებს საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. ბანკი იყენებს შუქნიშნის მიდგომას რისკების ლიმიტების დადგენისას:

მწვანე ზონა - ბანკის რისკის აპეტიტის სასურველი ზონა. სხვადასხვა რისკის მაჩვენებლებისთვის მწვანე ზონას შესაძლოა ჰქონდეს როგორც ზედა, ისე - ქვედა ზღვრები. როდესაც რისკ-პროფილი მწვანე ზონის ქვედა ზღვარზე დაბალია, ეს უჩვენებს, რომ ბანკი დასაშვებ დონესთან შედარებით დაბალ რისკს იღებს და მასზე რეაგირება უნდა მოხდეს ყვითელ ზონაში შესვლისას მოქმედების მსგავსად.

ყვითელი ზონა - სასურველი ზონა დაირღვა, თუმცა რისკის დონე კვლავ მისაღებია ბანკისთვის. როგორც კი რისკი შედის ყვითელ ზონაში, რისკის მფლობელმა უნდა შეიმუშაოს სტრატეგია იმისა, თუ როგორ უნდა მოხდეს მწვანე ზონაში დაბრუნება და გაკონტროლოს სტრატეგიის შესრულება.

წითელი ზონა - რისკმა გადააჭარბა დასაშვებ ზღვარს და სცდება რისკის აპეტიტს. საჭიროა რისკის დეტალური მონიტორინგი და გამოსასწორებელი სამუშაოების დაგეგმვა, შესაბამის გაუთვალისწინებელ ვითარებაში სამოქმედო გეგმასთან ერთად.

რისკის აპეტიტის მართვა და მონიტორინგი

ბანკის სამეთვალყურეო საბჭო აწესებს ზოგად ტონს რისკის მართვასთან მიმართებით, ახორციელებს რისკის აპეტიტის ჩარჩოს დანერგვის მიმოხილვას და მართვას და ფლობს და ამტკიცებს ბანკის რისკის აპეტიტს.

დირექტორთა საბჭო ადგენს ბანკის საერთო სტრატეგიულ მიზნებს და უზრუნველყოფს იმას, რომ რისკის კისრების და გადაწყვეტილების მართვის პროცესები ერგებოდეს ბანკის სტრატეგიას და რისკის აპეტიტს.

რისკის აპეტიტის ჩარჩოს ამტკიცებს ბანკის სამეთვალყურეო საბჭო. მმართველობით პრინციპებს და 1-ლი დონის მაჩვენებლებს ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო. ხოლო მე-2 დონის მაჩვენებლებს ადგენს დირექტორთა საბჭო. საოპერაციო დონის რისკის მაჩვენებლებს ამტკიცებს დირექტორთა საბჭო ან შესაბამისი რისკის მფლობელი რისკების მართვის დირექტორთან ერთად.

ბანკის რისკის მართვა მოიცავს „დაცვის სამ ხაზს“, რომლებშიც ბიზნეს-საოპერაციო ერთეულები, როგორც დაცვის პირველი ხაზი, იღებენ და მართავენ რისკს, რისკის მართვის ფუნქციები, როგორც დაცვის მეორე ხაზი, განიხილავენ და აკონტროლებენ რისკებს, ხოლო შიდა აუდიტი, როგორც დაცვის მესამე ხაზი, პირველი ორის შესრულების მაჩვენებლებს ამოწმებს.

რისკის აპეტიტის ჩარჩოში მითითებულ თითოეულ მაჩვენებელს საკუთარი მონიტორინგის სიხშირე აქვს, რაც მერყეობს ერთი თვიდან ერთ წლამდე პერიოდში. ორგანიზაციული რისკის მართვის ფუნქცია პასუხს აგებს 1-ელ და მე-2 დონის რისკის აპეტიტის მაჩვენებლებთან შესაბამისობის შესახებ ინფორმაციის აგრეგირებაზე და ანგარიშგებაზე სამეთვალყურეო და დირექტორთა საბჭოსთვის. დაცვის მე-2 ხაზის შესაბამისი გუნდები პასუხს აგებენ რისკის აპეტიტის მაჩვენებლების მონიტორინგზე და შედეგების ორგანიზაციული რისკის მართვის დეპარტამენტისთვის წარდგენაზე. ისინი ასევე პასუხს აგებენ სამეთვალყურეო და დირექტორთა საბჭოებისთვის დარღვევის მიზეზების და სამოქმედო გეგმის განმარტებაზე, რისკ-პროფილის ბანკის რისკის აპეტიტში გონივრულ ვადებში დასაბრუნებლად.

რისკის იდენტიფიკაცია

რისკის იდენტიფიკაცია ბანკის რისკის მართვის პროცესის საფუძველს წარმოადგენს. ეს პროცესი სისტემატურად აღიარებს და აღრიცხავს ნებისმიერ პირდაპირ ან ირიბ რისკს, რასაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეს ორგანიზაციული მიზნების მიღწევაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ იდენტიფიცირებამ დააბალანსოს ორგანიზაციის ფარგლებში ბანკის დაცვის ხაზებიდან მიღებული ინფორმაცია, ასევე გარე დაინტერესებული მხარეების მიერ სრულყოფილი და საპროგნოზო განმარტების უზრუნველყოფა.

ბანკში რისკის იდენტიფიცირების პროცესი იმართება რისკების რეესტრის ჩარჩოთი. რისკების რეესტრის რეგულარული მიმოხილვა და ცვლილება ხორციელდება მისი თანმიმდევრული შესაბამისობის და ეფექტურობის უზრუნველსაყოფად.

რისკის შეფასება

ბანკი მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევს რისკის შეფასების სრულყოფილ მიდგომას, თავისი ვალდებულებების რისკის პროაქტიული მართვის პრაქტიკებთან მორგების გზით. რისკის ყველა გამოვლენილ მიმართულებას თან ახლავს რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასების ინსტრუმენტები. პროცესი დინამიკურია, მუდმივად ადაპტირდება ფინანსური ლანდშაფტის და მარეგულირებელი გარემოს ცვლილებასთან. რეგულარული მიმოხილვები და შეფასებები უზრუნველყოფს რისკების შეფასების ინსტრუმენტების და მეთოდოლოგიების ეფექტურობას.

რისკის მიტიგაცია

რისკის მიტიგაცია არის პროაქტიული მიდგომა, რომელიც მიმართულია რისკების პოტენციური ნეგატიური შედეგების მინიმიზებაზე. ყველა არსებითი რისკის პროაქტიულად გასათვალისწინებლად, ბანკი შეიმუშავებს და ნერგავს ჰარმონიზებულ რისკის მართვის პოლიტიკებს და ჩარჩოებს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ შემდეგის გათვალისწინებით:

- სტანდარტების და სახელმძღვანელო პრინციპების განსაზღვრა - რისკის მართვის პოლიტიკაში განსაზღვრულია სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოხდეს რისკის მართვა ორგანიზაციაში, განისაზღვრება რისკის მართვის, და თანმიმდევრულობის და მარეგულირებელ და შიდა მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის სტრუქტურირებული მიდგომები.
- ფუნქციების და პასუხისმგებლობების განსაზღვრა - რისკის მართვის პოლიტიკებში განისაზღვრება რისკის მიტიგაციის პროცესში სხვადასხვა პირების და განყოფილებების ფუნქციები და პასუხისმგებლობები.
- პროცედურების დადგენა - რისკის მართვის პოლიტიკაში განსაზღვრულია სახელმძღვანელო ჩარჩო რისკის მიტიგაციის საქმიანობების პროცედურების შესამუშავებლად.

ყველა პოლიტიკა რეგულარული გადახედვის და განახლების საგანია, დროთა განმავლობაში ახალ გამოწვევებთან შესაბამისობის და რისკის მართვის სტრატეგიების გაახლების მიზნით.

რისკის მონიტორინგი და ანგარიშგება

რისკების ანგარიშგება ბანკის რისკის მართვის ძლიერი ჩარჩოს საფუძველს წარმოადგენს. ბანკი ვალდებულია შექმნას რისკის ანგარიშგების ძლიერი პროცესები. ამ პროცესის მიზანია არსებითი რისკის და საერთო რისკის პროფილის შესახებ სამეთვალყურეო და დირექტორთა საბჭოებთან, ასევე უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან რეგულარული კომუნიკაციის უზრუნველყოფა.

რეგულარული მონიტორინგი რისკის აპეტიტსა და საზედამხედველო ლიმიტებთან შესაბამისობის არსებითი ინსტრუმენტია. ის პროაქტიული ღონისძიებაა ძირითადი რისკების გარემოს განვითარებაზე დაკვირვების განსახორციელებლად. ბანკი იყენებს სტრუქტურირებულ მიდგომას რისკების ანგარიშგების მიმართ, რომელიც მოიცავს მონიტორინგს რისკების ეფექტურად აღრიცხვის, შეფასებისა და კომუნიკაციისთვის. ეს უზრუნველყოფს მკაფიო და დროული ინფორმაციის მიწოდებას, რისკის მართვისა და აღმოფხვრის მიზნით ანგარიშვალდებულების ხელშეწყობას დაინტერესებულ მხარეებს შორის.

რეგულარულ ანგარიშგებასთან ერთად, მნიშვნელოვანმა სისუსტებმა, რისკის იდენტიფიცირებამ ან სამიზნე რისკ-პროფილიდან გადახრებმა შესაძლოა ასევე მოითხოვოს არარეგულარული ანგარიშგებაც შესაბამის საკითხზე. ამ მოქნილი მიდგომით რისკის ანგარიშგების მექანიზმი მეტად მგრძობიარეა განვითარებული რისკების და ვითარებების მიმართ.

შიდა კონტროლის სისტემები

„თიბისი ბანკი“ ნერგავს ინტეგრირებული კონტროლის გამარტივებულ ჩარჩოს, რომელიც უზრუნველყოფს რისკის მართვის ფუნქციების უხარვეზო შეთანხმებას, კონტროლის, მოთხოვნების დაცვის და შიდა აუდიტის, მთლიანობის და ეფექტურობის უზრუნველყოფის და ნორმატიულ მოთხოვნებთან შესაბამისობის გზით. ეს სრულფასოვანი ჩარჩო უზრუნველყოფს პოლიტიკების და პროცედურების ზედმიწევნით დაცვას, ასევე ჩვენი პროდუქტების და სერვისების მრავალფეროვანი საჭიროებების დაკმაყოფილებას. ინტეგრირებული ხედვა საშუალებას აძლევს კოლექტიური აუდიტის აქტივების მონაცემთა ბაზის შექმნას, რომელიც დაცვის პირველი, მეორე და მესამე ხაზზე, ასევე ნორმატიულ და იურიდიულ საკითხებთან დაკავშირებით იქმნება, რაც ასახავს ჩვენს გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების.

შიდა კონტროლის ჩარჩო ვრცელდება მაღალი და კრიტიკული რისკის პროცესების შეფასებაზე, ტესტირებასა და მიკვლევადობაზე, ამავდროულად ორიენტირებულია რისკების შესახებ ცნობადობის ამაღლებასა და შიდა კონტროლების განვითარებაზე. უწყვეტი მონიტორინგის და გაუმჯობესების ინიციატივები ჩარჩოს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, რაც, თავის მხრივ, საოპერაციო ეფექტურობას აძლიერებს. ეს მიდგომა ხელს უწყობს შიდა კონტროლის კულტურას, რომელიც ასახავს ჩვენს პასუხისმგებლობას შიდა კონტროლების და რისკის მართვის მიმართულებით.

სტრეს-ტესტი და გაუთვალისწინებელ ვითარებებში მოქმედებების დაგეგმვა

ბანკისთვის მნიშვნელოვანია თავისი ფინანსური მაჩვენებლების შემოწმება ისეთ პირობებში, რომლებიც არ შეესაბამება საბაზისო მოლოდინებს. ამ მიზეზით ბანკი ითვალისწინებს სხვადასხვა სტრესულ სცენარებს სისუსტეების იდენტიფიცირების, პოტენციური ზარალის დაანგარიშების და რისკის მიტიგაციის ღონისძიებების შესაბამისობის შეფასების მიზნით. დღეისათვის ბანკს დანერგილი აქვს საკუთარი სრულყოფილი სტრეს-ტესტის ჩარჩო, რომელიც მდგრადობის შეფასების სცენარების ფართო სპექტრს მოიცავს. ეს არის კაპიტალის, ლიკვიდობის, საკრედიტო, კიბერ და სხვა რისკ-ფაქტორებთან დაკავშირებული სცენარები რისკის მოქმედი გარემოს შესაბამისად. სტრეს-ტესტს დიდი მნიშვნელობა აქვს ნეგატიური პირობებისთვის გაძღვების უნარის შესაფასებლად, რაც მოიცავს ეკონომიკურ ვარდნებს, ბაზრის არასტაბილურობას და გაუთვალისწინებელ მოვლენებს. რეგულარულ მიმოხილვებს და კორექტირებებს არსებითი მნიშვნელობა აქვს სტრეს-ტესტის ჩარჩოს მოთხოვნებთან მუდმივი შესაბამისობის და ეფექტურობის უზრუნველსაყოფად.

ბანკი რეგულარულად ატარებს სტრეს-ტესტს. სტრეს-ტესტი ტარდება წინასწარ განსაზღვრული ჩარჩოების ფარგლებში, რაც მოიცავს ICAAP, ILAAP და გაჯანსაღების დაგეგმვას, და/ან დაჩქარებული წესით, ბანკის კაპიტალზე, ლიკვიდობასა თუ ფინანსურ მდგომარეობაზე სისტემაში არსებული კონკრეტული ან უნიკალური მოვლენის გავლენის შესაფასებლად. მიუხედავად იმისა, რომ სტრეს-ტესტის საერთო მიდგომა თანმიმდევრულია, სტრესული სცენარების სიმკაცრის დონე განსხვავდება ჩარჩოების მიხედვით.

სტრეს-ტესტის ანალიზთან ერთად, გაჯანსაღების გეგმა სტრატეგიული გეგმის ფუნქციას ასრულებს სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელობისთვის, რომელიც უზრუნველყოფს კონკრეტული სტრესული პირობებისთვის მზაობას. გაჯანსაღების გეგმაში განსაზღვრულია გაჯანსაღების შესაძლებლობები განსახორციელებელი კონკრეტული ნაბიჯებით, როგორც არის გამჭვირვალე და დროული კომუნიკაცია შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებთან. ჩარჩო რეგულარულად გადაიხედება და კორექტირდება თანმიმდევრული შესაბამისობის და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად.

ბანკს ასევე აქვს საქმიანობის უწყვეტობის გეგმა. ეს გეგმა უზრუნველყოფს ორგანიზაციის მზაობას ხარვეზებზე ეფექტური რეაგირებისთვის. შეფერხების დროს შემოსავლის წყაროების შენარჩუნების და ფინანსური ზარალის მინიმიზების სტრატეგიების განსაზღვრის გზით, ეს პრაქტიკები ორგანიზაციის ფინანსური სტაბილურობის და გრძელვადიანი სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფის საშუალებას იძლევა.

მნიშვნელოვანი რისკები

ბანკის შემოსავლის დიდი ნაწილი ფორმირდება საკრედიტო რისკის მატარებელი აქტივის ელემენტებით.

საკრედიტო რისკი წარმოადგენს ბანკისთვის ყველაზე მატერიალურ რისკს, ვინაიდან ბანკი ჩართულია ტრადიციულ საკრედიტო საქმიანობაში. ეს არის ზარალის მიღების რისკი, რომელიც დაკავშირებულია კლიენტის ან კონტრაქტის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობასთან, კერძოდ გადაუხდელი თანხის გადახდასთან შეთანხმებულ ვადებში. ბანკის მომხმარებლები არიან როგორც იურიდიული, ისე - ფიზიკური პირები. საქართველოს ფინანსური სექტორის მაღალი დოლარიზაციის დონიდან გამომდინარე, საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს სავალუტო რისკი, რომელიც დაკავშირებულია არა ჰეჯირებულ მსესხებლებზე უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების გაცემასთან ბანკის პორტფელში. საკრედიტო რისკი ასევე მოიცავს კონცენტრაციის რისკს, რომელიც წარმოადგენს სასესხო პორტფელის ხარისხის გაუარესებასთან დაკავშირებულ რისკს, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ერთ მსესხებელზე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ მსესხებლების ჯგუფებზე დიდი მოცულობის პორტფელის შექმნით ან პორტფელის კონცენტრაციით გარკვეულ ეკონომიკურ დარგებში. ზარალი შესაძლოა კიდევ უფრო გაიზარდოს არახელსაყრელი მაკროეკონომიკური პირობების გამო.

ბანკი იყენებს საკრედიტო რისკების შეფასების სრულყოფილ ჩარჩოს, რომელშიც მკაფიოდ არის ერთმანეთისგან გამიჯნული საკრედიტო ანალიზისა და კრედიტის დამტკიცების პროცესში მონაწილე მხარეთა მოვალეობები. საკრედიტო შეფასების და მონიტორინგის პროცესი განსხვავდება სეგმენტების და პროდუქტების ტიპების მიხედვით, ამ აქტივების კლასების განსხვავებული მახასიათებლების გათვალისწინებით.

ბანკის სასესხო პორტფელი სტრუქტურულად დივერსიფიცირებულია მომხმარებელთა ტიპების, პროდუქტის ტიპებისა და ინდუსტრიული სეგმენტების მიხედვით, რასაც მინიმუმამდე დაჰყავს საკრედიტო რისკი ბანკის დონეზე. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საცალო სეგმენტი წარმოადგენდა მთლიანი პორტფელის 35,3%-ს, რომელიც დაყოფილია იპოთეკურ და არაიპოთეკურ სესხებად, შესაბამისად 62,9% და 37,1%. 2022 ფინანსური წლის ბოლოს ბიზნეს პორტფელში არცერთი სექტორი არ აღემატება მთლიანი პორტფელის 9%-ს. სესხის უზრუნველყოფა წარმოადგენს ბანკისთვის საკრედიტო რისკის ყველაზე მნიშვნელოვან მიტიგაციის საშუალებას, ამიტომ უზრუნველყოფაში არსებული ქონების ეფექტური მართვა საკრედიტო რისკის მართვის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია. ბანკის პორტფელის ყველა სეგმენტი უმეტესწილად უზრუნველყოფილია, ხოლო უზრუნველყოფის საშუალებების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს უძრავი ქონება. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის პორტფელის 79% უზრუნველყოფილი იყო ნაღდი ფულით, უძრავი ქონებით, ან ოქროთი. კონტრაქტის რისკის მართვის მიზნით, ბანკი განსაზღვრავს ლიმიტებს ინდივიდუალური კონტრაქტისთვის, რაც ზღუდავს ზარალის რისკს როგორც საბაზინო, ისე ვაჭრობის დაფინანსების თვალსაზრისით. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის შიდა საბანკო პორტფელი კონცენტრირებული იყო სარეიტინგო კომპანიების „Fitch“, „Moody’s“ და „Standard and Poor’s“-ის მიერ მინიჭებული მაღალი - „A“ საკრედიტო რეიტინგის მქონე ბანკებში.

სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერის (CICR)

ბანკის საკრედიტო პორტფელის მნიშვნელოვანი ნაწილი უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული. ლარის პოტენციური არსებითი გაუფასურება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რისკია, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს პორტფელის ხარისხზე. 2023 წლის 31 დეკემბერს ბანკის მთლიანი სესხების და კლიენტებზე გაცემული ავანსების (სესხის შესაძლო დანაკარგების რეზერვების დაკლება) 48.6% უცხოურ ვალუტაში იყო დენომინირებული. მომხმარებელთა დიდი ნაწილის შემოსავალი წარმოადგენილია უცხოურ ვალუტაში, საზღვარგარეთიდან ფულადი გზავნილების, ტურიზმის ან ექსპორტის გამო. მიუხედავად ამისა, მომხმარებლები შეიძლება არ იყვნენ დაცულნი ლარის გაცვლითი კურსის მნიშვნელოვანი მერყეობისგან სესხის ვალუტის მიმართ. ლარზე ვრცელდება მცოცავი გაცვლითი კურსი და ის მრავალ შიდა და გარე ფაქტორზეა დამოკიდებული, რომლებმაც რიგ შემთხვევაში შესაძლოა გამოიწვიოს მისი გაუფასურება. 2023 წელს აშშ დოლარის/ლარის გაცვლითი კურსი წინა წელთან შედარებით 9,9%-ით გამყარდა.

კონცენტრაციის რისკი

მიუხედავად იმისა, რომ ბანკი იღებს ცალკეული მსესხებლების და სექტორული კონცენტრაციების რისკებს, ბანკის პორტფელი კარგად დივერსიფიცირებულია სექტორების და ცალკეული მსესხებლების მქონე კრედიტორებს შორის, რაც იწვევს ზომიერ მოწყვლადობას კონცენტრაციის რისკების მიმართ. თუმცა, მთავარ რისკის მატარებლებზე ჯამური დავალიანების ზრდის შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ შესაბამისად გაიზარდება

რისკებიც. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის მაქსიმალური დავალიანება ერთ უმსხვილეს დარგზე (უმრავი ქონება) სასესხო პორტფელის 9%-ს შეადგენდა. ამავდროულად, 20 უმსხვილეს მსესხებელზე დავალიანება საკრედიტო პორტფელის 9.1% იყო.

კონტრაქტის რისკი

კონტრაქტის რისკის მართვის მიზნით, ბანკი განსაზღვრავს ლიმიტებს როგორც ინდივიდუალური კონტრაქტისთვის, ასევე პორტფელის დონეზე, რაც ზღუდავს ზარალის რისკს როგორც სახაზინო, ისე - ვაჭრობის დაფინანსების თვალსაზრისით. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის ბანკთაშორისი პორტფელი კონცენტრირებული იყო სარეიტინგო კომპანიების „Fitch“, „Moody’s“ და „Standard and Poor’s“-ის მიერ მინიჭებული მაღალი - “A” საკრედიტო რეიტინგის მქონე ბანკებში.

ბანკის საქმიანობის შედეგებს შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ეკონომიკურ გარემოში განვითარებულმა უარყოფითმა მოვლენებმა

საქართველოს ეკონომიკური ზრდის ტემპის პოტენციურ შენელებას სავარაუდოდ უარყოფითი გავლენა ექნება მსესხებლების მიერ სესხის დაფარვის უნარზე, რაც ზღუდავს მომავალ ინვესტირებასა და საქმიანობის გაფართოებასთან დაკავშირებულ გეგმებს. უარყოფითმა მაკროეკონომიკურმა მოვლენებმა შეიძლება საფრთხის ქვეშ დააყენოს ბანკის მუშაობის მაჩვენებლები, რაც განპირობებული იქნება სხვადასხვა პარამეტრებით, როგორცაა ვალუტის გაუფასურება, ოქროს ფასების მნიშვნელოვანი კლება, საპროცენტო განაკვეთების მკვეთრი ზრდა, უმუშევრობის დონის ზრდა, შინამეურნეობების განკარგვადი შემოსავლის შემცირება, ქონების ღირებულებების შემცირება, სესხების უზრუნველყოფის დონის, ან კომპანიების გადახდისუნარიანობის გაუარესება გაყიდვების შემცირების გამო. მეზობელ და ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში პოტენციურმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა არასტაბილურობამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე მიმდინარე ანგარიშის გაუარესებით (მაგ.: ექსპორტის, ტურისტების ნაკადის, ფულადი გზავნილების და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლება).

ორი თანმიმდევრული წლის განმავლობაში ორციფრიანი ზრდის შემდეგ, საქართველოს ეკონომიკამ დაიწყო ნორმალიზება, თუმცა 2023 წელს ის კვლავ მყარად ინარჩუნებს 7,5%-ს. ნორმალიზება გამოიწვია სავაჭრო ნაკადების და ფულადი გზავნილების დარეგულირებამ, რაზეც იმოქმედა საერთაშორისო სასაქონლო ფასების კლებამ და ქვეყანაში ემიგრანტების ნაკადის სტაბილურობა ზრდამ. ამავდროულად, სტაბილურ დონეზე შენარჩუნდა ტრადიციული ტურიზმი და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. დეზინფლაციურმა მოძრაობამ სამომხმარებლო ფასების დინამიკაში, რომელიც ძირითადად იმპორტით იყო განპირობებული, გამოიწვია წლიური სამომხმარებლო ფასების ინდექსის მნიშვნელოვანი ზრდა, რამაც 2023 წლის დეკემბერში 0,4% შეადგინა. სახსრების მდგრადმა ნაკადმა წლის პირველ ნახევარში ლარის გამყარება გამოიწვია. მეორე ნახევარი ხასიათდებოდა ნორმალიზებით გრძელვადიანი ტენდენციის მიმართულებით. შესაბამისად, რადგან ლარის გაცვლითი კურსი წლის განმავლობაში გარკვეული მერყეობით ხასიათდებოდა, ვალუტის შემოდინებამ, რომელსაც ხელი შეუწყო ცენტრალური ბანკის ჩარევამ წლის მეორე ნახევარში, შესაბამისი იყო კურსის სტაბილურობის შენარჩუნებისთვის. სებ-მა სიმტკიცე შეინარჩუნა და მხოლოდ ოთხი კლება განახორციელა, და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 11,0%-დან 9,5%-მდე შეამცირა. გარდა ამისა, ცენტრალურმა ბანკმა არსებითი რაოდენობის რეზერვები დააგროვა 1,446 მილიონი აშშ დოლარის შეძენით 2023 წლის იანვარსა და აგვისტოში, რის შედეგადაც მთლიანმა საერთაშორისო რეზერვის ოდენობამ რეკორდულ მაჩვენებელს - 5,3 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია. სებ-ი წმინდა გაყიდვებზე გადაერთო სექტემბერში, რა გზითაც წლის ბოლო ოთხი თვის განმავლობაში ბაზარს 169 მილიონი აშშ დოლარი შემატა.

2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით საკრედიტო ბაზარი წინა წელთან შედარებით 17,0%-ით გაიზარდა, უცვლელი გაცვლითი კურსით, 2022 წლის ბოლოს დაფიქსირებული 12,4%-იანი ზრდის ფონზე, რაც ძირითადად ბიზნეს-სესხებით იყო განპირობებული. ამავდროულად საცალო სექტორში ზრდა ზომიერი იყო. კვლავ ძლიერი ეკონომიკური ზრდის და დიდად სტაბილური ლარის კურსის მიუხედავად, საკრედიტო შეღწევის დონე საქართველოში 2023 წელს გაიზარდა კრედიტორების აჩქარების გამო - საბანკო სექტორის მიერ უზრუნველყოფილი ადგილობრივი კრედიტი მშპ-თან შედარებით 65,6%-ს შეადგენდა, რომელმაც მოიმატა 2022 წლის 61,5%-თან, და დაიკლო 2021 წლის 71,5%-თან შედარებით. ამის საპირისპიროდ, სსფ-ის განმარტების მიხედვით აქტივების ხარისხი კვლავ გაუმჯობესდა, რადგან უმოქმედო სესხები კიდევ უფრო შემცირდა 1.5%-მდე.

ეკონომიკური ციკლების მიმართ მგრძობიერების შესამცირებლად, ბანკი უზრუნველყოფს ციკლური ინდუსტრიების იდენტიფიცირებას და განსაზღვრავს სექტორული კონცენტრაციის ლიმიტებს რისკის აპეტიტის ჩარჩოს ფარგლებში. ბანკში შექმნილია მაკროეკონომიკური მონიტორინგის პროცესი, რომელიც ეფუძნება საქართველოში და ასევე მის მეზობელ ქვეყნებში განვითარებულ ეკონომიკურ მოვლენებზე გულდასმით და მრავალჯერად დაკვირვებებს, რათა დროულად მოხდეს ეკონომიკური რისკების ადრეული გამაფრთხილებელი სიგნალების იდენტიფიცირება. ეს სისტემა ბანკს საშუალებას აძლევს სწრაფად შეაფასოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენები და გააანალიზოს მათი გავლენა ბანკის სამუშაოს შედეგებზე. იდენტიფიცირებული რისკები შესაბამისად აისახება კონკრეტულ სამოქმედო გეგმებში. ეს გულისხმობს სესხის გაცემის სტანდარტების და რისკის დასაშვები დონის მაჩვენებლების ან შეზღუდვების გადახედვას, რაც ასევე მოიცავს ყველაზე მოწყვლად ინდუსტრიებში არსებულ შეზღუდვებს. ამასთან, დაკრედიტების განხილვისა და პორტფელის მონიტორინგის პროცესებში გამოყენებული სტრეს-ტესტი და სცენარული ანალიზი ბანკს საშუალებას აძლევს წინასწარ შეაფასოს მის ბიზნესზე მაკროეკონომიკური შოკების გავლენა. მდგრადობა ცვალებადი მაკროეკონომიკური გარემოს მიმართ გათვალისწინებულია ბანკის დაკრედიტების სტანდარტებში. ამგვარად მოსალოდნელია, რომ მსესხებლები გაუძლებენ გარკვეულ უარყოფით ეკონომიკურ გავლენას გონივრული ფინანსური მდგომარეობის, სესხის მომსახურების შესაძლებლობებისა და სათანადო უზრუნველყოფით. რეგიონული კრიზისის გათვალისწინებით, ბანკმა გადახედა მისი რისკის მართვის ჩარჩოს, უკვე არსებული სტრეს-ტესტის პრაქტიკის გამოყენებით. ეს მოიცავდა როგორც პორტფელის უფრო სრულ და ხშირ მონიტორინგს, ასევე სტრეს-ტესტს, კაპიტალში ცვლილების, ლიკვიდობისა, და პორტფელის ხარისხის მკაცრ კონტროლს გაზრდილი გაურკვევლობის პირობებში.

ბანკის ოპერაციებს არსებითად ახასიათებს დაფინანსების და ბაზრის ლიკვიდობის რისკები

ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ბანკი შეიძლება არ ფლობდეს საკმარის ხელმისაწვდომ ფინანსურ რესურსებს თავისი მოვალეობების და ვალდებულებების დროულად შესასრულებლად ან აღნიშნული რესურსები შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს მხოლოდ მაღალ ფასად.

ლიკვიდობის რისკი ორ ჯგუფად იყოფა: დაფინანსების ლიკვიდობის და საბაზრო ლიკვიდობის რისკები.

- ა) დაფინანსების ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ბანკი ვერ შეძლებს მოსალოდნელი და მოულოდნელი მიმდინარე და სამომავლო ფულადი ნაკადების ეფექტიანად დაკმაყოფილებას ოპერაციებზე ან ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენის გარეშე, როგორც ჩვეულებრივ, ისე - კრიზისულ პირობებში.
- ბ) ბაზრის ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ სუსტი საბაზრო ლიკვიდობის მდგომარეობის ან ბაზარზე შექმნილი პრობლემების გამო ბანკი ვერ უზრუნველყოფს გარკვეული პოზიციების დაბალანსებას საბაზრო ფასებით.

მიუხედავად იმისა, რომ ბანკი საკმარის ფინანსურ რესურსებს ფლობს მისი ვადადამდგარი ვალდებულებების დასაფარად, ლიკვიდობის რისკი დამახასიათებელია საბანკო ოპერაციებისთვის და მის გაზრდაზე შესაძლოა მრავალმა ფაქტორმა იმოქმედოს. აღნიშნული ფაქტორები მოიცავს დაფინანსების კონკრეტულ წყაროზე ზედმეტად დაყრდნობას ან მის ხელმიუწვდომლობას, ასევე ცვლილებებს საკრედიტო რეიტინგებში ან ბაზარზე მიმდინარე რომელიმე მოვლენაში. განვითარებად ბაზრებზე კომპანიებისათვის კრედიტის ხელმისაწვდომობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტორის ნდობის დონე, ამიტომ ფაქტორებს, რომლებიც მასზე ზემოქმედებენ (მაგ., საკრედიტო რეიტინგის შემცირება, ცენტრალური ბანკის ან სახელმწიფოს ჩარევები, ან ვალის რესტრუქტურისაცა შესაბამის დარგში), შეუძლიათ შეცვალონ ფასი ან ბანკის მომავალი დავალიანების გადახდის განხორციელებისთვის საჭირო დაფინანსებაზე წვდომის უნარი. როგორც დაფინანსების, ისე საბაზრო ლიკვიდობის რისკი შეიძლება წარმოიქმნას მრავალი ფაქტორის შედეგად, რომლებსაც ბანკი ვერ აკონტროლებს. ლიკვიდობა საკმარისია იმისათვის, რომ გაუძლოს მომხმარებლების მიერ დეპოზიტების გატანას, თუმცა დეპოზიტების არსებითი თანხების მოულოდნელმა და სწრაფად გატანამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ბანკის საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და/ან პერსპექტივებზე.

ბანკის ლიკვიდობის რისკის მართვა ხდება სამეთვალყურეო საბჭოს საბანკო ლიკვიდობის რისკის მართვის პოლიტიკით. აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი (ALCO) არის აქტივებისა და ვალდებულებების მართვის წამყვანი უწყება, რომელიც უზრუნველყოფს ბანკის ლიკვიდობის რისკის მართვის პოლიტიკის ძირითადი მიზნების ყოველდღიურად შესრულებას. ლიკვიდობის რისკის მართვის დამტკიცებული ჩარჩო უზრუნველყოფს ბანკის მიერ საგადახდო ვალდებულებების დაკმაყოფილებას როგორც ნორმალურ, ისე - სტრესულ ვითარებებში.

ამ რისკის მიტიგაციისთვის ბანკი სოლიდურ ლიკვიდობის პოზიციას ფლობს, მინიმალური მარეგულირებელი მოთხოვნებისთვის კომფორტული ბუფერის შენარჩუნების გზით. ყველა საზედამხედველო კოეფიციენტი რეგულარულად კონტროლირდება, ლიკვიდობასთან დაკავშირებული პოტენციური ნეგატიური შემთხვევის დაფიქსირების შესახებ ადრეული შეტყობინების სისტემით. ის მოიცავს ბანკის რისკის დასაშვები დონის ჩარჩოს, რომელშიც განსაზღვრულია ბუფერები საზედამხედველო ლიმიტების ფარგლებში, და უზრუნველყოფს ლიკვიდობის პოტენციური სუსტი მხარეების ადრეულ დაფიქსირებას. სს „თიბისი ბანკის“ აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი ახორციელებს ლიკვიდობის რისკის პოზიციის და შიდა ლიმიტების დაცვის მჭიდრო მონიტორინგს.

სს „თიბისი ბანკის“ ლიკვიდობის რისკს მართავს საბალანსო უწყისის მართვის განყოფილება და სახაზინო დეპარტამენტი. მის მონიტორინგს ახორციელებს დირექტორთა საბჭო და აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი წინასწარ განსაზღვრული ფუნქციების ფარგლებში. ფინანსური რისკის მართვის (FRM) განყოფილება პასუხს აგებს პროცედურების და პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებასა და რისკის დასაშვები დონის განსაზღვრაზე დაფინანსებისა და საბაზრო ლიკვიდობის რისკის მართვის მიმართულებით. ამასთან, ფინანსური რისკის მართვის დეპარტამენტი ატარებს ლიკვიდობის რისკის შეფასებას და შედეგებს რეგულარულად აწვდის დირექტორთა საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს რისკების კომიტეტს.

ბანკი ინარჩუნებს დაფინანსების დივერსიფიცირებულ სტრუქტურას შესაბამისი ლიკვიდობის რისკების სამართავად. ბანკის ლიკვიდობის ძირითად წყაროს წარმოადგენს დეპოზიტები და ანგარიშები, ადგილობრივი და საერთაშორისო ბანკებიდან და საფინანსო დაწესებულებებიდან ნასესხები თანხები, სუბორდინირებული სესხები ინვესტორი საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებიდან, ადგილობრივი ბანკთაშორისი მოკლევადიანი დეპოზიტები და სესხები, საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან მიღებული ამონაგები, სესხების ძირითადი თანხის გადახდები, საპროცენტო შემოსავალი და საკომისიო შემოსავალი. ბანკი ძირითადად იზიდავს შედარებით სტაბილურ დეპოზიტებს საქართველოდან, როგორც დაფინანსების უმთავრეს წყაროს. ბანკი ასევე მონიტორინგს უწევს მსხვილი დეპოზიტების კონცენტრაციას და განსაზღვრავს ლიმიტებს საქართველოს არარეზიდენტი დეპოზიტების წილზე მთლიან სადეპოზიტო პორტფელში.

თავისი ვალდებულების სტრუქტურის შენარჩუნებისა და შემდგომი გაძლიერებისთვის, ბანკი ადგენს მიზნობრივ ნიშნულებს საერთაშორისო საფინანსო დაწესებულების ინვესტორებისგან მიღებული სახსრებისა და დეპოზიტებისთვის რისკის დასაშვები დონის შესაბამისი კოეფიციენტების გამოყენებით. გრძელვადიანი ლიკვიდობის და საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებების დაფინანსების კოეფიციენტი (განსაზღვრულია, როგორც წმინდა სესხების საერთო ღირებულება, გაყოფილი საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებისგან მიღებული სახსრების და დეპოზიტების საერთო ღირებულების ჯამზე) 2023, 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად შეადგენდა 94.7%, 87.9% და 101.0%.

ხელმძღვანელობის აზრით, მომხმარებლების ანგარიშების მნიშვნელოვანი მოთხოვნადი ნაწილის მიუხედავად, ამ დეპოზიტების დივერსიფიკაცია დეპოზიტარების რაოდენობის და ტიპის მიხედვით, ბანკის განვლილ გამოცდილებასთან ერთად იმაზე მეტყველებს, რომ კლიენტთა ეს ანგარიშები ბანკისთვის გრძელვადიან და სტაბილურ დაფინანსების წყაროს წარმოადგენს. გარდა ამისა, ბანკის ლიკვიდობის რისკის მართვა მოიცავს მისი მიმდინარე დეპოზიტების ვადიანობის შეფასებას. შეფასება ეფუძნება კლიენტთა ანგარიშზე ნაშთების ცვალებადობასთან დაკავშირებული განვლილი ინფორმაციის სტატისტიკურ მეთოდებს.

სტრეს-ტესტი ლიკვიდობის რისკის მართვის მთავარი ინსტრუმენტია. სტრეს-ტესტი ტარდება ILAAP და გაჯანსაღების გეგმის ჩარჩოების ფარგლებში, ასევე ერთჯერად საფუძველზე, როდესაც მოქმედი რისკის გარემოში მნიშვნელოვანი ცვლილება ხორციელდება. პირველი აფასებს ლიკვიდობის პოზიციის და შესაბამისი ბუფერების ადეკვატურობას და იმას, შეუძლია თუ არა მას სავარაუდო მიმდინარე დარტყმებისთვის გამძლეობა, ხოლო მეორე უზრუნველყოფს შესაძლო ქმედებების ნაკრებს, რომლებიც შესაძლოა განხორციელდეს მარეგულირებელი მოთხოვნების დარღვევის ნაკლებად სავარაუდო შემთხვევებში ლიკვიდობის პოზიციის სწრაფი აღდგენის მხარდასაჭერად. გაჯანსაღების გეგმა მოიცავს ლიკვიდობის სარეზერვო დაფინანსების გეგმას, რომელიც, რისკის ინდიკატორებთან და მისი მიტიგაციის ღონისძიებებთან ერთად განსაზღვრავს გეგმის განხორციელებაში ჩართული პირების ფუნქციებს და პასუხისმგებლობებს. ბანკი ყოველწლიურად ადგენს ILAAP და გაჯანსაღების გეგმას.

ბანკს აქვს საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების მომავალი ფულადი ნაკადები ან სამართლიანი ღირებულება შეიცვლება ისეთი საბაზრო ცვლილებების შედეგად, როგორც არის საპროცენტო განაკვეთები, უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსი და საკუთარი კაპიტალის ფასები.

საბაზრო რისკის მართვის თვალსაზრისით, ბანკის მიზანია ბიზნეს სტრატეგიის მხარდაჭერა, მარეგულირებლის და სტრეს-ტესტთან დაკავშირებული მოთხოვნების დაკმაყოფილება და ბანკის მიერ ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის უნარის უზრუნველყოფა.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ვალუტის გაცვლითი კურსის პოტენციური ცვლილებით, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულებაზე. ეს რისკი იქმნება უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივებისა და ვალდებულებების შეუსაბამობით მიღებული ვალუტის ღია პოზიციებიდან. ბანკი ახდენს ვალუტის კურსის ცვლილების და ამ რისკზე მოქმედი ფაქტორების დინამიკის იდენტიფიცირებას, შეფასებას, მონიტორინგს და კომუნიკაციას.

სს „თიბისი ბანკი“ (საქართველო) ვალდებულია შეინარჩუნოს ვალუტის ღია პოზიცია სებ-ის ლიმიტების შესაბამისად: საქართველოს ეროვნული ბანკი მოითხოვს ბანკის მიერ საბალანსო მუხლებისა და მთლიანი ბალანსის (ბალანსგარეშე პოზიციების ჩათვლით) ღია სავალუტო პოზიციების მონიტორინგს და ასევე ღია სავალუტო პოზიციების შენარჩუნებას ბანკის საწესდებო კაპიტალის 20%-ის ფარგლებში.

2023 წლის განმავლობაში ბანკი საბაზრო რისკთან დაკავშირებულ ყველა შიდა და გარე მოთხოვნასთან შესაბამისობაში იყო.

სავალუტო რისკის მიტიგაციის მიზნით, ბანკი განსაზღვრავს რისკის აპეტიტს და საოპერაციო ლიმიტებს ვალუტების მიხედვით, ასევე აგრეგირებული რისკის პოზიციებს, რომლებიც უფრო კონსერვატიულია, ვიდრე სებ-ის მიერ დაწესებული ლიმიტები. ლიმიტების დაცვას ყურადღებით აკონტროლებს სს „თიბისი ბანკის“ აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი. აღნიშნულ ზღვრებთან შესაბამისობის შესახებ პერიოდული ანგარიში წარედგინება დირექტორთა საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოს და რისკების კომიტეტს.

ამასთან, სახაზინო დეპარტამენტის და ფინანსური რისკის მართვის განყოფილების ხელმძღვანელები ყოველდღიურად ცალ-ცალკე ახორციელებენ სს „თიბისი ბანკის“ დადგენილ ლიმიტებთან შესაბამისობის მონიტორინგს სავალუტო ბაზარზე არსებული არასტაბილურობისგან დაცვის მიზნით. ბანკი იყენებს სავალუტო რისკის მიტიგაციაზე ორიენტირებულ რისკის მართვის პროცესს. ეს მოიცავს სპოტ-, მომავალზე ორიენტირებულ და სვოპ გარიგებების სტრატეგიულ გამოყენებას.

სავალუტო რისკის შესაფასებლად ბანკი რეგულარულად ახორციელებს რისკის მგრძობელობის ანალიზს (VAR). ეს ანალიზი ანგარიშობს ბანკის შემოსავალზე ქართული ლარის კურსის მიმართ სავალუტო კურსების შესაძლო ყველაზე ცუდ ცვლილებას, ყველა სხვა ცვლადი მაჩვენებლის მუდმივობის პირობებში. 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლების განმავლობაში, მგრძობელობის ანალიზებს არ გამოუვლენია ბანკის საკუთარ კაპიტალზე მნიშვნელოვანი პოტენციური ეფექტი: 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მაქსიმალური ზარალი 99%-იანი ნდობის ინტერვალით 5,1 მილიონი ლარი იყო, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მაქსიმალური 7,0 მილიონ ლარიანი ზარალისგან განსხვავებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება საბაზრო საპროცენტო განაკვეთის პოტენციური ცვლილებებისგან, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ბანკის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე. ეს რისკი შეიძლება წარმოიქმნას აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობას შორის განსხვავებით, ასევე მათი გადაფასების შედეგად. ბანკში განთავსებული დეპოზიტების უმეტესი ნაწილი და ბანკის მიერ შეთავაზებული სესხების ნაწილი გაცემულია ფიქსირებული პროცენტით, ხოლო ბანკის მიერ მოზიდული ნასესხები სახსრების უმეტესობა მიბმულია ცვლებად საპროცენტო განაკვეთზე. რადგან ამ აქტივებსა და ვალდებულებებზე საპროცენტო განაკვეთის მარჯებს სხვადასხვა გადაფასების მახასიათებლები ჰქონდათ, ისინი შესაძლოა გაიზარდოს ან შემცირდეს ბაზარზე საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შედეგად.

ბანკის საბაზრო რისკის მართვა ხდება სამეთვალყურეო საბჭოს ბანკის სავალუტო რისკის მართვის და ბანკის საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის პოლიტიკებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკის მიტიგაციის მიზნით, ერთი წლის მომგებიანობის და საწარმოს საკუთარი კაპიტალის ღირებულების დასაანგარიშებლად, სს „თიბისი ბანკი“ სხვადასხვა სტრეს-სცენარს განიხილავს, მათ შორის მომგებიანობის მრუდის სხვადასხვა ცვლილებას და ფულადი ნაკადების ქცევით კორექტირებებს (როგორც არის დეპოზიტის ვადაზე ადრე გატანა ან სესხის წინასწარი დაფარვა). ამასთან, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული რისკის აპეტიტს ჩარჩოს ფარგლებში განისაზღვრება შესაბამისი ლიმიტები როგორც წმინდა საპროცენტო შემოსავალზე (NII), ასევე საკუთარი კაპიტალის ეკონომიკური ღირებულების (EVE) მგრძობელობაზე. დეტალური ინფორმაცია საპროცენტო განაკვეთის რისკის შესახებ იხილეთ 343-ე გვერდზე, ფინანსური და სხვა რისკის მართვის 38-ე შენიშვნაში.

სს „თიბისი ბანკი“ საპროცენტო განაკვეთის რისკი იმართება საბალანსო უწყისის მართვის განყოფილების და სახაზინო დეპარტამენტის მიერ. მის მონიტორინგს ახორციელებს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი. აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი გადაწყვეტილებას იღებს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვისა და მათი განხორციელების მიკვლევადობისთვის საჭირო მოქმედებების შესახებ. ფინანსური რისკის მართვის განყოფილება პასუხს აგებს პროცედურების და პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებასა და რისკის აპეტიტის განსაზღვრაზე საპროცენტო განაკვეთის რისკის მიმართულებით. საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის და შესაბამისი ანგარიშების მნიშვნელოვანი ასპექტები პერიოდულად წარედგინება დირექტორთა საბჭოს, სამეთვალყურეო საბჭოს და რისკების კომიტეტს. საპროცენტო განაკვეთის რისკის შემცირების მიზნით, ბანკი საპროცენტო განაკვეთის (გადაფასების) ინტერვალს რეგულარულად აკონტროლებს ვალუტების მიხედვით და, საჭიროების შემთხვევაში, გადაწყვეტს გააფორმოს თუ არა საპროცენტო განაკვეთის წარმოებული ინსტრუმენტების ხელშეკრულებები. ამასთანავე, ბანკის მიერ მომხმარებლებზე გაცემული მრავალი სესხი შეიცავს ჩანაწერს, რომელიც ბანკს აძლევს საპროცენტო განაკვეთის გადახედვის უფლებას, საპროცენტო განაკვეთების უარყოფითი ცვლილებების შემთხვევაში, რაც ქმნის საპროცენტო რისკის შემცირების შესაძლებლობას. ხელმძღვანელობის ხედვით, ბანკის საპროცენტო განაკვეთის მარჯები ასევე უზრუნველყოფენ გონივრულ რეზერვს, საპროცენტო განაკვეთის შესაძლო უარყოფითი ცვლილების გავლენის შესამცირებლად.

სს „თიბისი ბანკი“ აფასებს საპროცენტო განაკვეთის რისკს წმინდა საპროცენტო შემოსავლის და კაპიტალის ეკონომიკური ღირებულების პერსპექტივებიდან. მარეგულირებელი მოთხოვნების მიხედვით ბანკი აფასებს საპროცენტო განაკვეთის შოკ-სცენარების გავლენას კაპიტალის ეკონომიკურ ღირებულებასა და წმინდა საპროცენტო შემოსავალზე. სებ-ის სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით, მონიტორინგის პროცესისთვის შენარჩუნდება წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძობელობა საპროცენტო განაკვეთების სცენარების პარალელური გადაადგილებით მაშინ, როდესაც კაპიტალის ეკონომიკური ღირებულების მგრძობელობა დაანგარიშდება საპროცენტო განაკვეთის ცვლილების ექვსი წინასწარ განსაზღვრული სტრეს-სცენარით, შემთხვევის განვითარების ყველაზე ცუდი სცენარის შედეგებით. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „თიბისი ბანკის“ კაპიტალის ეკონომიკური ღირებულების კოეფიციენტი 7,34% იყო, რაც საზედამხედველო ლიმიტზე (15%) ბევრად ნაკლებია.

ბანკის წმინდა საპროცენტო შემოსავლის ან წმინდა საპროცენტო მარჯის (NIM) ნებისმიერმა შემცირებამ შესაძლოა გამოიწვიოს მომგებიანობის შემცირება, რაც მოქმედებს ორგანული კაპიტალის დაგროვებაზე.

წმინდა საპროცენტო შემოსავალი შეადგენს ბანკის საერთო შემოსავლების უმეტეს ნაწილს. პოტენციურმა ახალმა რეგულაციებმა, საქართველოში არსებულ მაღალ კონკურენციასთან ერთად, შესაძლოა ნეგატიურად იმოქმედოს ბანკის წმინდა საპროცენტო მარჯაზე. ამასთან, ლარის რეფინანსირების განაკვეთის და უცხოური ვალუტის საორიენტაციო განაკვეთების კლებადი ტენდენცია კვლავ გაგრძელდება, რასაც ნეგატიური ზეწოლა ექნება წმინდა საპროცენტო მარჯაზე 2024 წელს. 2023 წელს წმინდა საპროცენტო მარჯის წინა წელთან შედარებით 0,4 pp-ით ზრდაზე მეტწილად იმოქმედა საქართველოში კრედიტზე შემოსავლის ზრდამ, რაც, თავის მხრივ განპირობებულია სებ-ის მაღალი რეფინანსირების და უცხოური ბაზრის განაკვეთებით.

ბანკი ყურადღებას ამახვილებს საკომისიო შემოსავალზე, რომელიც მომდინარეობს საქართველოს ბაზარზე მომხმარებლების გამოცდილებაზე დაფუძნებული ინიციატივებიდან და ინოვაციური პროდუქტებიდან. ეს ბანკს იცავს მარჯის პოტენციური შემცირებისგან, მომავალში საკრედიტო და სადეპოზიტო პროდუქტებზე. აქტივსა და ვალდებულებასთან დაკავშირებული ვალდებულებების დაკმაყოფილების და საპროცენტო განაკვეთის რისკის

მართვის მიზნით, ბანკი იყენებს მაღალი ხარისხის საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების პორტფელს, გრძელვადიან დაფინანსებას და წარმოებულ ხელშეკრულებებს.

ბანკის საოპერაციო კომპლექსურობა საფუძვლად უდევს შესაბამის და არაკონტროლირებადი ოპერაციებიდან წარმოქმნილ რისკს, რომელიც, თავის მხრივ, ნეგატიურად მოქმედებს მომგებიანობასა და რეპუტაციაზე.

ბანკის წინაშე მდგარი რისკებიდან ერთ-ერთი მთავარია საოპერაციო რისკი, რომელიც არის შიდა და გარე თაღლითობის შემთხვევების, გაუმართავი პროცესების ან პროდუქტების, ბიზნესის შეფერხების და სისტემის გაუმართაობის, ადამიანური შეცდომების ან აქტივების ზიანის შედეგად ზარალის მიღების რისკი. საოპერაციო რისკი ასევე გულისხმობს იურიდიული, შესაბამისობის ან კიბერუსაფრთხოების რისკებით გამოწვეულ ზარალს. ბანკს ახასიათებს სხვადასხვა სახის საოპერაციო რისკები, მათ შორის: თაღლითობა და სხვა შიდა თუ გარე კრიმინალური ქმედებები; პროცესების, კონტროლის ან პროცედურების დარღვევა; სისტემების შეფერხებები ან გარე მხარეებისგან კიბერ შეტევები ბანკის კლიენტებისათვის მომსახურების ან დამხმარე ინფრასტრუქტურის ხელმიწვდომლობის უზრუნველყოფის მიზნით, რაც, თავის მხრივ, საფრთხის ქვეშ აყენებს ბანკის, მისი კლიენტების, კონტრაპტენტების ან მომხმარებლების დაცულ ინფორმაციას და ფინანსურ ოპერაციებს. გარდა ამისა, ბანკს ახასიათებს ისეთი რისკები, რომლებიც იწვევენ კრიტიკული ფუნქციების მქონე სისტემების ან ბიზნესის შეფერხებას ისეთი მოვლენების შედეგად, რომლებიც მის კონტროლს საერთოდ ან ნაწილობრივ არ ექვემდებარება. ამგვარი მოვლენებია: ბუნებრივი კატასტროფები, სატრანსპორტო ან კომუნალური მომსახურების შეფერხება და სხვა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დანაკარგი ან მომხმარებელთა მომსახურების შეწყვეტა ან წყვეტა და/ან ეკონომიკური ზარალი ბანკისთვის. ზემოთ განხილული საოპერაციო რისკები ვრცელდება ისეთ შემთხვევებზეც, როდესაც ბანკი მომსახურებას მესამე პირებისგან იღებს. სწრაფად ცვალებადი გარემოს, ასევე საბანკო მომსახურების და პოტენციურ თაღლითობათა სირთულის გათვალისწინებით, იზრდება პროცესების, კონტროლის, პროცედურებისა და სისტემების მუდმივად გაუმჯობესების მნიშვნელობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული რისკი ან შემცირდეს ბანკის მიერ ზარალის მიღების რისკი. ოპერაციების მზარდი სირთულისა და დივერსიფიკაციის გათვალისწინებით, საბანკო სექტორის დიგიტალიზაციასთან ერთად იზრდება თაღლითობის რისკები. გარე თაღლითობა ბანკის საწინააღმდეგოდ შეიძლება მომდინარეობდეს მესამე მხარის ქმედებებიდან. ყველაზე ხშირად აღნიშნული შემთხვევები დაკავშირებულია საბანკო ბარათებთან, სესხებთან და კლიენტის ფიშინგთან. შიდა თაღლითობის შემთხვევები მომდინარეობს ბანკის თანამშრომლების მიერ განხორციელებული ქმედებებიდან და მსგავსი შემთხვევები შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც ხდება. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ბანკში დაფიქსირდა თაღლითობის მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა, რომელთაგან არცერთს ჰქონია არსებითი გავლენა ბანკის მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე. ციფრული დანაშაულის სწრაფი ზრდის საფრთხე გაძლიერდა, ხოლო თაღლითები იყენებენ ახალ ტექნიკებს და მიდგომებს, ფულის უკანონოდ მითვისებისთვის სხვადასხვა შესაძლებლობების მოსაძიებლად. აქედან გამომდინარე, თუ არ მოხდა ამ საკითხის სათანადოდ გაკონტროლება და მართვა, პოტენციურ გავლენას შესაძლოა არსებითი ხასიათი ჰქონდეს.

საოპერაციო რისკის გადახედვისა და მიტიგაციის მიზნით, ბანკში შექმნილია საოპერაციო რისკის მართვის ჩარჩო, რომელშიც განსაზღვრულია ეფექტური საოპერაციო რისკის მართვის ზოგადი პრინციპები, განმარტებულია პროცესში მონაწილე მხარეების ფუნქციები და პასუხისმგებლობები. ამ ჩარჩოს შემადგენელი ნაწილია პოლიტიკები და პროცედურები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია საოპერაციო რისკების ეფექტური მართვა. დირექტორთა საბჭო უზრუნველყოფს მძლავრი შიდა კონტროლის კულტურის ჩამოყალიბებას ბანკში, სადაც კონტროლის ღონისძიებები ოპერაციების შემადგენელი ნაწილია. საბჭო განსაზღვრავს საოპერაციო რისკის აპეტიტს, ხოლო შესაბამისობას რისკის დასაშვები ღონის დადგენილ ზღვრებთან რეგულარულად აკონტროლებს სამეთვალყურეო საბჭოს რისკების კომიტეტი. ბანკი დაცვის სამი ხაზის პრინციპს იყენებს, რომელშიც საოპერაციო რისკის მართვის დეპარტამენტი დაცვის მეორე ხაზს წარმოადგენს, რომელიც პასუხს აგებს ჩარჩოს და შესაბამისი პოლიტიკებისა და მეთოდოლოგიების დანერგვაზე, ბანკისთვის საოპერაციო რისკის მართვის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად. ბანკი აქტიურად ახორციელებს საოპერაციო რისკთან დაკავშირებული რისკის მონიტორინგს, დაფიქსირებას და აღმოფხვრას და აქვს მუდმივი მონიტორინგის პროცესები, უჩვეულო ქმედებების და ამ პროცესთან დაკავშირებული სისუსტეების დროულად აღმოსაჩენად. რისკებისა და კონტროლის თვითშეფასების მექანიზმის (RCSA) მიზანია მნიშვნელოვან პროცესებში ნარჩენი რისკების გამოვლენა, შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გათვალისწინებით. თაღლითობის რისკების მონიტორინგსა და მიტიგაციაზე ჩვენი მუდმივი ძალისხმევით, შიდა პროცესების სირთულის დონის მიუხედავად, ბანკი უზრუნველყოფს საოპერაციო

რისკთან დაკავშირებული აქტივობების დროულად აღმოჩენას და კონტროლს. საოპერაციო რისკის კონტროლისა და მიტიგაციის მიზნით დანერგილია სხვადასხვა პოლიტიკები, პროცესები და პროცედურები, მათ შორის:

- რისკის შეფასების პოლიტიკა, რომელიც რისკის დეტალური შეფასების საშუალებას იძლევა ახალი პროდუქტების, მომსახურებების ან პროცედურების დანერგვამდე;
- აუთოსორსინგული მომსახურებების (მესამე მხარის) რისკის შეფასების პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს ისეთი რისკების შეფასებას, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას: მომწოდებლის არასათანადო შერჩევის შედეგად, მომწოდებლის და/ან მის მიერ მოწოდებული მომსახურების არასაკმარისი კონტროლისა და ზედამხედველობის, ასევე მომწოდებლის სხვა გავლენების გამო;
- რისკებისა და კონტროლის თვითშეფასების მექანიზმის (RCSA) პოლიტიკა, რომელიც ბანკს საშუალებას აძლევს განუწყვეტლივ შეაფასოს არსებული და პოტენციური რისკები, დანერგოს რისკის მიტიგაციის სტრატეგია და სისტემატურად მოახდინოს რისკის მიტიგაციის გეგმის პროგრესის მონიტორინგი. ამ გეგმების შესრულება ასევე შესაბამისი მენეჯერების შესრულების მნიშვნელოვანი ინდიკატორების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს;
- საოპერაციო რისკის შემთხვევის იდენტიფიცირების პოლიტიკა, რომელიც ბანკს საოპერაციო რისკის მოვლენებზე სწრაფი ანგარიშების, ამგვარი მოვლენების სისტემური დეტალური ანალიზის ჩატარების და პრევენციული ღონისძიებების გატარების შესაძლებლობას აძლევს. საოპერაციო ზარალის ერთიანი მონაცემთა ბაზა აძლიერებს შემდგომ რაოდენობრივ და ხარისხობრივ ანალიზებს. საოპერაციო რისკის შემთხვევის გამოვლენის პოლიტიკა ასევე მოიცავს IT ინციდენტების და გამოვლენილ პრობლემებზე ორიენტირებული შესაბამისი აქტივობების გადახედვას;
- ბანკის საოპერაციო რისკის ცნობადობის პროგრამა, რომელიც ბანკის თანამშრომლების რეგულარულ გადამზადებას და ბანკის შიდა რისკის კულტურის ზრდის საშუალებას იძლევა;
- ბანკი ასევე იყენებს რისკის გადატანის სტრატეგიებს, მათ შორის კრიტიკული საოპერაციო ზარალის რისკის გადაცემისთვის სხვადასხვა სადაზღვევო პოლიტიკების მიღებას.

საოპერაციო რისკის მართვის დეპარტამენტმა გააძლიერა რისკის შეფასების გუნდები და არსებული საკონტროლო გარემოს შემდგომი განვითარების მეთოდოლოგიები.

საანგარიშო პერიოდში საოპერაციო რისკის მართვის ძირითადი ყურადღება გამახვილებული იყო რისკებისა და კონტროლის თვითშეფასების მექანიზმზე (RCSA), რომლის ფარგლებშიც მოხდა ბანკის ყველაზე პრიორიტეტული პროცესების გადახედვა და გაუმჯობესების სფეროების განსაზღვრა.

გარდა ამისა, თაღლითური აქტივობებით გამოწვეული საოპერაციო რისკის მიტიგაციის მიზნით, ბანკმა დანერგა თაღლითობის აღკვეთის დახვეწილი ციფრული სისტემა, რომელიც ახდენს კლიენტთა ქცევის ანალიზს თაღლითობასთან დაკავშირებული გარე საფრთხეების მინიმუმისთვის.

საოპერაციო რისკის მართვის ჩარჩო და მისი დამატებითი პოლიტიკა განახლდა საოპერაციო რისკის მართვის პროგრამის ეფექტური განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით.

ბანკის ციფრული საოპერაციო გამოცდილება მზარდი და განვითარებადი კიბერ-შეტევების საფრთხის წინაშე დგას

ბანკის მზარდი დამოკიდებულება საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემებზე ზრდის მის მიმართ პოტენციური კიბერ-შეტევების რისკს. პოტენციური კიბერ-შეტევების მეტად დახვეწილი და მზარდი ხასიათიდან გამომდინარე, მოსალოდნელია, რომ მათ შეიძლება უსაფრთხოების მნიშვნელოვანი რისკი გამოიწვიონ. მსგავსი რისკები სწრაფად იცვლება და მოითხოვს განუწყვეტელ ყურადღებას და ინვესტიციას.

ბოლო წლებში ქართულ ბანკზე რაიმე არსებითი კიბერ-შეტევა არ განხორციელებულა. თუმცა, ბანკის პროგრამული უზრუნველყოფის ერთ-ერთი მომწოდებელი გამოსყიდვის მოთხოვნის მიზნით შეტევის მსხვერპლი გახდა. ჩვენ დროულად მივიღეთ ინფორმაცია ინციდენტის შესახებ და რეაგირება მოვახდინეთ ინციდენტზე რეაგირების შიდა პროცედურების შესაბამისად. დეტალური ანალიზის და გამოძიების ჩატარების შემდეგ, ჩვენ დავადასტურეთ, რომ ბანკის ინფრასტრუქტურასთან, პროგრამულ უზრუნველყოფასა თუ წარმოების სერვისებთან დაკავშირებული რისკი არ არსებობდა. ინციდენტის გამოძიებითა და მასზე რეაგირებით, შეფერხება დაფიქსირდა მხოლოდ რამდენიმე ახალი ფუნქციის განვითარების პროცესში. განვითარების პროცესი აღდგება მას შემდეგ, რაც

უზრუნველყოფილი იქნება, რომ მომწოდებლები სრულად გამოასწორებენ ინციდენტს და მის გამომწვევ მიზეზებს. ბანკს აქვს სრულყოფილი სისტემა კიბერ-შეტევების რისკის მიტიგაციისთვის, ქვემოთ აღწერილი ფორმით.

საფრთხის ლანდშაფტი

კიბერ-შეტევების გამოწვევებთან ადეკვატურად ბრძოლის მიზნით, ჩვენ მუდმივად ვაფასებთ ბანკის კიბერ-საფრთხეების ლანდშაფტს და ყველა საფრთხის სცენარს და აქტორებს, ვითვალისწინებთ მათ განზრახვებს და შესაძლებლობებს, ასევე ტაქტიკებს, ტექნიკებს და პროცედურებს, რომლებსაც ისინი იყენებენ ან შესაძლოა გამოიყენონ მათი კამპანიების დროს. ჩვენი მიზანია მზად ვიყოთ ნეგატიური მდგრადი საფრთხეების მიმართ. სხვადასხვა საფრთხის ვექტორებს შორის, რომლებსაც ჩვენ ვაკონტროლებთ, ტოპ-ოთხეულს განეკუთვნება შემდეგი:

- შეტევები ინტერნეტზე დაფუძნებულ აპლიკაციებსა და ინფრასტრუქტურაზე;
- შეტევები პროგრამული უზრუნველყოფის მიწოდების ქსელზე;
- ფიშინგ-შეტევები ჩვენი მომხმარებლების წინააღმდეგ; და
- ფიშინგ-შეტევები ჩვენი თანამშრომლების წინააღმდეგ.

ჩვენი ხედვა და სტრატეგიული მიზნები

ინფორმაცია და კიბერ-უსაფრთხოება ბანკის მმართველობის პრაქტიკის და სტრატეგიული განვითარების შემადგენელი ნაწილია. ბანკის კიბერ-უსაფრთხოების ხედვა და სტრატეგია სრულად ერგება მის ბიზნეს ხედვას და სტრატეგიას და მიმართულია ყველა იმ გამოწვევისკენ, რომელთა იდენტიფიცირება მოხდა საფრთხის ლანდშაფტის ანალიზის პროცესში.

ჩვენი მიზანია გავაძლიეროთ ჩვენი უსაფრთხოება საფუძვლიანი მიდგომით, ვაწარმოოთ უსაფრთხო და ინოვაციური ბიზნესი და შევინარჩუნოთ მუდმივი გაუმჯობესების ციკლი. ჩვენი სტრატეგიული მიზნებია:

- შევინარჩუნოთ დაცვა დეტალური მიდგომით, გუნდის გაძლიერების და უახლესი ტექნოლოგიების დანერგვის გზით, რათა შევინარჩუნოთ მედეგობა ნეგატიური, მდგრადი საფრთხეების მიმართ, რომლებიც შესაძლოა მომდინარეობდეს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული აქტორებისგან ან ორგანიზებული კიბერ-დამნაშავეებისგან;
- ინდუსტრიის წამყვანი ინფორმაციის და კიბერ-უსაფრთხოების სტანდარტებთან შესაბამისობა, ასევე ჩვენი ინფორმაციის და საქმიანობის უწყვეტობის მართვის სისტემების მუდმივი გაუმჯობესების ციკლის განხორციელება და მარეგულირებელი მოთხოვნებისთვის ერთი ნაბიჯით გასწრება; და
- უსაფრთხოების პროცესების ოპტიმიზაცია და ავტომატიზაცია, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მომსახურებების უხარვეზოდ გაწევა ბანკის ბიზნესებისთვის (შესაძლებლობის ფარგლებში).

ჩვენი უსაფრთხოების დეტალური შეფასება და კიბერ მდგრადობის პროგრამა

ჩვენი ხედვის გათვალისწინების და სტრატეგიული მიზნების მიღწევის მიზნით, ჩვენ განვახორციელებთ ინფორმაციის და კიბერ-უსაფრთხოების შემდეგი ეფექტური პროგრამები, ფუნქციები და სისტემები:

- მრავალსაფეხურიანი პრევენციული კონტროლის მექანიზმები, რომლებიც ყველა შესაბამის ლოგიკურ და ფიზიკურ სეგმენტს და ორგანიზაციისა და ინფრასტრუქტურის ყველა ფენას მოიცავს, წარმატებული თავდაპირველი წვდომის აღბათობის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით.
 - მონაცემთა უსაფრთხოების კონტროლის მექანიზმები
 - კონტროლის მექანიზმების გამოვლენა და მათზე წვდომა
 - საბოლოო წერტილის უსაფრთხოების კონტროლის მექანიზმები
 - ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების კონტროლის მექანიზმები
 - აპლიკაციის უსაფრთხოების კონტროლის მექანიზმები
 - შიდა და საპერიმეტრო ქსელის უსაფრთხოების კონტროლის მექანიზმები
 - ფიზიკური უსაფრთხოების კონტროლის მექანიზმები
- პროფესიონალი გუნდი ეფექტურად ახორციელებს ზემოთ ხსენებულ პრევენციულ კონტროლის მექანიზმებს, უზრუნველყოფს მის ეფექტურობას და განვითარებას. გუნდის წევრების რაოდენობა და გამოცდილების დონე

მნიშვნელოვანია. ჩვენი გუნდის წევრები ფლობენ ინდუსტრიის წამყვან სერტიფიკატებს და ყოველდღიურად მუშაობენ მათი პროფესიონალური უნარების გაძლიერებისა და გაფართოებისთვის.

- პრევენციული კონტროლის მექანიზმების დონეები, ცნობადობის ამაღლების სრულყოფილ პროგრამასთან ერთად უზრუნველყოფს საუკეთესო კომბინაციას იმისათვის, რომ შემცირდეს წარმატებული თავდასხმების ალბათობა. ჩვენი ცნობადობის ამაღლების დახვეწილი პროგრამა თანამშრომლებს და მომხმარებლებს ეხმარება კიბერ-ჰიგიენის გაუმჯობესებაში, მათ ყოველდღიურ ოპერაციებში შესაძლო კიბერ-შეტევების გამოვლენაში და საერთო რისკის კულტურის გაუმჯობესებაში. ჩვენი ცნობადობის ამაღლების პროგრამა შესაბამისი მასალებით უზრუნველყოფს წამყვან თანამდებობის პირებს, დირექტორთა საბჭოდან IT ინჟინრებამდე და დეველოპერებამდე. ეს მოიცავს ყოველწლიურ ტრენინგებს და ატესტაციებს ყველა თანამშრომლისთვის, ახალმოსული თანამშრომლების ტრენინგებს და ატესტაციებს, სოციალური ინჟინერინგის სიმულაციებს, უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ მითითებებს და შეტყობინებებს ყველა თანამშრომლისთვის, უსაფრთხოების შესახებ ცნობადობის ამაღლების კამპანიებს მომხმარებლებისთვის და სხვ.
- რადგან ჩვენ გვჯერა, რომ შეუძლებელია 100%-იანი პრევენციის უზრუნველყოფა, ზანკში დანერგილია საფრთხის გამოვლენის საშუალებები და უსაფრთხოების უზრუნველყოფი ოპერაციების ცენტრი, რომლის მიზანია ყველა შესაძლო ანომალიის გაკონტროლება ყველაზე რეალურ დროში, რომლებიც გამოვლინდა ორგანიზაციის ქსელში, რათა დაფიქსირდეს პოტენციური ინციდენტები და დროულად და ეფექტურად მოხდეს მათზე რეაგირება შესაძლო თავდასხმის ნეგატიური გავლენის მინიმუმის მიზნით. რათა მუდმივად გვექონდეს განახლებული ინფორმაცია და თვალი მივადევნოთ ჩვენი მოწინააღმდეგეების ტექნიკებს და ტაქტიკებს, ჩვენ შევიმუშავებთ კიბერ საფრთხეების კვლევის პროცედურებს, ინდუსტრიის საუკეთესო პრაქტიკების და MITRE-ს თავდასხმების ჩარჩოს გათვალისწინებით.
- ინფორმაციული უსაფრთხოების მმართველობა და რისკის მართვის ეფექტური პროცესები უზრუნველყოფს ზანკის მიერ სახელმძღვანელო მითითებების მოგროვებას, რისკთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებას მისი რისკის აპეტიტის შესაბამისად, მარეგულირებელი მოთხოვნების დაკმაყოფილებას და უწყვეტი გაუმჯობესების ციკლის უზრუნველყოფას. ინფორმაციული უსაფრთხოების კომიტეტს, რომელსაც გენერალური დირექტორი თავმჯდომარეობს, აქვს საბოლოო პასუხისმგებლობა უზრუნველყოს შესაბამისი დონის უსაფრთხოება და ხელმძღვანელობის პროცესების მუდმივი გაუმჯობესების ციკლის განხორციელება. ზანკი აკმაყოფილებს NIST-ის კიბერ უსაფრთხოების მართვის ჩარჩოს და მისი ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემას გავლილი აქვს ISO 27001 სერტიფიცირება.
- ზემოთ ხსენებულთან ერთად, ზანკი აძლიერებს თავის კიბერ მედეგობას საქმიანობის უწყვეტობის მართვის ეფექტური სისტემის და კიბერ-დაზღვევის პოლიტიკის გზით, გაუთვალისწინებელი შემთხვევების მართვის და სერიოზული შეფერხებებიდან მინიმალური შესაძლო გავლენისგან აღდგენის მიზნით.

როგორ ვაფასებთ და უზრუნველყოფთ უსაფრთხოების მისაღებ დონეს

ინფორმაციული და კიბერ უსაფრთხოების მისაღები დონის შეფასებისა და უზრუნველყოფისთვის, ჩვენ ვეყრდნობით გარე/შიდა აუდიტის ანგარიშებს, გარე საფრთხეების კვლევის ანგარიშებს და შედარებადობის ტესტების შედეგებს, რომლებსაც ჩვენი მაღალ-პროფესიონალი შიდა გუნდი და რეპუტაციის მქონე გარე მესამე მხარე პარტნიორები ატარებენ.

- ჩვენ ყოველწლიურად ვატარებთ:
 - SWIFT მომხმარებლების დაცვის ჩარჩოს გარე აუდიტს;
 - სეზონური კიბერ უსაფრთხოების ჩარჩოს გარე აუდიტს, რომელიც ეფუძნება NIST-ის კიბერ უსაფრთხოების მართვის ჩარჩოს;
 - გარე საკონტროლო აუდიტს ISO 27001-ის მიხედვით;
 - ინტერნეტზე დაფუძნებული აპლიკაციების და კრიტიკული ინფრასტრუქტურის ინფორმაციის დაცვის ობიექტის კვლევას ჩვენი მაღალი რეპუტაციის მქონე პარტნიორების დახმარებით.
- ჩვენი შიდა გუნდი ატარებს შიდა და გარე აპლიკაციების და ინფრასტრუქტურის უწყვეტ კვლევას.
- ჩვენ რეგულარულად ვატარებთ გარე და შიდა საფრთხეების კვლევას და ვაფასებთ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ შესაძლებლობებს, მსოფლიოს მოწინავე საფრთხის აქტორებთან დაკავშირებით.

ბანკს აქვს რეპუტაციის სხვადასხვა რისკი

არსებობს რეპუტაციის რისკები, რომლებსაც იღებს ბანკი. ამგვარი რისკები უკავშირდება უკრაინის ომის გამო რუსეთზე დაკისრებულ საერთაშორისო სანქციებს, შესაბამის ბანკებთან და საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებთან ურთიერთობებს. არსებობს ფიზიკის, სხვა კიბერ დანაშაულების, და მომსახურების დროებით შეფერხების რისკი, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს რეპუტაციის რისკებად, ბანკის მიერ გაწეული დიდი რაოდენობით დიგიტალიზაციის სერვისების გამო. ასევე, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ბანკის საწინააღმდეგო ნარატივების იზოლირებულ შემთხვევებს. თუმცა, ამ რისკების უმრავლესობა კონკრეტულად ჩვენს ბანკს არ ეხება. ის მთლიან საბანკო სექტორს უკავშირდება.

რეპუტაციის რისკების ალბათობის მიტიგაციის მიზნით, ბანკი მუდმივად მუშაობს, რათა შეინარჩუნოს ძლიერი ბრენდის აღქმა დაინტერესებულ პირებს შორის. ბანკი იცავს ყველა შესაბამის გარე და შიდა პოლიტიკას და პროცედურას, რეპუტაციის პირდაპირი თუ ირიბი რისკების გავლენის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით. ბანკი მუდმივად ახორციელებს ბრენდის ღირებულების მონიტორინგს საზოგადოებრივი აზრის შესწავლის/კვლევისა და დაინტერესებული პირებისაგან უკუკავშირის მიღების გზით. სპეციალური შიდა და გარე მარკეტინგის და კომუნიკაციების გუნდები ყოველდღიურად ახორციელებენ მედია გაშუქების მონიტორინგს. ეს გუნდები აკონტროლებენ რისკებს და შეიმუშავენ პრევენციულ პოლიტიკებს, რისკის სცენარებს და გადაუდებელ შემთხვევებში სამოქმედო გეგმებს. ბანკი ცდილობს რეპუტაციის და ბრენდის პოტენციური დამაზიანებელი ნიშნების იდენტიფიცირებას მათი მიტიგაციის და აღმოფხვრის მიზნით და მათ გართულებამდე ინფორმაციას სამეთვალყურეო საბჭოს აწვდის. ტოპ მენეჯმენტის დონეზე შექმნილია სპეციალური ოპერატიული ჯგუფი, რომელიც მოიცავს მმართველობითი, სტრატეგიული კომუნიკაციების, მარკეტინგის და იურიდიულ გუნდებს რეპუტაციის რისკების შემთხვევების სამართავად. კომუნიკაციისა და კიბერ-უსაფრთხოების გუნდები ატარებენ ცნობიერების ამაღლების ფართომასშტაბიან კამპანიებს კიბერ-უსაფრთხოების და ფინანსური განათლების შესახებ, რაც მოიცავს მედიას, საქართველოს ბანკების ასოციაციას და „Edufin“-ს („თიბისის“ ფინანსური განათლების შიდა პლატფორმას), რომლებიც კიბერ-უსაფრთხოების და ფიზიკის შემთხვევების მიტიგაციისა და პრევენციისაკენ არის მიმართული.

ბანკს აქვს კანონმდებლობის ცვლილების და აღსრულების რისკი

ბანკი ეწევა რეგულირებად საქმიანობას და, შესაბამისად, ექვემდებარება კანონმდებლობის ცვლილების რისკს. საქართველოს ეროვნული ბანკი ადგენს ლიმიტებს და სხვა ეკონომიკურ კოეფიციენტებს (მათ შორის შუზღულდავად, დაკრედიტების, ლიკვიდობისა და საინვესტიციო კოეფიციენტებს) საზედამხებდევლო კაპიტალის კოეფიციენტთან ერთად. მინიმალური რეზერვების და ფინანსური კოეფიციენტების დაცვის მოთხოვნასთან ერთად, ბანკი ვალდებულია წარმოადგინოს პერიოდული ანგარიშები. ბანკი ასევე იმართება საგადასახადო კოდექსით და საქართველოში მოქმედი სხვა შესაბამისი კანონებით. მშობელი საწარმოს ლონდონის ბირჟის პრემიუმ სეგმენტში რეგისტრაციის შემდეგ, ბანკი დიდი ბრიტანეთის ფინანსური ქვეყის უწყების მიერ მიღებულ რეგულაციებს დაექვემდებარა. მის საბანკო ოპერაციებთან ერთად, ბანკი ასევე ახდენს სხვა მარეგულირებელი ფინანსური მომსახურების პროდუქტების, მათ შორის სალიზინგო, სადაზღვევო და საბროკერო მომსახურებების შეთავაზებას. ბანკი ასევე წარმოადგენს ფინანსური ვალდებულებების საგანს სავალლო ხელშეკრულებების მიხედვით. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ბანკის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება.

საკანონმდებლო მოთხოვნებთან სრული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ბანკს დანერგილი აქვს შესაბამისი მართვის სისტემები და პროცესები, რომლებიც გათვალისწინებულია ბანკის ოპერაციების ყველა დონეზე. ბანკის „დაცვის სამ ხაზიანი მოდელი“ განსაზღვრას რისკის მართვის ფუნქციებს და პასუხისმგებლობებს. დაცვის პირველი ხაზი პასუხს აგებს შესაბამისობის რისკზე, რომელსაც აქვს ბანკის შესაბამისობის დეპარტამენტის, როგორც დაცვის მეორე ხაზის ძლიერი მხარდაჭერა. შესაბამისობის რისკის მართვის განყოფილების უფროსი კვარტალურად აბარებს ანგარიშს რისკის კომიტეტს და დისციპლინარული ხასიათის ანგარიშს წარუდგენს გენერალურ დირექტორს. ბანკის აუდიტის კომიტეტი პასუხისმგებელია საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე.

ბანკის შესაბამისობის პროგრამა მოიცავს შესაბამისობასთან დაკავშირებულ პოლიტიკებს, ტრენინგებს, რისკის მიმოხილვას და საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას. შესაბამისობის

უზრუნველყოფის დეპარტამენტი კანონმდებლობის ცვლილების რისკის მართვას შემდეგის საფუძველზე ახორციელებს:

- კანონებსა და რეგულაციებში მოქმედი ცვლილებების პროცესებზე პასუხისმგებელი პირების მიერ დროულად განხორციელების უზრუნველყოფით;
- მონაწილეობის მიღებით ახალი პროდუქტის/პროცესის დამტკიცების პროცესში;
- მომხმარებელთა პრეტენზიების გამომწვევი მიზეზების, საოპერაციო რისკის მოვლენების მონაცემთა ბაზის, შიდა აუდიტის მიერ აღმოჩენილი ფაქტებისა და სასამართლო საქმეების ანალიზი პროცესის სუსტი მხარეების პროაქტიულად გამოვლენის გზით; და
- შიდა პროცესების წლიური RCSA-ის ჩატარებით.

ბანკის ზემოაღნიშნული ანალიზის და პროცესების შედეგების საფუძველზე, შესაბამისობის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ახორციელებს ცვლილებებს შიდა ინსტრუქციებში ან გასცემს რეკომენდაციებს ბანკის სტრუქტურულ ერთეულებს შესაბამისი პროცესების ცვლილებების შესახებ. ამასთან, დაცვის მეორე ხაზის სახით, შესაბამისობის დეპარტამენტი განსაზღვრავს რისკების მატრიცას და აკონტროლებს მათ ბანკის რისკის აპეტიტის ფარგლებში განსაზღვრული სიხშირით. შესაბამისობის დეპარტამენტი პასუხს აგებს განსაზღვრული ლიმიტების დარღვევის ესკალაციაზე სხვადასხვა საბჭოს წინაშე.

ბანკის მოქმედების რეგიონში ფინანსური დანაშაულის რისკი არსებობს

ფინანსური დანაშაულის რისკი მოიცავს ფულის გათეთრებას, ტერორიზმის დაფინანსებას, მექრთამეობასა და კორუფციას და სანქციების დაკისრების რისკებს. სანქციებთან დაკავშირებული რისკები ბოლო წლებში გაიზარდა. შესაბამისად, 2023 წელს ბანკი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სანქციების რისკის მართვას.

ისტორიულად საქართველოს მჭიდრო საქმიანი ურთიერთობები აქვს რუსეთთან და უკრაინასთან. 2022 წლის 24 თებერვალში რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინის წინააღმდეგ წამოწყებულმა აგრესიამ გამოიწვია მკაცრი საერთაშორისო რეაქცია, რაც მოიცავდა მკაცრი ეკონომიკური სანქციების დაკისრებას აშშ-ის, ევროკავშირის, გაერთიანებული სამეფოს და სხვა ქვეყნების მხრიდან. შედეგად რუსული და ბელარუსის საკანონმდებლო და სამთავრობო უწყებების წევრები, ოლიგარქები, ბიზნესმენები, სახელმწიფო კომპანიები, საფინანსო დაწესებულებები და სხვა იურიდიული პირები პირდაპირ იყვნენ სანქცირებული. რამდენიმე ეკონომიკური შეზღუდვა და სავაჭრო აკრძალვა ამოქმედდა საქმიანობის რამდენიმე სექტორში და საქონლისა და მომსახურებების კონკრეტულ კატეგორიებთან მიმართებით რუსეთში, ბელარუსში, ყირიმსა და სხვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე. წამყვანი ქვეყნები ამკაცრებენ სანქციების პროგრამას, რამდენიმე შეზღუდვის მასშტაბის გაფართოების და სიაში ახალი იურიდიული და ფიზიკური პირების დამატების გზით. გარდა ამისა, ამ კონფლიქტის გამო რუსეთის ბევრი მოქალაქე საქართველოში გადმოვიდა საცხოვრებლად. ბანკისთვის, რუსეთსა და რუსეთის მოქალაქეებს შორის ურთიერთობის და სანქციების აკრძალვებისა და შეზღუდვების გათვალისწინებით, სანქციებისთვის გვერდის ავლის მცდელობაში ჩართვის რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

რუსეთთან დაკავშირებული სანქციების რისკთან ერთად, საქართველო წინაშე დგას საერთაშორისო ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული დანახარჯების მნიშვნელოვანი ზრდის საფრთხე, რომელიც გამოწვეულია აზიის ქვეყნებთან იმპორტის და ექსპორტის ირანის გავლით განხორციელებით, რასაც კრძალავს აშშ-ის მთავრობა.

ბანკს აქვს ნულოვანი ტოლერანტობა გაერთიანებული ერების, გაერთიანებული სამეფოს, აშშ-ისა და ევროკავშირის მიერ დაკისრებული სანქციების დარღვევის, ან დარღვევის და გვერდის ავლის ხელშეწყობის მიმართ. ბანკის მიზანია თავი აარიდოს ნებისმიერ გარიგებას პირდაპირ ან ირიბად სანქცირებულ პირებთან, საქონელთან ან მომსახურებებთან.

ბანკმა მიიღო ფინანსური დანაშაულის პოლიტიკა, რომელშიც განსაზღვრულია შემდეგი მნიშვნელოვანი რისკის სფეროების მოთხოვნები: ფულის გათეთრება, ტერორიზმის დაფინანსება, მექრთამეობა, კორუფცია და სანქციები. პოლიტიკა ვრცელდება ყველა სახის ბიზნეს საქმიანობაზე და თანამშრომლებზე. თანამშრომლებს უტარდება ტრენინგები ფინანსური დანაშაულის რისკის მართვის საკითხებზე. თანამშრომლები ეცნობიან ფინანსური დანაშაულის მართვის მიმართ ბანკის გამოცდილებას და მიდგომას, ასევე ფინანსური დანაშაულის პოლიტიკის დარღვევის პოტენციურ შედეგებს.

ბანკის მიზანია მისი მომხმარებლების, აქციონერების და საზოგადოების დაცვა ფინანსური დანაშაულისგან და შედეგად მიღებული საფრთხეებისგან. ბანკი მოწოდებულია ფინანსურ დანაშაულთან დაკავშირებით საერთაშორისო და ადგილობრივ კანონებთან და ფინანსურ დანაშაულთან დაკავშირებულ რეგულაციებთან და კანონებთან შესაბამისობაზე. მას აქვს გრძელვადიანი ამბიცია დააკმაყოფილოს ინდუსტრიაში მოქმედი საუკეთესო პრაქტიკის სტანდარტები.

ბანკმა დანერგა შიდა პოლიტიკები, პროცედურები და დეტალური ინსტრუქციები, რომლებიც შექმნილია ფულის გათეთრებასთან, ტერორიზმის დაფინანსებასთან ან ნებისმიერი სხვა უკანონო საქმიანობასთან ნებისმიერი ასოცირების აღსაკვეთად, როგორც არის მექრთამეობა, კორუფცია ან გადასახადებისგან თავის არიდება. ბანკის მიერ განხორციელებული AML/CTF შესაბამისობის პროგრამა მოიცავს წერილობით პოლიტიკას, პროცედურებს, შიდა კონტროლს და სისტემებს, მათ შორის, შეუზღუდავად: პოლიტიკას და პროცედურებს AML კანონებთან და რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის; „იციოდნე შენს კლიენტს“ (KYC) და მომხმარებლის კომპლექსური შემოწმების პროცედურებს; მომხმარებლის შემოწმებას ტერორისტების და განსაკუთრებული კატეგორიის და აკრძალულ პირთა ჩამონათვალის მიხედვით; ფინანსური და სხვა სანქციების ჩამონათვალს, პერსონალის რეგულარულ ტრენინგს და ცნობადობის ამაღლებას; და ბანკის მომხმარებლების საექვო საქმიანობების მონიტორინგის და ანგარიშგების პროცედურებს.

ბანკმა სანქციების რისკის მართვისთვის არსებითი რესურსები გამოიყენა. კერძოდ:

- შეიძინა პროგრამული უზრუნველყოფა და მონაცემთა ბაზები ბანკის სანქციების რისკის მიტიგაციაში დასახმარებლად;
- მიმართა გარე მრჩეველებს სანქციების რისკის მართვის გაუმჯობესების თაობაზე რეკომენდაციების გასაცემად;
- გამოიყენა გარე აუდიტი შიდა პოლიტიკების და პროცედურების შესაფასებლად; და
- თავისი საქმის ერთგული უფლებამოსილი პერსონალი შესაბამისი, სპეციფიკური ცოდნით.

დაცვის მეორე ხაზის ფარგლებში, ბანკის შესაბამისობის უზრუნველყოფის დეპარტამენტი უზრუნველყოფს რისკის მართვას ბანკის მიერ განსაზღვრული რისკის აპეტიტის შესაბამისად და ხელს უწყობს რისკის ძლიერი კულტურის განვითარებას ორგანიზაციის მასშტაბით. ბანკს აქვს კომპლექსური, ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული AML უზრუნველყოფა, რაც AML სპეციალისტებს შესაძლებლობას აძლევს გააკონტროლონ კლიენტების გარიგებები და გამოავლინონ საექვო ქცევები. მონაცემთა ანალიზის და მანქანური სწავლების გამოყენებით, ბანკმა შეიმუშავა ანომალიის დაფიქსირების ინსტრუმენტი, ძალიან კომპლექსური შემთხვევების იდენტიფიცირების მიზნით, ასევე კლიენტების ქსელის ანალიზის გამოყენებით ფულის გათეთრების ორგანიზებული შემთხვევების და წინასწარ განსაზღვრული შაბლონების გამოსავლენად, ავტომატური სისტემის შესაქმნელად. ამ მიდგომას დიდი ბიზნეს-ღირებულება აქვს, რადგან ის შემთხვევებს ისეთი ფორმით გამოავლენს, რომელიც სხვაგვარად ძვირი იქნებოდა, რადგან ამ გარიგებების მექანიკური ანალიზის პროცესი ძალიან დიდ დროს მოითხოვს AML ოფიცრებისგან. ინსტრუმენტი ყველა ამ ინციდენტებს საინფორმაციო პანელებში აგროვებს და AML ოფიცრებს წარუდგენს დამატებითი ღონისძიებებისთვის.

ბანკს აქვს პასუხისმგებლობა მუდმივად დაეყვანებაროს მარეგულირებლის მინიმალურ მოთხოვნებს კაპიტალთან დაკავშირებით, რამაც შესაძლოა საფრთხის ქვეშ დააყენოს ზრდა და სტრატეგიული მიზნების მიღწევა. დამატებით, გაცვლითი კურსების უარყოფითმა ცვლილებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტებზე.

კაპიტალის რისკი ბანკის საქმიანობის მნიშვნელოვან მიმართულებას განეკუთვნება. კაპიტალის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფს შესაძლოა არ ჰქონდეს კაპიტალის საკმარისი დონე საქმიანობების წარმოებისთვის და საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნების დაკმაყოფილებისთვის ჩვეულებრივ ან სტრესულ სამუშაო გარემოში. ხელმძღვანელობის მიზანია, კაპიტალის მართვის თვალსაზრისით, შეინარჩუნოს კაპიტალის შესაბამისი დონე ბიზნეს სტრატეგიის მხარდასაჭერად, მარეგულირებელ და სტრეს-ტესტთან დაკავშირებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ასევე ბანკის ფუნქციონირებად საწარმოდ მუშაობის გაგრძელების უნარის დასაცავად. ბანკის მიერ მარეგულირებელი მოთხოვნების დაკმაყოფილების უნარზე შესაძლოა იმოქმედოს როგორც შიდა, ისე - გარე ფაქტორებმა. რამდენიმე არსებითი პრობლემა მოიცავს აქტივის ხარისხის გაუარესებას, რაც იწვევს ზარალს, შემოსავლის კლებას, ხარჯების ზრდას და კაპიტალის მოზიდვასთან დაკავშირებულ პოტენციურ სირთულეებს. ადგილობრივი ვალუტის ცვალებადობა იყო და რჩება ერთ-ერთ მნიშვნელოვან რისკად, რომელიც გავლენას ახდენს

სს „თიბისი ბანკის“ კაპიტალის ადეკვატურობაზე. ლარის 10%-ით გაუფასურება განაპირობებს 0.8 pp, 0.7 pp და 0.6 pp-ით ვარდნას სს „თიბისი ბანკის“ ძირითადი პირველადი, პირველადი და მთლიანი საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტებში, შესაბამისად.

ბანკი ატარებს სტრეს-ტესტს და მგრძობელობის ანალიზს, რათა მოახდინოს დამატებითი კაპიტალის მოხმარების რაოდენობის განსაზღვრა სხვადასხვა სცენარების შემთხვევაში. ასეთი ანალიზი მიუთითებს, რომ ბანკს აქვს საკმარისი კაპიტალი მინიმალური მარეგულირებელი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ბანკის აღმასრულებელი ხელმძღვანელობის და რისკების კომიტეტის ჩართულობით აქტიურად ხორციელდება კაპიტალის პროგნოზების, ასევე სტრეს-ტესტის და სხვადასხვა შესაძლო სცენარების შედეგების მონიტორინგი, რათა უზრუნველყოფილ იქნას გონივრული მართვა და, საჭიროების შემთხვევაში, დროული ღონისძიებების გატარება. ეს ანალიზი გამოიყენება მარეგულირებელ მოთხოვნებამდე შესაბამისი რისკის აპეტიტის ბუფერების ადგილობრივად განსაზღვრად. ბანკი რეგულარულად ატარებს სხვადასხვა მიზანზე ორიენტირებულ სტრეს-ტესტებს. ისინი რეგულარულად ტარდება, დაგეგმილი ან დაჩქარებული წესით, კონკრეტული სტრესის შემცველი გარემოს სიმძლავრის შესაფასებლად. სხვა მიზნებთან ერთად, სტრეს-ტესტები ტარდება კაპიტალის ადეკვატურობის შიდა შეფასების პროცესის (ICAAP), მარეგულირებლის მიერ ჩატარებული სტრეს-ტესტების და გაჯანსაღების გეგმის განხორციელების მიზნით. მარეგულირებლის მიერ ჩატარებული სტრეს-ტესტის მნიშვნელოვანი მიზანია წმინდა სტრეს-ტესტის ბუფერის განსაზღვრა კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური მოთხოვნის ჩარჩოს ფარგლებში. 2018 წლიდან მარეგულირებლის მიერ ჩატარებული სტრეს-ტესტები რეგულარული პერიოდულობით ტარდება და წარედგინება. მარეგულირებლის ბოლო სტრეს-ტესტი 2023 წელს ჩატარდა. კაპიტალის ადეკვატურობის შიდა შეფასების პროცესის მიზანია ბანკის წინაშე მდგარი ყველა არსებითი რისკის გამოვლენა და ამ რისკებზე რეაგირებისთვის საჭირო კაპიტალის შესახებ ადგილობრივი შეხედულების შექმნა. კაპიტალის ადეკვატურობის შიდა შეფასების პროცესის მიზანია ბანკის საქმიანობის უწყვეტობის ხელშეწყობა კაპიტალის პერსპექტივით, რაც უზრუნველყოფილი იქნება იმით, რომ მას ექნება სათანადო რაოდენობის კაპიტალი რისკებთან გასამკლავებლად, ზარალის ასათვისებლად და მდგრადი სტრატეგიის დასაცავად, სტრესული პერიოდის განმავლობაშიც კი. გაჯანსაღების გეგმის ფარგლებში სტრეს-ტესტი გულისხმობს მეტად მკაცრ სტრესულ სცენარებს, რომლებიც კონკრეტულად მიმართულია მარეგულირებლის მოთხოვნების დარღვევაზე და ბანკის უნარის შეფასებაზე ადადგინოს კაპიტალის პოზიცია გონივრულ ვადებში სიცოცხლისუნარიანი ადდგენის შესაძლებლობების დახმარებით. რისკის აპეტიტის და კაპიტალის დაგეგმვის პროცესში, ბანკი ცალკე ბუფერის სახით განსაზღვრავს კაპიტალს, ადგილობრივი ვალუტის ცვალებადობის კონკრეტული რაოდენობის შესანარჩუნებლად.

კაპიტალის ადეკვატურობა

ბანკის მიზანია, კაპიტალის მართვის თვალსაზრისით, შეინარჩუნოს კაპიტალის შესაბამისი დონე ბიზნეს სტრატეგიის მხარდასაჭერად, მარეგულირებლის და სტრეს-ტესტთან დაკავშირებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ასევე ბანკის ფუნქციონირებად საწარმოდ მუშაობის გაგრძელების უნარის დასაცავად.

2023 წლის განმავლობაში ბანკი აკმაყოფილებდა კაპიტალთან დაკავშირებულ ყველა შიდა და გარე მოთხოვნას.

2017 წელს სებ-მა განახორციელა ცვლილებები რეგულაციაში კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებთან დაკავშირებით. ცვლილებები მოიცავდა კომერციული ბანკებისთვის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებთან დაკავშირებით შესწორებებს რეგულაციაში და ახალი მოთხოვნების შემოღებას (i) კომერციული ბანკებისთვის პილარ 2-ის ფარგლებში დამატებითი კაპიტალის ბუფერის მოთხოვნების განსაზღვრის, (ii) კონტრციკლური ბუფერის განაკვეთის განსაზღვრის და (iii) სისტემური მნიშვნელობის კომერციული ბანკების იდენტიფიცირების და განსაზღვრის შესახებ. აღნიშნული ცვლილებების მიზანია ბანკის საზედამხედველო კაპიტალის ხარისხის გაუმჯობესება და უკეთესი შესაბამისობის მიღწევა Basel III-ის ჩარჩოსთან.

2020-2022 წლებში სებ-მა შეიმუშავა ფასს სტანდარტებზე გადასვლის კონცეფცია და ცვლილებები. 2023 წლის იანვარში ფასს სტანდარტებზე გადასვლის პროცესის ხელშეწყობასთან ერთად, სებ-მა მიიღო კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებთან დაკავშირებული დადგენილებების ცვლილება. ამ ახალი ცვლილებების თანახმად კომერციულმა ბანკებმა უნდა დააკმაყოფილონ სამეთვალყურეო რეგულაციები ფასს-ებზე დაფუძნებული ციფრებისა და მიდგომებისათვის. ფასს სტანდარტებზე გადასვლის პროცესში სებ-მა დაწერა საკრედიტო რისკის

კორექტირების (CRA) ბუფერი. CRA ბუფერი დაინერგა პილარ 2-ის მოთხოვნების სახით და სრულად განისაზღვრა ძირითად პირველად კაპიტალად.

2023 წლის იანვარში სებ-მა შეცვალა სისტემური რისკის ბუფერის დაანგარიშების მეთოდოლოგია. ახალი მეთოდოლოგიის თანახმად სს „თიბისი ბანკისთვის“ მიმდინარე სისტემური რისკის ბუფერმა 2.5% შეადგინა და შესაძლოა 0,5%-ით გაიზარდოს, თუ ბანკის არასაბანკო დეპოზიტების ბაზრის წილი წინა სამთვიან პერიოდში 40%-ს გადააჭარბებს. ბანკმა უნდა დააკმაყოფილოს გაზრდილი მოთხოვნები 12-თვიან პერიოდში, სანამ წინა 12-თვიანი პერიოდის ბაზრის საშუალო წილი 40%-მდე არ დაეცემა.

2023 წლის მარტში სებ-ის ფინანსური სტაბილურობის კომიტეტმა გადაწყვიტა კონტრციკლური ბუფერის ნეიტრალური (საბაზისო) განაკვეთი 1%-ით განესაზღვრა. ბანკებს აქვთ ვალდებულება დააგროვონ კონტრციკლური კაპიტალის ბუფერი წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად: 0,25% 2024 წლის მარტისთვის, 0,50% 2025 წლის მარტისთვის, 0,75% 2026 წლის მარტისთვის და სრულად ეტაპობრივი 1% 2027 წლის მარტისთვის. კონტრციკლური ბუფერი შესაძლოა გაიზარდოს ძლიერი საკრედიტო აქტივობის დროს და შეჩერდეს სტრესულ პერიოდებში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტები და მინიმალური მოთხოვნები:

| ათას ლარში | 31-დეკ-23 | 31-დეკ-22 | 31-დეკ-21 |
|---|------------------|------------------|------------------|
| ძირითადი პირველადი კაპიტალი | 4,235,033 | 3,333,039 | 2,759,894 |
| ძირითადი კაპიტალი | 4,772,913 | 3,873,439 | 3,379,414 |
| მეორადი კაპიტალი | 601,388 | 643,086 | 723,513 |
| მთლიანი საზედამხედველო კაპიტალი | 5,374,301 | 4,516,525 | 4,102,927 |
| რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები: | | | |
| საკრედიტო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები | 21,018,445 | 18,818,597 | 18,091,753 |
| საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები | 69,879 | 86,250 | 21,981 |
| საოპერაციო რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები | 3,248,365 | 2,603,225 | 2,103,895 |
| რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციები | 24,336,690 | 21,508,072 | 20,217,629 |
| <i>მინიმალური ძირითადი პირველადი კაპიტალის მოთხოვნა</i> | 14.3% | 11.6% | 11.7% |
| ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი | 17.4% | 15.5% | 13.7% |
| მინიმალური პირველადი კაპიტალის კოეფიციენტის მოთხოვნა | 16.6% | 13.8% | 14.0% |
| <i>ძირითადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი</i> | 19.6% | 18.0% | 16.7% |
| მინიმალური მთლიანი საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტის მოთხოვნა | 19.8% | 17.3% | 18.4% |
| სულ კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი | 22.1% | 21.0% | 20.3% |

ლარის ცვალებადობა რჩება ერთ-ერთ მნიშვნელოვან რისკად, რომელიც გავლენას ახდენს ბანკის საზედამხედველო კაპიტალზე. 10% ლარის გაუფასურება განაპირობებს 0.8pp, 0.7pp და 0.6 pp კლებას ბანკის ძირითადი პირველადი, პირველადი და მთლიანი საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტებში, შესაბამისად.

კაპიტალის ადეკვატურობის ლიმიტების განსაზღვრება

რისკის აპეტიტის ფარგლებში, ბანკი ადგენს დამატებით ბუფერს საზედამხედველო მინიმუმის მოთხოვნაზე მეტი ოდენობით ძირითადი პირველადი კაპიტალის, პირველადი კაპიტალი და მთლიანი კაპიტალისთვის. რისკის აპეტიტის ლიმიტები ეფუძნება არასტაბილურობის დრაივერების და ბანკის რისკ-პროფილის საფუძვლიან ანალიზს. ლიმიტების დადგენის პროცესში ბანკი ითვალისწინებს მომავალზე ორიენტირებულ ელემენტებს, რომლებიც უკავშირდება: ეკონომიკურ პროგნოზს, ბანკის ფინანსურ მდგომარეობას, კაპიტალის დაგეგმილ განაწილებებს, სტრესის და განუსაზღვრელობების პოტენციურ გავლენებს და სხვა.

ბანკს აქვს რისკს, რომ სტრატეგიული ინიციატივები არ შექმნის გრძელვადიან ღირებულებას მისი დაინტერესებული მხარეებისთვის

ბანკს შესაძლოა ჰქონდეს ბიზნეს სტრატეგიის განვითარების რისკი, რომელიც უზრუნველყოფს ღირებულების შექმნის მხარდაჭერას, მომხმარებელთა ცვალებად საჭიროებებზე მორგებას, ამაღლებულ კომპეტენციას და მარეგულირებელ შეზღუდვებს. ამასთან, ეკონომიკური და სოციალური დარღვევებით გამოწვეულმა განუსაზღვრელობებმა, როგორც არის მიმდინარე ომი უკრაინაში, შესაძლოა ხელი შეუშალოს ბანკის მიერ თავისი

სტრატეგიის დროულად განხორციელებას, რითაც პოტენციურად საფრთხეს შეუქმნის გრძელვადიანი ღირებულების შექმნის უნარს.

რისკების შესამსუბუქებლად ბანკი მრავალმხრივ მიდგომას იყენებს. ჩვენი სტრატეგიული პორტფელის შექმნაზე უპირატესად მოქმედებს ბანკის სტრატეგია გააფართოოს და გაამრავალფეროვნოს ჩვენი ბიზნესის შემოსავლის წყაროები. სტრატეგიის განხორციელებისას დეტალური ზედამხედველობა ხორციელდება, რაც მოიცავს სამეთვალყურეო საბჭოს, აღმასრულებელ და საშუალო რგოლის ხელმძღვანელობას. ეს სესიები მნიშვნელოვან საკონტროლო წერტილებს წარმოადგენს ჩვენს სტრატეგიულ გრძელვადიან მიზნებთან შესაბამისობის და ჩვენი კომპანიის მართვის პრინციპების განხორციელების უზრუნველსაყოფად, რომლებიც ჩვენს კურსს განსაზღვრავენ. გარდა ამისა, სტრატეგიული პროექტების შესრულების მარშრუტების მონიტორინგი ვრცელდება კვარტალურ ანალიზებზე და საზომი მექანიზმების მიკვლევადობაზე, რომელიც სტრატეგიის განხორციელებას აფასებს. მნიშვნელოვანი გადახრების შემთხვევაში სასწრაფოდ განხორციელდება პრევენციული და მიტიგაციის ღონისძიებები.

ბანკს აქვს რისკები, რომლებიც დაკავშირებულია მის უნართან მოზიდოს და დაიჭიროს მაღალკვალიფიციური თანამშრომლები

დიგიტალიზაციაზე ბანკის სულ უფრო მზარდი ყურადღების საფუძველზე, მას ინფორმაციული ტექნოლოგიების სულ უფრო მეტი პროფესიონალი სჭირდება სხვადასხვა დეპარტამენტში. ეს ცვლილება ზრდის მნიშვნელოვანი პერსონალის პოტენციური დაკარგვის რისკს უაღრესად კონკურენტული ტექნოლოგიური ვაკანსიების ბაზარზე. ეს გამოწვევა ვრცელდება არა მხოლოდ ამ ღირებული თანამშრომლების შენარჩუნებაზე, ასევე ახალი, კვალიფიციური პირების მოზიდვაზე, განვითარებასა და შენარჩუნებაზე. უაღრესად მნიშვნელოვანია ეს თანამშრომლები ბანკის მიზნებს აკმაყოფილებდნენ. ვითარება საჭიროებს სტრატეგიულ დაგეგმვას კადრების მართვის მიმართულებით, რათა ეს რისკი ეფექტურად იმართებოდეს ბანკის ციფრული ევოლუციის მხარდაჭერასთან ერთად.

ბანკის მიზანია განახორციელოს სწრაფად ცვალებადი ბიზნეს გარემოსთან ადაპტირება, ლიდერობის შესაძლებლობების ზრდა, თანამშრომლების ჩართულობის მაღალი დონის მიღწევა და მათი საჭირო უნარებით აღჭურვა. ამ მხრივ, ბანკი აქტიურად აკონტროლებს შრომის ბაზარს როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, პროაქტიულად ასაქმებს საუკეთესო კანდიდატებს და აფართოებს მნიშვნელოვანი პერსონალის ქსელებს. ჩვენ ვეძებთ ნიჭიერი თანამშრომლების ძლიერ საერთაშორისო ქსელს პოტენციურ კანდიდატებთან, მათ შორის სხვადასხვა პროფილის მქონე პასიური სამსახურის მაძიებლებთან რეგულარული კომუნიკაციით. ჩვენ ვმუშაობთ საერთაშორისო მასშტაბით მომხიბვლელი დამსაქმებლის სახელის დამკვიდრებაზე. ბანკი ყველა დასაქმებულს თანაბრად და სამართლიანად ექცევა და ეხმარება და კურირებს მათ წარმატების მიღწევის საქმეში.

ჩვენ ვაძლიერებთ ჩვენი გუნდის წევრებს მიმდინარე სწავლების ხელშეწყობისთვის შექმნილი ძლიერი ინსტრუმენტებით და ჩარჩოებით, რომლებსაც უკუკავშირის განვითარებული მექანიზმის მხარდაჭერა აქვს. ჩვენი ვალდებულება ვრცელდება საერთაშორისო ზრდის და ჩვენი პერსონალის გაფართოების ხელშეწყობაზე. უფროსი რგოლის ფუნქციებისთვის, ჩვენ შევქმენით „წარმატებული დაგეგმვის ჩარჩო“, რომელიც მიმართულია ჩვენი თანამშრომლებისთვის უხარვეზო გადასვლის და განვითარების პერსპექტივების შეთავაზებაზე. გარდა ამისა, ჩვენ დავნერგეთ ნიჭის მართვის ჩარჩო, რომელიც სისტემატურად ახდენს ჩვენს ორგანიზაციაში იმედისმომცემი ნიჭის გამოვლენას და განვითარებას, რაც უზრუნველყოფს ბანკში მუდმივ ზრდას და პროგრესს. 2019 წლიდან ჩვენი შიდა IT აკადემია გადაიქცა ტექნოლოგიური განათლების ჰაბად, რომელიც სთავაზობს კურსებს ფრონტ-ენდ და ბექ-ენდ განვითარებისთვის, DevOps, და სხვა თემებზე. ეს კურსები ხელმისაწვდომია როგორც ჩვენი თანამშრომლებისთვის, ასევე პოტენციური კანდიდატებისთვისაც. გამოცდილი პერსონალითა და ინდუსტრიის სპეციალისტებით, აკადემიამ 1,100 ფიზიკური პირი გადაამზადა ორგანიზაციის გარედან და 1,500 პირი, უშუალოდ ორგანიზაციიდან, რის შედეგადაც ბანკმა შეიძინა 300 გამოცდილი პროფესიონალი.

2023 წელს ჩვენმა IT აკადემიამ USAID-თან თანამშრომლობით (TBCxUSAID ტექნოლოგიური განათლების მხარდასაჭერად) წამოიწყო პროექტი, რომლის მიზანიც იყო 700-ზე მეტი მონაწილის გადამზადება ცხრა, ახლად შექმნილ კურსებზე. ჩვენ ასევე შევქმენით iOS ლაბორატორია. ეს პროექტი ორიენტირებულია ქალთა გაძლიერებასა და რეგიონალურ ტერიტორიებზე წვდომაზე.

კურსებისთვის შერჩეულ კანდიდატებს ჰქონდათ შესაძლებლობა გამხდარიყვნენ მაღალანაზღაურებადი პროფესიონალები საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში, სასწავლო ბანაკებში, პრაქტიკულ ლექციებზე, მენტორთა სესიებსა და რეალურ პროექტებში მუშაობის გზით, სს „თიბისი ბანკის“ წამყვანი სპეციალისტების ხელმძღვანელობის ქვეშ. კურსების განახლება ხდება ტოპ-მენეჯმენტთან კონსულტაციებით, რაც საშუალებას გვაძლევს სფეროში არსებული უახლესი ტენდენციები დავწეროთ სასწავლო პროცესში.

IT აკადემია ასევე საშუალებას აძლევს ბანკს არსებული თანამშრომლების ტექნოლოგიური უნარების განვითარების საშუალებას, ამ გზით გახადოს ისინი ტექნოლოგიებზე დაფუძნებული პროფესიონალები და განახორციელონ მათი ყოველდღიური სამუშაოს დიგიტალიზაცია და ავტომატიზაცია.

ბანკს აქვს მოდელის რისკი

სტატისტიკური, მანქანური სწავლება და ხელოვნური ინტელექტის მოდელები სულ უფრო ხშირად გამოიყენება მნიშვნელოვან ბიზნეს-პროცესებში მონაცემთა დამუშავების, დიდი ტექნოლოგიების და მონაცემთა მოწინავე მოდელირების ტექნიკების სწრაფი ადაპტაციის გამო. მარეგულირებელი სახელმძღვანელო პრინციპების და საუკეთესო პრაქტიკების მიხედვით, ბანკი განსაზღვრავს მოდელს, როგორც რაოდენობრივ მეთოდს, სისტემას ან მიდგომას, რომელიც იყენებს სტატისტიკურ, ეკონომიკურ, ფინანსურ ან მათემატიკურ თეორიებს, ტექნიკებს და დაშვებებს შემავალი მონაცემების რაოდენობრივ მაჩვენებლებად გარდაქმნისთვის. ბანკმა ასევე შეიმუშავა მოდელის იდენტიფიცირების სტანდარტები, მოდელის განმარტების ოპერაციონალიზაციის მიზნით.

მოდელებზე მზარდი ნდობა ზრდის მოდელის რისკის პროაქტიული მართვის საჭიროებას. ბანკი განსაზღვრავს მოდელის რისკს, როგორც ნეგატიური შედეგების რისკს (მაგ., ფინანსური ზარალი, რეპუტაციის დაზიანება და ა.შ.), რომელიც წარმოიშობა არასწორად შემუშავებულ, განხორციელებულ ან გამოყენებულ მოდელებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებებიდან.

მოდელის რისკის მართვის (MRM) ფუნქცია დაცვის მეორე ხაზს წარმოადგენს და პასუხს აგებს ბანკში მოდელის რისკის იდენტიფიცირებაზე, შეფასებასა და მართვაზე. მოდელის რისკის მართვა ორ კომპონენტს მოიცავს - მართვა და შემოწმება. მოდელის რისკის მართვის კომპონენტი შეიმუშავებს და ნერგავს პოლიტიკას, რისკის აპეტიტს და სტანდარტებს, რომლებიც განსაზღვრავენ სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ფუნქციებს და პასუხისმგებლობებს და მოიცავს მოდელის არსებობის ყველა ეტაპს, დაგეგმვიდან და შემუშავებიდან მოდელის საწყის შემოწმებამდე, მოდელის გამოყენებამდე, მოდელის მონიტორინგამდე, მიმდინარე მოდელის შემოწმებასა და მოდელის გაუქმებამდე. ის ასევე პასუხს აგებს მოდელის ინვენტარის მართვაზე, და მოდელის რისკის აპეტიტის ფარგლებში შენარჩუნებაზე. მოდელის რისკის მართვის ფუნქციის შემოწმების კომპონენტი პასუხს აგებს კონცეპტუალური და ტექნიკური მოდელის შემოწმებაზე, მმართველი კომპონენტის მიერ შემუშავებული და დანერგილი პოლიტიკის და სტანდარტების შესაბამისად.

მოდელის რისკის შესამსუბუქებლად, მოდელის რისკის მართვის ფუნქცია იყენებს რისკზე დაფუძნებულ მიდგომას მოდელის შემოწმების პროცესებში. მოდელის რისკის გამოვლენა ხდება მოდელის საწყისი და მიმდინარე შემოწმების პროცესში. მოდელის რისკის მიტიგაციის და მისი რისკის აპეტიტის ფარგლებში შენარჩუნების კონტრლონისმიერები დამოკიდებულია გამოვლენილი რისკის ხასიათზე და შესაძლოა მოიცავდეს ისეთ მოქმედებებს, როგორც არის შემოწმების სიხშირის და/ან სიღრმის ზრდა და მოდელის დაკალიბრება ან გარდაქმნა.

ბანკი რისკის იდენტიფიცირებას მონაცემებზე მზარდი დამოკიდებულებით ახდენს

ბანკის შიგნით მონაცემთა მართვის და ხელმძღვანელობის სფეროში, მნიშვნელოვანია ორი რისკი, რომელთაგან თითოეული უნიკალურ გამოწვევებს უქმნის ბანკის საინფორმაციო აქტივების შენარჩუნებას და ქმედითობას. პირველი რისკი უკავშირდება მონაცემთა ხარისხის მნიშვნელოვან საჭიროებას, გადაწყვეტილების მიღების უზარველო პროცესის ქვაკუთხედს, საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობას და საერთო რისკის მართვას. ეს გამოწვევა სხვადასხვა წყაროებიდან მომდინარეობს, მოიცავს ხარვეზებს მონაცემების შეყვანის პროცესში, სტანდარტიზებული ფორმატების ნაკლებობას და მონაცემთა წყაროებში არსებულ შეუსაბამობებს. მონაცემთა ხარისხის კლების შედეგები მოიცავს ფინანსურ ზარალს, საოპერაციო არაეფექტურობას, მარეგულირებელ მოთხოვნებთან შეუსაბამობას და რეპუტაციულ ზიანს. შემდგომში კომპლექსურობა მაღლდება დინამიკური ბაზრის გარემოში, რაც წარმოქმნის ძლიერი მექანიზმების საჭიროებას მონაცემთა შემოწმებისა და გასუფთავებისთვის.

ამავდროულად, ბანკს წარმოემოხა მეორე მნიშვნელოვანი რისკი, რომელიც უკავშირდება ვადაგასულ და ზოგჯერ მოძველებულ ინფრასტრუქტურას. მოძველებული სისტემები, რომლებიც ვადაგასული ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფით ხასიათდებიან, დიდ გამოწვევას წარმოადგენს მონაცემების უზარველო ნაკადისა და მოწინავე ტექნოლოგიების მიღებაში. რისკი ძლიერდება ტექნოლოგიების სწრაფი განვითარებით, რაც მოძველებულ ინფრასტრუქტურას მოწყვლადს ხდის უსაფრთხოებასთან და შესაბამისობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პრობლემების მიმართ. გარდა ამისა, ვადაგასული სისტემების შეზღუდული მასშტაბირება ხელს უშლის ბანკის უნარს ეფექტურად დაამუშავოს და შეაფასოს დიდი რაოდენობით მონაცემები, რითაც გავლენას ახდენს ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო ტემპზე სწრაფ და განვითარებულ ფინანსურ ლანდშაფტში.

მონაცემების რისკების მიტიგაცია საჭიროებს ბანკის საჭიროებებზე მორგებულ გლობალურ და სტრატეგიულ მიდგომას. მონაცემების ხარისხთან დაკავშირებულ გამოწვევებთან გასამკლავებლად ბანკი იღებს მონაცემთა ხარისხის მართვის მოწინავე სისტემებს, იყენებს მონაცემთა პროფილირების ტექნოლოგიებს და აძლიერებს მონაცემთა მართვის მკაცრ პოლიტიკებს. სტრატეგიულ ინვესტიციებს ისეთ ტექნოლოგიებში, როგორც არის მანქანური სწავლება და ხელოვნური ინტელექტი, შეუძლია მონაცემებთან დაკავშირებული ანომალიების დაფიქსირების და გამოსწორების ავტომატიზაცია, ასევე პროაქტიული პოზიციის ხელშეწყობა ზუსტი და თანმიმდევრული მონაცემების შენარჩუნების მიმართულებით. ორგანიზაციის შიგნით მონაცემებზე დაფუძნებული კულტურის ხელშეწყობა, მონაცემების განსაზღვრის და დოკუმენტირების მკაფიო პრაქტიკებთან ერთად, ხელს უწყობს გამჭვირვალობას და მიკვლევადობას.

მოძველებულ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული რისკების დაძლევის პროცესში, ბანკმა გამოიყენა სტრატეგიული და ეტაპებად დაყოფილი მოდერნიზაციის მიდგომა. ისეთ თანამედროვე ტექნოლოგიებში ინვესტირებას, როგორც არის “cloud” ანგარიში და ვირტუალიზაცია, დიდი მნიშვნელობა აქვს გაზრდილი მოქნილობის, მასშტაბირებისა და უსაფრთხოებისთვის. არსებული ინფრასტრუქტურის სრულყოფილი შეფასება, მიგრაციისა და განახლების გეგმასთან ერთად, სისტემატური გადასვლის საშუალებას იძლევა კრიტიკული ოპერაციების გარეშე. DevOps პრაქტიკების გამოყენება ამარტივებს უწყვეტ ინტეგრაციას და დანერგვას, ხელს უწყობს მოქნილობის და ადაპტირების კულტურას. ამ პროაქტიული ღონისძიებებით, ბანკი ახდენს პოზიციონირებას ახალი შესაძლებლობებიდან სარგებლის მიღების გზით, ამავდროულად მონაცემთა ხარისხის გაუარესებასა და მოძველებულ ტექნოლოგიურ საფუძვლებთან დაკავშირებული რისკების ეფექტურად მიტიგაციის გზით.

ბანკს აქვს იურიდიული რისკი

იურიდიული რისკი გულისხმობს ფინანსური თუ რეპუტაციის დაკარგვის შესაძლებლობას, რომელიც გამოწვეულია ჯარიმებით, ზიანებით, პირგასამტეხლობით და ფინანსური ზიანის სხვა ფორმებით, რაც მოქმედებს ან შესაძლოა ჰქონდეს ზემოქმედება ბანკსა და/ან მის თანამშრომლებზე, ბიზნეს-ლაინებზე, ოპერაციებზე, პროდუქტებსა და/ან სერვისებზე, ბანკის მიერ იურიდიული ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგებზე, მათ შორის მარეგულირებელ, სახელშეკრულებო ან არასახელშეკრულებო მოთხოვნების ჩათვლით.

იურიდიული ფუნქცია, როგორც დაცვის მეორე ხაზი ბანკში ინტეგრირებულ დამოუკიდებელ ფუნქციას წარმოადგენს. ბანკის საქმიანობებს და მიმართულებებს აქვთ პასუხისმგებლობა გამოავლინონ და რეაგირება მოახდინონ იურიდიულ რისკზე, თავის მოღვაწეობის სფეროში, იურიდიულ ფუნქციამდე.

იურიდიული ფუნქციის ვალდებულებაა (ა) მართოს (მათ შორის აღკვეთოს) იურიდიული რისკები; (ბ) განახორციელოს ბანკის საქმიანობის შესაბამისი კანონმდებლობების და ნორმატიული აქტების ინტერპრეტირება და იურიდიული კონსულტაცია და ხელმძღვანელობა გაუწიოს ბანკს. იურიდიული რისკის მართვა მოიცავს შესაბამისი იურიდიული რისკის პოლიტიკების განსაზღვრებას, ბანკის რისკის აპეტიტის შემუშავებას იურიდიული რისკისთვის და იურიდიული რისკის მართვისა და აღკვეთისთვის კონტროლის მექანიზმების დანერგვის ზედამხედველობა. იურიდიული ფუნქციის საკონსულტაციო პასუხისმგებლობა იურიდიული კონსულტაცია გაუწიოს აღმასრულებელ თანამშრომლებს და სამეთვალყურეო საბჭოს, უმაღლესი სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი ფორმით.

იურიდიული ფუნქციის უფროსი ხელმძღვანელობა იურიდიული რისკის პროფილის და ბანკში იურიდიული რისკის მართვის გარემოს ეფექტურობის ზედამხედველობას, მათზე რეაგირებასა და მონიტორინგს ახორციელებს. იურიდიული რისკის პროფილს და კონტროლის გარემოს გადახედვა ხდება ბიზნეს რისკის კომიტეტის და მართვის კომიტეტების ფარგლებში. ბანკის რისკების კომიტეტი არის ყველაზე მაღალი რგოლის აღმასრულებელი უწყება, რომელიც პასუხს აგებს ბანკში იურიდიული რისკის მართვის მონიტორინგსა და ეფექტურობაზე.

ბანკს აქვს ქცევის რისკი

ქცევის რისკი განიმარტება, როგორც სამართლიანი შედეგების ვერ მიღება მომხმარებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის. ბანკის ქცევის კოდექსი წარმოადგენს მორალურ ორიენტირს მთელი პერსონალისთვის და ადგენს მაღალ ეთიკურ სტანდარტებს, რომლებიც თითოეულმა თანამშრომელმა უნდა დაიცვას. ბანკის თანამშრომლები პატიოსნად და სამართლიანად ასრულებენ მათზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას. თანამშრომლებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ ბანკის ოპერაციებისადმი ნდობისა და დამაჯერებლობის შენარჩუნებაში, ასევე ისეთი ღირებულებების დაცვაში, როგორც არის ნდობა, ერთგულება, წინდახედულობა და ზრუნვა.

გარდა ამისა, ბანკის ხელმძღვანელობა აღიარებს ადგილობრივი და გლობალური ინვესტორების ფართო სპექტრის მნიშვნელობას. ბანკი ხაზს უსვამს ნორმატიული დოკუმენტების და პროტოკოლების მოთხოვნების დაცვის მნიშვნელობას მომხმარებლების უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ინვესტორთა ნდობისა და ბაზარზე სტაბილურობის შესანარჩუნებლად. ბანკის დირექტორებს აქვთ ვალდებულება შექმნან ლიდერობის ძლიერი გარემო, გამოავლინონ კარგი ქცევის პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს დაწესებულების ოპერაციებს.

ქცევის რისკის მართვისას ბანკი სხვადასხვა დეპარტამენტს და განყოფილებას ავალეებს ქცევის რისკის მართვას, შერბილებასა და კლიენტებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობაში ქცევის რისკის პრევენციას ბანკის მასშტაბით განხორციელებულ ოპერაციებში. შესაბამისობის უზრუნველყოფისა, ადამიანური კაპიტალის და საოპერაციო რისკის დეპარტამენტები ერთმანეთთან თანამშრომლობენ, რათა შექმნან ქცევის რისკის მართვის გაერთიანებული ჩარჩო და დახმარება გაუწიონ ბიზნეს-გუნდებს და დეპარტამენტებს შემდეგი მიმართულებით:

1. პოლიტიკებისა და პროცედურების დანერგვა და მართვა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისი დეპარტამენტებისა და ინდივიდუალური თანამშრომლების მიერ მარეგულირებელი დებულებების, საუკეთესო პრაქტიკის, ქცევის კოდექსისა და ეთიკის კოდექსის დაცვა;
2. შესაბამისობის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან მუდმივი თანამშრომლობა პოლიტიკების და პროცედურების ადმინისტრირებასთან და დეპარტამენტის ქცევის, მისი მენეჯერების და/ან თანამშრომლების შესახებ საჩივრების გამოძიებასთან დაკავშირებით;
3. იმის უზრუნველყოფა, რომ მომხმარებლებისათვის წინა ხაზის თანამშრომლების მიერ პროდუქტის შესახებ მიწოდებული ინფორმაცია იყოს ზუსტი და სრული, ეს ინფორმაცია გადაიცეს (როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით) მარტივად და გასაგებად, მომხმარებლის კატეგორიის მიუხედავად;
4. კლიენტებთან ურთიერთობა და ელ. გზავნილების ჩანაწერების შენახვა, რომლებიც შეიცავენ სენსიტიურ და გაყიდვებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, მათ შორის ინფორმაციას ახალი კლიენტების მოზიდვის და რთული პროდუქტების შეთავაზების თაობაზე;
5. ბანკში შესაბამისობასთან დაკავშირებული მოქმედი სტანდარტების თაობაზე ყველა თანამშრომლისთვის პერიოდული ტრენინგის ჩატარების გზით, ჩვენ უზრუნველვყოფთ ახალი თანამშრომლების სათანადო ქცევის ცოდნას;
6. გულახდილობის კულტურის შექმნის გზით, რაც თანამშრომლებს წახალისებს ისაუბრონ გულახდილად დასჯის შიშის გარეშე, ჩვენ ვახორციელებთ ინტერესთა კონფლიქტის პრევენციას და დაფიქსირებას, ვქმნით მორალურ საინიციატივო პროგრამებს და ვქმნით ბონუსებს, ასევე ვახორციელებთ რისკის შესაბამის ინიციატივას და დისციპლინარულ პოლიტიკას ბანკისთვის;
7. მნიშვნელოვანი დროის და ძალისხმევის ინვესტირება გაყიდვების და გაყიდვის შემდგომი აქტივობების კვლევის, ანალიზის, განხორციელების და მონიტორინგისთვის, მოთხოვნილ სამუშაო უნარებში სათანადო ქცევის გამოყენება, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ ქცევის რისკს არა მხოლოდ რისკის მართვის ერთეულები, არამედ შესაბამისობის დეპარტამენტებიც მართავენ.

ახალი რისკები

ახალი რისკები მოიცავს უცნობ კომპონენტებს და შესაძლოა იმოქმედონ ბანკის საქმიანობის ეფექტურობაზე გრძელვადიან პერსპექტივაში. ჩვენ ვთვლით, რომ აღნიშნულ რისკებს მნიშვნელოვანი ზრდის პოტენციალი აქვთ და, როგორც ძირითადად რისკებმა, შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ ბანკზე.

ბანკის საქმიანობის შედეგებს შესაძლოა საფრთხე შეუქმნას რეგიონში განვითარებულმა ნეგატიურმა მოვლენებმა, კერძოდ, უკრაინის ომმა და გეოპოლიტიკური კრიზისის შესაძლო გავრცელებამ და/ან საქართველოდან მიგრანტების პოტენციურმა გადინებამ, ასევე შუა აზიაში სამხედრო ესკალაციამ, რასაც შესაძლოა არსებითი გავლენა ჰქონდეს საოპერაციო გარემოზე საქართველოში.

ბანკის მუშაობის მაჩვენებლები დიდად არის დამოკიდებული საქართველოს ბაზარზე მიმდინარე გეოპოლიტიკურ მოვლენებზე.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკონომიკაში შემომავალი ფულადი ნაკადები საკმაოდ დივერსიფიცირებულია, ქვეყანა კვლავ მოწყვლადია მის რეგიონში გეოპოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენების განვითარებების მიმართ. კერძოდ, უკრაინაში რუსეთის შეჭრას და შედეგად რუსეთისთვის და კონკრეტული რუსი მოქალაქეებისთვის დაწესებულ სანქციებს და მომატებულ განუსაზღვრელობებს შესაძლოა უარყოფითი გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე. ქვეყანაზე ასევე მოქმედებს განახლებული სამომხმარებლო კონფლიქტი რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ხოლო რამდენიმე შედარებით მოშორებულმა კონფლიქტებმა, როგორც არის შუა აზიაში განვითარებული ვითარებები, საქართველოს ეკონომიკაზე შეიძლება იმოქმედოს აშშ-დოლარის გამყარებით, ნავთობზე მაღალი ფასებით, მიგრაციის ნაკადებით და ა.შ.

რადგან შემომავალი მიგრაციის ეფექტი განაგრძობს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას ეკონომიკურ საქმიანობაში, ნებისმიერმა მნიშვნელოვანმა გადინებამ შეიძლება გამოიწვიოს ბიზნეს გარემოს გაუარესება. სავარაუდოდ საპირისპირო ვითარება იქნება კონფლიქტის სწრაფი მოგვარების ნებისმიერ სცენარში, რომელიც შექმნის დადებით შედეგებს, როგორც არის რუსეთსა და უკრაინაში ზრდის ძლიერი აღდგენა.

ამ რისკების მატერიალიზაციამ შესაძლოა მკაცრი საფრთხე შეუქმნას ეკონომიკურ საქმიანობას საქართველოში და ნეგატიური გავლენა ჰქონდეს ბანკის ბიზნეს-გარემოზე და კლიენტების და მომხმარებლების ბაზაზე.

ბანკი აქტიურად იყენებს სტრეს-ტესტის და რისკის შეფასებისა და მონიტორინგის სხვა ინსტრუმენტებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ მოხდეს ტრიგერების ადრეული იდენტიფიცირება და მათი კონკრეტულ სამოქმედო გეგმებად გარდაქმნა ბანკის საზედამბებლო კაპიტალზე, ლიკვიდობასა და პორტფელის ხარისხზე ნეგატიური გავლენის მინიმიზებისთვის. ამასთან, ბანკს აქვს გაჯანსაღების გეგმის ჩარჩო, რომელიც აღდგენის შესაძლებლობას აძლევს ექსტრემალური სტრესის ნაკლებ სავარაუდო შემთხვევებისთვის, რომელშიც შესაძლებელია დაირღვეს ლიკვიდობის მარეგულირებელი მოთხოვნები.

ბანკი აღიარებს კლიმატის ცვლილებით წარმოშობილ რისკებზე დაქვემდებარებას

კლიმატურ ცვლილებებთან დაკავშირებული რისკები ხასიათდება როგორც ფიზიკური ზემოქმედებით, რომელიც წარმოიშობა უფრო ხშირი და რთული მეტეოროლოგიური ცვლილებებით, ასევე გარდამავალი ზემოქმედებით, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს პოლიტიკურ, იურიდიულ და ტექნოლოგიურ ცვლილებებს საყოფაცხოვრებო და ბიზნეს-სექტორების გარემოზე ზემოქმედების შესამცირებლად. ბანკისთვის აღნიშნული რისკები შესაძლოა მატერიალიზდეს აქტივის ღირებულების გაუფასურებით და ჩვენი მომხმარებლების კრედიტუნარიანობის გაუარესებით, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ბანკის მომგებიანობის შემცირება. ბანკს ასევე, შეიძლება ჰქონდეს რეპუტაციის რისკი ისეთი მომხმარებლების დაკრედიტების ან მათთან სხვადასხვა ბიზნეს ოპერაციების შედეგად, რომლებიც მიიჩნევიან კლიმატური ცვლილებების ხელშემწყობებად.

ბანკს აქვს გარემოსდაცვითი და კლიმატის ცვლილების პოლიტიკა, რომელიც არეგულირებს მის გარემოსდაცვითი მართვის სისტემას („გმს“) და უზრუნველყოფს ჯგუფის ოპერაციების შესაბამისობას მოქმედ გარემოსდაცვით, ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და შრომის დაცვის რეგულაციებთან და პრაქტიკებთან. ჩვენ ვიღებთ ზომებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ჩვენმა მომხმარებლებმა ასევე შეასრულონ ეკოლოგიური და სოციალური პასუხისმგებლობები. ეკოლოგიური და სოციალური რისკის მართვა გათვალისწინებულია ჯგუფის დაკრედიტების პროცესში გმს-ის გამოყენების გზით. ბანკმა შეიმუშავა რისკის მართვის პროცედურა ეკოლოგიური და სოციალური

რისკების დადგენის, მართვის და მონიტორინგის მიზნით. აღნიშნული პროცედურები სრულად ინტეგრირებულია ბანკის საკრედიტო რისკის მართვის პროცესში. კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირების, შეფასებისა და მართვის მიზნით, ბანკმა დანერგა კლიმატური რისკის შეფასების მექანიზმი და ჩაატარა საერთო ანალიზი კლიმატთან დაკავშირებული ჩარჩოს სისრულის დონის განსასაზღვრად. საერთო ანალიზის პროცესმა მოიცვა არსებული პოლიტიკების და პროცედურების შეფასება, შემდგომი განვითარების სფეროების გამოვლენა და ხარვეზების ანალიზი. ამ ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა და კლიმატის სამოქმედო სტრატეგიაში აისახა ძირითადი სფეროები, ბანკის ბიზნეს-სტრატეგიის გათვალისწინებით. გარდა ამისა, ჩვენი გარემოსდაცვითი და კლიმატის ცვლილების პოლიტიკა სრულად შეესაბამება საქართველოს გარემოსდაცვით კანონმდებლობას და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკებს (პოლიტიკა სრულად ბმულზე: www.tbcbankgroup.com).

გარემოზე ბანკის დადებითი გავლენის გაზრდის და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული შედეგების მიტიგაციის მიზნით, ბანკმა ჩაატარა მაღალი დონის სექტორული რისკის შეფასება, რადგან სხვადასხვა სექტორი შესაძლოა მოწყვლადი იყოს სხვადასხვა კლიმატური რისკების მიმართ სხვადასხვა დროით ჰორიზონტში. 2022 წელს ჩვენ დავხვეწეთ კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნების სამიზნე ჯგუფის (TCFD) სტრუქტურა, განსაკუთრებით სტრატეგიული დაგეგმვის და რისკის მართვის მიმართულებით და ჩავატარეთ კლიმატური სტრეს-ტესტი. 2023 წელს ჩვენ გადავხედეთ ჩვენს კლიმატური სტრეს-ტესტის მოდელს, შესაბამის ვითარებებში ახალი მიდგომების გასათვალისწინებლად. კლიმატთან დაკავშირებული ჩვენი ფინანსური განმარტებითი შენიშვნების შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ 54-79 გვერდებზე.

ბანკი ორიენტირებულია კლიმატთან დაკავშირებული რისკების შესახებ ცოდნის გაღრმავებაზე და მათ გრძელვადიან გავლენაზე მომდევნო წლებში, რაც მას მისცემს საშუალებას შეიმუშაოს მიტიგაციის მიდგომები. გარდა ამისა, ბანკის პორტფელის ყველა სეგმენტი უმეტესწილად უზრუნველყოფილია, სასესხო პორტფელის დაახლოებით 79% უზრუნველყოფილია ნაღდი ფულით, უძრავი ქონებით და ოქროთი. რადგან უზრუნველყოფის შეფასების პროცედურა მონიტორინგს მოიცავს, უზრუნველყოფის ღირებულების ცვლილების ნებისმიერი საჭიროება მომდინარეობს უზრუნველყოფის მონიტორინგის ჩვენი რეგულარული პროცესიდან.

2023 წლის ივნისში ბანკმა გამოსცა მდგრადი განვითარების სრულმასშტაბიანი ანგარიში 2022 წლის შესახებ, გლობალური ანგარიშგების ინიციატივის (GRI) სტანდარტების შესაბამისად. გლობალური ანგარიშგების ინიციატივა (GRI) კერძო სექტორს ეხმარება, წარმოაჩინოს და გაიაზროს მისი როლი და გავლენა მდგრად განვითარების ისეთი მიმართულებების ჭრილში, როგორც არის კლიმატური ცვლილებები, ადამიანის უფლებები და მმართველობა. ანგარიში განკუთვნილია ყველა დაინტერესებული მხარისა და ბანკისთვის როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ანგარიში ორიენტირებულია მათთვის ცალსახა, ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაციის გაზიარებაზე 2022 წლის განმავლობაში ჩვენი საქმიანობის სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური გავლენის შესახებ. ანგარიშის მიზანია, წარმოაჩინოს ჩვენი განზრახვა, შევექმნათ ღირებულება ჩვენი თანამშრომლებისთვის, მომხმარებლებისთვის, მომწოდებლებისთვის, პარტნიორებისა და მთლიანად საზოგადოებისთვის. მდგრადი განვითარების 2022 წლის ანგარიში ხელმისაწვდომია ბმულზე: www.tbcbankgroup.com.

აღმასრულებელ დონეზე გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობითი და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ საკითხებზე პასუხისმგებლობა ეკისრება ESG მართვის კომიტეტს, რომელიც დირექტორთა საბჭომ 2021 წლის მარტში დააფუძნა და რომლის მოვალეობაა ESG და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული სამოქმედო სტრატეგიის განხორციელება და მნიშვნელოვანი პროექტებისთვის დეტალური წლიური და სხვა სამოქმედო გეგმების დამტკიცება. გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის კომიტეტი კვარტალში ერთხელ იკრიბება.

2022 წლის იანვარში ბანკმა საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს დონეზე დააფუძნა გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის და ეთიკის კომიტეტი, კომპანიის „სარკისებური საბჭოების“ სტრუქტურის შესაბამისად. ეს ასახავს „თიბისის“ კორპორაციული მართვის მნიშვნელობას და საბჭოს წევრებს აძლევს საშუალებას მეტი დრო და ყურადღება დაუთმონ გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით საკითხებს. კომიტეტი კლიმატთან დაკავშირებული საკითხების სტრატეგიულ ხელმძღვანელობას უზრუნველყოფს და ანგარიშვალდებულია საბჭოს წინაშე, რომელსაც საერთო ზედამხედველობის უფლებამოსილება აქვს. გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის საკითხების მართვის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის შესახებ ჩვენი სტრატეგიის გვერდებზე 51-54.

საკრედიტო რისკის მიტიგაცია

საკრედიტო რისკის მიტიგაციის მიზნით, ბანკი აქტიურად იყენებს სხვადასხვა ტიპის უზრუნველყოფას. ბანკში უზრუნველყოფად შესაძლოა გამოყენებულ იქნას უძრავ-მომრავი ქონება, არამატერიალური აქტივები, ფინანსური აქტივები, თავდებობა და მესამე მხარის გარანტია. ბანკს შემუშავებული აქვს საჭირო პროცესები, რათა უზრუნველყოფის ღირებულება სათანადოდ იყოს განსაზღვრული და ის ეფექტური ინსტრუმენტი იყოს საკრედიტო რისკის მიტიგაციისთვის.

მნიშვნელოვანი პოლიტიკები და პროცედურები უზრუნველყოფის მართვისა და შეფასებისთვის

სესხის უზრუნველყოფა წარმოადგენს ბანკისთვის საკრედიტო რისკის ყველაზე მნიშვნელოვან მიტიგაციის საშუალებას, ამიტომ უზრუნველყოფაში არსებული ქონების ეფექტური მართვა საკრედიტო რისკის მართვის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია. ბანკის მიერ გაცემული სესხების უზრუნველყოფა შეიძლება მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს შემდეგით: უძრავი ქონება, ფულადი დეპოზიტები, სატრანსპორტო საშუალებები, მოწყობილობა-დანადგარები, მარაგები, ძვირფასი ლითონები, ფასიანი ქაღალდები და მესამე პირის გარანტიები. სესხისთვის მიღებული უზრუნველყოფა დამოკიდებულია საკრედიტო პროდუქტის ტიპზე და მსესხებლის საკრედიტო რისკის პროფილზე. ბანკის პორტფელის ყველა სეგმენტი უმეტესწილად უზრუნველყოფილია, ხოლო უზრუნველყოფის საშუალებებში მნიშვნელოვან წილს წარმოადგენს უძრავი ქონება. უზრუნველყოფის მართვასთან დაკავშირებით ბანკის მიდგომებსა და სტრატეგიას მართავს უზრუნველყოფის მართვისა და შეფასების ცენტრალიზებული განყოფილება. აღნიშნული განყოფილება უზრუნველყოფს, რომ უზრუნველყოფის ობიექტი წარმოადგენდეს საკრედიტო რისკის მიტიგაციის ადეკვატურ საშუალებას. უზრუნველყოფის მართვის ჩარჩო მოიცავს გადაწყვეტილების მიღების პროცესს, დამოუკიდებელი შეფასების პროცესის არსებობას, შეკვეცის სისტემას დაფარვის პროცესის ფარგლებში, უზრუნველყოფის მონიტორინგს (მათ შორის გადაფასებას და სტატისტიკურ ანალიზს) და უზრუნველყოფის პორტფელის ანალიზს.

„უზრუნველყოფის მართვისა და შეფასების განყოფილება“ („CMAD“) ადგენს შემდეგი დოკუმენტების პროექტებს: უზრუნველყოფის მართვის პოლიტიკა (დამტკიცებულია „TBC PLC“-ის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ), უზრუნველყოფის მართვის პროცედურების სახელმძღვანელო (დამტკიცებულია „თიბისი ბანკის“ დირექტორთა საბჭოს მიერ) და სხვა მარეგულირებელ და შიდა წესებს (დამტკიცებულია ბანკის რისკების მართვის დირექტორის მიერ); ყიდულობს საშემფასებლო მომსახურებას, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს შეფასების საერთაშორისო სტანდარტების (IVS), სეპ-ის რეგულაციების და შიდა წესების მოთხოვნებს; ავტორიზებული შემფასებელი წარადგენს ანგარიშს და მართავს უზრუნველყოფის მონიტორინგის პროცესს (უზრუნველყოფა მაღალი საბაზრო ღირებულებით ყოველწლიურად გადაიხედება, ხოლო დაბალი საბაზრო ღირებულების მქონე უზრუნველყოფებისთვის გამოიყენება სტატისტიკური მონიტორინგი). CMAD შეფასებისთვის იყენებს შერეული ხარისხის შემოწმების სქემას: შეფასების ანგარიშები გადაიხედება ორგანიზაციის შიგნით, მისი პერსონალის მიერ და განცალკევებით - გარე კომპანიის მიერ. უზრუნველყოფის მართვის ფარგლებში თითქმის ყველა საქმიანობა ავტომატიზებულია შიდა ვებ-აპლიკაციების გამოყენებით.

უზრუნველყოფის მთავარი ტიპი

ბანკის უზრუნველყოფის მართვის პოლიტიკის თანახმად, უზრუნველყოფები 4 ჯგუფად იყოფა:

- უძრავი ქონება;
- მომრავი ქონება;
- არამატერიალური აქტივი;
- თავდებობა, გარანტია.

მოთხოვნილი უზრუნველყოფები განისაზღვრება საკრედიტო პროდუქტის ტიპის და მსესხებლის რისკ-პროფილის მიხედვით. ბანკის სასესხო პორტფელი კარგად არის დაცული უზრუნველყოფის ისეთი ძირითადი ტიპით, როგორც არის უძრავი ქონება.

კაპიტალის ადეკვატურობის დაანგარიშების მიზნით, საკრედიტო რისკის მიტიგაციისთვის ბანკი იყენებს დაფინანსებულ და დაუფინანსებელ საკრედიტო დაცვას. საკრედიტო რისკის მიტიგაციისთვის ბანკი შემდეგი ტიპის უზრუნველყოფებს იყენებს:

- დაფინანსებული საკრედიტო დაცვა - ფულადი დეპოზიტები ან ფულთან ასიმილირებული ინსტრუმენტები;
- დაუფინანსებელი საკრედიტო დაცვა - მესამე მხარის გარანტიები ცენტრალური მთავრობიდან, ცენტრალური ბანკებიდან, მრავალმხრივი განვითარების ბანკებიდან და კომერციული ბანკებიდან.

იმისათვის, რომ მოხდეს უზრუნველყოფის სათანადოდ გამოყენება კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების მიზნით, ეროვნული ბანკის მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების დებულებების შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია საკრედიტო რისკის მიტიგაცია 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით დაქვემდებარების კლასისა და უზრუნველყოფის ტიპის მიხედვით:

| | საკრედიტო რისკის მიტიგაცია | ათას ლარში | | | | | | |
|----|--|---|----------------------------------|-----------------------------------|--------------------|--|---|------------------------------------|
| | | დაფინანსებული საკრედიტო დაცვა | დაუფინანსებელი საკრედიტო დაცვა | | | მთლიანი საკრედიტო რისკის მიტიგაცია - ბალანსური | მთლიანი საკრედიტო რისკის მიტიგაცია - გარე-ბალანსური | მთლიანი საკრედიტო რისკის მიტიგაცია |
| | | ფულადი დეპოზიტები ან ფულთან ასიმილირებული ინსტრუმენტები | ცენტრალური მთავრობები და ბანკები | მრავალმხრივი განვითარების ბანკები | კომერციული ბანკები | | | |
| 1 | მოთხოვნა ან პირობითი მოთხოვნა ცენტრალურ მთავრობებთან და ბანკებთან | - | - | - | - | - | - | - |
| 2 | მოთხოვნა ან პირობითი მოთხოვნა რეგიონულ და ადგილობრივ მთავრობებთან | - | - | - | - | - | - | - |
| 3 | მოთხოვნა ან პირობითი მოთხოვნა საჯარო სექტორის კომპანიებთან | - | - | - | - | - | - | - |
| 4 | მოთხოვნა ან პირობითი მოთხოვნა მრავალმხრივი განვითარების ბანკებთან | - | - | - | - | - | - | - |
| 5 | მოთხოვნა ან პირობითი მოთხოვნა საერთაშორისო ორგანიზაციის/დაწესებულებების მიმართ | - | - | - | - | - | - | - |
| 6 | მოთხოვნა ან პირობითი მოთხოვნა კომერციულ ბანკებთან | - | - | 365 | - | - | 365 | 365 |
| 7 | მოთხოვნა ან პირობითი მოთხოვნა კორპორაციებთან | 330,862 | 21,364 | 35,060 | - | 243,942 | 143,344 | 387,286 |
| 8 | მოთხოვნა ან პირობითი მოთხოვნა საცალო მომხმარებელთან | 74,439 | 1,410 | 30,661 | - | 95,350 | 11,159 | 106,509 |
| 9 | საცხოვრებელი ქონების იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნა ან პირობითი მოთხოვნა | 7,093 | 25 | 1,708 | - | 8,662 | 163 | 8,825 |
| 10 | ვადაგადაცილებულები | 941 | 2,005 | 2,147 | - | 4,423 | 670 | 5,093 |
| 11 | მარეგულირებლის მაღალი რისკის კატეგორიები | 52,122 | - | - | - | 52,122 | - | 52,122 |
| 12 | მოკლევადიანი მოთხოვნები კომერციულ ბანკებთან და კორპორაციებთან | - | - | - | - | - | - | - |
| 13 | მოთხოვნები კოლექტიურ საინვესტიციო ორგანიზაციებთან | - | - | - | - | - | - | - |
| 14 | სხვა | 342,408 | 35,053 | 10,668 | - | 372,122 | 16,007 | 388,129 |
| | სულ | 807,865 | 59,856 | 80,608 | 0 | 776,622 | 171,708 | 948,329 |

ინფორმაცია საკრედიტო რისკის კონცენტრაციის შესახებ მიტიგაციის ინსტრუმენტების მიხედვით

ბანკის სასესხო პორტფელი კარგად არის უზრუნველყოფილი. პორტფელის 74,6% უძრავი ქონებით, ხოლო 3,5% - ფულადი დეპოზიტებით და ოქროთა (3,57% და 0,95% შესაბამისად) უზრუნველყოფილი. უზრუნველყოფის სხვა ტიპები: მოძრავი ქონება და მესამე მხარის გარანტიები.

გარანტიების და უზრუნველყოფის სახით მიღებული ხელშეკრულებების მთავარი ტიპები

საკრედიტო რისკის მიტიგაციისთვის უზრუნველყოფის სახით გამოყენებული გარანტიების და კონტრ-გარანტიების მნიშვნელოვანი ნაწილი მოიცავს საბანკო გარანტიებს/კონტრ-გარანტიებს. ბანკის შეფასების პროცესი იმართება ფინანსური რისკის მართვის დეპარტამენტის მიერ, საქმიანობის მოთხოვნების შესაბამისად. კონკრეტულად, სხვადასხვა საბანკო პროდუქტების დაფინანსების მოთხოვნა წარმოიშობა სახაზინო, სავაჭრო დაფინანსებისა და ბიზნეს-ერთეულებიდან.

შიდა საბანკო ლიმიტის შეფასების პროცედურა

ვაჭრობის ფინანსირების დეპარტამენტი იღებს განაცხადს თავდებობის/აკრედიტივის/ფაქტორინგის მოთხოვნით კონტრ-გარანტიის გამცემი ბანკიდან და ფინანსური რისკის მართვის დეპარტამენტს აწვდის შესაბამის ინფორმაციას. ამასთან, სახაზინო დეპარტამენტი აგზავნის მოთხოვნას ბანკის სახაზინო მიზნებისთვის ლიმიტების დადგენის შესახებ. შესაბამისობის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ამოწმებს კონტრაქტ ბანკს, აპლიკანტს, ბენეფიციარს და ფინანსურ ოპერაციას ვაჭრობის ფინანსირების მოთხოვნის შემთხვევაში და კონტრაქტ ბანკს - ხაზინის მოთხოვნის შემთხვევაში. შესაბამისობის უზრუნველყოფის დეპარტამენტიდან დადებითი რეკომენდაციის მიღების შემდეგ, ფინანსური რისკის მართვის დეპარტამენტი ატარებს კონტრაქტ ბანკის შეფასებას „კონტრაქტის რისკის ლიმიტების შეფასების მეთოდოლოგიის“ საფუძველზე.

კონტრაქტ ბანკების ლიმიტები განისაზღვრება საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების („Moody’s“; „Fitch Ratings“; „S&P“) მიერ მინიჭებული რეიტინგებისა და ადგილობრივად შემუშავებული მოდელით⁹ განსაზღვრული რეიტინგების მიხედვით, რომელთა საფუძველზეც გარიგების სისრულის დონე განისაზღვრება შესაბამისი ლიმიტებით.

თუ კონტრ-გარანტორი ბანკების საშუალო საერთაშორისო რეიტინგი აღემატება ან უდრის „BBB“-ს, ფინანსური რისკის მართვის დეპარტამენტი რეიტინგის ლიმიტების განსაზღვრად აფასებს ბანკის მთავარ ფინანსურ და არაფინანსურ მაჩვენებლებს.

თუ ბანკს საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო აფასებს, ან მისი საშუალო საკრედიტო რეიტინგი „BBB“-ზე ნაკლებია, ბანკის შეფასებას ხორციელდება ადგილობრივად შემუშავებული მოდელით, შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

ბანკის ფინანსური მაჩვენებლები:

- კაპიტალის ადეკვატურობა;
- სასესხო პორტფელის ხარისხი;
- ლიკვიდობა და დაფინანსება;
- მომგებიანობა.

გამაფრთხილებელი ნიშნები:

- მმართველობა;
- რისკის მართვის სტრუქტურა;

⁹ თუ კონტრაქტ რეზიდენტი ბანკია, საბოლოო რეიტინგი განისაზღვრება შიდა შემუშავებული მოდელის საფუძველზე. არარეზიდენტი ბანკების შემთხვევაში, რომელთა საშუალო საერთაშორისო რეიტინგი „BBB“-ზე ნაკლებია, საბოლოო რეიტინგი განისაზღვრება საშუალო საერთაშორისო და შიდა რეიტინგების მინიმალური ოდენობით.

- საერთაშორისო საკრედიტო რეიტინგი;
- საოპერაციო გარემო;
- მარეგულირებელი გარემო და სხვა სიგნალები.

კონტრ-გარანტორი ბანკის ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების ანალიზის შემდეგ, ფინანსური რისკის მართვის სამსახური შესაბამის გადაწყვეტილების მიმღებ კომიტეტს რეკომენდაციებს წარუდგენს. გადაწყვეტილების მიღების დონეებთან შესაბამისობის და რისკის დამტკიცების პროცესის უზარვეზო მიმდინარეობის უზრუნველსაყოფად, ფინანსური რისკის მართვის სამსახური სახელმძღვანელო მითითებების სახით იყენებს „აქტივების და ვალდებულებების მართვის კომიტეტის პოლიტიკას“ და „კონტრაჰენტის რისკის დამტკიცების კომიტეტის გადაწყვეტილების მიღების პროცესის ინსტრუქციას“.

ფინანსური რისკის მართვის სამსახურს შეუძლია განიხილოს საერთო ლიმიტის დაწესების საკითხი კონტრაჰენტი ბანკისთვის, თუ სავაჭრო ფინანსური დეპარტამენტი საჭიროდ მიიჩნევს ამას, შესაძლო ხშირი მომავალი გარიგებების გამო.

კონტრაჰენტის ლიმიტების მონიტორინგს ყოველდღიურად ახორციელებს აქტივების და ვალდებულებების მართვის ჯგუფი (ALM). ლიმიტის დარღვევას აფასებს სახაზინო და ანგარიშსწორების დეპარტამენტები მიტიგაციისთვის საჭირო გადაუდებელი ღონისძიებების გატარების მიზნით.

„თიბისი ბანკს“ აქვს კონტრაჰენტის რისკის მართვის პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს კონტრაჰენტის რისკის მართვის პროცესის პრინციპებს და არეგულირებს შესაბამისი დეპარტამენტების და თანამშრომლების საქმიანობებს.

ფინანსური რისკის მართვის სამსახური ყოველწლიურად გადახედავს შიდა-საბანკო ლიმიტების შეფასების მეთოდოლოგიას.

საერთაშორისო რეიტინგები

რისკის მიხედვით შეწონილი სტანდარტიზაციის მიდგომის ფარგლებში, გარე საკრედიტო შეფასების ინსტიტუტებისგან (‘ECAI’) მიღებული რეიტინგები გარდაიქმნება საკრედიტო ხარისხის ეტაპებად (‘CQS’) სებ-ის დადგენილების მიხედვით. CQS მაჩვენებელი შემდეგ გარდაიქმნება რისკის მიხედვით შეწონილ პროცენტულ მაჩვენებლად.

საკრედიტო რეიტინგთან დაკავშირებით, ბანკს შეუძლია გამოიყენოს გარე საკრედიტო შეფასების ინსტიტუტების რეიტინგები: „Fitch“, „Moody’s“ და „S&P“. საკრედიტო რეიტინგები გამოიყენება შემდეგი რისკის კლასებისთვის:

- უპირობო და პირობითი მოთხოვნები მრავალმხრივი განვითარების ბანკებისთვის;
- უპირობო და პირობითი მოთხოვნები კომერციული ბანკებისთვის;
- უპირობო და პირობითი მოთხოვნები ცენტრალური ხელისუფლებისთვის და ცენტრალური ბანკებისთვის.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია საკრედიტო რეიტინგის თანაფარდობა საკრედიტო რეიტინგის ხარისხთან:

| დასაშვები საკრედიტო რეიტინგი | საკრედიტო რეიტინგის ხარისხი | Fitch | Moody's | S&P |
|---|-----------------------------|----------------------|-----------------------|----------------------|
| საკრედიტო რეიტინგის ხარისხის თანაფარდობა გრძელვადიან საკრედიტო რეიტინგთან | 1 | „AAA“-დან „AA“-მდე | „Aaa“-დან „Aa3“-მდე | „AAA“-დან „AA“-მდე |
| | 2 | „A+“-დან „A“-მდე | „A1“-დან „A3“-მდე | „A+“-დან „A“-მდე |
| | 3 | „BBB+“-დან „BBB“-მდე | „Baa1“-დან „Baa3“-მდე | „BBB+“-დან „BBB“-მდე |
| | 4 | „BB+“-დან „BB“-მდე | „Ba1“-დან „Ba3“-მდე | „BB+“-დან „BB“-მდე |
| | 5 | „B+“-დან „B“-მდე | „B1“-დან „B3“-მდე | „B+“-დან „B“-მდე |
| | 6 | „CCC+“ ან ნაკლები | „Caa1“ ან ნაკლები | „CCC+“ ან ნაკლები |

რისკების ანგარიშგება

ეფექტური რისკების ანალიზი და მართვა ამარტივებს სანდო და დროული ანგარიშგების პროცესს, რომელსაც რისკების ანგარიშგების განყოფილება ახორციელებს.

რისკის ფუნქცია რეგულარულად ახდენს სასესიო პორტფელის ანალიზს. ის ახდენს ყველა საპორტფელო ინდიკატორის ანალიზს, როგორც არის მოცულობა, ზრდის ტემპი, სტრუქტურა, ვადაგადაცილებები, ვინტაჟური ანალიზი, კონცენტრაციის დონე, სისრულის დონე, უიმედო სესხები, ჩამოწერის კოეფიციენტები, ანარიცხის ხარჯი და სხვ.

თითოეული კოეფიციენტი ფასდება მთლიანი პორტფელისთვის, ასევე თითოეული სეგმენტისთვის / პროდუქტისთვის ისტორიულ და დაგეგმილ ინდიკატორებთან მიმართებით. საოპერაციო და ფინანსური რისკები ყოველთვის მოწმდება, რისკ-პროფილის, რისკის აპეტიტის ლიმიტებთან შესაბამისობასთან ერთად.

რისკის მართვის შედეგები და ანალიზი რეგულარულად წარედგინება დირექტორთა საბჭოს და განიხილება სამეთვალყურეო საბჭოს რისკების კომიტეტთან.

ეს ანგარიშები მოიცავს შემდეგ მთავარ საკითხებს:

- რისკის აპეტიტი;
- საკრედიტო რისკის შედეგები;
- კაპიტალის რისკის შედეგები;
- ლიკვიდობის რისკის შედეგები;
- ფინანსური რისკის შედეგები;
- საბაზრო რისკის შედეგები;
- საოპერაციო რისკის შედეგები;
- კიბერ-უსაფრთხოების საკითხები;
- კანონშესაბამისობის საკითხები; და
- სხვა ფინანსური და არაფინანსური რისკები.

ზემოთ ხსენებულ საკითხებთან ერთად, კომიტეტი იღებს განახლებებს და იხილავს სხვა შესაბამის საკითხებს, როგორც არის:

- მარეგულირებელი ცვლილებები;
- რისკების სტრატეგიული მიზნების განახლება;
- მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური ან სტრატეგიული ცვლილებები და სხვ.

7. გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) სტრატეგია

ჩვენი როლი უკავშირდება ჩვენს პასუხისმგებლობას, ინოვაციებითა და ტექნოლოგიებით წვლილი შევიტანოთ უკეთეს მომავალში, გავზარდოთ წვდომა ფინანსურ მომსახურებაზე და მომხმარებლებს საშუალება მივცეთ, იყვნენ გლობალიზებული სამყაროს ნაწილი.

ჩვენი სწრაფვა იმისკენ, რომ წვლილი შევიტანოთ მდგრად განვითარებაში, გამომდინარეობს საქართველოს განვითარებაში ჩვენი, როგორც წამყვანი საფინანსო დაწესებულების, როლიდან. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ გავლენა გვაქვს ქვეყნის ეკონომიკაზე, ბიზნესის განვითარებაზე, დასაქმებასა და საზოგადოებრივ პროგრესზე. „თიბისი“ უზბეკეთის ბაზარზე აქტიური საქმიანობითა და ოპერაციების საერთაშორისო ბაზრებზე გაფართოებით მდგრადი განვითარების მიდგომების, გავრცელებას უფრო ფართო რეგიონში უწყობს ხელს.

ჩვენი ESG სტრატეგია ადასტურებს ჩვენს ვალდებულებას, განვახორციელოთ გრძელვადიანი და მდგრადი შენატანი და ვიყოთ გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის პრინციპების წამყვანი მხარდამჭერი ქვეყანასა და რეგიონში. ESG სტრატეგიის გადახედვას და დამტკიცებას ახორციელებს დირექტორთა საბჭო წელიწადში ერთხელ, ხოლო მის შესრულებას ზედამხედველობს გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობის საკითხებთან დაკავშირებული კომიტეტები სამეთვალყურეო საბჭოსა და აღმასრულებელი მენეჯმენტის დონეზე.

ESG სტრატეგია განსაზღვრავს რამდენიმე მთავარ მიმართულებას და მიზანს სხვადასხვა დროითი პორიზონტისთვის:

- ESG და კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების გაძლიერებული მმართველობა
- მდგრადი პორტფელის ზრდა
- წვდომა მწვანე და მდგრად დაფინანსების წყაროებზე
- მომხმარებელთა ცნობიერება, ინვესტორების ნდობა და თანამშრომელთა მრავალფეროვნება
- ზეგავლენის შეფასება და ანგარიშგება

მნიშვნელოვანი მიღწევები 2023 წელს:

- მდგრადი პორტფელის მთლიანმა მოცულობამ 1.23 მილიარდი ლარი შეადგინა, 57%-ით გაიზარდა 2022 წლის დასრულების შემდეგ, როდესაც პორტფელი 782 მილიონ ლარს შეადგენდა.
- გავზომეთ ჩვენი პირდაპირი ზეგავლენის მაჩვენებლები პარიზის შეთანხმების მიზნებთან მიმართებაში.
- საქართველოში პირველად გამოვითვალეთ ჩვენ მიერ დაფინანსებული გაფრქვევები, ნახშირბადის გამონაბოლქვის აღრიცხვის სფეროში პარტნიორობის (PCAF) სტანდარტის შესაბამისად.
- დავაფუძნეთ გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობითი (ESG) აკადემია და შევიმუშავეთ მწვანე ცნობიერებისა და მწვანე დაკრედიტების კურსი ჩვენი თანამშრომლებისა და მომხმარებლებისთვის.
- ქალების წილმა ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, რისკების და ფინანსების მიმართულებით „თიბისიში“ 46%-ს მიაღწია (2023 წლის მიზანი იყო 45%).
- შევასრულეთ მწვანე და სოციალური შესყიდვების მიზანს 5 მილიონი ლარის ოდენობით.

„თიბისის“ გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი სტრატეგიის განხორციელება მიჰყვება სტრატეგიულ გზამკვლევს, რომელიც ასახავს ჩვენთვის მდგრადობის საკვანძო საკითხებს მომდევნო წლებისთვის. 2023 წელს ჩვენ აქტიურად განვაგრძობდით მიზნების მისაღწევად ჩვენი ინიციატივების განხორციელებას, რომლებიც ოთხ ძირითად მიმართულებად იყოფა: გარემოზე პირდაპირი ზეგავლენა, გარემოზე არაპირდაპირი ზეგავლენა, სოციალური ზეგავლენა და მმართველობა.

მიმართულება 1 და 2: გარემოზე პირდაპირი და არაპირდაპირი ზეგავლენა

| 2021 წლის გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის სტრატეგიის მიზანი / ინიციატივა | 2022 წლის სტატუსი | 2023 წლის სტატუსი |
|--|--|--|
| გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის ჩარჩოს შექმნა 2021 წლის ბოლოსთვის | გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის ჩარჩო დაინერგა როგორც სამეთვალყურეო საბჭოს, ისე აღმასრულებელი მენეჯმენტის დონეზე. | გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის სტრუქტურის გაძლიერება და უფრო მაღალი ინტეგრირების დონის უზრუნველყოფა. |
| ჯგუფის, მომხმარებლების, თანამშრომლებისა და საზოგადოების მდგრადობაზე ზეგავლენის შეფასების სისტემის შექმნა | სამეთვალყურეო საბჭოს გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობასთან დაკავშირებული კომიტეტების და აღმასრულებელი მენეჯმენტის დონეზე დაინერგა მნიშვნელოვან პარამეტრების რეგულარული ანგარიშგება. | ანგარიშგების გაზრდილი დეტალიზაცია და ავტომატიზაცია, კლიმატთან დაკავშირებული რისკების შესახებ რეგულარული ანგარიშგების სცენარების ანალიზის, სტრეს-ტესტისა და გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის რისკის დასაშვები დონის პარამეტრების დანერგვა. |
| მდგრადი პორტფელის ზრდა ¹ | პორტფელის მოცულობამ მიაღწია 782 მილიონ ლარს | პორტფელის მოცულობამ მიაღწია 1,23 მილიარდ ლარს |
| ჯგუფის კლიმატის ცვლილების პოლიტიკის შემუშავება | კლიმატის ცვლილების პოლიტიკა შემუშავდა და დამტკიცდა | სექტორული სახელმძღვანელო ინსტრუქციების შემუშავება საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) კლიმატური რისკის რადარის შესაბამისად. |
| საქართველოს ეროვნული ბანკის მწვანე ტაქსონომია | სებ-მა დანერგა მწვანე ტაქსონომია, რომელიც საუკეთესო საერთაშორისო ტაქსონომიების შესაბამისად შემუშავდა. განისაზღვრა სამოქმედო გეგმა. | დაინერგა მწვანე ტაქსონომია; შემუშავდა შესაბამისი დოკუმენტაცია, პროცედურები, დაანგარიშების ინსტრუმენტები და პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა გაიარეს შესაბამისი ტრენინგი. |
| მწვანე დაკრედიტების ჩარჩოს დანერგვა | დაინერგა მწვანე დაკრედიტების პროცედურა | სებ-ის მწვანე დაკრედიტების პროცედურის და მწვანე ტაქსონომიის ჰარმონიზება. |

2021 წელს პირველად გამოვაქვეყნეთ ანგარიში კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის სამუშაო ჯგუფის მოთხოვნების მიხედვით, რითაც გავამყარეთ ჩვენი მზადყოფნა, მივიღოთ აქტიური ზომები კლიმატის ცვლილების ეფექტების შესამსუბუქებლად, კლიმატის რისკების შესაფასებლად და შესამცირებლად და განვსაზღვროთ კლიმატთან დაკავშირებული შესაძლებლობები. 2022 წელს ჩვენ კიდევ უფრო გავაუმჯობესეთ კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების შესახებ სამუშაო ჯგუფის კონცეპტუალური ჩარჩო, განსაკუთრებით სტრატეგიული დაგეგმვისა და რისკის მართვის თვალსაზრისით. ჩვენ მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩავატარეთ სცენარული ანალიზის შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად, რათა უკეთ შევძლოთ ჩვენს ბიზნესის საქმიანობასა და მომხმარებლებზე კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების პოტენციური შედეგების შეფასება და მათზე სათანადო რეაგირება. გარე კონსულტანტთან ერთად შევიმუშავეთ სტრეს-ტესტის მოდელი, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ეკონომიკურ სექტორებს საქართველოში და, ბანკის მთლიან საკრედიტო პორტფელზე სტრეს-ტესტის გავლენის შეფასებას ემსახურება. ეს სამუშაოები აღწერილია მოცემულ ანგარიშში, კლიმატთან დაკავშირებულ ფინანსურ ინფორმაციის გამჟღავნების თავში 62-89. ჩვენ გვესმის, რომ დაბალი ემისიის, მდგრად ეკონომიკაზე გადასვლა საჭიროებს ორგანიზაციის შიგნით ცოდნის განვითარებას, ასევე ცნობიერების ამაღლებას მომხმარებლებში, ბიზნესებსა და საზოგადოებაში. ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ შიდა ექსპერტული ცოდნის განვითარებაზე სხვადასხვა საკითხების ირგვლივ: მწვანე დაკრედიტება, სებ-ის მწვანე ტაქსონომია, კლიმატის ცვლილების გავლენა, კლიმატთან დაკავშირებული რისკები და სცენარების ანალიზი.

მიმართულება 3: სოციალური გავლენა

დივერსიფიკაციის, გენდერულ და ინკლუზიურ საკითხებზე მეტი ყურადღების გასამახვილებლად შევიმუშავეთ დივერსიფიკაციის, თანასწორობის და ინკლუზიურობის პოლიტიკა (ხელმისაწვდომია ჩვენს ვებგვერდზე: www.tbcbankgroup.com), რომელშიც დასახულია მიზნები და შემუშავებულია მეთოდოლოგია მრავალფეროვნების, თანასწორობისა და ჩართულობის გასაუმჯობესებლად, მისი მიდგომა ინტეგრირებულია კომპანიის საოპერაციო და მართვის პროცესებში და კონცენტრირებულია სხვადასხვა საკითხზე, მათ შორის გენდერულ, მულტიკულტურულ, სხვადასხვა თაობისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებზე. ჩვენი მიზანია, გვქონდეს გენდერული თვალსაზრისით დაბალანსებული სამუშაო ძალა და კულტურა, რომელიც ქალებს წახალისებს და აძლიერებს.

| 2021 წლის გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის სტრატეგიის მიზანი / ინიციატივა | 2022 წლის სტატუსი | 2023 წლის სტატუსი |
|--|---|---|
| ჩვენი თანამშრომლების მრავალფეროვნების გაძლიერება. | განისაზღვრა დივერსიფიკაციის, თანასწორობის და ინკლუზიურობის (DEI) პოლიტიკა, სამიზნეები და სამოქმედო გეგმა. | ქალების წილი საშუალო მმართველობით დონეზე და ეჯაილ ლიდერები 40%. |
| მოხმარებელთა ლოიალობის, ინვესტორთა ნდობის და თანამშრომლების მოტივაციის ზრდა. | შეიქმნა ESG ტრენინგის ყოვლისმომცველი ჩარჩო, რომელიც მოიცავს „თიბისის“ ყველა თანამშრომელს და სხვადასხვა პასუხისმგებლობის დონეს | თანამშრომლებსა და მომხმარებლებს შორის ESG ცნობიერების გაზომვა. |

მიმართულება 4: მმართველობა

ჯგუფის ESG სტრატეგიის გადახედვას და დამტკიცებას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო წელიწადში ერთხელ, ხოლო მის შესრულებას ზედამხედველობს გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობის საკითხების ორი კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოს და აღმასრულებელი მენეჯმენტის დონეზე. წლის განმავლობაში კომიტეტებმა ზედამხედველობა და მხარდაჭერა გაუწია ჯგუფის და მისი შვილობილი საწარმოების გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის სტრატეგიის, პოლიტიკებისა და პროგრამების განხორციელებას, რამაც უზრუნველყო ჯგუფის გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის სტრატეგიის ეფექტურად განხორციელება და საქმიანობის ყველა სფეროში დასახული მიზნების მიღწევა.

2023 წელს ჩვენ დავიწყეთ ინდივიდუალური ESG სტრატეგიების შემუშავება ჯგუფის მნიშვნელოვან შვილობილ საწარმოებში. შვილობილი საწარმოების თანამშრომლებს ჩაუტარდათ რამდენიმე სემინარი და შეიქმნა სამუშაო ჯგუფები.

| 2021 წლის გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის სტრატეგიის მიზანი / ინიციატივა | 2022 წლის სტატუსი | 2023 წლის სტატუსი |
|--|---|--|
| გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის ჩარჩოს გაძლიერება. | გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის ჩარჩო დაინერგა როგორც სამეთვალყურეო საბჭოს, ისე აღმასრულებელი მმართველობის დონეზე. | გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის სტრუქტურის გაძლიერება და უფრო მაღალი სისრულის დონის უზრუნველყოფა. |
| ჯგუფის, მომხმარებლების, თანამშრომლებისა და საზოგადოების მდგრადობაზე ზეგავლენის შეფასების სისტემის შექმნა | სამეთვალყურეო საბჭოს გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობასთან დაკავშირებული კომიტეტების და აღმასრულებელი მენეჯმენტის დონეზე დაინერგა მნიშვნელოვანი პარამეტრების რეგულარული ანგარიშგება. | ანგარიშგების გაზრდილი დეტალიზაცია და ავტომატიზაცია, კლიმატთან დაკავშირებული რისკების შესახებ რეგულარული ანგარიშგების სცენარების ანალიზის, სტრეს-ტესტისა და გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის რისკის დასაშვები დონის პარამეტრების დანერგვა. |
| გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის სტრატეგიები მნიშვნელოვან შვილობილ საწარმოებში. | შემუშავდა გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის ინდივიდუალური სტრატეგიები. | გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის სტრატეგიების განხორციელება შვილობილ საწარმოებში. |

2024 წელს ჩვენ გავაგრძელებთ ჩვენი სტრატეგიული გეგმის შესრულებას და ყურადღებას გავამახვილებთ შემდეგ საკითხებზე:

მდგრადი პორტფელი და სხვა აქტივები

2024 წელს ჩვენი მთავარი მიზანი იქნება მდგრადი პორტფელისა და სხვა აქტივების ზრდა . გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის სტრატეგიაში ჩვენი მდგრადი პორტფელისთვის დასახულია ამბიციური მიზანი 1,4 მილიარდი ლარის ოდენობით. ESG სტრატეგია ისეთ მიზნებს ისახავს, როგორც არის ნეტო-ნულოვანი სათბური აირების (GHG) გაფრქვევა, რომელიც 2025 წლისთვის გარემოზე პირდაპირ გავლენას უკავშირდება, და ასევე მდგრადი პორტფელის ზრდას, რომელიც მოიცავს განახლებადი ენერჯის დაფინანსებას, ენერგოეფექტურობის სესხებს, სოციალური კომპონენტებით, მათ შორის ქალებისა და ახალგაზრდების დაფინანსებას, სტარტაპების და სასოფლო რეგიონებში არსებული საწარმოების მხარდაჭერას.

სამოქმედო გეგმა პირდაპირი ნეტო-ნულოვანი ნიშნულის მიზნისთვის

2024 წელს ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ გარდამავლობის დეტალური გეგმების შემუშავებაზე, რომლებიც ჯგუფის საქმიანობის შედეგების შეფასებას დაეფუძნება და გაითვალისწინებს სათბური აირების გაფრქვევის შემცირებასთან დაკავშირებულ პარიზის შეთანხმების მიზნებს. პროცესის მხარდაჭერის მიზნით, ჩვენ ვთანამშრომლობთ საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიასთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტებთან და განვსაზღვრეთ დეტალური სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს: დაფინანსებული გაფრქვევების დაანგარიშება, ნახშირბადის ანგარიშგება, პარიზის ხელშეკრულებასთან შესაბამისობა, დეკარბონიზაციის სამოქმედო გეგმა, ნახშირბადის გავლენის შეფასების მეთოდოლოგია, შერჩეული მომხმარებლების ნახშირბადის ნაკვალევის შეფასება და ორგანიზაციის შიგნით ცოდნისა და ექსპერტიზის შექმნა.

ჯგუფის არაპირდაპირი ზეგავლენის მაჩვენებლების შეფასება პარიზის შეთანხმების მიზნებთან მიმართებით

2023 წელი დავუთმეთ სათბური აირების გაფრქვევების გაანგარიშების მეთოდოლოგიისა და მიდგომების შემუშავებას. ჩვენ დავითვალეთ დაფინანსებული ემისიები PCAF სტანდარტის შესაბამისად. მოცემული პროექტის განხორციელებაში გარე საკონსულტაციო კომპანია მონაწილეობდა, რომელმაც ბანკის თანამშრომლებს, ასევე, ჩაუტარა ტრენინგი. მომდევნო ეტაპზე ჩვენი მიზანია, შევავსოთ ჩვენი არაპირდაპირი ზეგავლენის მაჩვენებლები საერთაშორისო სტანდარტების და მეცნიერებაზე დაფუძნებული მიზნების შესაბამისად.

ESG აკადემია

2023 წელს დავაფუძნეთ ESG აკადემია, რომელიც ემსახურება გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობის საკითხებზე, მათ შორის მწვანე და სოციალური დაფინანსების, მარეგულირებელი მოთხოვნების, მრავალფეროვნებისა და აფირმაციული მიდგომების, ასევე მდგრადი ბიზნეს-მოდელის და პრაქტიკების შესახებ ცოდნის ამაღლებას ბანკის მომხმარებლებსა და „თიბისი“ თანამშრომლებს შორის. პირველი სასწავლო პროგრამა „მწვანე ცნობიერება და მწვანე დაფინანსება“ პარტნიორი საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებების - „Green for Growth Fund“ (GGF) და „ევროპული ფონდი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისთვის“ (EFSE) მხარდაჭერით შევიმუშავეთ. სასწავლო პროგრამაზე მუშაობა 2023 წლის ნოემბერში დაიწყო; ის 22 თვეს გაგრძელდება და მოიცავს ორდღიან ინტენსიურ ტრენინგს 900 თანამშრომლისთვის და ერთდღიან ტრენინგს 300 საცალო, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისა და კორპორაციული სექტორის მომხმარებლისთვის.

8. კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნება

2021 წელს ჩვენ პირველად გავამჟღავნეთ ინფორმაცია ჩვენი მზადყოფნის შესახებ, მივიღოთ აქტიური ზომები კლიმატის ცვლილების ეფექტების შესამსუბუქებლად, კლიმატური რისკების შესაფასებლად და შესამცირებლად და კლიმატთან დაკავშირებული შესაძლებლობების განსასაზღვრად. 2022 წელს ჩვენ კიდევ უფრო გავაუმჯობესეთ კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების შესახებ სამუშაო ჯგუფის კონცეპტუალური ჩარჩო, განსაკუთრებით სტრატეგიული დაგეგმვისა და რისკების მართვის თვალსაზრისით. ჩვენ მიერ ამ მიმართულებით ჩატარებული სამუშაოები აღწერილია წინამდებარე ანგარიშში. ვინაიდან ახალი ინფორმაციისა და მეტი სტანდარტიზაციის კვალდაკვალ იცვლება მდგრადობის ლანდშაფტიც, „თიბისი“ გააგრძელებს გამოქვეყნებული ინფორმაციის დახვეწასა და გაფართოებას დაინტერესებული მხარეების საფუძვლიანად ინფორმირების მიზნით.

უნდა აღინიშნოს, რომ არასრულ და ახალ მონაცემებთან და მეთოდოლოგიებთან დაკავშირებული გამოწვევების მიუხედავად, ჩვენ მიერ გამოყენებული მონაცემები ყველაზე ოპტიმალურად ასახავს ხელმისაწვდომ ინფორმაციას საქართველოში, სადაც ჩვენი საქმიანობის უდიდესი ნაწილი ხორციელდება. ჩვენი მოლოდინით, საჭირო მონაცემების ხელმისაწვდომობა და სანდოობა დროთა განმავლობაში გაუმჯობესდება და, იმისდა მიხედვით, რამდენად ხელმისაწვდომი იქნება, მიზნად ვისახავთ შესაბამისი გაუმჯობესებული მონაცემების გათვალისწინებას ჩვენს ანგარიშგებაში.

8.1 მმართველობა

8.1.1 საბჭოს მხრიდან კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების ზედამხედველობა

2021 წელს ჩვენ პირველად გავამჟღავნეთ ინფორმაცია ჩვენი მზადყოფნის შესახებ, მივიღოთ აქტიური ზომები კლიმატის ცვლილების ეფექტების შესამსუბუქებლად, კლიმატური რისკების შესაფასებლად და შესამცირებლად და კლიმატთან დაკავშირებული შესაძლებლობების განსასაზღვრად. 2022 წელს ჩვენ კიდევ უფრო გავაუმჯობესეთ კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების შესახებ სამუშაო ჯგუფის კონცეპტუალური ჩარჩო, განსაკუთრებით სტრატეგიული დაგეგმვისა და რისკების მართვის თვალსაზრისით. ჩვენ მიერ ამ მიმართულებით ჩატარებული სამუშაოები აღწერილია წინამდებარე ანგარიშში. ვინაიდან ახალი ინფორმაციისა და მეტი სტანდარტიზაციის კვალდაკვალ იცვლება მდგრადობის ლანდშაფტიც, „თიბისი“ გააგრძელებს გამოქვეყნებული ინფორმაციის დახვეწასა და გაფართოებას დაინტერესებული მხარეების საფუძვლიანად ინფორმირების მიზნით.

კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების შესახებ სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციები ოთხ შინაარსობრივ მიმართულებას ეფუძნება: (i) მმართველობა; (ii) სტრატეგია; (iii) რისკის მართვა და (iv) მაჩვენებლები

და მიზნები; ასევე თერთმეტ რეკომენდაციას, თითოეული მიმართულების ფარგლებში ინფორმაციის ეფექტურად გაცემის მხარდასაჭერად. 2023 წელს ყურადღება გავამახვილეთ Scope 3 გაფრქვევების (დაფინანსებული გაფრქვევები) დათვლაზე PCAF მეთოდოლოგიის შესაბამისად და შესაბამისის სათბური აირების გაფრქვევების კალკულაციის შედეგები დავამატეთ Scope 3 გაფრქვევებში.

2023 წელს გადავხედეთ ჩვენს კლიმატური სტრატეგია-ტესტის მოდელს, ახალი ხელმისაწვდომი ინფორმაციის გამოყენების მიზნით. გარდა ამისა, განვსაზღვრეთ Scope 3 გამოფრქვევების არსებითი კომპონენტები და დავინარჩუნეთ დაფინანსებული გაფრქვევები. ახალი ინფორმაციისა და უფრო მაღალი სტანდარტიზაციის შედეგად მდგრადობის ლანდშაფტის განვითარებასთან ერთად, „თიბისი“ განაგრძობს ანგარიშგების დახვეწას და გაფართოებას, დაინტერესებული მხარეებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით.

უნდა აღინიშნოს, რომ არასრულ და ახალ მონაცემებთან და მეთოდოლოგიებთან დაკავშირებული გამოწვევების მიუხედავად, ჩვენ მიერ გამოყენებული მონაცემები ყველაზე ოპტიმალურად ასახავს ხელმისაწვდომ ინფორმაციას საქართველოში, სადაც ჩვენი საქმიანობების უმსხვილესი ნაწილი ხორციელდება. ჩვენი მოლოდინით, საჭირო მონაცემების ხელმისაწვდომობა და სანდოობა დროთა განმავლობაში გაუმჯობესდება და, იმისდა მიხედვით, რამდენად ხელმისაწვდომი იქნება, მიზნად ვისახავთ შესაბამისი გაუმჯობესებული მონაცემების გათვალისწინებას ჩვენს ანგარიშგებაში.

8.2 მმართველობა

8.2.1 საბჭოს მხრიდან კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების ზედამხედველობა

სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა და გადახედა ჯგუფის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის (ESG) სტრატეგიას, რომელიც ეხებოდა ჯგუფის კლიმატთან დაკავშირებულ კონკრეტულ მიზნებსა და ინიციატივებს, მის პირდაპირ და ირიბ გავლენას გარემოზე და მდგრად განვითარებას ჯგუფში. ESG სტრატეგია ასევე მოიცავს საკითხებს მომხმარებლების, თანამშრომლების, მომწოდებლების, ფართო საზოგადოების, ფინანსური ჩართულობის, თანამშრომლებთან ურთიერთობის და ტალანტების მართვის, სამუშაო ადგილზე მრავალფეროვნებისა და ჩართულობის შესახებ. სამეთვალყურეო საბჭო ინარჩუნებს სტრატეგიის განხორციელების ზედამხედველობაზე პირველად პასუხისმგებლობას, რაც ჯგუფის კლიმატთან დაკავშირებული საკითხების პირდაპირი ზედამხედველობის ნაწილია.

2022 წლის იანვარში ჯგუფმა სამეთვალყურეო საბჭოსთან დააფუძნა გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის (ESG) და ეთიკის კომიტეტი. ეს ასახავს „თიბისის“ კორპორაციულ მართვაში მდგრადობის საკითხების მნიშვნელობას და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს აძლევს საშუალებას, მეტი დრო და ყურადღება დაუთმონ გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით საკითხებს.

კომიტეტის როლი გულისხმობს სამეთვალყურეო საბჭოს მხარდაჭერას და მისთვის კონსულტაციების გაწევას კომპანიის და მისი შვილობილი საწარმოების გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (i) სტრატეგიის; (ii) პოლიტიკისა და (iii) პროგრამების განხორციელების ზედამხედველობის საკითხებში და იმის უზრუნველყოფას, რომ ESG სტრატეგია გავრცელდეს ჯგუფის ყველა შესაბამის საქმიანობაზე. გარდა ამისა, გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის და ეთიკის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოს ეხმარება ღირებულებების, ქცევისა და კულტურის საერთო ხედვის დანერგვაში და აღმასრულებელი მენეჯმენტის (სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის“ აღმასრულებელი მენეჯმენტის) საქმიანობის ზედამხედველობაში, რაც გულისხმობს ჯგუფში (i) ეთიკის კულტურის, (ii) სათანადო ქცევის და (iii) თანამშრომელთა ეთიკური ჩართულობის წახალისებას. კომიტეტი კლიმატთან დაკავშირებული საკითხების სტრატეგიულ ხელმძღვანელობას უზრუნველყოფს და ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე, რომელსაც საერთო ზედამხედველობის უფლებამოსილება აქვს.

გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის და ეთიკის კომიტეტი 2023 წელს ოთხჯერ შეიკრიბა და განიხილა შემდეგი საკითხები: ა) ბანკის გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის სტრატეგიის, მათ შორის

კლიმატთან დაკავშირებული სტრატეგიის და განსახორციელებელი გეგმების რეგულარული მიმოხილვა და განახლება; ბ) მათი განხორციელების მონიტორინგი; გ) სამეთვალყურეო საბჭოს ზედამხედველობა და მისთვის რეკომენდაციების გაცემა გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობის საკითხებზე ჯგუფის ანგარიშგებების დასამტკიცებლად, მათ შორის კლიმატთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნების სამუშაო ჯგუფის პრინციპების შესაბამისად შედგენილი ანგარიშგების, წლიური და სხვა ანგარიშების დასამტკიცებლად. 2023 წელს გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის და ეთიკის კომიტეტის მიერ განხილული მნიშვნელოვანი საკითხებია: გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის სტრატეგიის მიზნების განხორციელების პროგრესი, რაც მოიცავს მდგრადი პორტფელის მოცულობას; ჯგუფის პირდაპირ სათბური აირების გაფრქვევები; გარემოსდაცვითი და კლიმატის ცვლილების პოლიტიკის, ადამიანების უფლებების დაცვის პოლიტიკის და მრავალფეროვნების, თანასწორობისა და ინკლუზიურობის პოლიტიკის მიმოხილვას; აკრძალული საქმიანობების სიის და გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის რისკის დასაშვები დონის მიმოხილვას; კლიმატთან დაკავშირებული სამოქმედო სტრატეგიის, მათ შორის TCFD-ის განხორციელების პროგრესის შესახებ ანგარიშების მიმოხილვას; გარე კონსულტანტების ჩართულობა კლიმატთან დაკავშირებული საკითხებზე მუშაობის პროცესში; TCFD ანგარიშგების მიმოხილვა 2022 წლის წლიური ანგარიშისთვის და 2022 წლის მდგრადობის ანგარიშის მიმოხილვა; „თიბისის“ თანამშრომლებისთვის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის და კლიმატთან დაკავშირებული ტრენინგების განრიგი, და 2024 წლის გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობითი სტრატეგია.

სამეთვალყურეო საბჭოს სარგებლობს რისკების კომიტეტის მხარდაჭერით. მაგალითად, რისკების კომიტეტს რისკების მართვის დირექტორისგან წელიწადში ოთხჯერ წარედგინება ინფორმაცია ანგარიშგების მაჩვენებლების პროგრესის შესახებ, როგორც არის მდგრადი პორტფელის მოცულობა. 2022 წელს შევიმუშავეთ ჩვენი გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის რისკის დასაშვები დონე და განვახორციელეთ მისი ინტეგრირება ჩვენს რისკის დასაშვები დონის ჩარჩოში (RAF). ანგარიშგება 2023 წლის ივნისში დაიწყო. გარდა ამისა, აუდიტის კომიტეტის პასუხისმგებლობები მოიცავს წლიური, მათ შორის კლიმატთან დაკავშირებული (TCFD), ანგარიშგების მიმოხილვას, ასევე, პოლიტიკების, პროცედურებისა და რეგულაციების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას..

ანაზღაურების კომიტეტმა განიხილა აღმასრულებელი მენეჯმენტის გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობის საკითხებთან დაკავშირებული ძირითადი შესრულების მაჩვენებლები. დეტალური ინფორმაცია იხილეთ საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფის“ 2023 წლის წლიურ ანგარიშში 229-ე გვერდზე.

სამეთვალყურეო საბჭოს შედგენილი აქვს ტრენინგის მრავალფეროვანი და ამომწურავი განრიგი, რომლის განახლება ყოველწლიურად ხორციელდება. ყოველი წლის დასაწყისში ჯგუფის სამდივნოს გუნდი ქმნის გენერალურ ტრენინგების კატალოგს, რომელიც მოიცავს რისკის, აუდიტის, ანაზღაურებისა და მმართველობის ყველა შესაბამის სფეროს. კატალოგი შედგება საჯაროდ ხელმისაწვდომი და მონაწილეებზე მორგებული სემინარებისა და მასალების ეფექტური ნაკრებისგან და სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან დისკუსიების შესაძლებლობას იძლევა. ტრენინგებს ატარებენ დიდი ოთხეულის საადრიცხო ფირმების წარმომადგენლები, გარე იურისტ-კონსულტანტები, სერტიფიცირებული ინსტიტუტები (როგორცაა დირექტორთა ინსტიტუტი და მართვის ინსტიტუტი) და, საჭიროების შემთხვევაში, კონკრეტული სფეროს გამოცდილი ექსპერტები. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები სატრენინგო კატალოგს იყენებენ თავიანთი ინდივიდუალური სატრენინგო კალენდრების შესადგენად და ცოდნის გასაზიარებლად სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებზე ან ჯგუფში საბჭოს სპეციალური პლატფორმის მეშვეობით. 2023 წლის თებერვალში, კლიმატთან დაკავშირებული ერთწლიანი პროექტის ფარგლებში, კლიმატთან დაკავშირებულ საკითხებზე დამატებითი სპეციფიკური სატრენინგო სესიები ჩატარდა ფრანკფურტის ფინანსებისა და მართვის სკოლის მიერ, რაც მიზნად ისახავდა სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის, ასევე „თიბისი“ ბანკის აღმასრულებელი მენეჯმენტისთვის დეტალური ცოდნის გაზიარებას კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების, ასევე კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის სტრატეგიის განხორციელებისთვის ხელმისაწვდომი საოპერაციო მექანიზმების შესახებ.

8.2.2 ადმასრულებელი ხელმძღვანელობის როლი

ადმასრულებელ დონეზე კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ რისკებზე და შესაძლებლობებზე პასუხისმგებლობა ეკისრება გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის კომიტეტს, რომელიც ადმასრულებელმა მენეჯმენტმა 2021 წლის მარტში ჩამოაყალიბა და რომლის მოვალეობაა გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის სტრატეგიის განხორციელება და მთავარი პროექტებისთვის წლიური ინდივიდუალური დეტალური სამოქმედო გეგმების დამტკიცება. სამოქმედო გეგმების პროგრესი და განხორციელების სტატუსის მონიტორინგი სრულდება გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის კომიტეტის შეხვედრებზე. 2023 წლის განმავლობაში, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის კომიტეტი ოთხჯერ შეიკრიბა და კლიმატთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები განიხილა: TCFD ანგარიშგება; TCFD განხორციელების სამოქმედო გეგმა; გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის რისკის დასაშვები დონე, გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობითი სტრატეგიის მიზნების განხორციელების პროგრესი, რაც მოიცავს მდგრადი პორტფელის მოცულობას; გარემოს დაცვის და კლიმატის ცვლილების პოლიტიკა; პირდაპირი სათბური აირების გაფრქვევების ანგარიშები; გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის და კლიმატთან დაკავშირებული სასწავლო პროგრამა „თიბისის“ თანამშრომლებისთვის და გარე საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების ჩართულობა კლიმატთან დაკავშირებული მიდგომების და მეთოდოლოგიების შემუშავების პროცესში. გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის კომიტეტის პასუხისმგებლობები, ასევე, მოიცავს კლიმატთან დაკავშირებული რისკების და შესაძლებლობების მიმოხილვას და მონიტორინგს, ეფექტური მიტიგაციის და კონტროლის სისტემის დანერგვას გამოვლენილი (არსებითი) კლიმატური რისკების სამართავად. გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის კომიტეტი კვარტალში ერთხელ იკრიბება.

გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის სტრატეგიის განხორციელებაში ჩართული არიან სხვადასხვა ორგანიზაციული ერთეულები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან სხვადასხვა გარემოსდაცვით, სოციალურ და, მმართველობით საკითხზე: ა) გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის მართვის გუნდი - პასუხისმგებელია დაკრედიტების პროცესში გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების შეფასებაზე, ბ) გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხების დეპარტამენტი - გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის სტრატეგიის განხორციელების კოორდინაცია და მხარდაჭერა, და გ) გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხებთან დაკავშირებული კომპეტენციების ცენტრი, რომელიც წარმოადგენს კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნების შესახებ სამუშაო ჯგუფის კონცეპტუალური ჩარჩოს გაძლიერებაში მხარდაჭერის მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფს.

გარდა ამისა, გარემოსდაცვითი კომიტეტი იკრიბება კვარტალში ერთხელ და ზედამხედველობას უწევს გარემოსდაცვითი მართვის სისტემის განხორციელებას და ფუნქციონირებას, რაც მოიცავს ბანკის რესურსების მოხმარებასა და გარემოზე სხვა სახის გავლენის საკითხებს. გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხების დეპარტამენტი და გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის გუნდი რეგულარულად წარუდგენს ანგარიშს გარემოსდაცვითი მართვის გეგმების შესახებ გარემოსდაცვით კომიტეტს. გარემოსდაცვითი კომიტეტი ანგარიშვალდებულია რისკების მართვის დირექტორის წინაშე.

8.3 სტრატეგია

ჯგუფის მიზანია, იმოქმედოს პასუხისმგებლობით და მართოს მის ოპერაციებთან დაკავშირებული ეკოლოგიური და სოციალური რისკები. გარდა ამისა, ჩვენი მიზანია გარემოზე დადებითი გავლენის ხელშეწყობა. ამის მისაღწევად ჯგუფს დანერგილი აქვს მკაფიოდ განსაზღვრული პროცესები, რათა გამოავლინოს და შეაფასოს ჩვენი ბიზნესსაქმიანობისთვის დამახასიათებელი კლიმატთან დაკავშირებული რისკები. ეს მიდგომა ჯგუფს საშუალებას აძლევს, შეამციროს ჩვენი ეკოლოგიური კვალი რესურსების ეფექტიანად გამოყენებით და ეკო-მეგობრული ზომების წახალისებით, რათა შეამციროს კლიმატის ცვლილების ზეგავლენა.

„თიბისი ბანკმა“ გადახედა ყველა საოპერაციო საქმიანობას, შესყიდვებსა და გააუთოსორსებულ მომსახურებებს, რომელთა კონტროლიც შეუძლია (მიმდინარე და დაგეგმილი) და გამოავლინა მათ საქმიანობებთან

დაკავშირებული გარემოსდაცვითი ასპექტები. ჩვენი ბიზნეს საქმიანობის პირდაპირი გავლენა გარემოზე მომდინარეობს ელექტროენერჯის, წყლის, საწვავის და სხვა რესურსების მოხმარებიდან, ნარჩენებისა და ატმოსფეროში გაფრქვევებისგან. ბანკმა შექმნა კომპლექსური შიდა გარემოსდაცვითი სისტემა, რათა მართოს მისი სათბური აირების გაფრქვევები და აიღოს მათი შემცირების პასუხისმგებლობა რესურსების მოხმარების მკაცრად მონიტორინგის გზით. თითოეული კატეგორიის გავლენის შესაფასებლად ჩვენ შევიმუშავეთ კომპლექსური შეფასების მეთოდოლოგია და გავავრცელეთ მთელი ბანკის მასშტაბით. მოცემულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით განისაზღვრა წლიური მიზნები და მათ მისაღწევად მომზადდა კონკრეტული ინიციატივები და პროგრამები.

2020 წელს ბანკმა მიიღო ISO 14001:2015 სერტიფიკატი მისი გარემოსდაცვითი მართვის სისტემისთვის. 2021 და 2022 წლებში ბანკმა წარმატებით გაიარა განმეორებითი სერტიფიცირება. 2023 წლის სერტიფიკატის განახლება 2023 წლის დეკემბერში წარმატებით განხორციელდა. გარემოს დაცვის მართვის სისტემის შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ამ თავის რისკების მართვის ნაწილში გვერდებზე 77-84.

2021 წელს, ჯგუფმა შეიმუშავა და დაამტკიცა გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის სტრატეგია. 2023 წელს ჩვენ განვაახლეთ გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი სტრატეგია 2022 წლის განმავლობაში მიღებული პროგრესის ასახვად და მომავალი წლებისთვის მიზნების და ინიციატივების დასაკორექტირებლად.

2023 წლის განმავლობაში ESG სტრატეგიის პროგრესის შეჯამების ცხრილი:

| 2021 წლის გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის სტრატეგიის მიზანი / ინიციატივა | 2022 წლის სტატუსი | 2023 წლის სტატუსი |
|--|--|--|
| გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის ჩარჩოს შექმნა 2021 წლის ბოლომდე | გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის ჩარჩო დაინერგა როგორც სამეთვალყურეო საბჭოს, ისე აღმასრულებელი მენეჯმენტის დონეზე. | გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის სტრუქტურის გაძლიერება და უფრო მაღალი სისრულის დონის უზრუნველყოფა. |
| ჯგუფის, მომხმარებლების, თანამშრომლებისა და საზოგადოების მდგრადობაზე ზეგავლენის შეფასების სისტემის შექმნა | საბჭოს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობასთან დაკავშირებული კომიტეტების და აღმასრულებელი მენეჯმენტის დონეზე დაინერგა მნიშვნელოვანი მაჩვენებლების შესახებ რეგულარული ანგარიშგება. | ანგარიშგების გაზრდილი დეტალიზაცია და ავტომატიზაცია, კლიმატთან დაკავშირებული რისკების შესახებ რეგულარული ანგარიშგების სცენარების ანალიზის, სტრეს-ტესტისა და გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობის რისკის დასაშვები დონის პარამეტრების დანერგვა. |
| მდგრადი პორტფელის ზრდა | 2022 წლის მიზნობრივი მოცულობა 750 მილიონი ლარი; მიღწეულია მოცულობა 782 მილიონი ლარის ოდენობით. | 2023 წლის მიზნობრივი მოცულობა 1.0 მილიარდი ლარი; მიღწეულია მოცულობა 1.23 მილიარდი ლარის ოდენობით. |
| ჯგუფის კლიმატის ცვლილების პოლიტიკა | კლიმატის ცვლილების პოლიტიკა შემუშავებული და დამტკიცებულია ¹⁰ . | დარგობრივი სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება - სეზ-ის კლიმატური რისკების რადარის მიხედვით. |
| საქართველოს ეროვნული ბანკის მწვანე ტაქსონომია | საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დანერგა მწვანე ტაქსონომია, რომელიც საუკეთესო საერთაშორისო ტაქსონომიების შესაბამისად შემუშავდა. დასრულდა განხორციელების პროცესი. | დაინერგა მწვანე ტაქსონომია. |
| მწვანე დაკრედიტების ჩარჩოს | დაინერგა მწვანე დაკრედიტების | მწვანე დაკრედიტების პროცედურის და |

¹⁰ <https://www.tbcbankgroup.com/media/2951/environmental-and-climate-change-policy.pdf>

| დანერგვა | პროცედურა. | საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მწვანე ტაქსონომიის ჰარმონიზება.. |
|--|---|---|
| გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის პროფილები კორპორაციული მომხმარებლებისთვის | შემუშავდა გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის პროფილების ჩარჩო კორპორაციული მომხმარებლებისთვის. | განხორციელდა არსებული ტოპ 20 კორპორაციული მომხმარებლებისთვის. |
| გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხების გათვალისწინება რისკის დასაშვებ დონეში | გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის რისკის დასაშვებ დონის შემუშავება. | დაინერგა რეგულარული ანგარიშგება, მონიტორინგი და მიმოხილვა. |
| კლიენტების ლოიალობის, ინვესტორთა ნდობის და თანამშრომლების მოტივაციის გაზრდა | გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის სასწავლო ჩარჩოს განსაზღვრა „თიბისის“ ყველა თანამშრომლისთვის. | ESG საკითხების ცოდნის შეფასება თანამშრომლებსა და მომხმარებლებს შორის. გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის კვლევა ინვესტორებისთვის. |
| გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის სტრატეგიები მნიშვნელოვან შეიღობილ საწარმოებში. | შემუშავებულია გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის ინდივიდუალური სტრატეგიები. | განხორციელდა გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის სტრატეგიები და შეიქმნა ჯგუფის დონეზე გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობითი საკითხების მხარდაჭერის ფუნქცია. |
| ნეტო-ნულოვანი გამოფრქვევების მიზანი პირდაპირი გარემოსდაცვითი ზეგავლენისთვის | | შეფასდა ჯგუფის პირდაპირი ზეგავლენის მაჩვენებლები სათბური აირების გაფრქვევების შემცირებასთან დაკავშირებით პარიზის შეთანხმების მიზნებთან მიმართებით. |
| გეგმის შემუშავება გარემოზე ჩვენი არაპირდაპირი ზეგავლენის, ასევე ნეტო-ნულოვანი ნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით. | განისაზღვრა დაფინანსებული გაფრქვევების დაანგარიშების მეთოდოლოგია და განხორციელდა საჭირო მონაცემების ხელმისაწვდომობის ანალიზი. | შემუშავდა დაფინანსებული გაფრქვევების დაანგარიშების მეთოდოლოგია PCAF მიდგომების შესაბამისად და განხორციელდა დაფინანსებული გაფრქვევების კალკულაცია აქტივების ექსი კლასისთვის. |

ჯგუფს აქვს მიზანი, იყოს საქართველოსა და რეგიონში ESG პრინციპების მთავარი მხარდამჭერი. ჩვენი მიზანია, 2025 წლისთვის გარემოზე ჩვენი პირდაპირი ზეგავლენა ნეტო-ნულოვან ნიშნულამდე (Scope 1 და Scope 2 სათბური აირების გაფრქვევები) შემცირდეს და განვაგრძოთ ჩვენი გეგმის განვითარება, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს, რომ გარემოზე არაპირდაპირი ზეგავლენაც (Scope 3 გაფრქვევები) ნეტო-ნულოვან ნიშნულამდე შევამციროთ, როცა ეს პრაქტიკულად განხორციელებადი იქნება.

გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად ვიღებთ სხვადასხვა ზომას, რომლებიც მოცემულია ESG სტრატეგიაში. 2024 და 2025 წლების მნიშვნელოვანი კომპონენტები მოცემულია ქვემოთ:

- სამოქმედო გეგმა ჩვენი პირდაპირი ნეტო-ნულოვანი მიზნის მისაღწევად;
- ჯგუფის საქმიანობის არაპირდაპირი ზეგავლენის შეფასება სათბური აირების გაფრქვევების შემცირებასთან დაკავშირებით პარიზის შეთანხმების მიზნებთან მიმართებით;
- გრძელვადიანი გარდამავლობის გეგმის შემუშავება;
- საპროგნოზო მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები საშუალო და გრძელვადიანი მიზნების მხარდასაჭერად სათბური აირების გაფრქვევების შესამცირებლად;
- მაღალნახშირბადიანი საქმიანობების აკრძალვა/შეზღუდვა (იხილეთ ჩვენი აკრძალული საქმიანობების სია, რომელიც ხელმისაწვდომია ბმულზე <https://www.tbcbankgroup.com/media/2876/tbc-banks-exclusion-list.pdf>);

- გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლება და ცოდნის გაღრმავება კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების შესახებ;
- ESG აკადემია - მწვანე დაფინანსების კურსები თანამშრომლებისა და მომხმარებლებისთვის;
- ფასს (IFRS) S1 და ფასს (IFRS) S2 დანერგვა.

კლიმატთან დაკავშირებული რისკების მართვისა და შესაძლებლობების რეალიზების მხარდასაჭერად ბანკს რამდენიმე მიმდინარე ინიციატივა აქვს:

- საკონსულტაციო და პროდუქტების მომსახურებები მომხმარებლებისთვის;
- დარგობრივი მიდგომა კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების მიმართ;
- კლიმატთან დაკავშირებული ტრენინგი „თიბისის“ თანამშრომლებისთვის;
- მწვანე ტაქსონომიის ტრენინგი და „თიბისის“ თანამშრომლებს შორის ცოდნის გაღრმავება;
- მწვანე ცნობიერებისა და მწვანე ტექნოლოგიების ტრენინგი მომხმარებლებისთვის.

8.3.1 კლიმატთან დაკავშირებული რისკები და შესაძლებლობები

კლიმატთან დაკავშირებული რისკები

ქვემოთ, ცხრილში მოცემულია პოტენციური გარდამავლობის და ფიზიკური რისკების შეჯამება, რომლებიც ჯგუფმა გამოავლინა საქართველოს გარემოსთვის.

შეფასებისთვის გათვალისწინებული დროითი ჰორიზონტები არის მოკლე (0-3 წელი), საშუალო (4-8 წელი) და გრძელი (8 წელზე მეტი). შესაძლო გავლენის დონეები კლასიფიცირდება, როგორც დაბალი, საშუალო ან მაღალი. დაბალი, საშუალო ან მაღალი რისკის კატეგორიის მინიჭება მოხდა სხვა სექტორებთან და რისკის სხვა კატეგორიებთან შედარებით. ისინი არ მიუთითებს შესაბამისი რისკის არსებობაზე. იგივე მიდგომა არის გამოყენებული გარდამავალი ან ფიზიკური რისკის ქვეკატეგორიების რისკიანობის შეფასების შემთხვევაში, სხვა ქვეკატეგორიებთან შედარებით. ამრიგად, ეს შეფასებები შედარებადია და არა - აბსოლუტური და ისინი ვერ შედარდება სხვა ქვეყნებს და რეგიონებს.

ქვემოთ მოცემულია გარდამავლობის და ფიზიკური რისკების საერთო შეფასება. დროითი ჰორიზონტი განსაზღვრავს, როდის დაიწყებს შესაბამისი რისკი მატერიალიზებას, ხოლო პოტენციური გავლენის დონე მიუთითებს რისკის დონეზე. ნავარაუდევია, რომ რისკების დონე უცვლელი დარჩება შემდეგ პერიოდებში.

| რისკის წყაროები | გარდამავლობის რისკები | | | ფიზიკური რისკები | | |
|-----------------|---|---|-----------------|---|--|-----------------|
| | პოლიტიკა და სამართლებრივი გარემო | ტექნოლოგია | რისკის წყაროები | პოლიტიკა და სამართლებრივი გარემო | ტექნოლოგია | რისკის წყაროები |
| რისკის ტიპები | - გაძლიერებული მარეგულირებელი გარემო და სავალდებულო მოთხოვნები: შესაძლოა განისაზღვროს მინიმალური სტანდარტები ან მოლოდინები პროდუქტის მწვანე სერტიფიკატების ან ბიზნეს ოპერაციების შესახებ, გაგრძელებული დაკავშირებული გაძლიერებული | - არსებული პროდუქტების და სერვისების ჩანაცვლება უფრო დაბალი გაფრქვევების მქონე ერთეულებით, მათ შორის საწარმოო ტექნოლოგიის ჩანაცვლება უფრო სუფთა ალტერნატივებით - ინვესტიცია ტექნოლოგიებში, გაფრქვევების | რისკის ტიპები | - გაძლიერებული მარეგულირებელი გარემო და სავალდებულო მოთხოვნები: შესაძლოა განისაზღვროს მინიმალური სტანდარტები ან მოლოდინები პროდუქტის მწვანე სერტიფიკატების ან ბიზნეს ოპერაციების შესახებ, | - არსებული პროდუქტების და სერვისების ჩანაცვლება უფრო დაბალი გაფრქვევების მქონე ერთეულებით, მათ შორის საწარმოო ტექნოლოგიის ჩანაცვლება უფრო სუფთა ალტერნატივებით | რისკის ტიპები |

| | | | | | | |
|---|---------------|--|---|--|---|---|
| | ვალდებულებები | შემცირება ან ოპერაციების და საყოფაცხოვრებო სივრცეების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება | | გაფრქვევებთან დაკავშირებული გაძლიერებული ვალდებულებები | - ინვესტიცია ტექნოლოგიებში, გაფრქვევების შემცირება ან ოპერაციების და საყოფაცხოვრებო სივრცეების ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება | |
| დროითი დიაპაზონი | საშუალო | გრძელი | დროითი დიაპაზონი | საშუალო | გრძელი | დროითი დიაპაზონი |
| პოტენციური გავლენის დონე მომხმარებლებსა და ბანკზე | დაბალი | დაბალი | პოტენციური გავლენის დონე მომხმარებლებსა და ბანკზე | დაბალი | დაბალი | პოტენციური გავლენის დონე მომხმარებლებსა და ბანკზე |

გარდა ამისა, ჩვენ ვიყენებთ კლიმატთან დაკავშირებული რისკების რადარის მეთოდოლოგიას¹¹, რომელიც საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (სებ) შეიმუშავა და რომელსაც შესაძლოა, გავლენა ჰქონდეს ადგილობრივ კონტექსტზე. კლიმატური რისკების რადარის შეფასების ეს სისტემა ითვალისწინებს საქართველოს ყველა სექტორს, რომლებიც კლასიფიცირებულია ძირითადი სექტორებად NACE-ის სექტორების კოდების (Eurostat 2008) შესაბამისად. მოცემული მომენტისთვის, უმაღლესი ქულაა 7. შესაბამისად საქართველოში კრიტიკული სექტორებული არ არის დადგენილი. თუმცა, ზოგიერთი სექტორი (კერძოდ ქულები 7 და 6) პოტენციურად მაღალი რისკის შემცველია, სხვები (ქულები 4 და 5) წარმოადგენს კლიმატთან დაკავშირებულ რისკების გავლენის ქვეშ მყოფ პორტფელს¹². კლიმატთან დაკავშირებული რისკების რადარის საფუძველზე შესაძლებელია კლიმატთან დაკავშირებული რისკების შეფასება სექტორულ და ინდივიდუალური მომხმარებლის დონეზე. კლიმატთან დაკავშირებული აქტივობების რისკებისა და შესაძლებლობების განსაზღვრისას ჩვენ ვითვალისწინებთ კლიმატური რისკების რადარის ქულებს. კლიმატური რისკების რადარის საფუძველზე შევიმუშავებთ გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის პროფილების შიდა მეთოდოლოგია. მეტი ინფორმაცია მოცემულია რისკების მართვის საერთო პროცესის ნაწილში, 82-ე გვერდზე. ასევე, შესაძლებლობები, რომლებიც დაკავშირებულია კლიმატისადმი მოწყვლად სექტორებთან, განხილულია კლიმატთან დაკავშირებული შესაძლებლობების ნაწილში ქვემოთ გვერდებზე 71-74.

¹¹ <https://nbg.gov.ge/en/page/climate-risk-radar> - სებ-მა, German Sparkassenstiftung for International Cooperation (DSIK) თანამშრომლობით, მოამზადა ანგარიში კლიმატთან დაკავშირებული რისკის რადარის შესახებ ქართული ეკონომიკური სექტორებისა და ფინანსურ სექტორში მისი შესაძლო გამოყენების შესახებ. ანგარიში შეიმუშავებს კლიმატური რისკის მაჩვენებლების სისტემას ქართული ეკონომიკური სექტორებისთვის და აფასებს ფინანსური სექტორის დაქვემდებარებას გამოვლენილ სარისკო დარგებზე.

¹² Score 7 - სოფლის მეურნეობა, მეტყვეობა და მეთევზეობა, არა მრავალწლოვანი კულტურების მოშენება, მეტყვეობა და ხე-ტყის დამზადება, კვების პროდუქტების წარმოება, ქიმიკატების და ქიმიური პროდუქტების წარმოება, ელექტრობა, გაზი, ორთქლის და ჰაერის კონდიციონირება, წყალმომარაგება, საკანალიზაციო სისტემა, ნარჩენების მართვა და აღდგენის საქმიანობები. Score 6 - მრავალწლოვანი კულტურების მოყვანა, მეცხოველეობა, მეთევზეობა და აკვაკულტურა, მრეწველობა, თამბაქოს პროდუქტების წარმოება, კოქსის და გადამუშავებული ნავთობპროდუქტების წარმოება, ავტომობილების, სატვირთო და ნახევრად სატვირთო მანქანების წარმოება, მშენებლობა ტრანსპორტირება და სასაწყობე სექტორი (<https://nbg.gov.ge/en/page/climate-risk-radar>).

გარდამავლობის რეგულაციებისა და სამართლებრივი ღონისძიებების გავლენის საერთო შეფასება

საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიას¹³ და კლიმატთან დაკავშირებულ სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში¹⁴ მოცემულია სხვადასხვა პოლიტიკით გათვალისწინებული ღონისძიებები, რომლებზე დაყრდნობითაც ბანკმა განსაზღვრა პოლიტიკით გათვალისწინებული ღონისძიებების პოტენციური გავლენა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორზე, რომლებიც ბანკის მიერ ფინანსდება. გარდამავლობის რისკების პოტენციური გავლენა რომ შევაჯამოთ, გარდამავლობის რისკები საქართველოში და „თიბისი“ ბანკის საქმიანობისთვის დაბალია. შეფასების მიხედვით, საქართველოს ეკონომიკის დიდი ნაწილი უკავია ვაჭრობას და მომსახურებას და საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიაში წარმოდგენილი პოლიტიკით გათვალისწინებული ღონისძიებები, საერთო ჯამში, მცირე გავლენას მოახდენს ეკონომიკის სექტორებზე, განსაკუთრებით მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში. საქართველოს, როგორც გარდამავალი და მზარდი ეკონომიკის მქონე ქვეყნის სტატუსის გათვალისწინებით, მისი 2023 წლის კლიმატის ცვლილების სტრატეგია ორიენტირებულია იმაზე, რომ არ მოხდეს მშპ-ის ზრდისთვის ხელის შეშლა მარეგულირებელი ღონისძიებებით და, სადაც საჭიროა, მზარი დაუჭიროს გარდამავლობის პროცესის უზარველოდ განხორციელებას. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური სექტორები, რომლებზეც განსაკუთრებით მოქმედებს გარდამავლობის რისკები მსოფლიო მასშტაბით, როგორც არის ნედლი ნავთობის, ბუნებრივი აირის და ლითონის მადნების მოპოვება, კოქსის და გადამუშავებული ნავთობპროდუქტების წარმოება,¹⁵ მინიმალურად არის საქართველოში წარმოდგენილი, რის გამოც გარდამავალი ღონისძიებების საერთო გავლენა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ეკონომიკურ ზრდაზე დაბალია.

ტექნოლოგიური რისკი

ტექნოლოგიური რისკი გარდამავლობის რისკის ქვე-კატეგორიაა. ტექნოლოგიური რისკი, რომელიც უკავშირდება კლიმატურ ცვლილებას, არასაჭირო ინვესტიციებს ტექნოლოგიურ განვითარებაში ან ინვესტიციის ნაკლებობას ტექნოლოგიურ გაუმჯობესებებში, საქართველოში დაბალია, რადგან ქართული კომპანიები თითქმის არ ახდენენ ინვესტირებას ახალი მწვანე ტექნოლოგიების განვითარებაში; ისინი სარგებლობენ სხვა (ტექნოლოგიურად უფრო მოწინავე) ქვეყნებში შექმნილი ტექნოლოგიებით და ნერგავენ იმ ტექნოლოგიებს, რომლებიც უკვე გამოცდილი და დამკვიდრებულია. შესაბამისად, წარუმატებელი ინვესტირების შემთხვევები ნაკლებად მოსალოდნელია.

საბაზრო რისკი და რეპუტაციული რისკი

საბაზრო რისკი დაბალია, რადგან საქართველოში მომხმარებელთა ქცევა გვიჩვენებს, რომ დაბალი ნახშირბადის ნაკვალევის მქონე პროდუქტების მოხმარებაზე გადასვლის ტენდენცია ძალიან დაბალია. რაც შეეხება რეპუტაციულ რისკს, არსებითი გავლენა არ არის მოსალოდნელი, ვინაიდან „თიბისი“ ბანკს შემუშავებული აქვს გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის მართვის პროცედურები გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების გამოვლენის, შეფასების, მართვისა და მონიტორინგის მიზნით, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის კანონმდებლობასთან და ითვალისწინებს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას. გარემოსდაცვითი მართვის სისტემის შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ გვერდებზე 77-84.

მწვავე და ქრონიკული ფიზიკური რისკების გავლენის საერთო შეფასება

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი პირობები – პატარა ქვეყანა მთიანი ლანდშაფტით, შავი ზღვის სანაპირო ზოლით და ნახევარ უდაბნოს ზონებით სამხრეთ-აღმოსავლეთში – ეს ყველაფერი იწვევს ქვეყნის მოწყვლადობას კლიმატის ცვლილებების ფიზიკური რისკების მიმართ. სექტორები, რომლებიც მიიჩნევა ყველაზე მოწყვლადად კლიმატის ცვლილების მიმართ, საქართველოში მოიცავს სოფლის მეურნეობას, სატყეო მეურნეობას, ტურიზმსა და ჯანდაცვას¹⁶.

¹³ <https://mepa.gov.ge/En/Files/ViewFile/50123>

¹⁴ <https://mepa.gov.ge/En/Files/ViewFile/50122>

¹⁵ [2021 წლის ორწლიანი კვლევითი სცენარის მთავარი ელემენტები: ფინანსური რისკები კლიმატის ცვლილებიდან | ინგლისის ბანკი](#)

¹⁶ <https://unfccc.int/sites/default/files/resource/Geonc3.pdf>

მწვავე და ქრონიკული ფიზიკური რისკის გავლენა ეკონომიკურ სექტორებზე, რომლებიც ფინანსდება „თიბისი ბანკის“ მიერ, დროთა განმავლობაში შესაძლოა, არსებითი გახდეს. ბანკისთვის რისკები შესაძლოა მატერიალიზდეს აქტივის ღირებულების გაუფასურებით და იმ მომხმარებლების კრედიტუნარიანობის გაუარესებით, რომლებიც საქართველოში ოპერირებენ. გარკვეული გეოგრაფიული ტერიტორიები და ეკონომიკური სექტორები, როგორცაა ზამთრის კურორტები და სასოფლო-სამეურნეო მიწა, უკვე ნაწილობრივ დაზარალდა და შეიძლება, კიდევ უფრო გაუარესდეს საშუალო-ვადიან პერსპექტივაში. საქართველოზე და ბანკის საქმიანობაზე მწვავე და ქრონიკული რისკების პოტენციური გავლენის საერთო შეფასება საშუალოა გრძელვადიან პერსპექტივაში. დღეისათვის, არ გამოვლენილა ბანკის საქმიანობებზე არსებითი გავლენა. როგორც ცნობილია, კლიმატური ცვლილების რისკები მეტწილად ასოცირდება გრძელვადიან ზემოქმედებასთან, თუმცა ეს გრძელვადიანი გავლენა გაურკვეველია, განსაკუთრებით, ბანკის სასესხო პორტფელის შედარებით მოკლევადიანი სტრუქტურის გათვალისწინებით.

კლიმატთან დაკავშირებული შესაძლებლობები

კლიმატთან დაკავშირებული შესაძლებლობები პირდაპირ არის დაკავშირებული კლიმატურ რისკებთან და ეკონომიკურ სექტორებთან, რომლებსაც აქვს მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენა გარემოზე და/ან მასზე შესაძლოა, პოტენციურად იმოქმედოს კლიმატურმა რისკებმა. მიტიგაციის ღონისძიებების (სათბური აირების გაფრქვევების შემცირება) დაფინანსება ისეთ სექტორებს მოიცავს, როგორც არის ტრანსპორტირება, მშენებლობა, ენერჯის გამომუშავება და გადაცემა, სოფლის მეურნეობა და წარმოება.

კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ღონისძიებები მოიცავს სოფლის მეურნეობის, ინფრასტრუქტურის, ტურიზმისა და წყლის რესურსების სექტორებს.

ბანკის მიერ გამოყენებული მიდგომა შეესაბამება საქართველოს კლიმატთან დაკავშირებულ სამოქმედო გეგმას ეროვნულ დონეზე განსაზღვრული კონტრიბუციების მიზნების განსახორციელებლად:

- დაგეგმილი სათბური აირების გაფრქვევების 15%-ით შემცირება სატრანსპორტო სექტორში 2030 წლისთვის;
- დაბალი ნახშირბად-ინტენსივობის მაჩვენებლის მხარდაჭერა სამშენებლო სექტორში, კლიმატთან დაკავშირებულ მიზნებზე ორიენტირებული ენერგოეფექტური ტექნოლოგიების და სერვისების წახალისების გზით;
- დაგეგმილი სათბური აირების გაფრქვევების 15%-ით შემცირება ენერჯის გამომუშავების და გადაცემის სექტორში 2030 წლისთვის;
- დაბალი ნახშირბად-ინტენსივობის მაჩვენებლის მხარდაჭერა სოფლის მეურნეობის სექტორში, სოფლის მეურნეობის სექტორში კლიმატ-გონივრული ტექნოლოგიების და სერვისების წახალისების გზით;
- ინდუსტრიულ სექტორში დაბალი ნახშირბად-ინტენსივობის მაჩვენებლის მხარდაჭერა ეკოლოგიურად სუფთა ინოვაციური ტექნოლოგიების და სერვისების წახალისების გზით, შესაბამისი ღონისძიებების გარეშე დაგეგმილ გაფრქვევებთან შედარებით გაფრქვევების 5%-ით შეზღუდვის მიზნით.
- დაბალი ნახშირბად-ინტენსივობის მაჩვენებლის მხარდაჭერა ნარჩენების მართვის სექტორში, ეკოლოგიურად სუფთა ინოვაციური ტექნოლოგიების და სერვისების წახალისების გზით.

ჩვენთვის მდგრადი დაკრედიტება საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა და აქტიურად ვართ ჩართულები მდგრადი დაფინანსების სტანდარტიზებული მიდგომის შემუშავებაში, მათ შორის ენერგოეფექტური, განახლებადი ენერჯისა და რესურს-ეფექტურობის დაფინანსების ჩათვლით ჩვენი საცალო და ბიზნეს-მომხმარებლებისთვის. ჩვენი მდგრადი პორტფელის უმსხვილესი ნაწილი მოიცავს ენერგოეფექტურობის, განახლებადი ენერჯის და რესურსების ეფექტურობის დაფინანსებას და ის 847 მილიონ ლარს უტოლდება 1,23 მილიარდი ლარიდან. მდგრადი პორტფელის დარჩენილი ნაწილი მოიცავს ქალების და ახალგაზრდების დაფინანსებას, ხელმისაწვდომი საცხოვრებლის და სტარტაპ სესხებს. მდგრადი პორტფელის ზრდის მიზნები ყოველწლიურად განისაზღვრება გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით სტრატეგიაში. მიზნები განისაზღვრება მწვანე დაფინანსებაზე მომხმარებელთა საჭიროებების და ბანკის შესაბამის ბიზნეს-დეპარტამენტებთან განხილვების გათვალისწინების შემდეგ. 2024 წლისთვის სამეთვალყურეო საბჭომ მიზნობრივ მოცულობად 1,4 მილიარდი ლარი განსაზღვრა.

განახლებადი ენერჯის წარმოების არსებული პოტენციალის გათვალისწინებით, ბანკი წამყვანი პარტნიორია საქართველოში ადგილობრივი განახლებადი ენერჯის პროექტების, მათ შორის ჰიდროელექტროსადგურების დაფინანსებაში.

ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ საერთაშორისო პარტნიორებთან მდგრადი დაკრედიტებისთვის ფინანსების მოსაზიდად:

- ბანკი აქტიურად ახდენს მწვანე სახსრების მობილიზებას პარტნიორი საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებისგან მდგრადი ეკონომიური ზრდის ხელშეწყობის მიზნით, რაც მეტწილად ენერჯოფექტური, რესურსდამოკიდებული და განახლებადი ენერჯის პროექტების მხარდაჭერის გზით ხორციელდება. ეს ინსტრუმენტები ადგილობრივ საწარმოებს და საოჯახო მეურნეობებს დაეხმარება, გახდნენ კონკურენტუნარიანი მაღალეფექტურ ტექნოლოგიებში ინვესტირების და ენერჯოფექტური პრაქტიკის დანერგვის გზით. ამასთან, დაფინანსებას თან ახლავს ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამები, რომლებიც ნოუ-ჰაუს და ტექნიკურ ექსპერტიზას სთავაზობს მსესხებლებს და უზრუნველყოფს მათი მწვანე ინვესტიციების წარმატებით დანერგვას. რამდენიმე მწვანე ინიციატივას, ასევე, თან ახლავს გრანტის შესაძლებლობებიც. 2023 წელს ბანკმა სხვადასხვა მწვანე სახსრები მოიზიდა რამდენიმე გრძელვადიანი საერთაშორისო პარტნიორისგან, როგორც არის EIB, EBRD, GGF, GCPF, FMO და ProParco, მთლიანად 663 მილიონი ლარის ოდენობით.
- ამასთან, „მწვანე კლიმატური ფონდისგან“ (GCF) 2021 წელს აკრედიტაციის მიღების შემდეგ, 2022 წელს ბანკმა გააფორმა „აკრედიტაციის გენერალური ხელშეკრულება“ (AMA), რომელიც ცენტრალური ინსტრუმენტია და განსაზღვრავს „მწვანე კლიმატურ ფონდთან“ ერთად მუშაობის ძირითად პირობებს. ეს დოკუმენტი „თიბისი ბანკს“ ანიჭებს უფლებამოსილებას, ჰქონდეს „მწვანე კლიმატური ფონდის“ ფინანსურ რესურსებზე წვდომა და განახორციელოს მათი მობილიზება და, ასევე, განსაზღვრავს ბანკის ანგარიშვალდებულებას „GCF“-ის მიერ დამტკიცებული პროექტების სათანადოდ განხორციელების უზრუნველსაყოფად.
- ბანკი აღიარებს გენდერული თანასწორობის და ქალთა გამლიერების საკითხების მნიშვნელობას და დანერგილი აქვს რამდენიმე ინსტრუმენტი, რომელიც ხელს უწყობს ქალთა მეწარმეობას ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მხარდაჭერით, არაფინანსური მომსახურებებით და, ასევე, ცოდნის გაზიარების შესაძლებლობებით. ამასთან, ბანკს გამოყოფილი აქვს სახსრები ახალგაზრდა მსესხებლების და მეწარმეების მხარდასაჭერად, საგანმანათლებლო სესხების, იპოთეკური სესხების, ასევე ბიზნესის დასაწყებად სესხების გასაცემად.

ბანკი სტარტაპებზე, ქალ და რეგიონულ მეწარმეებზე ორიენტირებულ რამდენიმე საგარანტიო საშუალებას ფლობს. რისკების გაზიარების ეს ინსტრუმენტები ნაწილობრივ ჩაანაცვლებს უზრუნველყოფის საგანს და ბანკს საშუალებას აძლევს, გაზარდოს წვდომა დაფინანსებაზე სამიზნე ჯგუფებისთვის, მათთვის ზრდის და განვითარების უკეთესი შესაძლებლობების შეთავაზების გზით.

8.3.2 კლიმატთან დაკავშირებული რისკები და შესაძლებლობები ბიზნესისა და ფინანსური დაგეგმვისთვის

2024 წელს ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ დეტალური გარდამავალი გეგმების შემუშავებაზე, რომლებიც ჯგუფის საქმიანობის შედეგების შეფასებას დაეფუძნება, სათბური აირების გაფრქვევების შემცირებასთან დაკავშირებულ პარიზის შეთანხმების მიზნების გათვალისწინებით. შემუშავების პროცესის მხარდაჭერის მიზნით, ჩვენ დავიქირავეთ საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები და შევიმუშავეთ სამუშაოს დეტალური აღწერა, რაც შემდეგ საქმიანობებს მოიცავს: დაფინანსებული გაფრქვევების დაანგარიშება, ნახშირბადის ანგარიშგება, პარიზის ხელშეკრულებასთან შესაბამისობა, დეკარბონიზაციის სამოქმედო გეგმა, ნახშირბადის გავლენის შეფასების მეთოდოლოგია, შერჩეული მომხმარებლების ნახშირბადის ნაკვალევის შეფასება და ინსტიტუციური ცოდნის შექმნა.

დეტალური, ჰოლისტიკური გარდამავალი გეგმის არარსებობის პირობებშიც კი, ჩვენ გავატარეთ რამდენიმე ღონისძიება ჩვენი პირდაპირი ნეტო-ნულოვანი მიზნის მხარდაჭერისთვის:

- ჩვენ დავიწყეთ განახლებადი ენერჯის გამოყენება და დავამონტაჟეთ მზის ელექტროსადგურები ორ ლოკაციაზე, მთლიანი სიმძლავრით 130 კვტ. მთლიანმა ინვესტირებულმა თანხამ 23 000 ლარი შეადგინა.

გეგმით გათვალისწინებულია რეგიონებში მთლიან მოხმარებულ ელექტროენერგიაში განახლებადი ენერჯის წილის 50%-მდე ზრდა.

- ჩვენ თანდათან ვზრდით ელექტრო და ჰიბრიდული ავტომობილების წილს ჩვენს ავტოპარკში, რომელიც დღეს 67%-ს შეადგენს; მთლიანი ინვესტიციების რაოდენობა 914 900 ლარია.
- 2022 წლიდან ჩვენ ვახორციელებთ ინვესტირებას ენერგოეფექტურ გათბობა-გაგრილების სისტემებში ახლად განახლებულ ყველა ფილიალში; მთლიანი ინვესტიცია, სამშენებლო სამუშაოების ჩათვლით 2,15 მილიონ ლარს შეადგენს.
- 2023 წლის განმავლობაში ჩვენ განვაახლეთ IT ინფრასტრუქტურის და ღრუბლოვანი, ენერგოეფექტურ სერვერებზე მიგრაცია განვახორციელეთ,, რაც ელექტროენერჯის მოხმარების შესაბამის წილს 10-15%-ით შეამცირებს.

2024 წელს ჩვენ ვაპირებთ 36 ელექტრო-დამტენი სადგურის დამონტაჟებას სათავო ოფისსა და ჩვენს სხვა ობიექტებზე; დაგეგმილი ინვესტიცია 450 000 ლარს უტოლდება.

მთლიანმა ინვესტირებულმა თანხამ 3,54 მილიონი ლარი შეადგინა.

ჩვენი პორტფელის გამწვანებაზე ორიენტირებული ღონისძიებების მხარდაჭერის და დაფინანსებული გაფრქვევების (Scope 3) შემცირების მიზნით, გავაძლიერეთ ჩვენი მწვანე დაფინანსების ძალისხმევები.

- ჩვენ ყოველწლიურად ვზრდით მწვანე დაფინანსების მოცულობას;
- 2023 წელს ჩვენ 23%-ით გადავაჭარბეთ მდგრადი პორტფელის მოცულობის 1,0 მილიარდი ლარის ოდენობით სტრატეგიულ მიზანს. შედეგმა 1,23 მილიარდი ლარი შეადგინა.
- მოზიდული მწვანე დაფინანსება სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებიდან ყოველდღიურად იზრდება. 2023 წლის მდგომარეობით, ის 663 მილიონ ლარს შეადგენს.

ძირითადი შესაძლებლობები მოდის ელექტროეფექტურობასა და განახლებადი ენერჯის დაფინანსებაზე. თუმცა, ჩვენს მომხმარებლებს ვთავაზობთ სხვა მწვანე და კლიმატთან დაკავშირებული დაფინანსების ფართო სპექტრს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კლიმატთან დაკავშირებული შესაძლებლობები სექტორების მიხედვით.

| სექტორი | % დამოუკიდებელი ბანკის საკრედიტო წიგნი | სათბური აირების გაფრქვევების კონტრიბუცია ¹⁷ | კლიმატი რისკის ქულა ¹⁸ | პროდუქტების კატალოგი |
|--------------------------------------|--|--|-----------------------------------|--|
| სოფლის მეურნეობა | 4.6% | 4 | 7 | ენერგოეფექტურობის სესხები კლიმატურად ოპტიმიზებული ტექნოლოგიები ახალი სარწყავი სისტემები |
| საავტომობილო | 1.3% | 4 | 5 | ჰიბრიდული და ელექტრო მანქანები ვერო 5, ვერო 6 და ვერო 7 ავტომობილები ენერგოეფექტურობის სესხები ინდუსტრიული ავტომობილები |
| მშენებლობა | 6.9% | 3 | 6 | ენერგოეფექტური სესხები სამშენებლო პროექტებისთვის ენერგოეფექტური სამშენებლო მასალების წარმოება ენერგოეფექტური სესხები მანქანა- დანადგარების/მოწყობილობებისთვის ელექტრო მანქანების დამტენი სადგურები |
| ენერჯეტიკა და კომუნალური მომსახურება | 4.7% | 4 | 7 | განახლებადი ენერჯის დაფინანსება ელექტრო მანქანების დამტენი სადგურები |
| კვების მრეწველობა | 5.4% | 4 | 7 | ენერგოეფექტურობის სესხები (საწყობები, სათავსოები, ტექნიკა, ავტომობილები) |

¹⁷ კლიმატური რისკების რადარი განსაზღვრავს სათბური აირების გაფრქვევებში კონტრიბუციის ქულას, 1990-2017 წლების საქართველოს სათბური აირების მარაგების ეროვნული ანგარიშის შესაბამისად.

¹⁸ კლიმატური რისკების რადარი განსაზღვრავს რისკის 4 კატეგორიას: 0-3 უმნიშვნელო, 4-5 მგრძობიარე, 6-7 მაღალი რისკი, 8-10 კრიტიკული. კრიტიკული რისკ-პროფილის მქონე სექტორები არ არსებობს.

| | | | | |
|---|-------|-----|-----|--|
| ფიზიკური პირები | 37.1% | N/A | N/A | ენერგოეფექტური იპოთეკა ჰიბრიდული და ელექტრო მანქანების სესხები |
| წარმოება | 0.7% | 3.5 | 6 | ენერგოეფექტური სესხები (მანქანა-დანადგარები, მოწყობილობები, შენობა-ნაგებობები) ნახშირბადის ფილტრაცია |
| მეტალურგია და სამთო-მომპოვებელი ინდუსტრია | 0.8% | 4 | 5 | ენერგოეფექტური სესხები (მანქანა-დანადგარები, მოწყობილობები, შენობა-ნაგებობები) |
| ნავთობი და გაზი | 1.2% | 4 | 7 | ენერგოეფექტური სესხები ელექტრო მანქანების დამტენი სადგურების ასაშენებლად |
| უმრავი ქონება | 9.5% | 3 | 5 | ენერგოეფექტურობის სესხები განახლებადი ენერჯის დაფინანსება (მზის პანელები) |
| ტრანსპორტირება | 1.4% | 3.5 | 6 | ჰიბრიდული და ელექტრო მანქანები ევრო 5, ევრო 6 და ევრო 7 ავტომობილები, ავტობუსები, სატვირთო მანქანები |

2023 წელს ჩვენ განვაგრძობთ კლიმატთან დაკავშირებული და უფრო ფართო გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხების დანერგვას ჩვენს ფინანსური დაგეგმვის პროცესებში. 2023 წლის ფინანსური დაგეგმვის პროცესში დამატებითი ხარისხობრივი შეფასებები გავითვალისწინეთ, რომლებიც უკავშირდება კლიმატის და გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობის საკითხებს, . 2023 წელს ჯგუფმა სასესხო პორტფელის ზრდის დაგეგმვა რისკებსა და შესაძლებლობებს მოარგო სხვადასხვა ბიზნეს-სეგმენტში: საცალო მომხმარებლები, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები და კორპორატიული სეგმენტი.

2023 წლის ბოლოსთვის „თიხისი ბანკის“ მდგრადი პორტფელი (რომელიც 1,23 მილიონ ლარს უტოლდება) მოიცავს სხვადასხვა მიზნობრიობებს, როგორც არის: სესხები ენერგოეფექტურობისა და ელექტრო ავტომობილებისთვის განახლებადი ენერჯის დაფინანსება მზის პანელებისა და ჰიდროელექტროსადგურებისთვის.

| სექტორი | % ბანკის საკრედიტო წიგნი | წილი მდგრად პორტფელში | 2024 წელს დაფინანსების საყურადღებო სფეროები |
|--|--------------------------|-----------------------|--|
| საცალო სეგმენტი | 35% | 1.1% | ენერგოეფექტურობა ელექტრო და ჰიბრიდული მანქანები იპოთეკური სესხები მზის პანელების დაფინანსება |
| მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების სეგმენტი | 26% | 5.9% | ენერგოეფექტურობა განახლებადი ენერჯია კლიმატ-გონივრული ტექნოლოგიები ჰიბრიდული და ელექტრო მანქანები ინდუსტრიული ავტომობილები |
| კორპორატიული სეგმენტი | 39% | 93% | ენერგოეფექტურობა განახლებადი ენერჯია კლიმატ-გონივრული ტექნოლოგიები ახალი სარწყავი სისტემები ინდუსტრიული ავტომობილები |

2024 წელს ყურადღებას გავამახვილებთ სპეციალურ გარდამავლობის გეგმებსა და ფინანსური დაგეგმვის პროცესში პარიზის შეთანხმებასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის ინტეგრირებაზე, ასევე შესაბამისი მეთოდოლოგიებისა და ინსტრუმენტების შემუშავებაზე.

8.3.3 კლიმატთან დაკავშირებული სცენარები

ბანკი მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს სცენარული ანალიზის შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად, რათა უკეთ გაერკვეს კლიმატთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების სავარაუდო შედეგებში ჩვენი ბიზნესისა და მომხმარებლებისთვის და რეაგირება მოახდინოს მათზე. კლიმატთან დაკავშირებული სცენარული ანალიზის შემუშავება კომპლექსურია, ვინაიდან კლიმატის შესახებ მონაცემებისა და ქვე-სექტორების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და ფინანსური რისკის ანალიზისთვის მართებულობა, ასევე კლიმატთან დაკავშირებული რისკის მოდელირების შესაძლებლობა საქართველოში ძალიან შეზღუდულია და ჯერ კიდევ ვითარდება. ამ შეზღუდვების მიუხედავად, სცენარული ანალიზი საშუალებას გვაძლევს, გამოვცადოთ სხვადასხვა შესაძლო კლიმატის ცვლილების განვითარების გზები და გავიაზროთ მათთან დაკავშირებული რისკების ხასიათი და სიმძლავრე. სცენარული ანალიზის მიზანი არის არა მომავლის პროგნოზირება, არამედ შესაძლო რისკებში გარკვევა და მათი მართვისთვის მომზადება. 2023 წელს ჩვენ გავაგრძელებთ გარე კონსულტანტთან თანამშრომლობა და განვაახლებთ სტრეს-ტესტის მოდელი, რომელიც მოიცავს საქართველოს სხვადასხვა ეკონომიკურ სექტორს, რათა გამოვველინოთ სტრეს-ტესტის გავლენა ბანკის მთლიან საკრედიტო პორტფელზე.

სცენარის შერჩევა

სხვადასხვა დამაჯერებელი სცენარების შესარჩევად რისკების სრულყოფილად შესაფასებლად სხვადასხვა სცენარი გამოიყენება: 2°C-ზე ნაკლები (B2C)¹⁹, ნეტო-ნულოვანი 2050 (NZ2050)²⁰, დაგვიანებული გადასვლა (DT)³²¹. შერჩეული სცენარები მოიცავს 2020 წლიდან 2050 წლამდე პერიოდს. სცენარები ასახავს განსხვავებულ დაშვებებს სახელმწიფო ღონისძიებების ალბათობისა და დროის, ტექნოლოგიური წინსვლისა და პროდუქტიულობის სხვა დაკავშირებული ეფექტების შესახებ. თითოეული სცენარი აერთიანებს დაშვებებს, რომლებიც ეხება: i) სახელმწიფო პოლიტიკით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას (უფრო მაღალი ნახშირბადის გადასახადის შემოღებას), და ii) წარმოების პროდუქტიულობის შოკებს, რომლებიც არასაკმარისად განვითარებული ტექნოლოგიების (უფრო მაღალ ფასებს ენერგორესურსებზე) გამო წარმოიქმნება, და ეფექტებს არაენერგეტიკულ სექტორებში ინვესტიციებზე. სცენარული ანალიზისთვის მონაცემების ძირითად წყაროდ გამოვიყენეთ გლობალური ცვლილების შეფასების მოდელი (GCAM), რომელიც NGFS სცენარების შესაქმნელად გამოიყენება. მონაცემები აღებულია NGFS მე-2 ფაზის მონაცემთა ბაზიდან და FCAM5.3 (GCAM-USA) მოდელიდან, რომელიც ინტეგრირებული შეფასების მოდელია ენერგეტიკული და სოციალურ-ეკონომიკური სისტემების

¹⁹ სცენარი „2°C-ზე ნაკლები“ თანდათანობით ზრდის კლიმატთან დაკავშირებული პოლიტიკების სიმკაცრეს, რაც გულისხმობს 2°C გლობალური დათბობის ზღვრის 67%-ით ცვლილებას. ამ სცენარით გათვალისწინებულია, რომ კლიმატთან დაკავშირებული პოლიტიკები სასწრაფო წესით დაინერგება და თანდათანობით მეტად გამკაცრდება, თუმცა არ აღემატება ნეტო-ნულოვან ნიშნულს 2050 წელს. CDR (ნახშირბადის დიოქსიდის მოცილება) ათვისება შედარებით დაბალია. ნეტო-ნულოვანი ნიშნული CO₂ გაფრქვევა 2070 წლის შემდეგ მიიღწევა. ფიზიკური და გარდამავლობის რისკები შედარებით დაბალია.

²⁰ ნეტო-ნულოვანი ნიშნული 2050 ამბიციური სცენარია, რომელიც 1.5°C ზღუდავს გლობალურ დათბობას, კლიმატთან დაკავშირებული მკაცრი პოლიტიკებით და ინოვაციებით და ნეტო-ნულოვანი ნიშნული CO₂ გაფრქვევების დონის მიღწევას დაახლოებით 2050 წლისთვის გეგმავს. ისეთი იურისდიქციები, როგორც არის მაგალითად აშშ, ევროკავშირი და იაპონია, ყველა სათბური აირისთვის ნეტო-ნულოვანი ნიშნულს უკვე ამ მომენტისთვის აღწევს. ეს სცენარი გულისხმობს, რომ კლიმატთან დაკავშირებული ამბიციური პოლიტიკები სასწრაფო წესით ინერგება. CDR გამოიყენება დეკარბონიზაციის აჩქარების, ამავდროულად მინიმალურ შესაძლო დონეზე და ბიოენერჯის წარმოების მდგრად დონეებთან მაქსიმალურად შესაბამისობის შენარჩუნების მიზნით. წმინდა CO₂ გაფრქვევები ნულოვან მაჩვენებელს დაახლოებით 2050 წლისთვის მიაღწევს, რა გზითაც შეიქმნება სულ მცირე 50%-იანი შანსი იმისა, რომ საუკუნის ბოლოსთვის გლობალური დათბობა 1,5°C-ზე ნაკლები ოდენობით შენარჩუნდეს, ადრეულ წლებში 1.5°C-ის ნულოვანი ან დაბალი გადაცდენით (<0.1°C). ფიზიკური რისკები შედარებით დაბალია, ხოლო გარდამავლობის რისკები - მაღალი.

²¹ დაგვიანებული გადასვლა იმას გულისხმობს, რომ გლობალური წლიური გაფრქვევები არ შემცირდება 2030 წლამდე. ამ დროს საჭირო გახდება ძლიერი პოლიტიკები დათბობის 2°C-ზე დაბალ მაჩვენებლამდე შესაზღუდად. ნეგატიური გაფრქვევები შეზღუდულია. ეს სცენარი გულისხმობს ახალი კლიმატური პოლიტიკა არ დაინერგება 2030 წლამდე და სამოქმედო დონეები განსხვავებული იქნება სხვადასხვა ქვეყანასა და რეგიონში, უკვე დანერგილი პოლიტიკების საფუძველზე. CDR ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა დაბალია, რაც ნახშირბადის ფასებს მაღლა სწევს ნეტო-ნულოვანი ნიშნულის 2050 პირობებში. შედეგად, გაფრქვევები დროებით აჭარბებს ნახშირბადის ბიუჯეტს და უფრო სწრაფად იცვლება მნიშვნელოვანად 2°C-ზე ქვემოთ 2030 წლის შემდეგ, რაც უზრუნველყოფს გლობალური დათბობის 2°C-ზე ნაკლები ოდენობით შეზღუდვის 67%-იან ცვლილებას. ეს გამოიწვევს უფრო მაღალ გარდამავლობის და ფიზიკურ რისკებს, ვიდრე ნეტო-ნულოვანი ნიშნული 2050 და 2°C-ზე დაბალი სცენარებით არის განსაზღვრული.

განვითარებისთვის.

გარდამავლობის რისკების მაკროეკონომიკური გავლენა წარმოიშობა ძირეული ცვლილების შედეგად ენერგო მოხმარებასა და მიწით სარგებლობაში და ის გავლენას მოახდენს ეკონომიკის ყველა სექტორზე. GCAM მოდელი აღწერს, როგორ ვითარდება ენერჯის მიწოდება, მოთხოვნა და ფასები სხვადასხვა გარდამავლობის სცენარში. მოდელი, ასევე, ქმნის GDP ტრაექტორიებს, ნახშირბადის ფასებს და სათბური აირების გაფრქვევებს საქართველოსთვის.

სცენარის განხორციელება

GCAM მოდელს შედეგების შევსების მიზნით, დაემატა გარდამავლობის კიდევ სამი არხი:

- გაზრდილი კაპიტალური დანახარჯები – გადასვლა დეკარბონიზებულ ეკონომიკაზე მოითხოვს „ტრადიციული“ ანუ მაღალ-ნახშირბადიანი ტექნოლოგიების ჩანაცვლებას მდგრადი ტექნოლოგიით²². ეს ახალი ტექნოლოგიები უფრო ძვირია, რაც იმას ნიშნავს, რომ საჭიროებს უფრო მაღალ კაპიტალურ დანახარჯებს / ბერკეტებს / სესხის მომსახურების ტვირთს ბანკის მსესხებლებისთვის;
- პირდაპირი გაფრქვევები – ენერგორესურსების ფასები გარდამავლობის მთავარი არხია ნახშირბადის გადასახადისთვის, თუმცა პირდაპირი გაფრქვევებიც (საკუთარი გათბობის სისტემა, საწვავის საკუთარი მიზნებისთვის მოხმარება, მეცხოველეობის გაფრქვევები და სხვ.) შესაძლოა დაიბეგროს. ამ ინფორმაციას არ ასახავს ენერჯიაზე კონცენტრირებული ინტეგრირებული შეფასების მოდელები (IAM);
- გარდამავლობის გამარჯვებულები - გარკვეული სექტორები მიიჩნევიან სექტორულ გამარჯვებულებად, რადგან ისინი სავარაუდოდ მეტ სარგებელს მიიღებენ უფრო მაღალი და დაჩქარებული ინვესტირების ციკლებიდან. მათ რიცხვში შედის: მშენებლობა, საავტომობილო ინდუსტრია, ვაჭრობა, წარმოება დაბალ-ნახშირბადიან საქმიანობაზე გადასვლის გამო.

რაც შეეხება ფიზიკურ რისკებს, უპირველეს ყოვლისა, შემოწმდა NGFS-ის მიერ ფიზიკური რისკებისთვის გათვალისწინებული მოდელები და სცენარები. ასევე, სასურველი გახდა გარდამავლობის რისკების სცენარებთან შესაბამისობა. ამ კონტექსტში, ხელმისაწვდომი მონაცემების წყაროები ფიზიკური რისკების ინდიკატორების გამოყენების შესაძლებლობას იძლეოდა მხოლოდ REMIND-MAGPIE²³ მოდელისთვის სამი სცენარის მიხედვით (ე.ი., არსებული პოლიტიკა, ნეტო-წულოვანი 2050 და დაგვიანებული გადასვლა). შემდგომ, შეირჩა ფიზიკური რისკის ორი ინდიკატორი, რომელიც განსაკუთრებით შეესაბამება საქართველოს, და რომელთაგან ერთ-ერთი მწვავე იყო, ხოლო მეორე – ქრონიკული. პირველი, „მდინარეების ადიდებით გამოწვეული წლიური მოსალოდნელი ზიანი“ შეირჩა, როგორც მწვავე რისკის ინდიკატორი, რადგან საქართველოს ბუნებრივი კატასტროფების ისტორია იმაზე მეტყველებს, რომ წყალდიდობა ყველაზე დამაზიანებელი, მაღალ-რისკიანი ფიზიკური მოვლენაა. „ჰაერის საშუალო ტემპერატურა“ შეირჩა, როგორც ქრონიკული რისკის ფუნდამენტური ინდიკატორი.

კლიმატურ სტრეს-ტესტში გამოყენებული შოკების დაანგარიშებები გრძელვადიანი შოკებიდან მომდინარეობს: კლიმატური სტრესის ეფექტების დაანგარიშების მიზნით გამოყენებულია 2020 და 2050 წლებში საშუალო შოკის მაჩვენებელი (შოკი განისაზღვრება ყოველი 5-წლიანი პერიოდისთვის). ამგვარად დაანგარიშებებში გათვალისწინებული შოკები ბევრად აღემატება მომდევნო წლებისთვის სტრეს-ტესტის მოდელით განსაზღვრულებს; გასათვალისწინებელია, რომ ბანკის აქტივების ტიპიური ვადიანობა 15 წლამდე პერიოდს მოიცავს.

მოდელის შედეგი გვიჩვენებს, რომ გარდამავლობის ღონისძიებებისა გამო და ფიზიკური რისკების შედეგად

²² საქართველოს მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის მიხედვით.

²³ REMIND-MAGPIE ჩარჩო მოიცავს ენერგეტიკულ-ეკონომიკურ მოდელს REMIND და სოფლის მეურნეობის საწარმოო მოდელს MAGPIE. ინტეგრირებული შეფასების მოდელი REMIND (ინვესტირებისა და განვითარების რეგიონალური მოდელი) წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკების მომავალ ევოლუციას, განსაკუთრებით ყურადღებით ენერგეტიკული სექტორის განვითარებაზე და მისი შედეგები ჩვენი მსოფლიოს კლიმატზე. სოფლის მეურნეობის საწარმოო მოდელი და მისი გავლენა გარემოზე (MAGPIE) არის გლობალური მიწათსარგებლობის განაწილების მოდელი. ის ითვალისწინებს რეგიონალურ ეკონომიკურ პირობებს, რაც მოიცავს მოთხოვნას სასოფლო-სამეურნეო საქონელზე, ტექნოლოგიურ განვითარებას და წარმოების დანახარჯებს, ასევე სივრცით გამოკვეთილ მონაცემებს შესაძლო მოსავლის, მიწის და წყალთან დაკავშირებული შეზღუდვების შესახებ.

შემოსავლები იცვლება გრძელვადიან პერსპექტივაში – 2020 წლიდან 2050 წლამდე. თითოეულ სექტორზე შემოსავლის შოკები ინტეგრირებულია ბანკის საბაზისო სცენარულ პარამეტრებში და გამოიყენება სხვადასხვა პორტფელის სეგმენტისთვის: მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოები, კორპორატიული და საცალო სეგმენტები.

დასკვნები

2°C-ზე ნაკლები და ნეტო-ნულოვანი ნიშნული 2050: სეგმენტების მიხედვით ჩაშლილი შედეგები გვიჩვენებს კლიმატური შოკების გავლენას მომხმარებლების გადახდისუნარიანობაზე საცალო, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებსა და კორპორატიულ სეგმენტებზე, თუმცა ეს გავლენები უმნიშვნელოა.

დაგვიანებული გადასვლის სცენარის შემთხვევაში შედეგები ოდნავ განსხვავდება: კლიმატური შოკები უმნიშვნელო გავლენას ახდენს მომხმარებლების გადახდისუნარიანობაზე საცალო, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების სეგმენტებში; რამდენიმე კორპორატიული კლიენტი უარყოფით ტენდენციას ავლენს (ვინაიდან თავდაპირველად საგნის უზრუნველყოფის ღირებულება არ იყო გათვალისწინებული), თუმცა, საგნის უზრუნველყოფის ღირებულების გათვალისწინების შემდეგ, შედეგები უმნიშვნელო ხდება.

მიუხედავად იმისა, რომ კლიმატური სტრეს-ტესტები არ არის პროგნოზირების ინსტრუმენტები, ისინი გვიჩვენებს მედეგობის დონეს კლიმატური შოკების მიმართ, განსაკუთრებით მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში. უფრო გრძელვადიანი ეფექტის სათანადოდ შეფასება შეუძლებელია, რადგან ბანკის სასესხო პორტფელის საშუალო ვადიანობა კლიმატური სტრეს-ტესტის დროით ჰორიზონტზე ნაკლებია, რაც ითვალისწინებს მომდევნო 30-წლიან პერიოდს. უნდა აღინიშნოს, რომ სესხის მაქსიმალური ვადა 15 წლამდე იზღუდება (რამდენიმე გამონაკლისით) ადგილობრივი მარეგულირებლის მიერ. გარდა ამისა, კლიმატური სტრეს-ტესტები გვიჩვენებს, რომ გარდამავლობის რისკების მატერიალიზების შემთხვევაში ყველაზე მეტად მოწყვლადი სექტორებია ენერგეტიკული (არაგანახლებადი) და კომუნალური, ასევე ნავთობისა და გაზის სექტორები. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, გარდამავლობის რისკი საკმაოდ დაბალია საქართველოში.

8.4 რისკის მართვა

კლიმატთან დაკავშირებული რისკების განსაზღვრისა და შეფასების პროცესები

ბანკს აქვს ყოვლისმომცველი გარემოსდაცვითი და კლიმატის ცვლილების პოლიტიკა, რომელიც მართავს ჩვენს გარემოს დაცვის მართვის სისტემას (EMS) და კლიმატთან დაკავშირებულ ჩარჩოს ჯგუფის შიგნით. ჩვენი გარემოსდაცვითი და კლიმატური ცვლილების პოლიტიკა უზრუნველყოფს იმას, რომ ჩვენ:

- ვადგენთ მეთოდოლოგიებს ჯგუფში კლიმატზე ორიენტირებული მოქმედებების გაუმჯობესებისა და ოპერაციებისა და მართვის პროცესებში შესაბამისი მიდგომების ინტეგრირებისთვის.
- შესაბამისობაში ვართ გარემოს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის, ასევე შრომის დაცვის რეგულაციებთან;
- ვიყენებთ გარემოს, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის, ასევე შრომის დაცვის გონივრულ პოლიტიკებს;
- ვიღებთ ზომებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ ჩვენმა მომხმარებლებმა, ასევე, შეასრულონ ეკოლოგიური და სოციალური პასუხისმგებლობები.

ჩვენი გარემოსდაცვითი და კლიმატის ცვლილების პოლიტიკა სრულად შეესაბამება საქართველოს გარემოსდაცვით კანონმდებლობას და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკებს. სრული პოლიტიკა ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.tbcbankgroup.com/media/2951/environmental-and-climate-change-policy.pdf>.

ჩვენი EMS ოთხ მიმართულებას ეფუძნება:

- შიდა გარემოსდაცვითი საქმიანობები;
- გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის მართვა დაკრედიტების დროს;
- მდგრადი დაფინანსება; და
- გარე კომუნიკაციები

შიდა გარემოსდაცვითი საქმიანობები

სათბური აირების (GHG) გაფრქვევების კალკულაცია

შიდა გარემოსდაცვითი მართვის სისტემა ჯგუფის მიერ რესურსების მოხმარების მართვაზეა ორიენტირებული. ბანკმა გადახედა ყველა საოპერაციო საქმიანობას, შესყიდვებსა და დაკონტრაქტებულ გარე კომპანიების მომსახურებებს, რომელთა კონტროლიც შეუძლია (მიმდინარე და დაგეგმილი) და გამოავლინა მათ საქმიანობებთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი ასპექტები, რომლებიც იყოფა არაპირდაპირ და პირდაპირ გარემოსდაცვით ასპექტებად, ხდება მათი სრულფასოვანი შეფასება და იმართება სტანდარტების შესაბამისად.

ბანკმა სათბური აირების (GHG) გაფრქვევების მართვისა და ანგარიშგებისთვის დანერგა ყოვლისმომცველი შიდა გარემოსდაცვითი მართვის სისტემა, რომელიც მიმართულია ენერჯის, წყლის და ქაღალდის მოხმარების მონიტორინგით სათბური აირების (GHG) გაფრქვევების შემცირებისკენ. შემუშავდა გარემოსდაცვითი მონაცემების დოკუმენტაციის სახელმძღვანელო პრინციპები და შვილობილ საწარმოებში შეირჩენ თანამშრომლები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან მოთხოვნილი მონაცემების შეგროვებასა და მოწოდებაზე. დეტალური ინფორმაცია ჯგუფის სათბური აირების გაფრქვევების და მიზნების შესახებ მოცემულია მაჩვენებლებისა და მიზნების ნაწილში, გვერდებზე 84-85.

საკრედიტო ოპერაციები

კლიმატურ ცვლილებებთან დაკავშირებული რისკები ხასიათდება როგორც ფიზიკური ზემოქმედებით, რომელიც წარმოიშობა უფრო ხშირი და რთული მეტეოროლოგიური ცვლილებებით, ასევე გარდამავალი ზემოქმედებით, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს მარეგულირებელ, სამართლებრივ და ტექნოლოგიურ ცვლილებებს საყოფაცხოვრებო და ბიზნეს-სექტორების გარემოზე ზემოქმედების შესამცირებლად. ჯგუფისთვის აღნიშნული რისკები შესაძლოა, მატერიალიზდეს აქტივის ღირებულების გაუფასურებით და ჩვენი მომხმარებლების კრედიტუნარიანობის გაუარესებით, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ჯგუფის მომგებიანობის შემცირება. ჯგუფს, ასევე, შეიძლება ჰქონდეს რეპუტაციული რისკი ისეთი მომხმარებლების დაკრედიტების ან მათთან სხვადასხვა ბიზნეს ოპერაციების შედეგად, რომლებიც მიიჩნევიან კლიმატური ცვლილებების ხელშეწყობებად.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კლიმატური რისკი შეიძლება მატერიალიზდეს ღირებულების გაუფასურებით და მომხმარებელთა კრედიტუნარიანობის გაუარესებით. მისი პორტფელის კლიმატთან დაკავშირებული რისკების უკეთ გასაზრებლად ბანკმა ჩაატარა ზოგადი სექტორული რისკის შეფასება, ვინაიდან სხვადასხვა სექტორი შეიძლება მოწყველადი იყოს კლიმატთან დაკავშირებული სხვადასხვა რისკის მიმართ განსხვავებული დროითი ჰორიზონტის განმავლობაში. რისკის შეფასების პროცესი და შინაარსი ეფუძნება TCFD-ის რეკომენდაციებს, ინგლისის ბანკის მიერ გამოქვეყნებულ კლიმატთან დაკავშირებულ დოკუმენტებს, საქართველოს კლიმატის ცვლილების შეფასებას, რომელიც ტარდება კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელის (IPCC) ანგარიშების, სებ-ის კლიმატური რისკების რადარს და 2030 წლის მიზნებსა და სტრატეგიას, რომელიც საქართველოს მთავრობამ დაადგინა საქართველოს ეროვნულ დონეზე განსაზღვრული კონტრიბუციის მისაღწევად.²⁴ დონეების და გავლენების შეფასება შეიძლება მომავალში შეიცვალოს, მას შემდეგ, რაც გადაიხედება

²⁴ ეროვნულ დონეზე განსაზღვრული შენატანები (NDC) არის ეროვნული გეგმის მნიშვნელოვანი საკითხები კლიმატის ცვლილების მიტიგაციის, მათ შორის სათბური აირების გაფრქვევების შემცირების მიმართულებით იმ პოლიტიკების და სამთავრობო ღონისძიებების ჩათვლით, რომელთა განხორციელებასაც მთავრობა გეგმავს კლიმატის ცვლილებაზე რეაგირების და პარიზის ხელშეკრულებაში განსაზღვრული გლობალური მიზნების მიღწევის ხელშეწყობის მიზნით.

მეთოდოლოგია, მოხდება საფუძვლიანი ანალიზი და გაიზრდება ექსპერტული ცოდნა კლიმატის ცვლილების რისკების გავლენის შესახებ.

დარგობრივი შეფასება ჩატარდა ბიზნესისა და საკრედიტო რისკების სპეციალისტების ჩართულობით, რომლებიც პასუხისმგებელი არიან შესაბამის ეკონომიკურ სექტორებზე ბანკში.

ქვემოთ, ცხრილში წარმოდგენილია სასესხო პორტფელის სექტორებზე გადანაწილება 2023 წლის მე-4 კვარტლის მდგომარეობით.

| სექტორების მიხედვით მთლიანი სესხების ინდივიდუალური მონაცემები ბანკისთვის | სესხის სრული მოცულობა (ლარი) | პროცენტული წილი მთლიან პორტფელში |
|--|------------------------------|----------------------------------|
| ფიზიკური პირები | 7,900.4 | 37.1% |
| უძრავი ქონება | 2,020.0 | 9.5% |
| მშენებლობა | 1,471.1 | 6.9% |
| ვაჭრობა | 1,340.6 | 6.3% |
| მასპინძლობა და დასვენება | 1,252.7 | 5.9% |
| კვების ინდუსტრია | 1,154.9 | 5.4% |
| ენერგეტიკა და კომუნალური მომსახურება | 996.9 | 4.7% |
| სოფლის მეურნეობა | 988.5 | 4.6% |
| ჯანდაცვა | 623.3 | 2.9% |
| მომსახურება | 499.9 | 2.3% |
| ფინანსური სერვისები | 345.4 | 1.6% |
| ტრანსპორტირება | 302.0 | 1.4% |
| საავტომობილო | 282.8 | 1.3% |
| ნავთობი და გაზი | 245.6 | 1.2% |
| ლომბარდი | 208.2 | 1.0% |
| მეტალურგია და მოპოვება | 179.5 | 0.8% |
| წარმოება | 150.9 | 0.7% |
| მედია და გამომცემლობა | 104.7 | 0.5% |
| კომუნიკაციები | 55.0 | 0.3% |
| არასამთავრობო ორგანიზაციები და საჯარო სექტორი | 1.3 | 0.0% |
| სახელმწიფო სექტორი | 0.1 | 0.0% |
| სხვა | 1,153.7 | 5.6% |
| მომხმარებელზე გაცემული სესხები (მთლიანი) | 21,277.8 | 100% |

აქტივების ვადიანობა გადამწყვეტია ანალიზისთვის სხვადასხვა დროითი ჰორიზონტის განსაზღვრისას და სხვადასხვა სექტორისთვის კლიმატთან დაკავშირებული რისკის არსებობის შეფასებისას. სასესხო პორტფელის ვადიანობის სტრუქტურა გვიჩვენებს, რომ აქტივების უდიდესი ნაწილი განაწილებულია ბევრად უფრო მოკლე დროით ჰორიზონტზე იმ დროის მონაკვეთთან შედარებით, როცა შესაძლოა, დადგეს კლიმატური ცვლილების შედეგები საქართველოში. ეს განსაკუთრებით ეხება ფიზიკურ რისკებს.

ქვემოთ, ცხრილში წარმოდგენილია სასესხო პორტფელის ვადიანობების მიხედვით გადანაწილება 2023 წლის მე-4 კვარტლის მდგომარეობით.

| კლიენტი სექტორის დასახელება ფასს-ის მიხედვით | სულ მოცულობა (მილიონი ლარი) | მილიანი პორტფელის % | სესხების მოცულობა <8წ | სესხების წილი <8წ | სესხების მოცულობა <15წ | სესხების წილი <15წ |
|---|-----------------------------|---------------------|-----------------------|-------------------|------------------------|--------------------|
| ჯანდაცვა | 623.3 | 2.9% | 459.8 | 73.8% | 623.3 | 100.0% |
| ფიზიკური პირები | 7,900.4 | 37.1% | 3,742.6 | 47.4% | 7,078.9 | 89.6% |
| სასტუმრო და დასვენება | 1,252.7 | 5.9% | 564.2 | 45.0% | 1,251.2 | 99.9% |
| წარმოება | 150.9 | 0.7% | 122.5 | 81.2% | 150.9 | 100.0% |
| მეტალურგია და სამთო-მომპოვებელი ინდუსტრია | 179.5 | 0.8% | 147.1 | 82.0% | 179.5 | 100.0% |
| სამთავრობო სექტორი | 0.1 | 0.0% | 0.1 | 100.0% | 0.1 | 100.0% |
| კვების მრეწველობა | 1,154.9 | 5.4% | 1,080.5 | 93.6% | 1,154.9 | 100.0% |
| მედია და გამომცემლობა | 104.7 | 0.5% | 98.0 | 93.6% | 104.7 | 100.0% |
| უმრავი ქონება | 2,020.0 | 9.5% | 1,328.1 | 65.7% | 2,020.0 | 100.0% |
| სერვისები | 499.9 | 2.3% | 294.2 | 58.8% | 499.8 | 100.0% |
| ტრანსპორტირება | 302.0 | 1.4% | 281.2 | 93.1% | 302.0 | 100.0% |
| სოფლის მეურნეობა | 988.5 | 4.6% | 834.1 | 84.4% | 988.5 | 100.0% |
| ლომბარდი | 208.2 | 1.0% | 208.2 | 100.0% | 208.2 | 100.0% |
| ვაჭრობა | 1,340.6 | 6.3% | 1,165.0 | 86.9% | 1,340.2 | 100.0% |
| ნავთობი და გაზი | 245.6 | 1.2% | 243.1 | 99.0% | 245.6 | 100.0% |
| საავტომობილო | 282.8 | 1.3% | 252.9 | 89.4% | 282.8 | 100.0% |
| კომუნიკაცია | 55.0 | 0.3% | 54.6 | 99.3% | 55.0 | 100.0% |
| არასამთავრობო ორგანიზაციები და საჯარო სექტორი | 1.3 | 0.0% | 1.3 | 100.0% | 1.3 | 100.0% |
| მშენებლობა | 1,471.1 | 6.9% | 1,279.8 | 87.0% | 1,471.1 | 100.0% |
| სხვა | 1,154.0 | 5.6% | 842.1 | 73.0% | 1,153.8 | 100.0% |
| ენერჯეტიკა და კომუნალური მომსახურება | 996.9 | 4.7% | 453.4 | 45.5% | 871.6 | 87.4% |
| ფინანსური მომსახურება | 345.4 | 1.6% | 342.1 | 99.0% | 345.4 | 100.0% |
| სულ მომხმარებლებზე გაცემული სესხები (მილიანი) | 21,277.8 | 100% | 13,794.9 | 64.8% | 20,329 | 95.5% |

კლიმატთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი რისკის მართვის პროცესები დაკრედიტებაში

2012 წლიდან ბანკს დანერგილი აქვს პროცესი, რომლითაც მართავს გარემოსდაცვით და სოციალურ რისკებს. ეს პროცესი შეიქმნა საუკეთესო პრაქტიკისა და სახელმძღვანელოების მიხედვით, რომელთა მიზანი არის კლიმატის ცვლილების ეფექტების შემცირება. ბანკმა შეიმუშავა გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის მართვის პროცედურები გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების გამოვლენის, შეფასების, მართვისა და მონიტორინგის მიზნით, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის კანონმდებლობასთან, ითვალისწინებს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის შედეგების სტანდარტებს, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის შედეგების მოთხოვნებს და აზიის განვითარების ბანკის უსაფრთხოების მოთხოვნებს. ეს პროცედურები სრულად არის ინტეგრირებული საკრედიტო რისკის მართვის პროცესში და რეგულარულად გამოიყენება მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისა და კორპორაციული კლიენტებისთვის. პარტნიორ საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებთან თანამშრომლობით შემუშავდა

მკაფიო გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის კატეგორიზაციის მატრიცა. დასაფინანსებელი პროექტების კლასიფიცირება ხორციელდება გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის კატეგორიების მიხედვით (დაბალი, საშუალო, მაღალი და A კატეგორია) ანალიზზე დაყრდნობით. საჭიროების შემთხვევაში ტარდება საფუძვლიანი ანალიზი და კომპლექსური შეფასება (due diligence). გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის კატეგორიის მიხედვით გარიგების კლასიფიკაციისას პრიორიტეტი ენიჭება უფრო მაღალ რისკს. გარდა ამისა, A კატეგორიის პროექტების, როგორცაა ჰიდროელექტროსადგურები, გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების დეტალურ შეფასებაში ჩართულები არიან გარე სპეციალიზებული კომპანიები.

ცხრილში მოცემულია ბიზნეს-სესხის პორტფელის წილობრივი ჩაშლა გარემოსდაცვითი და სოციალური კატეგორიების მიხედვით.

| | 2022 | 2023 |
|--|----------------------------------|----------------------------------|
| გარემოსდაცვითი და სოციალური კატეგორიები | პროცენტული წილი პორტფელში | პროცენტული წილი პორტფელში |
| დაბალი | 55% | 52% |
| საშუალო | 17% | 17% |
| მაღალი | 28% | 30% |
| A კატეგორია | 1% | 1% |

დაბალი რისკი - ტრანზაქციები, რომლებსაც აქვთ მინიმალური ან საერთოდ არ აქვთ ნეგატიური გარემოსდაცვითი, ან სოციალური ზეგავლენა. ზოგადად, ასეთი შემთხვევების შემდგომი ანალიზი აღარ ხორციელდება (იდენტიფიცირების შემდეგ) და საჭიროებს მომხმარებლების (თანხმობა/ცნობა/დასკვნა) შესაბამისობას გარემოს, ჯანმრთელობის და შრომის შესახებ ადგილობრივ და ეროვნულ კანონმდებლობასთან და ნორმატიულ აქტებთან.

საშუალო რისკი - ოპერაციები სოციალურ, ან გარემოსდაცვით საკითხებზე საზიანო ეფექტის შეზღუდული პოტენციალით. ასეთი შემთხვევები მცირე რაოდენობისაა, განისაზღვრება ადგილმდებარეობის მიხედვით, შექცევადია, შესაძლებელია მისი გამოვლენა შეფასების ეტაპზე და თავისუფლად გვარდება რისკის მიტიგაციის ზომების გამოყენებით. აღნიშნულ ოპერაციებს სჭირდებათ შეზღუდული, ან ფოკუსირებული გარემოსდაცვითი და/ან სოციალური შეფასება ან გარემოსდაცვითი ზომების, დაბინძურების ნორმების, საპროექტო კრიტერიუმების, ან სამშენებლო სტანდარტების პირდაპირი გამოყენება.

მაღალი რისკი - ოპერაციები, რომლებსაც ახასიათებთ პოტენციურად ძალიან მნიშვნელოვანი, ნეგატიური და/ან გრძელვადიანი გარემოსდაცვითი და/ან სოციალური ეფექტი, რომლის მასშტაბების განსაზღვრაც შეიძლება რთული იყოს სესხზე განაცხადის წარმოდგენის ეტაპზე. აღნიშნული საჭიროებს გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების და ეფექტების ანალიზს ბანკის კლიენტის ფუნქციონირების გავლენის მთლიანი არეალის კონტექსტში. რისკის შეფასების სფეროში კლიენტი გამოავლენს ცალკეულ პირებს და ჯგუფებს, რომლებზეც მისი წარმოების გავლენა განსხვავებული, ან არაპროპორციული შეიძლება იყოს.

კატეგორია A - ოპერაციები პოტენციურად მნიშვნელოვანი საზიანო სოციალური ან გარემოსდაცვითი ეფექტით, რომელიც შეიძლება იყოს მრავალმხრივი, შეუქცევადი ან უპრეცედენტო, რომლის შეფასებაც ჩვეულებრივ, მოითხოვს დამოუკიდებელი გარე ექსპერტების ჩართვას და შესაძლოა საჭიროებდეს საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებების გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების სპეციალისტების ჩართულობას სიდრმისეული შესწავლისა და შეფასების პროცესში.

ამასთან, ჩვენი მიზანია დადებითი წვლილი შევიტანოთ კერძო კომპანიების განვითარებაში და დავხმაროთ მათ, სათანადოდ მართონ თავიანთ საქმიანობებთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური რისკები. ადგილობრივი კანონმდებლობის მოთხოვნებთან და/ან „თიბისის“ სტანდარტებთან რაიმე სახის შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში, ჩვენი კლიენტებისთვის შევიმუშავებთ გარემოსდაცვით და სოციალურ სამოქმედო გეგმებს (ESAP), რათა მათი გარემოსდაცვითი საქმიანობა გაუმჯობესდეს და გაკონტროლდეს გეგმების განხორციელების პროცესი.

2022 წლის აპრილიდან „თიბისის“ მოცემულ პროცესში მხარს უჭერს „ტექნიკური დახმარების სატრასტო ფონდი“ (EPTATF)²⁵ თავისი „კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის მხარდაჭერის ინსტრუმენტის“ (CASF) მეშვეობით, რომლის მიზანია საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოებს შორის კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის წახალისება. EPTATF გულისხმობს ერთწლიან საკონსულტაციო მხარდაჭერას „თიბისის“ კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის სტრატეგიის განხორციელებაში, რომელსაც უზრუნველყოფს ფრანკფურტის ფინანსებისა და მენეჯმენტის სკოლა. ეს მხარდაჭერა მოიცავს შემდეგს:

- კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის სტრატეგია, მონიტორინგი და ანგარიშგება;
- სტრეს-ტესტი და მგრძობელობის ანალიზი; და
- კლიმატთან დაკავშირებული ტრენინგი.

ამ პროცესს ხელს უწყობს კლიმატთან დაკავშირებული ტრენინგი, რომელიც განამტკიცებს ბანკის უნარს, ცოდნას და შესაძლებლობებს, მართოს კლიმატთან დაკავშირებული რისკები მთელი საქმიანობის მასშტაბით. 2022 წელს სხვადასხვა სატრენინგო სესია და სემინარი ჩატარდა, რომლებმაც მოიცვა ისეთი საკითხები, როგორც კლიმატთან დაკავშირებული რისკის მართვა, ფინანსური დაგეგმვა და კლიმატთან დაკავშირებული სტრეს-ტესტი.

2023 წელს ჩვენ განვაგრძეთ მუშაობა გარე კონსულტანტებთან შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: დაფინანსებული გაფრქვევები, ჩვენი კლიმატური სტრეს-ტესტის მოდელი და ჯგუფის პირდაპირი ზეგავლენის მაჩვენებლების შეფასება პარიზის შეთანხმებით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებაში.

ESG პროფილები კორპორატიული მომხმარებლებისთვის

2023 წელს ბანკმა დაასრულა პილოტური პროექტი, რომლითაც შეფასდა ESG პროფილების მეთოდოლოგია მის ტოპ-20 კორპორატიულ მომხმარებელზე. მისი მიზანი იყო ESG პროფილის მაჩვენებლების სისტემის დანერგვა რისკის მართვის საერთო პროცესში. შეფასებისას გათვალისწინებულია ESG ფაქტორები, როგორც არის კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია, დაბალნახშირბადიან საქმიანობებზე გადასვლა, მწვანე ტექნოლოგიების განხორციელება, მრავალფეროვნება და ინკლუზიურობა, კარგი კორპორაციული მართვა და შესაბამისი ქულები ენიჭება „თიბისის“ მომხმარებლებს სპეციალისტების შეფასების საფუძველზე.

ESG პროფილი ოთხი ძირითადი კომპონენტებისგან შედგება:

- კლიმატის ცვლილება - მოიცავს ფიზიკურ და გარდამავლობის რისკებს;
- გარემოსდაცვითი - მოიცავს გარემოს დაცვის და სოციალურ რისკებს;
- სოციალური - რაც მოიცავს მრავალფეროვნებას, დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს და თანაბარ/სამართლიან ანაზღაურებას;
- მმართველობითი - რაც მოიცავს ESG მმართველობას, კომპანიის ინფორმაციას და დივერსიფიკაციას საბჭოს და აღმასრულებელი ხელმძღვანელობის დონეებზე.

შეფასების შედეგები სასარგებლო იქნება დეკარბონიზაციისა და გარდამავლობის გეგმების შესამუშავებლად. ESG პროფილის მეთოდოლოგია საწყის ეტაპს წარმოადგენს და მომავალში განვითარდება, როგორც ცოდნა, გამოცდილება ბანკის შიგნით და ადგილობრივი მარეგულირებელი ჩარჩო კლიმატთან დაკავშირებული საკითხების განვითარების მიმართულებით.

²⁵ ეს მომსახურებები ფინანსდება EPTATF სატრასტო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. პრესის ან ნებისმიერი მესამე მხარისთვის მიწოდებული ინფორმაცია, ყველა დაკავშირებული საჯარო მასალა, ოფიციალური შეტყობინებები, ანგარიშები და პუბლიკაციები უნდა აღიარებდეს, რომ მომსახურებების მიწოდება ხდება „აღმოსავლეთ პარტნიორობის ტექნიკური მხარდაჭერის სატრასტო ფონდის (EPTATF) დაფინანსებით“. ფონდი 2010 წელს დაფუძნდა ბანკის აღმოსავლეთ პარტნიორობის ოპერაციების გავლენის ხარისხის და განვითარების გაუმჯობესების მიზნით, წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური და ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების, ინსტიტუციური და ოურიდიული შეფასებების, პოტენციური ინვესტიციების გარემოსდაცვითი და სოციალური გავლენის შეფასების და ბენეფიციარების პოტენციალის ამაღლების დაფინანსების გზით, საინვესტიციო პროექტების, ასევე წარმოების და მიწოდების შედეგად გენერირებული გაფრქვევები სხვა კვლევებისა და ჰორიზონტალური აქტივობების განხორციელების პროცესში. ის ორიენტირებული ოთხ პრიორიტეტულ სექტორზე: ენერჯეტიკა, გარემოს დაცვა, ტრანსპორტი და ტელეკომუნიკაციები კლიმატის ცვლილებასა და ურბანულ განვითარებასთან დაკავშირებული გათვალისწინებით.

რისკის სხვა კატეგორიები

კლიმატურმა რისკმა შეიძლება გავლენა მოახდინოს საბანკო საქმიანობის სხვა, უფრო ტრადიციულ რისკის კატეგორიებზე, როგორცაა საბაზრო რისკი, საოპერაციო რისკი, ლიკვიდობის რისკი და რეპუტაციული რისკი. შეფასება შეჯამებულია ქვემოთ მოცემულ ცხრილში. გარკვეული რისკ-ფაქტორები, რომლებიც გამოვლინდა საოპერაციო და რეპუტაციის რისკებისთვის, უკვე ასახულია რისკის მართვის არსებულ სისტემაში.

| საბანკო რისკის ტიპები | ფიზიკური რისკის გავლენა | გარდამავლობის რისკის გავლენა |
|-----------------------|---|---|
| საბაზრო რისკი | არსებითი გავლენა მოსალოდნელი არ არის | არსებითი გავლენა მოსალოდნელი არ არის |
| ლიკვიდობის რისკი | არსებითი გავლენა მოსალოდნელი არ არის | არსებითი გავლენა მოსალოდნელი არ არის |
| საოპერაციო რისკი | ექსტრემალურმა მოვლენებმა, რომლებმაც შესაძლოა, გამოიწვიოს ჯგუფის საკუთრებაში მყოფი ობიექტების დაზიანება, შესაძლოა, გავლენა იქონიოს მის მიერ კლიენტებისთვის მომსახურების გაწევის უნარზე (მაგ. ელექტროენერჯის გათიშვა, თანამშრომლების მიერ ობიექტებზე მუშაობის შეუძლებლობა). არსებითი გავლენა მოსალოდნელი არ არის | არსებითი გავლენა მოსალოდნელი არ არის |
| რეპუტაციის რისკი | არსებითი გავლენა მოსალოდნელი არ არის | გამონაბოლქვის მაღალი დონის მქონე მსესხებლების დაფინანსებამ შესაძლოა, გავლენა იქონიოს ბრენდის იმიჯზე, დაინტერესებული მხარეების შეხედულებისამებრ. არსებითი გავლენა მოსალოდნელი არ არის |

მიწოდების ჯაჭვის მონიტორინგი

როგორც ქვეყანაში ერთ-ერთი უმსხვილესი შემსყიდველი, გვესმის როგორც შესყიდვებთან დაკავშირებით მიღებული ჩვენი გადაწყვეტილებების და ოპერაციების სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი მნიშვნელობა, ასევე მომწოდებლების მიმართ ჩვენი მოთხოვნების გავლენა. 2019 წელს, ჩვენი მომწოდებლების შემოწმების მიზნით შევიმუშავეთ გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის მართვის კითხვარი. ასევე, რეგულარულად ვაფასებთ ჩვენი გრძელვადიანი კონტრაქტორი კომპანიების გარემოსდაცვით და სოციალურ რისკებს. ჩვენს გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებთან შესაბამისობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, ჩვენი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის მართვის (ESRM) გუნდი შეიმუშავებს გარემოსდაცვით და სოციალურ სამოქმედო გეგმებს (ESAP-ებს) თითოეული კომპანიისთვის და მონიტორინგს გაუწევს მათ განხორციელებას.

გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება ჩვენს თანამშრომლებში

გვჯერა, რომ ჩვენს თანამშრომლებში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს EMS-ის ეფექტურად განხორციელებისთვის და ორგანიზაციის შიგნით ახალი ეკო-მეგობრული იდეების და ინიციატივების წახალისებისთვის.

ამ მიზნით ჩვენ აქტიურად ვახორციელებთ სხვადასხვა გარემოსდაცვით და სოციალურ სასწავლო პროგრამებს, რაც მოიცავს:

- ტრენინგი გარემოს დაცვის და კლიმატის ცვლილების საკითხებზე ახალი თანამშრომლებისთვის;
- ტრენინგი კლიმატის ცვლილების და მწვანე დაკრედიტების შესახებ საკრედიტო და ფრონტ-ოფისის თანამშრომლებისთვის;
- ყოველწლიური სავალდებულო ონლაინ EMS ელექტრონული სწავლების კურსი ყველა თანამშრომლისთვის, რასაც მოჰყვება თვითშეფასების ტესტი;

2023 წელს ჩვენი თანამშრომლების 98%-მა, მათ შორის ზედა რგოლის მენეჯმენტმა, წარმატებით გაიარა ონლაინ კურსი და თვითშეფასების ტესტი „თიბისის“ EMS-ის შესახებ.

ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად შეიქმნა სატრენინგო მასალები, რომლებიც მოკლედ აღწერს ბანკის გარემოსდაცვითი მართვის სისტემას.

გარე კომუნიკაცია

ბანკი დიდ ყურადღებას აქცევს გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების გარე კომუნიკაციას, როგორც არსებულ, ასევე პოტენციურ მომხმარებლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან. ჩვენი დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირი და რეკომენდაციები ჩვენი გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის მუდმივად გაუმჯობესების საშუალებას გვაძლევს.

ჩვენი საჩივრების მიღების მექანიზმი შესაძლებლობას აძლევს ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს, წარმოადგინონ თავიანთი საჩივრები გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე ჩვენი ვებგვერდის www.tcbank.com.ge საშუალებით. ყველა საჩივარი გულდასმით ანალიზდება და დროულად გადაეცემა შესაბამის პირებს.

ბანკმა წარმატებით ჩაატარა მესამე წლის შესაბამისობის შემოწმების (რესერტიფიცირების) აუდიტი გარემოსდაცვით მართვის სისტემაზე, ISO 14001:2015. ეს იმას გულისხმობს, რომ „თიბისის“ გარემოსდაცვითი სისტემის მართვა ხორციელდება საერთაშორისო სტანდარტების და მოთხოვნების შესაბამისად. 2023 წლის სერტიფიკატი 2023 წლის დეკემბერში წარმატებით განახლდა.

ბანკი ყოველწლიურად წარუდგენს გარემოსდაცვით და სოციალური მაჩვენებლების წლიურ ანგარიშს მის ყველა პარტნიორ საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებას. ანგარიში მოიცავს დეტალურ ინფორმაციას გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის მართვის შესახებ დაკრედიტების სფეროში, ბანკის ბიზნეს-პორტფელის გადანაწილებას გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების ფარგლებში, მისი მდგრადი პორტფელის განაწილების სტრუქტურას, შესაბამისი პროცედურების განახლების შესახებ ინფორმაციას და სხვ.

2019 წლიდან ჯგუფი აქვეყნებს მდგრადი განვითარების სრულმასშტაბიან ანგარიშს, რომელიც გლობალური ანგარიშგების ინიციატივის (GRI) სტანდარტების შესაბამისად მზადდება. მდგრადი განვითარების ანგარიში კომპანიას მისი როლის და გავლენის გააზრებაში ეხმარება მდგრადი განვითარების ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორც არის კლიმატის ცვლილება, ადამიანის უფლებები და სოციალური კეთილდღეობა. ანგარიში ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.tcbankgroup.com/esg/sustainability-reports/>.

8.5 მაჩვენებლები და მიზნები

ორგანიზაციის მიერ სტრატეგიასა და რისკის მართვის პროცესთან ერთად კლიმატთან დაკავშირებული რისკების და შესაძლებლობების შეფასებაში გამოყენებული მაჩვენებლები

ჯგუფის საკუთარ ოპერაციებთან დაკავშირებული მაჩვენებლები

ბანკმა სათბური აირების (GHG) გაფრქვევების მართვისა და ანგარიშგებისთვის დანერგა ყოვლისმომცველი შიდა გარემოსდაცვითი მართვის სისტემა, რომელიც მიმართულია ენერჯის, წყლის და ქაღალდის მოხმარების მონიტორინგით სათბური აირების (GHG) გაფრქვევების შემცირებისკენ. შემუშავდა გარემოსდაცვითი მონაცემების დოკუმენტების სახელმძღვანელო პრინციპები და შვილობილ საწარმოებში შეირჩნენ თანამშრომლები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან მოთხოვნილი მონაცემების შეგროვებასა და მოწოდებაზე. ბანკმა, ასევე, დაიქირავა დამოუკიდებელი ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის (HSE) საკონსულტაციო კომპანია შპს „G&L Management“, სათბური აირების გაფრქვევების შეფასების შემოწმების მიზნით. კომპანიამ განახორციელა შეზღუდული მარწმუნებელი სამუშაო, რომელიც ისტორიულ მონაცემებს და ინფორმაციას ეხებოდა.

ქვემოთ იხილეთ Scope 1, Scope 2 და Scope 3-ის სათბური აირების გაფრქვევები, წყლის და ქაღალდის მოხმარება, 2023 წლის მიზნობრივი და რეალური მაჩვენებლების შედარება, ასევე 2024 წლის მიზნობრივი მაჩვენებლები.

| სათბური აირების ჯამური გაფრქვევები (CO ₂) (ტონა) და KPI-ები | რეალური 2021 | რეალური 2022 | რეალური 2023 | 2023 სამიზნე ზრდა | მომავალი სამიზნე 2024 წ. |
|---|--------------|--------------|--------------|-------------------|--------------------------|
| Scope 1* საწვავის მოხმარება (გათბობა, ტრანსპორტი, გენერატორები) | 1,936 | 2,043 | 1,834 | 6%-ით ნაკლები | 5%-ზე ნაკლები ზრდა |
| Scope 2 (ელექტროენერჯის მოხმარება) | 1,319 | 1,369 | 1,352 | 7%-ზე ნაკლები | 1%-ზე ნაკლები ზრდა |
| Scope 3 (საერთაშორისო ფრენები) | 17 | 498 | 1444 | - | კლება -48% |
| ჯამური გაფრქვევები (tCO₂) | 3,272 | 3,910 | 4,630 | 6%-ით ნაკლები | კლება -27% |
| ჯამური გაფრქვევები ერთ სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომელზე (tCO₂/pp) | 0.47 | 0.52 | 0.59 | 6%-ით ნაკლები | კლება -29% |
| წყლის მოხმარება ერთ თანამშრომელზე (მ3/pp) | 9.98 | 8.76 | 8.52 | 2%-ზე ნაკლები | 1%-ზე ნაკლები ზრდა |
| საბეჭდი ქაღალდი ერთ პირზე (დასტებად) | 14.70 | 10.78 | 13.39 | 4%-ზე ნაკლები | კლება -1% |

Scope 1 - 2023 წელს ეს ინდიკატორები მნიშვნელოვნად (10%-ით) შემცირდა ბანკის დონეზე, ხოლო დაგეგმილი შესრულების ძირითადი მაჩვენებლები (KPI) 3%-ით გაიზარდა. ბანკის Scope 1 გაფრქვევებში ძირითადი კონტრიბუტორი (66%-ით) არის გაზის მოხმარება (გათბობა) - 2023 წელს ბანკმა გაზის მოხმარება 17%-ით შეამცირა. შემცირება მეტწილად უკავშირდებოდა ბანკის მიერ განხორციელების ღონისძიებებს, რომლებიც განსაზღვრულია ამ თავის გვერდზე 72-73.

Scope 2 - 2023 წელს ბანკმა შეამცირა ელექტროენერჯიდან მიღებული გაფრქვევები 1%-ით, ხოლო 2023 წლისთვის დაგეგმილი შესრულების ძირითადი მაჩვენებლები 7%-ით გაიზარდა. შემცირება მეტწილად უკავშირდებოდა ბანკის მიერ განხორციელების ღონისძიებებს, რომლებიც განსაზღვრულია ამ თავის გვერდზე 72-73.

Scope 3 - 2023 წელს სამივლინებო ფრენები 190%-ით გაიზარდა. მთავარი კონტრიბუცია მოდის ერთჯერად მარკეტინგულ პროექტზე, რომელიც საქართველოს რაგბის ეროვნული გუნდის მხარდაჭერას უკავშირდება პარიზში მიმდინარე 2023 წლის რაგბის მსოფლიო ჩემპიონატზე.

მთლიანობაში, გაფრქვევების ჯამური რაოდენობა 2023 წელს 20%-ით გაიზარდა 2022 წლის დონეებთან შედარებით, ხოლო სრულ განაკვეთზე მომუშავე ერთ თანამშრომელზე ჯამური გაფრქვევა იმავე პერიოდში 13%-ით გაიზარდა.

2023 წელს ერთ თანამშრომელზე წყლის მოხმარება 3%-ით შემცირდა წინა წელთან შედარებით, ხოლო საბეჭდი ქაღალდის რაოდენობა 3%-ით შემცირდა.

გამოთვლის მეთოდოლოგია

სათბური აირების ინვენტარიზაციისთვის გადავდგით შემდგომი ნაბიჯები: დავაწესეთ ორგანიზაციის საზღვრები, განვსაზღვრეთ საოპერაციო მასშტაბი და ჩამოვყალიბეთ მონაცემთა შეგროვების სტრუქტურული მიდგომა და ნახშირორჟანგის (CO₂) ეკვივალენტში გამოთვლა. ეს ანგარიში აღწერს გაფრქვევების ყველა წყაროს, რომელიც გათვალისწინებულია 2006 წლის „კომპანიების აქტი“ (სტრატეგიული ანგარიში და დირექტორების ანგარიშები), 2013 წლის რეგულაციებით (Scope 1 და 2) და ასევე Scope 3-ის ფარგლებში არსებული გაფრქვევებით, რომელიც ვრცელდება ბიზნეს-საქმიანობაზე. გაფრქვევების მონაცემების მოზაიკისას გამოყენებულ იქნა გაერთიანებული სამეფოს მთავრობის „2017 წლის კომპანიის ანგარიშგებისთვის სათბური აირების კონვერსიის ფაქტორები“, ხოლო ელექტროენერჯის შემთხვევაში „ეროვნული IPCC“-ის გაფრქვევის ფაქტორები ელექტროენერჯისთვის (tCO₂*/MWh). მოთხოვნილი მონაცემები მოგროვდა და ანგარიში დაგენერირდა ბანკის ძირითადი საქმიანობებისთვის, შემდეგი სახით:

Scope 1 (საწვავის წვა და შენობა-ნაგებობების ფუნქციონირება) მოიცავს ბანკის საკუთრებაში არსებულ, ან კონტროლირებად ადგილებზე მოწყობილობა-დანადგარების მიერ ბუნებრივი აირის, დიზელის ან/და ბენზინის

წვის შედეგად გამოყოფილ აირებს, მათ შორის ბენზინის წვას, დიზელის საწვავს, ბუნებრივ გაზს და ა.შ. ბანკის საკუთრებაში არსებულ სატრანსპორტო ავტომობილებზე.

Scope 2 (საკუთარი გამოყენებისთვის შემენილი ელექტროენერგია (განათება, საოფისე აღჭურვილობა, გაგრილების სისტემა და ა.შ.) მოიცავს გაფრქვევების ბანკის საკუთრებაში და კონტროლს ქვეშ მყოფ ობიექტებზე ელექტროენერგიის გამოყენებიდან. გაფრქვევების დასაანგარიშებლად გამოყენებულ იქნა კონვენსიის ფაქტორი „ეროვნული IPCC“ გაფრქვევების ელექტროენერგიის ფაქტორებიდან (tCO₂*/MWh).

Scope 3 მოიცავს მივლინებების დროს საჰაერო ტრანსპორტით მგზავრობის შედეგად მიღებულ გაფრქვევებს (მოკლე/საშუალო/შორ მანძილებზე და საერთაშორისო ფრენებს). უნდა აღინიშნოს, რომ გათვალისწინებული იქნა ინფორმაცია ფრენის კლასთან დაკავშირებით და გაფრქვევების გამოსაანგარიშებლად გამოყენებულ იქნა „ეკონომ-კლასის“ კონვენსიის ფაქტორი შემდეგი ბმულიდან: www.atmosfair.de.

ინტენსიურობის კოეფიციენტი - ჩვენ გავთვალეთ ინტენსიურობის კოეფიციენტი SECR გაიდლაინების მიხედვით, www.secrhub.co.uk.

დაფინანსებული გაფრქვევები (Scope 3)

ჩვენს საქმიანობებს აქვთ პირდაპირი და ირიბი გავლენა გარემოზე. თუმცა, საფინანსო დაწესებულებების შემთხვევაში, სათბური აირების გაფრქვევების ძირითადი წყარო არა უშუალოდ ჩვენი ბიზნეს-პროცესების განხორციელებასთან ან ენერჯო მოხმარებასთან პირდაპირ დაკავშირებული გაფრქვევებია, არამედ ჩვენს მიერ დაფინანსებული სხვა სექტორების მიერ გამომუშავებული სათბური აირები. ამ ტიპის გაფრქვევები ცნობილია დაფინანსებული გაფრქვევების სახელწოდებით.

ქვემოთ, ცხრილში ნაჩვენებია Scope 3 გაფრქვევების 15 კატეგორიიდან რომელია გათვალისწინებული და რომლებია მიჩნეული არაარსებითად ან შეუსაბამოდ ბიზნესისთვის.

| # | Scope 3 კატეგორია | სათბური აირების დაანგარიშების მეთოდი |
|----|---|--------------------------------------|
| 1 | შემენილი საქონელი და მომსახურება | არაარსებითი |
| 2 | კაპიტალური საქონელი | არარელევანტური |
| 3 | საწვავთან და ენერჯეტიკასთან დაკავშირებული აქტივობები (არ არის შესული Scope 1 და Scope 2-ში) | არარელევანტური |
| 4 | წარმოების და მიწოდების შედეგად გენერირებული გაფრქვევები ტრანსპორტირებასა და დისტრიბუციაში | არარელევანტური |
| 5 | ოპერაციებში გამომუშავებული ნარჩენები | არაარსებითი |
| 6 | მივლინება | გათვალისწინებული (ფრენები) |
| 7 | თანამშრომელთა ტრანსპორტირება | არაარსებითი |
| 8 | წარმოების და მიწოდების შედეგად გენერირებული გაფრქვევები იჯარით აღებულ აქტივებში | არაარსებითი |
| 9 | მოხმარების შედეგად გენერირებული ტრანსპორტირებასა და დისტრიბუციაში | არაარსებითი |
| 10 | გაყიდული პროდუქტების დამუშავება | არარელევანტური |
| 11 | გაყიდული პროდუქტების გამოყენება | არაარსებითი |
| 12 | გაყიდულ პროდუქტებთან მუშაობა ექსპლუატაციის ვადის გასვლის შემდეგ | არარელევანტური |
| 13 | მოხმარების შედეგად გენერირებული იჯარით აღებულ აქტივებში | არარელევანტური |
| 14 | ფრანჩიზები | არარელევანტური |

| | | |
|----|--------------|--|
| 15 | ინვესტიციები | შესულია - დაფინანსებული გაფრქვევები: სავალო ინსტრუმენტები (ცნობილი ამონაგების გამოყენებით) და პროექტების დაფინანსება |
|----|--------------|--|

შვიდი კატეგორია არარელევანტურად მიიჩნევა, რადგან ბანკი არ არის ჩართული ამ აქტივობებში; დანარჩენი 6 კატეგორია ფასდება არაარსებითად, რადგან ეს აქტივობები არატიპურია ბანკის, როგორც საფინანსო დაწესებულებისთვის. ორ კატეგორიას - მივლინება და ინვესტიციები - არსებითად მივიჩნევთ: დაფინანსებული გაფრქვევები წარმოადგენს სათბური აირების ჯამური გაფრქვევების 40%-ზე მეტს (არაპირდაპირი გავლენა), ხოლო მივლინებები არსებითად მიიჩნევა 2021 წლის შემდეგ მათი წილის ზრდის გამო, რამაც 2023 წელს 30%-ს გადააჭარბა.

დაფინანსებული გაფრქვევები (Scope 3)

ნახშირბადის გამონაბოლქვის აღრიცხვის სფეროში პარტნიორობამ (PCAF) შეიმუშავა მეთოდები სხვადასხვა კლასის აქტივებისთვის, რომლებიც შესაძლოა გამოყენებული იყოს დაფინანსებული გაფრქვევების დასაანგარიშებლად (PCAF 2022). მთლიანობაში გათვალისწინებულია აქტივების შვიდი კლასი. ქვემოთ შეგიძლიათ იხილოთ 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით დაფინანსებული გაფრქვევები აქტივის კლასის მიხედვით.

| № | აქტივის ტიპი | დაფინანსებული სათბური აირების გაფრქვევები GgCO ₂ e/y |
|---|--|---|
| | სულ | 3,166.70 |
| 1 | საფონდო ბირჟაზე კოტირებული საკუთარი კაპიტალი და კორპორაციული ობლიგაციები | 61.3 |
| 2 | ბიზნეს-სესხები და არასაფონდო ობლიგაციები | 2,856.60 |
| 3 | პროექტების დაფინანსება | -15.1 |
| 4 | კომერციული უძრავი ქონების სესხები | 2.3 |
| 5 | იპოთეკური სესხები | 30.4 |
| 6 | ავტო სესხები | 0.9 |
| 7 | სუვერენული ვალი | 230.3 |

გამოთვლის მეთოდოლოგია

- საფონდო ბირჟაზე კოტირებული საკუთარი კაპიტალი და კორპორაციული ობლიგაციები - შედგება ფასიანი ქაღალდებისგან, რომლებისთვისაც ხელმისაწვდომია ვერიფიცირებული გაფრქვევების მონაცემები
- ბიზნეს-სესხები²⁶ - მოიცავს ბიზნეს სესხებს და აქციონერული აქტივების კლასებს, რომლებიც არ არის საფონდო ბირჟაზე კოტირებული
- პროექტების დაფინანსება - მოიცავს პროექტებს, რომლისთვისაც ხელმისაწვდომია მონაცემები პროექტების ვერიფიცირებული გაფრქვევების / შემცირებების შესახებ
- საცალო იპოთეკა - მოიცავს ყველა სახის საცალო იპოთეკურ სესხებს
- კომერციული უძრავი ქონება - მოიცავს ყველა სახის კომერციულ იპოთეკურ სესხებს
- ავტომობილები - მოიცავს ყველა სახის ავტო სესხს

²⁶ <https://nbg.gov.ge/en/page/financed-emissions> - ბიზნეს სესხების დაანგარიშების მეთოდოლოგია საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა პროექტის „სოფლის დაფინანსების ხელშეწყობა MSE მდგრადი განვითარებისთვის სამხრეთ კავკასიასა და უკრაინაში“, რომელიც განახორციელა DSIK-მა და დააფინანსა გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამინისტრომ (BMZ).

- სუვერენული ვალები²⁷ - მოიცავს ყველა სახის სახელმწიფო ფასიან ქაღალდს, რომლებიც ბანკის ბალანსზე იმყოფება.

აღსანიშნავია, რომ დაფინანსებული გაფრქვევების გასაანგარიშებლად გამოყენებული მონაცემები მოცემულ ეტაპზე საუკეთესო ხელმისაწვდომ მონაცემებს წარმოადგენს, მიუხედავად არსებული გამოწვევებისა, მონაცემთა ნაკრების არასაკმარისობისა და სიახლისა და საჭირო მეთოდოლოგიებისა საქართველოში, სადაც ჩვენი აქტივობების უმეტესობა ხორციელდება. მონაცემების უმრავლესობის ხარისხი Score 4 და Score 5-ს განეკუთვნება. ჩვენი მოლოდინით, საჭირო მონაცემების ხელმისაწვდომობა და სანდოობა დროთა განმავლობაში გაუმჯობესდება და, იმისდა მიხედვით, რამდენად ხელმისაწვდომი იქნება, მიზნად ვისახავთ შესაბამისი გაუმჯობესებული მონაცემების ჩართვას ჩვენს ანგარიშგებაში.

მდგრადი პორტფელი


კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის ინიციატივები ESG სტრატეგიის ნაწილია, რომელსაც სამეთვალყურეო საბჭო ყოველწლიურად გადასინჯავს და ამტკიცებს. ESG სტრატეგია ამბიციურ მიზნებს ისახავს, როგორცაა ნეტო-ნულოვანი სათბური აირების გაფრქვევების²⁸ (Scope 1 და Scope 2 GHG გაფრქვევები) მიღწევა, რომელიც 2025 წლისთვის გარემოზე პირდაპირ გავლენას უკავშირდება, მდგრადი პორტფელის ზრდა, რაც შედგება განახლებადი ენერჯის სესხებისგან, ენერგოეფექტური სესხებისგან, სოციალური კომპონენტების დაფინანსებისგან და ა.შ. 2023 წლის მე-4 კვარტლის მდგომარეობით, მთლიანი მდგრადი პორტფელი²⁹ 1,23 მილიარდ ლარს შეადგენდა, რაც 2023 წლის მიზნობრივ მოცულობას (1,0 მილიარდი ლარი) 233 მილიონი ლარით აღემატება. 2024 წლის მიზანი 1,4 მილიარდი ლარით განისაზღვრა.

²⁷ აქტივების დანარჩენი ხუთი კლასისთვის დაანგარიშების მეთოდოლოგიები „თიბისი“ ბანკმა საკონსულტაციო კომპანიასთან „RINA“ ერთად შეიმუშავა, გლობალური კლიმატური საპარტნიორო ფონდის მხარდაჭერით. დაანგარიშების მეთოდოლოგიაში გამოყენებულია PCAF მიდგომა.

²⁸ Scope 1, Scope 2 და Scope 3 განმარტებები იხილეთ 76 გვერდზე.

²⁹ ჩვენი მდგრადი პორტფელი მოიცავს ა) ენერგოეფექტურობას, ახალგაზრდების მხარდაჭერას და ქალებისთვის ბიზნეს-სესხებს, რომლებიც ფინანსდება საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებისგან მიღებული სპეციალური მიზნის მქონე სახსრებით; ბ) სესხები განახლებადი ენერჯის დასაფინანსებლად, რაც მოიცავს ბანკის მიერ დაფინანსებულ ყველა ელექტროსადგურს; გ) სტარტაპ კომპანიების და ხელმისაწვდომი საცხოვრებლების დაფინანსება, რომელთა კატეგორიები განისაზღვრება საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) სოციალური ტაქსონომიის საფუძველზე; დ) მწვანე დაკრედიტება, რომელიც ფასდება სებ-ის მწვანე ტაქსონომიის საფუძველზე, ე) სოციალური გარანტიების, ხელმისაწვდომი საცხოვრებლის პროექტების მხარდაჭერის სოციალური გარანტიები, რომელთა კატეგორიები განისაზღვრება საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) სოციალური ტაქსონომიის საფუძველზე (<https://nbg.gov.ge/en/page/sustainable-finance-taxonomy>), ვ) მწვანე და მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული ობლიგაციები, კაპიტალის ბაზრების საერთაშორისო ასოციაციის (ICMA) მწვანე ობლიგაციების პრინციპების და მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული პრინციპების შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულ გრაფიკში ნაჩვენებია მდგრადი პორტფელის განვითარება 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით:



2023 წლის განმავლობაში ჩვენი განახლებადი ენერჯის პორტფელის გავლენამ (სათბური აირების გაფრქვევების აღკვეთა) 7 681.18 tCO₂/a შეადგინა, ელექტროენერჯის გამომუშავების მონაცემების და გარე კონსულტანტის შეფასების თანახმად, „Green for Growth Fund“-ის (GGF) ტექნიკური მხარდაჭერის დოკუმენტის საფუძველზე, რომელსაც წარმოადგენდა „Finance in Motion GmbH“ და აფინანსებდა ევროპის კავშირი „EU4Energy“ ინიციატივის ფარგლებში.

2022 წლის შემდეგ, ESG-სთან დაკავშირებული ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლები აისახება აღმასრულებელი მენეჯმენტის ანაზღაურების გრძელვადიან წამახალისებელ გეგმებში. აღმასრულებელი მენეჯმენტის ძირითადი ეფექტიანობის მაჩვენებლები უკავშირდება მდგრადი პორტფელის და სხვა მდგრადი აქტივების მიზნობრივ მოცულობებს. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ანაზღაურების კომიტეტის ანგარიშში, საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფის“ 2023 წლის წლიური ანგარიშის 229-ე გვერდზე.

9. ანაზღაურების პოლიტიკა ტოპ მენეჯმენტისთვის და სამეთვალყურეო საბჭოს არააღმასრულებელი დირექტორებისთვის

საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფის“ დირექტორთა საბჭო, ანაზღაურების კომიტეტის რეკომენდაციების საფუძველზე ამტკიცებს ბანკის უმაღლესი რანგის გენერალური დირექტორის და დირექტორის (შემდგომში „ტოპ მენეჯმენტი“³⁰) ანაზღაურებას და ბენეფიტებს, მათ შორის ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს საზღაურს და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს აქციონერების მიერ დასამტკიცებლად. ბანკის თანამშრომლების ანაზღაურებას ამტკიცებს შესაბამისი დეპარტამენტის ხელმძღვანელი აღმასრულებელ დირექტორთან და ადამიანური რესურსების ბიზნეს პარტნიორთან შეთანხმებით.

საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფის“ დირექტორების ანაზღაურების პოლიტიკა (შემდგომში „პოლიტიკა“) ვრცელდება მათ შორის ბანკის ტოპ მენეჯმენტზე. პოლიტიკა დამტკიცებულია 2021 წლის 14 ივნისის წლიურ საერთო კრებაზე TBC PLC-ის აქციონერების მიერ.

პოლიტიკა ხელს უწყობს მდგრადი გრძელვადიანი შესრულების მაჩვენებლების უზრუნველყოფას სამოტივაციო გეგმების გრძელვადიანი ხასიათის (პრემიის გადავადება და გრძელვადიანი სამოტივაციო გეგმა), გამოყენებული სამოქმედო ღონისძიებების სახე სხვაობის (ბიზნეს-სტრატეგიასთან მორგებული და შესრულების სრულყოფილი შეფასების მხარდაჭერით) და მიზნების დასახვისა და შესრულების მაჩვენებლების შეფასების დაბალანსებული მიდგომის გათვალისწინებით.

დირექტორების ანაზღაურების პოლიტიკა ძალაშია 2022 წლის 1 იანვრიდან და დამტკიცებულია მომდევნო 3 წლის ვადით. პოლიტიკის შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ 2020 წლის წლიურ ანგარიშში, რომელიც ხელმისაწვდომია ბმულზე: www.tbcbankgroup.com და ქვემოთ.

პოლიტიკის ცხრილი: ტოპ მენეჯმენტი (შემდგომში „დირექტორი“)

ყველა დირექტორის ჯამური ანაზღაურების სტრუქტურა იგივეა რაც გენერალური დირექტორის შემთხვევაში, განსხვავებულია მხოლოდ რისკების მართვის დირექტორისთვის („CRO“). რისკების მართვის დირექტორის შემთხვევაში, ფიქსირებული და ცვლადი ანაზღაურების გადანაწილება განსხვავდება სხვა მოადგილეებისგან, რაც თავის მხრივ თანხვედრაშია სებ-ის სახელმძღვანელო პრინციპებთან, კერძოდ კი რისკების მართვის დირექტორის ანაზღაურება არ უნდა იყოს ზედმეტად დამოკიდებული ცვალებადი ანაზღაურების კომპონენტზე. აქედან გამომდინარე, რისკების მართვის დირექტორის ანაზღაურების ცვალებად ნაწილს უფრო მაღალი ფიქსირებული კომპონენტი აქვს, გენერალურ დირექტორთან და სხვა მოადგილეებთან შედარებით (37%-ს შეადგენს ჯამური ანაზღაურების ფიქსირებული კომპონენტი გენერალური და სხვა დირექტორისთვის, ხოლო რისკების მართვის დირექტორის ფიქსირებული კომპონენტი 48%-ს შეადგენს ჯამურ კომპენსაციაში მიზნობრივ მაჩვენებელზე).

| ფიქსირებული ანაზღაურება | |
|---|--|
| ხელფასი - გაიცემა ნაღდი ფორმით ან აქციების სახით | |
| მიზნები და კავშირი ჯგუფის სტრატეგიასთან | <p>ხელფასი განისაზღვრება საბაზრო პრაქტიკის საფუძველზე და თითოეულ აღმასრულებელ დირექტორს უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი ფიქსირებული შემოსავლით დირექტორის ეფექტურად შენარჩუნებისა და ანაზღაურებისთვის. ხელფასი ეფუძნება დირექტორის თითოეულ ფუნქციას და პასუხისმგებლობას ჯგუფის შიგნით, ასევე შესაბამის უნარებს და გამოცდილებას.</p> <p>ნაღდი ფორმით გაცემული ხელფასი</p> <p>ხელფასის ნაღდი ფორმით გაცემა მიზნად ისახავს ფიქსირებულ ფულადი სახით კომპენსაციას.</p> <p>აქციების სახით გაცემული ხელფასი</p> <p>გენერალური დირექტორს ხელფასის სახით ანაზღაურების ნაწილი გადაეცემა აქციებით, იმისათვის, რომ თანხვედრაში იყოს აღმასრულებელი დირექტორებისა და აქციონერების ინტერესებთან.</p> |
| ოპერაცია | <p>აღმასრულებელმა დირექტორმა, თავისი როლიდან და პასუხისმგებლობებიდან გამომდინარე, შესაძლოა ხელფასი მიიღოს ჯგუფში შემავალი სხვადასხვა ორგანიზაციიდან, რაც შესაბამისი მომსახურების კონტრაქტით იქნება განსაზღვრული. ამჟამად, აღმასრულებელი დირექტორი ხელფასს იღებს სს „თიბისი ბანკისგან“ და საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფისგან“. ანაზღაურების ანგარიშში ეს მონაცემები აგრეგირებული სახით არის წარმოდგენილი.</p> |

³⁰ ტოპ მენეჯმენტში იგულისხმება აღმასრულებელი დირექტორები, დირექტორთა ანაზღაურების პოლიტიკის შესაბამისად.

| | |
|--|--|
| | <p>ხელფასებს ყოველწლიურად განიხილავს ანაზღაურების კომიტეტი. ხელფასის გადახედვა ხდება ბანკის შესაბამისი თანასწორი ორგანიზაციების და მსგავსი ზომის და სირთულის სხვა კომპანიების მაგალითზე.</p> <p>აქციების გადაცემა</p> <p>აქციების გადაცემა ჩვეულებრივ ხორციელდება მეორე წლის პირველ კვარტალში (ე.ი. სამუშაოს შესრულების მომდევნო წელს). გადაცემის ზუსტ თარიღს ანაზღაურების კომიტეტი განსაზღვრავს.</p> <p>ყველა აქცია უნდა შეკავდეს ერთი წლის განმავლობაში, ხოლო აქციების 50% ასევე მეორე წლის განმავლობაში. აქციები დარეგისტრირებულია მეურვეების სახელზე, როგორც მონაწილეთა მიერ დასახელებული ნომინანტი. მონაწილეებს აქციების რეგისტრაციის თარიღიდან ხმის მიცემის და დივიდენდის მიღების უფლება აქვთ.</p> |
| მაქსიმალური შესაძლებლობა | <p>ხელფასი ყოველწლიურად განისაზღვრება და განიხილება იმის უზრუნველსაყოფად, რომ დირექტორები იღებდნენ სამართლიან ანაზღაურებას რომელიც კონკურენტუნარიანია ჯგუფს შიგნით შესაბამისი პირის მიერ შესრულებული ფუნქციისთვის, ასევე მისი გამოცდილების თანაზომადია. აღმასრულებელი დირექტორის ხელფასს განსაზღვრავს ანაზღაურების კომიტეტი, შესაბამისი პირის უნარ-ჩვევების, შესრულების მაჩვენებლების და გამოცდილების გათვალისწინებით.</p> <p>ხელფასის მაქსიმალურ დონეს განსაზღვრავს საბჭო დადგენილი პრინციპების გათვალისწინებით. იმის მიუხედავად, რომ ხელფასის აბსოლუტური მაქსიმუმი დადგენილი არ არის, ანაზღაურების ნებისმიერი მატება, ჩვეულებრივ, შესაბამისობაში იქნება თანამშრომლებისთვის განსაზღვრულ ხელფასის ზრდასთან. თუ ზრდა აღემატება სხვა დასაქმებულებისთვის გადახდილ თანხას, ჩვენ განხილვაში ჩავრთავთ ჩვენს აქციონერებს და უზრუნველყოფთ იმას, რომ საერთო პოტენციურად ხელმისაწვდომი ანაზღაურება არ იყოს გადაჭარბებული დასაქმების შესაბამისი მონაცემების გათვალისწინებით. ხელფასის ნებისმიერი ცვლილების რეკომენდაციას გასცემს ანაზღაურების კომიტეტი და ამტკიცებს საბჭო.</p> <p>აქციების სახით გადახდილი ხელფასისთვის, აქციების რაოდენობა დაანგარიშდება ანაზღაურების კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე ბოლო 10 დღის განმავლობაში აქციაზე დადგენილი საშუალო ფასის საფუძველზე. თუმცა, მაქსიმალური დირექტორების განსაზღვრება ამ თარიღში ნაღდი ფულის თანხის გათვალისწინებით.</p> |
| შესრულების მაჩვენებლების შეფასების მეთოდები | არ ეფუძნება შესრულების მონაცემებს |
| ჯარიმა / გადახდილის დაბრუნება | ჯარიმა და გადახდილის დაბრუნების დებულებები არ ვრცელდება ნაღდი ფულის ან აქციების სახით გადახდილ ფიქსირებულ ანაზღაურებაზე. |
| ცვლილებები წინამორბედ პოლიტიკაში | გადავადების (მათ შორის დასაქმების გაგრძელებაზე მოთხოვნა), ხელფასის სახით მიღებულ აქციებზე ჯარიმის და გადახდილის დაბრუნების გაუქმება. აღნიშნული ცვლილება ემსახურება იმ მიზანს, რომ ხელფასის სახით მიღებული აქციებთან ანაზღაურება განიხილება როგორც ფიქსირებული კომპენსაცია საკანონმდებლო მიზნებიდან გამომდინარე. |
| პენსია | |
| მიზნები და კავშირი ჯგუფის სტრატეგიასთან | პენსიაზე გავლაში ჩვენი თანამშრომლების დახმარება და ბაზარზე კონკურენტული სოციალური პაკეტის უზრუნველყოფა აღმასრულებელი დირექტორების მოზიდვისა და შენარჩუნებისთვის. |
| ოპერაცია | საქართველოში მოქმედებს სავალდებულო საპენსიო სქემა, რომლის მიხედვითაც დასაქმებულის მთლიანი ანაზღაურების 2% ეროვნულ საპენსიო ფონდში ირიცხება. ³¹ |
| მაქსიმალური შესაძლებლობა | სამუშაო ძალასთან ერთად, თანამშრომლის მაქსიმალური შენატანი არ გადააჭარბებს მთლიანი ანაზღაურების 2%-ს. |
| შესრულების მაჩვენებლების შეფასების მეთოდები | შესრულების დონეზე არ ვრცელდება შესრულების მაჩვენებლების შეფასების მეთოდები. |

³¹ 2019 წლის საპენსიო რეფორმის გატარების დროს, პენსიის შესახებ საქართველოს კანონის გარდამავალი დებულებების შესაბამისად, ფიზიკურ პირებს, გარკვეული ასაკის შემდეგ მიეცათ საპენსიო სქემიდან გამოსვლის ერთჯერადი შესაძლებლობა და ბანკის ტოპ მენეჯმენტის უფლებამოსილმა წევრებმა მიიღეს საქართველოს სახელმწიფო საპენსიო ფონდიდან გამოსვლის გადაწყვეტილება.

| | |
|---|--|
| ჯარიმა / გადახდის დაბრუნება | ჯარიმა და გადახდის დაბრუნების დებულებები არ ვრცელდება. |
| ცვლილებები წინამორბედ პოლიტიკაში | დამსაქმებლის მაქსიმალური კონტრბუციის შემცირება 3%-დან 2%-მდე, რათა გათანაბრდეს სამუშაო ძალის საპენსიო სქემასთან. |
| ბენეფიტები | |
| მიზნები და კავშირი ჯგუფის სტრატეგიასთან | ბენეფიტები საქართველოს ბაზარზე მოქმედ პრაქტიკას შეესაბამება და გათვლილია მაღალკვალიფიციური ტალანტების მოზიდვასა და შენარჩუნებაზე. |
| ოპერაცია | <p>აღმასრულებელი დირექტორებისთვის ხელმისაწვდომი ბენეფიტები მოიცავს დაზღვევას (სამედიცინო, სიცოცხლის და კრიტიკული დაავადებების დაზღვევა), სამედიცინო შემოწმებას, დირექტორების და თანამშრომლების ვალდებულებების დაზღვევას, ავტო-მომსახურებას, პირადი დაცვის ღონისძიებებს და, საჭიროების შემთხვევაში, დახმარებას საგადასახადო დეკლარაციის შევსებაში. ანაზღაურების კომიტეტი იტოვებს უფლებას საჭიროების ან შესაბამის შემთხვევაში დამატებითი ბენეფიტების შეთავაზებაზე დირექტორის ადგილმდებარეობის მიხედვით.</p> <p>აღმასრულებელ დირექტორებს უნაზღაურდებათ მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში მათი ვალდებულებების შესრულების პროცესში გაწეული გონივრული ბიზნეს-დანახარჯები შესაბამისი ქვითრების წარმოდგენის საფუძველზე.</p> |
| მაქსიმალური შესაძლებლობა | <p>გადასახდელი მაქსიმალური თანხა დამოკიდებულია იმ ბენეფიტების უზრუნველყოფის თანხაზე, რომლის თანამშრომლისთვის გადახდის სურვილიც აქვს ანაზღაურების კომიტეტს აღმასრულებელი დირექტორის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით.</p> <p>აქციონერებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ შედარებადი ბენეფიტების ხარჯი შესაძლოა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს სხვადასხვა იურისდიქციაში.</p> <p>გადახდელი თანხების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება განხორციელების ანგარიშში და მათი განმარტება მოხდება იმ შემთხვევაში, თუ სარგებლის თანხა მნიშვნელოვნად დიდი იქნება.</p> |
| შესრულების მაჩვენებლების შეფასების მეთოდები | არ ეფუძნება შესრულების მონაცემებს |
| ჯარიმა / გადახდის დაბრუნება | ჯარიმა და გადახდის დაბრუნების დებულებები არ ვრცელდება. |
| ცვლილებები წინამორბედ პოლიტიკაში | შემოთავაზებული არ არის ცვლილებები |

| | |
|---|--|
| ცვალებადი ანაზღაურება | |
| აქციების სახით შეთავაზებული ყოველწლიური ბონუსი | |
| მიზნები და კავშირი ჯგუფის სტრატეგიასთან | ყოველწლიური ძირითადი ეფექტიანობის მაჩვენებლების მისაღწევად ძლიერი მოტივაციის ინსტრუმენტის და ამგვარი მაჩვენებლების შესრულების შემთხვევაში ანაზღაურების უზრუნველყოფა. ყოველწლიური შესრულების ძირითადი მაჩვენებლები განისაზღვრება დირექტორების ინტერესების ჯგუფის მოკლევადიან სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისობის გზით. |
| ოპერაცია | <p>ყოველწლიური ბონუსის განსაზღვრა</p> <p>შესრულების ძირითადი მაჩვენებლები განისაზღვრება ყოველი შესაბამისი წლის დასაწყისში (უფრო დეტალური ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ). შესრულების ძირითადი მაჩვენებლების ხასიათი განმარტებულია შესრულების წელს გამოქვეყნებულ წლიურ ანგარიშში. შეფასების ზუსტი პარამეტრები და მიზნები ანაზღაურების კომიტეტმა შესაძლოა კომერციული თვალთახედვით მგრძობიარედ მიიჩნიოს, რა შემთხვევაშიც ისინი რეტროსპექტიულად იქნება წარმოდგენილი, ჩვეულებრივ მომდევნო წლიურ ანგარიშში.</p> <p>გადახდის სტრუქტურა</p> <p>ყოველწლიური ბონუსის გადახდა მთლიანად აქციების სახით ხდება, რაც ფლობის პერიოდზეა დამოკიდებული. აქციების გადაცემის შემდეგ, მათი 50%-ის ფლობა მოხდება ერთი წლის განმავლობაში, ხოლო დანარჩენი 50%-ის - გადაცემის თარიღიდან 2 წლის განმავლობაში. აქციები დარეგისტრირებულია მეურვეების სახელზე, როგორც მონაწილეთა მიერ დასახელებული ნომინანტი, ხოლო მონაწილეები უფლებამოსილი არიან მიიღონ დივიდენდები. აქციების გადაცემა ჩვეულებრივ ხორციელდება მეორე წლის პირველ კვარტალში (ე.ი. სამუშაოს შესრულების მომდევნო წელს). გადაცემის ზუსტ თარიღს ანაზღაურების კომიტეტი განსაზღვრავს.</p> <p>ადმინისტრირება</p> <p>გეგმასთან დაკავშირებით ანაზღაურების კომიტეტის მნიშვნელოვანი უფლებამოსილებები დამატებით შეჯამებულია ანაზღაურების პოლიტიკაში.</p> |
| მაქსიმალური შესაძლებლობა | <p>გენერალური დირექტორის და დირექტორების ყოველწლიური ბონუსის მაქსიმალური თანხა ყოველწლიური მოკლევადიანი საინიციატივო ღონისძიებების ფარგლებში, ფიქსირებული ხელფასის 135%-ს შეადგენს. სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის მიზნით, გადახდას ექვემდებარება ბონუსის მაქსიმალური თანხის მაქსიმუმ 50%. ზღვრული შესრულებისას წლიური ბონუსი არ გადაიხდება.</p> <p>სებ-ის სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად, რისკების მართვის დირექტორის ფიქსირებული ანაზღაურების პროპორციულობა აღემატება გენერალური დირექტორისა და სხვა დირექტორების ანაზღაურებას.</p> <p>აქციების რაოდენობა დაანგარიშდება ანაზღაურების კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე ბოლო 10 დღის განმავლობაში აქციაზე დადგენილი საშუალო ფასის საფუძველზე.</p> |
| შესრულების მაჩვენებლების შეფასების მეთოდები | <p>შესრულების ძირითადი მაჩვენებლები მოიცავს კორპორაციულ და ინდივიდუალურ შესრულების მაჩვენებლებს.</p> <p>კორპორაციული შესრულების ძირითადი მაჩვენებლები მოიცავს ფინანსურ მაჩვენებლებს და არაფინანსურ მაჩვენებლებს გრძელვადიან ჭრილში.</p> <p>ყოველწლიური ბონუსის სულ მცირე 60%-ის გამომუშავება მოხდება ფინანსური შესრულების ძირითადი მაჩვენებლების და მიზნების რთული ნაკრების მიხედვით, ზანკის წლის გეგმებზე მიმართებით.</p> <p>ინდივიდუალური შესრულების მაჩვენებლები შესაძლოა მოიცავდეს ინდივიდუალურ სტრატეგიულ მიზნებს, რომლებიც განსხვავებულია ფიზიკური პირების მიხედვით. შესრულების პერიოდი ერთი წელი. შესრულების ძირითადი მაჩვენებლების მიღწევის ფარგლებში, ანაზღაურების კომიტეტმა შესაძლოა მიიღოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, გამოყოს თუ არა ჯილდო და განსაზღვროს ამ უკანასკნელის ოდენობა.</p> <p>ანაზღაურების კომიტეტმა შესაძლოა ასევე შეცვალოს შესრულების ძირითადი მაჩვენებლები წლის განმავლობაში ისეთი არსებითი მნიშვნელოვანი მოვლენების გასათვალისწინებლად, როგორც (შეუზღუდავად) არის: მნიშვნელოვანი კორპორაციული მოვლენები, ცვლილებები კონკრეტული პირების პასუხისმგებლობებში და/ან ვალუტის გაცვლით კურსებში.</p> |
| ჯარიმა / გადახდის დაბრუნება | <p>ჯილდო წარმოადგენს ჯარიმის საგანს ნებისმიერ დროს ფლობის პერიოდის დასრულებამდე და გადახდის დაბრუნების საგანს ფლობის პერიოდის დასრულებამდე მესამე წლისთავამდე ნებისმიერ დროს.</p> <p>ანაზღაურების კომიტეტის უფლებამოსილებები ჯილდოსთან და გადახდის დაბრუნებასთან დაკავშირებით განხილულია ჯილდოებთან დაკავშირებულ პირობებში. საბოლოოდ, ამ პოლიტიკის მოქმედების ფარგლებში გამოყოფილი ჯილდოს ფარგლებში, თუ საბჭო განსაზღვრავს (ანაზღაურების კომიტეტის რეკომენდაციით), რომ:</p> |

| | |
|--|--|
| | <p>დირექტორს შეგნებულად შეჰყავს კომპანია ან ბანკი შეცდომაში</p> <ul style="list-style-type: none"> • ფინანსურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით; • ადგილი ჰქონდა არსებით უზუსტობას ან არსებით ხარვეზს კომპანიის ან ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაში; • დირექტორი მონაწილეობდა ან პასუხს აგებდა ისეთ ქცევაზე, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზარალი კომპანიისთვის ან ბანკისთვის; • დირექტორმა ვერ დააკმაყოფილა სებ-ის მიერ განსაზღვრული შესაბამისი კრიტერიუმები; • არსებობს დირექტორის მიერ არასწორი ქცევის ან სერიოზული გადაცდომის, მათ შორის (• შეუზღუდავად) ეთიკის ნებისმიერი კოდექსის დარღვევის ან კომპანიის სხვა შიდა წესების არსებითი დარღვევის მტკიცებულება; • კომპანია, ბანკი და/ან შესაბამისი ბიზნეს-ერთეული მნიშვნელოვან დადმასვლას განიცდიან ფინანსურ მაჩვენებლებში (მაგ. კონკრეტულ ბიზნეს მაჩვენებლებში) (ჯარიმებთან მიმართებით), ან დირექტორის ბრალულობით კომპანიამ, ბანკმა და/ან ბიზნეს-ერთეულმა განიცადეს ფინანსური მაჩვენებლების მნიშვნელოვანი კლება (გადახდილის დაბრუნებასთან მიმართებით); • კომპანია, ბანკი და/ან შესაბამისი ბიზნეს-ერთეული, რომელშიც დირექტორი მუშაობს, განიცდის მნიშვნელოვან წარუმატებლობას რისკის მართვაში (ჯარიმებთან მიმართებით), ან დირექტორმა გამოიწვია კომპანიის, ბანკის და/ან იმ შესაბამისი ბიზნეს-ერთეულის რისკის მართვაში მნიშვნელოვანი წარუმატებლობა, რომელშიც თავად მუშაობს (გადახდილის დაბრუნებასთან მიმართებით); • მნიშვნელოვნად გაიზარდა კომპანიის და/ან ბანკის ან შესაბამისი ბიზნეს-ერთეულის ეკონომიკური ან საზედამბებლო კაპიტალის ბაზა (ჯარიმებთან მიმართებით), ან დირექტორის ჩართულობამ გამოიწვია კომპანიის და/ან ბანკის ან შესაბამისი ბიზნეს-ერთეულის ეკონომიკური ან საზედამბებლო კაპიტალის ბაზის მნიშვნელოვანი ზრდა (გადახდილის დაბრუნებასთან მიმართებით); ან • დირექტორის ქცევამ გამოიწვია მარეგულირებელი საწესდებო დაკისრება კომპანიაზე ან ბანკზე. <p>დირექტორთა საბჭოს აქვს უფლება დააწესოს რამდენიმე ან ყველა ჯილდო ის წელი ან იმ წლის მომდევნო ფინანსური წელი, რომელიც არ გავა (ან რომელშიც არ განხორციელდება გადახდა) (ე.ი. იმოქმედებს ჯარიმა) და/ან მოითხოვს აქციების და/ან ფულის ღირებულების დაბრუნებას რომელსაც დირექტორი მიიღებს ჯილდოს შესაბამისად (ე.ი. იმოქმედებს გადახდილის დაბრუნება), განისაზღვროს საბჭოს აბსოლუტური შეხედულებით.</p> <p>გარდა ამისა, ჯარიმის ამოქმედება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ჩათვლება, რომ კომპანიის საბაზისო ფინანსური მაჩვენებლები ან დირექტორის შესრულების მაჩვენებლები ფლობის პერიოდში ხელს უშლის აქციების რაოდენობის დასაბუთებას.</p> <p>პოლიტიკის ამოქმედებამდე გაცემული ჯილდოებისთვის, ეს უკანასკნელები კომპანიის ჯარიმებისა და გადახდილის დაბრუნების წინა პოლიტიკის საგანია, 2019 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული პოლიტიკის საფუძველზე.</p> |
| <p>ცვლილებები წინამორბედ პოლიტიკაში</p> | <p>მონეტარულად გამოსახული ჯილდოდან, გადასვლა მაქსიმალური ჯილდოს პროცენტულ გამოსახვაზე ხელფასთან მიმართებაში.</p> <p>განგრძობითი დასაქმების მოთხოვნის გაუქმება წლიური ბონუსისთვის.</p> <p>მინიმუმ 60% წლიური ბონუსის განსაზღვრულია ფინანსური KPI-ებით.</p> <p>მიზნობრივი შესრულების განსაზღვრა, რომ მოხდეს მაქსიმალური ბონუსის 50%-ის შესაძლებლობის მინიჭება, რომელიც მიმდინარე პოლიტიკით 63%-ს შეადგენს.</p> <p>ჯარიმის და გადახდილის უკან დაბრუნების მიზეზების გაფართოება სებ-ის კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად.</p> |

| გრძელვადიანი წამახალისებელი ანაზღაურების გეგმა (LTIP) | |
|--|--|
| მიზნები და კავშირი ჯგუფის სტრატეგიასთან | <p>ძლიერი სამოტივაციო ინსტრუმენტის შექმნა შესრულების გრძელვადიანი პირობების უზრუნველსაყოფად და ჯილდოს განსაზღვრა ამგვარი შესრულების პირობების უზრუნველყოფის ფარგლებში.</p> <p>შესრულების პირობები განისაზღვრება მრავალ-წლიანი პერიოდის განმავლობაში ჩვენი აღმასრულებელი დირექტორების ინტერესების ჯგუფის სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისობისთვის და გრძელვადიანი ხედვის უზრუნველსაყოფად.</p> |
| ოპერაცია | <p>ჯილდოს განსაზღვრა</p> <p>ჯილდოები დისკრეციული ხასიათის არის და მათი მინიჭება ხდება იმ შემთხვევაში, თუ ანაზღაურების კომიტეტი მიიჩნევს, რომ წინა საბაზისო წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა შესრულების დამაკმაყოფილებელ მაჩვენებლებს.</p> <p>გადახდის სტრუქტურა</p> <p>ჯილდოს გადახდა ხდება პირობითი წილობრივი ანაზღაურების, ოფციის ან შეზღუდული უფლების მქონე აქციების გადახდის გზით. ჯილდოები ისეა სტრუქტურირებული, რომ ყოველწლიურ ბონუსთან ერთად, ცვლადი ანაზღაურების 60%-ზე ნაკლები არ გადაიხდება წამახალისებელი ანაზღაურების გრძელვადიანი გეგმის ფარგლებში ნებისმიერი ერთი წლის განმავლობაში.</p> <p>თითოეული ჯილდოსთვის ანაზღაურების კომიტეტი განსაზღვრავს მომავალზე ორიენტირებულ შესრულების პირობებს 3-წლიანი პერიოდისთვის (დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ). ანაზღაურების კომიტეტი განსაზღვრავს ჯილდოს დონეს შესრულების პერიოდის ბოლოს, შესრულების პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში.</p> <p>შესრულების პირობები და შესაბამისი სამიზნეები განხილული იქნება ჯილდოს გაცემის წელს გამოქვეყნებულ ყოველწლიურ ანგარიშში.</p> <p>მიღების ვადები</p> <p>გასაცემი აქციებისთვის, შესრულების პირობები უნდა დაკმაყოფილდეს 3-წლიანი შესრულების პერიოდის განმავლობაში.</p> <p>შესრულების პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, წამახალისებელი ანაზღაურების გრძელვადიანი გეგმით გაცემული ჯილდო უფლებამოსილების 2-წლიანი გამოყენების შეზღუდვის პერიოდის და განგრძობადი თანამშრომლობის მოთხოვნების საგანია, გამოყენების შეზღუდვის 5-წლიანი ვადის გასვლამდე.</p> <p>ჯილდოები შესაძლოა იყოს დივიდენდების ეკვივალენტები. დივიდენდი არ გადაიხდება ჯილდოზე (ან მის ნაწილზე), რომელსაც ვადა გასდის უფლებამოსილების მინიჭებისას ან მანამდე.</p> <p>წილის შემცირება</p> <p>ახლად გამოშვებული და გამოსყიდული აქციებისთვის, წამახალისებელი ანაზღაურების გრძელვადიანი გეგმა ითვალისწინებს 10%-მდე შეზღუდვას 10-წლიან პერიოდში დასაქმებულთა გეგმებისთვის და 5%-მდე შეზღუდვას 10-წლიან პერიოდში დისკრეციული გეგმებისთვის.</p> <p>ეს შეზღუდვები გამოიცხადებს ჯილდოს სახით გაცემულ აქციებს, რომლებიც გამოხმობილი, ანულირებული, გათავისუფლებული, ვადაგასული ან გაუქმებულია ან ჯილდოებს, რომელთა მინიჭებაც მოხდა კომპანიის მიერ აქციების პირველად განთავსებამდე ან ჯილდოებს, რომლებიც ანაზღაურების კომიტეტის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილებს არსებულ აქციებს.</p> <p>ადმინისტრირება</p> <p>გეგმის ადმინისტრირებას განახორციელებს ანაზღაურების კომიტეტი. გეგმასთან დაკავშირებით ანაზღაურების კომიტეტის მნიშვნელოვანი უფლებამოსილებები დამატებით შეჯამებულია ანაზღაურების პოლიტიკაში.</p> |
| მაქსიმალური შესაძლებლობა | <p>გენერალური დირექტორის და სხვა დირექტორების ნებისმიერ მოცემულ წელს, ჯილდოს მაქსიმალური თანხა ყოველწლიური გრძელვადიანი საინიციატივო ღონისძიებების ფარგლებში, ფიქსირებული ხელფასის 161%-ს შეადგენს. სებ-ის სახელმძღვანელო მითითებების თანახმად, რისკების მართვის დირექტორის ფიქსირებული ანაზღაურების პროპორციულობა აღემატება გენერალური დირექტორის და სხვა დირექტორების ანაზღაურებას. აქციების რაოდენობა დაანგარიშდება გრანტის</p> |

| | |
|---|--|
| | <p>გამოცხადების წლის წინამორბედი წლის წინასწარი წლიური შედეგების გამოცხადებიდან 10 დღის განმავლობაში აქციის საშუალო ფასის საფუძველზე.</p> |
| <p>შესრულების მაჩვენებლების შეფასების მეთოდები</p> | <p>მომავალზე ორიენტირებული შესრულების მაჩვენებლები ფინანსურ მაჩვენებლებზე, შესაბამისი რისკის აღებაზე და სხვა გრძელვადიან სტრატეგიულ ღონისძიებებზე იქნება დაფუძნებული და მათ ანაზღაურების კომიტეტი ყოველწლიურად განსაზღვრავს.</p> <p>მაჩვენებლები და საზომები წინასწარ განისაზღვრება გრანტის გაცემამდე კომპანიის სტრატეგიის ასახვის მიზნით.</p> <p>შესრულების თითოეული მაჩვენებლის ზღვრულ დონეზე, ამ მაჩვენებლისთვის შეთავაზებული იქნება ჯილდოს 25%-იანი შესაძლებლობა, მაქსიმალური შესრულების მიღწევისთვის შეთავაზებული იქნება ჯილდოს 100%-იანი შესაძლებლობა, რაც თითოეული მაჩვენებლისთვის იქნება დადგენილი.</p> <p>ანაზღაურების კომიტეტს აქვს შესაძლებლობა ჯილდოს გაცემის შემდეგ ნებისმიერ დროს შეამციროს (მათ შორის წულამდე) ჯილდო, თუ ის მიიჩნევს, რომ კომპანიის საბაზისო ფინანსური მაჩვენებლები ან ფიზიკური პირის შესრულების მაჩვენებლები არ იძლევა უფლების მინიჭების დონის გამართლების შესაძლებლობას.</p> <p>შესრულების პერიოდია სამი წელი, რომელიც უნდა დაიწყოს ფინანსური არაუგვიანეს იმ ფინანსური წლის დასაწყისისა, რომლის დროსაც გაიცემა ჯილდო.</p> <p>ანაზღაურების კომიტეტს შეუძლია შეცვალოს შესრულების პირობები შესრულების პერიოდში იმ არსებითი მოვლენების გასათვალისწინებლად, როგორც არის (შეუზღუდავად): არსებითი კორპორაციული მოვლენები, ცვლილებები დასაქმებულთა პასუხისმგებლობებში და/ან სავალუტო კურსებში, იმის გათვალისწინებით, რომ, (სამართლიანად და პასუხისმგებლობის გრძობით მოქმედი) ანაზღაურების კომიტეტის შეხედულებით, შეცვლილი შესრულების ძირითადი მაჩვენებლების დაკმაყოფილება არ იქნება არსებით დონეზე ნაკლებად რთული.</p> |
| <p>ჯარიმა / გადახდილის დაბრუნება</p> | <p>ჯილდოები ჯარიმის საგანს წარმოადგენს, აქციების გაცემიდან ორი წლის გასვლამდე, ხოლო გადახდილის დაბრუნება მოქმედებს აქციებზე უფლებების მინიჭებიდან სამი წლის გასვლამდე. ანაზღაურების კომიტეტის უფლებამოსილებები ჯილდოსთან და გადახდილის დაბრუნებასთან დაკავშირებით განხილულია ჯილდოებთან დაკავშირებულ პირობებში. საბოლოოდ, ამ პოლიტიკის მოქმედების ფარგლებში გამოყოფილი ჯილდოს ფარგლებში, თუ საბჭო განსაზღვრავს (ანაზღაურების კომიტეტის რეკომენდაციით), რომ:</p> <ul style="list-style-type: none"> • დირექტორს შეგნებულად შეჰყავს კომპანია ან ბანკი შეცდომაში ფინანსურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით; • ადგილი ჰქონდა არსებით უზუსტობას ან არსებით ხარვეზს კომპანიის ან ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაში; • დირექტორი მონაწილეობდა ან პასუხს აგებდა ისეთ ქცევაზე, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზარალი კომპანიისთვის ან ბანკისთვის; • დირექტორმა ვერ დააკმაყოფილა სებ-ის მიერ განსაზღვრული შესაბამისი კრიტერიუმები; • არსებობს დირექტორის მიერ არასწორი ქცევის ან სერიოზული გადაცდომის, მათ შორის (შეუზღუდავად) ეთიკის ნებისმიერი კოდექსის დარღვევის ან კომპანიის სხვა შიდა წესების არსებითი დარღვევის მტკიცებულება; • კომპანია, ბანკი და/ან შესაბამისი ბიზნეს-ერთეული მნიშვნელოვან დადმასვლას განიცდიან ფინანსურ მაჩვენებლებში (მაგ. კონკრეტულ ბიზნეს მაჩვენებლებში) (ჯარიმებთან მიმართებით), ან დირექტორის ბრალეულობით კომპანიამ, ბანკმა და/ან ბიზნეს-ერთეულმა განიცადეს ფინანსური მაჩვენებლების მნიშვნელოვანი კლება (გადახდილის დაბრუნებასთან მიმართებით); • კომპანია, ბანკი და/ან შესაბამისი ბიზნეს-ერთეული, რომელშიც დირექტორი მუშაობს, განიცდის მნიშვნელოვან წარუმატებლობას რისკის მართვაში (ჯარიმებთან მიმართებით), ან დირექტორმა გამოიწვია კომპანიის, ბანკის და/ან იმ შესაბამისი ბიზნეს-ერთეულის რისკის მართვაში მნიშვნელოვანი წარუმატებლობა, რომელშიც თავად მუშაობს (გადახდილის დაბრუნებასთან მიმართებით); • მნიშვნელოვნად გაიზარდა კომპანიის და/ან ბანკის ან შესაბამისი ბიზნეს-ერთეულის ეკონომიკური ან საზედამხედველო კაპიტალის ბაზა (ჯარიმებთან მიმართებით), ან დირექტორის ჩართულობამ გამოიწვია კომპანიის და/ან ბანკის ან შესაბამისი ბიზნეს-ერთეულის ეკონომიკური ან საზედამხედველო კაპიტალის ბაზის მნიშვნელოვანი ზრდა (გადახდილის დაბრუნებასთან მიმართებით); ან • დირექტორის ქცევამ გამოიწვია მარეგულირებელი სანქციების დაკისრება კომპანიაზე ან ბანკზე. |

| | |
|--|--|
| | <p>სამეთვალყურეო საბჭოს აქვს უფლება დააწესოს რამდენიმე ან ყველა ჯილდო ის წელი ან იმ წლის მომდევნო ფინანსური წელი, რომელიც არ გავა (ან რომელშიც არ განხორციელდება გადახდა) (ე.ი. იმოქმედებს ჯარიმა) და/ან მოითხოვს აქციების და/ან ფულის ღირებულების დაბრუნებას რომელსაც დირექტორი მიიღებს ჯილდოს შესაბამისად (ე.ი. იმოქმედებს გადახდილის დაბრუნება), განისაზღვროს საბჭოს აბსოლუტური შეხედულებით.</p> <p>გარდა ამისა, საბჭოს აქვს უფლებამოსილება მიმართოს ჯარიმას, თუ ის მიიჩნევს, რომ კომპანიის საბაზისო ფინანსური მაჩვენებლები ან დირექტორის შესრულების მაჩვენებლები შესრულების პერიოდში ხელს უშლის აქციების რაოდენობის დასაბუთებას.</p> <p>ამასთან, თუ აღმოჩნდება, რომ დასაქმების შეწყვეტიდან სამი წლის განმავლობაში კეთილსინდისიერი ყოფილი თანამშრომელი არაკეთილსინდისიერად იმოქმედებს გეგმაში განსაზღვრული წესების შესაბამისად, ამოქმედდება არაკეთილსინდისიერ ყოფილ თანამშრომლებთან დაკავშირებული გეგმის დებულებები და ამგვარი პირისგან გამოთხოვილი იქნება ჯილდოს სახით მიღებული ყველა აქცია, რომელთა მინიჭება მოხდა დასაქმების შეწყვეტისას ამ მის შემდეგ.</p> <p>პოლიტიკის ამოქმედებამდე გაცემული ჯილდოებისთვის, ეს უკანასკნელები კომპანიის ჯარიმებისა და გადახდილის დაბრუნების წინა პოლიტიკის საგანია, 2019 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებული პოლიტიკის საფუძველზე.</p> |
| <p>ცვლილებები წინამორბედ პოლიტიკაში</p> | <p>ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად, ანაზღაურების კომიტეტის შეფასების შემოღება, რომ გრანტამდე წინა წლის განმავლობაში იყო დამაკმაყოფილებელი შესრულება.</p> <p>გადასვლა მაქსიმალური ჯილდოს ხელფასის პროცენტზე დაფუძნებაზე, ნაცვლად ფულად თანხაზე დაფუძნებისა. წამახალისებელი ანაზღაურების გრძელვადიანი სქემის ზღვრის შემცირება მაქსიმალური ჯილდოს 25%-მდე.</p> <p>ჯარიმის და გადახდილის უკან დაბრუნების მიზეზების გაფართოება სებ-ის კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად.</p> |

| აქციების ფლობასთან დაკავშირებული მოთხოვნები | |
|---|---|
| მიზნები და კავშირი ჯგუფის სტრატეგიასთან | გრძელვადიანი დირექტორების შექმნაში აქციონერების ინტერესისა და აღმასრულებელი დირექტორების ინტერესების შესაბამისობის უზრუნველყოფა. |
| ოპერაცია | <p>კომპანიას აქვს წილობრივი მონაწილეობის მინიმალური მოთხოვნა ძირითადი ხელფასის 200%-ის ოდენობით, დანიშნვიდან ხუთი წლის განმავლობაში. ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე აღმასრულებელი დირექტორისგან აქციების 50%-ის (გადასახადის გამოკლებით) შენარჩუნებას მოითხოვენ.</p> <p>ამ მიზნით გათვალისწინებული აქციები მოიცავს ნებისმიერ გადავადებულ წლიურ ბონუსს და წამახალისებელი ანაზღაურების გრძელვადიანი გეგმის საფუძველზე გაცემულ ნებისმიერ უფლებამინიჭებულ ჯილდოს (მიუხედავად იმისა, ვრცელდება თუ არა ფლობის/ხანგრძლივი დასაქმების პირობები). გათვალისწინებული არ იქნება წამახალისებელი ანაზღაურების გრძელვადიანი გეგმით მინიჭებული გამოუთხოვადი ჯილდოები.</p> <p>დასაქმების შემდეგ, აღმასრულებელი დირექტორის წლის შეწყვეტის დროს ნაკლები წლის ან მინიმალური წლის მოთხოვნის 50%-ის შენახვა აუცილებელია შეწყვეტის შემდგომ ორი წლის განმავლობაში.</p> |
| მაქსიმალური შესაძლებლობა | <p>წილობრივი მონაწილეობის მინიმალური მოთხოვნა ძირითადი ხელფასის 200%-ის ოდენობით, დანიშნვიდან ხუთი წლის განმავლობაში.</p> <p>დასაქმების შეწყვეტიდან ორი წლის განმავლობაში, აღმასრულებელი დირექტორის წილობრივ მონაწილეობას და მინიმალურ წილობრივ მოთხოვნის 50%-ს შორის უმცირესი.</p> |
| შესრულების მაჩვენებლების შეფასების მეთოდები | არ ეფუძნება შესრულების მონაცემებს |
| ცვლილებები წინამორბედ პოლიტიკაში | ვადის განსაზღვრა, რომლის ფარგლებშიც უნდა შეიქმნას მინიმალური აქციების ფლობის ზღვარი. |

ანაზღაურების პოლიტიკა ბოლოს საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფის“ აქციონერებმა წლიურ საერთო კრებაზე დაამტკიცეს 2021 წლის 14 ივნისს, მშობელი საწარმოს და ბანკის გენერალური დირექტორის და ბანკის დირექტორთა საბჭოს წევრების (დირექტორები) ფიქსირებულ და ცვალებად ანაზღაურებას შორის 1:2 მაქსიმალურ ზღვართან ერთად.

2021 წლის წლიურ საერთო კრებაზე პოლიტიკის დამტკიცების შემდეგ, კომიტეტმა დაანერგა პროცედურები მისი პოლიტიკის განსახორციელებლად. კონკრეტულად, კომიტეტმა განსაზღვრა პარამეტრები და მაჩვენებლები მოკლე და გრძელვადიანი შესრულების ძირითადი მაჩვენებლებისთვის.

წამახალისებელი ანაზღაურების გრძელვადიანი გეგმის 2022 წლიდან დაწყებული ახალი ციკლი, და მშობელი საწარმოს და ბანკის აღმასრულებელი დირექტორისთვის და ბანკის დირექტორთა საბჭოს წევრებისთვის (აღმასრულებელი დირექტორის მოადგილეები) ყოველწლიური გრანტები მოიცავს საპროგნოზო საბაზისო შესრულების ძირითად მაჩვენებლებს, ასევე ფაქტობრივ საშუალოვადიან შესრულების ძირითადი მაჩვენებლებს, რომლებიც ჩვენს ახალ საშუალოვადიან სტრატეგიას უკავშირდება, მათ შორის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის მაჩვენებლების ჩათვლით გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის სტრატეგიის მიხედვით, რომელიც გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის თავშია აღწერილი.

აღმასრულებელი დირექტორებისთვის ცვალებადი ანაზღაურების განსახორციელებლად, რისკების კომიტეტის საბჭოსთან ყოველწლიურად შეთანხმებული საბაზისო შესრულების ძირითადი მაჩვენებლები უნდა დაკმაყოფილდეს. ამის შემდგომ ხდება წლიური ბონუსის და გრძელვადიანი წამახალისებელი ანაზღაურების მინიჭება, ხოლო გრძელვადიანი წამახალისებელი ანაზღაურება ექვემდებარება გადავადების პრინციპს, თუ ამავდროულად მიიღწევა პოსტფაქტუმ საშუალოვადიანი შესრულების ძირითადი მაჩვენებელი. როგორც ზემოთ ვახსენეთ, ახალი ანაზღაურების პოლიტიკის დამტკიცების შემდეგ 2021 წელს, აღმასრულებელი ანაზღაურების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, დამტკიცდა წამახალისებელი ანაზღაურების გრძელვადიანი გეგმის საფუძველზე გრანტების გაცემის ახალი

პროცესი სამიზნე შესრულების ძირითადი მაჩვენებლების ჯილდოს გაცემის პროცესში გამოყენების მიზნით. ეს სამიზნე შესრულების ძირითადი მაჩვენებლები ასევე ვრცელდება წლიური ბონუსის პოტენციურ გაცემაზე. იმის მიუხედავად გენერალურ დირექტორზე და სს „თიბისი ბანკის“ უფროს ხელმძღვანელობაზე გაიცა თუ არა წლიური ბონუსი და/ან LTIP, მათი გაცემა კონკრეტული შესრულების ძირითადი მაჩვენებლების მოთხოვნების დაკმაყოფილების საგანს წარმოადგენს. თუ ძირითადი მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, კომიტეტს შეუძლია განსაზღვროს ჯილდოს ოდენობა, მოქმედ შესრულების ძირითადი მაჩვენებლებთან დაკავშირებული მიღწევების გათვალისწინებით შესაბამისი წლისთვის, ანაზღაურების პოლიტიკის საფუძველზე.

2023 წლის ბოლოს მდგომარეობით სამიზნე შესრულების ძირითადი მაჩვენებლები დაკმაყოფილებულია, რითაც დასტურდება დირექტორების უფლებამოსილება ცვალებადი ჯილდოს მიღებაზე:

- ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი: რისკის დასაშვები დონის ჩარჩოს (RAF) ყვითელი ზონის ქვედა ზღვარი ყოველი წლის 31 დეკემბერს, რისკის კომიტეტის მიერ დამტკიცებული ფორმით.
- ლიკვიდობა (წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (NSFR)): დასაშვები რისკის დასაშვები დონის ჩარჩოს (RAF) ყვითელი ზონის ქვედა ზღვარი ყოველი წლის 31 დეკემბერს, რისკის კომიტეტის მიერ დამტკიცებული ფორმით. მიმდინარე პერიოდში ის 3 pp-ით აღემატებოდა საზედამხედველო კოეფიციენტს, რისკის არსებულ დასაშვები დონის მიხედვით;
- მომგებიანობა (ფასს ჯგუფის წმინდა მოგება): ჯგუფმა არ უნდა გასწიოს ზარალი წამახალისებელი ანაზღაურების გრძელვადიანი გეგმის და წლიური ბონუსის ხარჯის გაწევის შემდეგ.

როგორც ქვემოთ მოცემულ ცხრილშია ნაჩვენები, განაცემების საბაზისო დონე მნიშვნელოვნად აღემატებოდა 2023 წლის ბოლოსთვის დადგენილ შესაბამის მიზნებს:

| | | 31-Dec-23 |
|-------------------------|---|-------------------|
| CET 1 ratio | CET 1 Reg Requirement | 14.3% |
| | Min Range of Amber Zone | 14.9% |
| | Actual CET1 Capital Ratio | 17.4% |
| NSFR | NSFR Reg Requirement | 100.0% |
| | Risk Appetite Amber Zone | 103.0% |
| | Actual NSFR | 119.9% |
| (IFRS Group Net Profit) | Group IFRS Net Profit in FY 2023 | GEL 1.140 billion |
| | Top Management Variable Comp in 2023 & 2023-2025 LTIP at grant gateway target | GEL 23.8 million |

პოლიტიკის ცხრილი: არააღმასრულებელი დირექტორები

ისევე როგორც აღმასრულებელი დირექტორების შემთხვევაში, არააღმასრულებელი დირექტორებიც კომპენსაციას იღებენ კომპანიიდან და მთავარი შვილობილი საწარმოსგან - სს „თიბისი ბანკი“, შესაბამისი საწარმოს საბჭოსა და კომიტეტებზე მათ მიერ დახარჯული სამუშაო დროის პროპორციულად.

| | |
|--|---|
| ანაზღაურება | |
| მიზნები და კავშირი ჯგუფის სტრატეგიასთან | ჯგუფის არააღმასრულებელი დირექტორებისთვის შესაბამისი კომპენსაციის უზრუნველყოფა, რომელიც საკმარისია, რომ მოიზიდოს, შეინარჩუნოს და მოტივაცია მისცეს მაღალი კვალიფიკაციის მქონე ინდივიდებს შესაბამისი უნარებით, ცოდნით და გამოცდილებით, რომ ჯგუფის სტრატეგიის განხორციელებას ხელი შეეწყოს. |
| ოპერაცია | <p>არააღმასრულებელ დირექტორებს, კომპენსაციას ჯგუფი უხდის. ანაზღაურება განსაზღვრულია საბჭოს მიერ.</p> <p>საბჭოს თავმჯდომარის ანაზღაურებაში გათვალისწინებულია საბჭოს ყველა პასუხისმგებლობის არეები. სხვა არააღმასრულებელი დირექტორები იღებენ საბაზისო საბჭოს ანაზღაურებას, იმის გათვალისწინებით თუ არიან უფროსი დამოუკიდებელი დირექტორის პოზიციაზე, საბჭოს რომელიმე კომიტეტის თავმჯდომარე ან წევრი. საბჭო (გარდა აღმასრულებელი დირექტორებისა) იტოვებს უფლებას, რომ თავისი შეხედულებისამებრ მოახდინოს არააღმასრულებელი დირექტორების კომპენსაციის სხვაგვარად სტრუქტურირება.</p> <p>საბჭოს (გარდა აღმასრულებელი დირექტორებისა) დისკრეცია გამოყენებული იქნება სამართლიანად, გონივრულად და შესაბამისობაში იქნება შესაძარის საბაზო პრაქტიკასთან და ბიზნესის სტრატეგიასთან.</p> <p>ზოგადად, ანაზღაურება გადაიხდება ყოველთვიურად ფულადი სახით. თუმცა, საბჭო იტოვებს უფლებას ანაზღაურება გადაიხადოს სხვა მიდგომითაც. საბჭო პერიოდულად გადახედავს და ცვლის ანაზღაურებას, ისეთი შედარებადი მონაცემების გასათვალისწინებლად, როგორც არის ჯგუფის მსგავსი ორგანიზაციები, თავმჯდომარის ან კომიტეტის ფუნქციები და პასუხისმგებლობები და სხვა საბაზრო ფაქტორები.</p> |
| მაქსიმალური შესაძლებლობა | შესაძლებლობა საბჭო პერიოდულად გადახედავს ანაზღაურების თითოეული კომპონენტის მოცულობას რომ შეაფასოს ინდივიდუალურად და ჯამურად, კომპონენტები რჩება თუ არა კონკურენტუნარიანი და შესაბამისობაშია თუ არა არააღმასრულებელი დირექტორების როლის ცვლილებასთან, პასუხისმგებლობებთან და დახარჯულ დროსთან. მიმდინარე ანაზღაურების დონე განსაზღვრულია ანაზღაურების წლიურ ანგარიშში. |
| შესრულების მაჩვენებლების შეფასების მეთოდები | არ ეფუძნება შესრულების მონაცემებს |
| ჯარიმა / გადახდილის დაბრუნება | ჯარიმა და გადახდილის დაბრუნების დებულებები არ ვრცელდება. |
| ცვლილებები წინამორბედ პოლიტიკაში | ცვლილებები არ არის შემოთავაზებული |
| შეღავათები და ხარჯები | |
| მიზნები და კავშირი ჯგუფის სტრატეგიასთან | არააღმასრულებელი დირექტორებისთვის ხარჯის ანაზღაურება, რომელიც გაწეულ იქნა არააღმასრულებელი დირექტორის მოვალეობების შესრულებისას და დარწმუნება იმაში რომ ჯგუფს აქვს შესაბამისი თანამონაწილეობა არააღმასრულებელი დირექტორების მიმართებით, როდესაც ეს საჭიროა. |
| ოპერაცია | ჯგუფს შეუძლია აუნაზღაუროს არააღმასრულებელ დირექტორებს ის ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია მათი მოვალეობების შესრულებასთან, მათ შორის საბჭოზე და კომიტეტის სხდომებზე დასწრება (როგორც არის მგზავრობა, საცხოვრებელი, სხვა საარსებო და უსაფრთხოების ხარჯები), საბჭოს ან კომიტეტის ვახშამი და ფუნქციები, საბჭოს ტრენინგის სესიები, დირექტორების და ოფიცერების პასუხისმგებლობის დაზღვევა, პროფესიულ მოვალეობებთან დაკავშირებული კონსულტაციები და კორპორაციული მასპინძლობის ღონისძიებები (ან ჯგუფმა შეიძლება პირდაპირ თვითონ აანაზღაუროს ეს ხარჯები). |

| | |
|--|--|
| მაქსიმალური შესაძლებლობა | მაქსიმალური გადასახდელი მოცულობა დამოკიდებულია გასაწევი ხარჯის ღირებულებაზე, სადაც არააღმასრულებელი დირექტორი იმყოფება. აქციონერებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ გასაწევი ხარჯის შესადარისი ღირებულება სხვადასხვა იურისდიქციაში შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს. |
| შესრულების მაჩვენებლების შეფასების მეთოდები | არ ეფუძნება შესრულების მონაცემებს. |
| ჯარიმა / გადახდის დაბრუნება | ჯარიმა და გადახდის დაბრუნების დებულებები არ ვრცელდება. |
| ცვლილებები წინამორბედ პოლიტიკაში | ცვლილებები არ არის შემოთავაზებული |

მატერიალური რისკის მიმღები (MRT)

მატერიალური რისკის მიმღებები არიან ფიზიკური პირები, რომლებსაც არსებითი გავლენა აქვთ ბანკის რისკ-პროფილზე. კომერციული ბანკებისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნებთან ერთად, მატერიალური რისკის მიმღებებს წარმოადგენს ქვემოთ ჩამოთვლილი ფუნქციები (პირები):

- სამეთვალყურეო საბჭოს წევრები;
- ბანკის დირექტორთა საბჭოს წევრები (აღმასრულებელი დირექტორები);
- ნებისმიერი სხვა პოზიცია, რომლებსაც ბანკი განსაზღვრავს ბანკის რისკ-პროფილზე მნიშვნელოვანი გავლენის მქონედ, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებთან და კრიტერიუმებთან შესაბამისობაში.

აღმასრულებელი დირექტორების და ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრების გარდა, საქართველოს ეროვნული ბანკის ინსტრუქციების საფუძველზე, 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით მატერიალური რისკის მიმღებებად 62 პოზიცია განისაზღვრა. დირექტორების გარდა, ისეთი თანამშრომლები, რომელთა ანაზღაურება წლის განმავლობაში 1 მილიონ ლარს აღემატებოდა არ ყოფილან.

საშუალო რგოლის ხელმძღვანელობა, მატერიალური რისკის მიმღები სხვა პირები (MRT დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს გარდა) და სხვა თანამშრომელთა ანაზღაურება

სხვა მატერიალური რისკების მიმღებთა, ასევე ბანკის აღმასრულებელი დირექტორებისა და ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ანაზღაურება ექვემდებარება კომერციული ბანკებისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის კორპორაციული მართვის კოდექსს (სებ-ის CG კოდექსი).

საშუალო რგოლის ხელმძღვანელობა ბანკში და ასევე სხვა თანამშრომლებიც, ხელფასს სრულად იღებენ ფულადი სახით და ასევე, უფლება აქვთ მიიღონ ცვლადი კომპენსაცია ფულადი და/ან აქციების სახით. ზოგადად, გადავადებული აქციების სქემის გადაცემები ექვემდებარება 3-წლიანი შეკავების პერიოდს, განგრძობითი დასაქმების, ჯარიმის და გადახდის დაბრუნების პირობებს. აღნიშნული შეკავების პირობა მოიხსნება შემდეგნაირად: გადაცემული აქციების 33% გადაცემის თარიღიდან პირველ წლისთავზე, შემდეგი 33% გადაცემის თარიღიდან მეორე წლისთავზე და საბოლოო 34% გადაცემის თარიღიდან მესამე წლისთავზე. მანამ, სანამ აღნიშნული პირობები არ შესრულდება, გადაცემული აქციები არ შეიძლება გასხვისდეს ან მესამე მხარეს გადაეცეს. საშუალო რგოლის ხელმძღვანელობის ცვალეზადი ანაზღაურება დაკავშირებულია წლიური შესრულების ძირითად მაჩვენებლებთან. სტრუქტურის გადავადების მიზანია მნიშვნელოვანი თანამშრომლების შენარჩუნება.

ასევე, სხვა MRT თანამშრომლების (აღმასრულებელი დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს გარდა) ცვალეზადი ანაზღაურების სტრუქტურა დამატებით საკანონმდებლო მოთხოვნებს ექვემდებარება:

1. სებ-ის კორპორაციული მართვის კოდექსის თანახმად, MRT-ს წლიური ცვალებადი ანაზღაურების 40% (ან მინიმუმ 60%, თუ წლიური ცვალებადი ანაზღაურება აღემატება წლიური ხელფასის 100%-ს ან აჭარბებს 500,000 ლარს) 3 წლით უნდა გადავადდეს;
2. MRT-ს ფიქსირებული და ცვალებადი ანაზღაურების თანაფარდობა მაქსიმუმ უნდა განისაზღვროს 1:1-ით (რომელიც შესაძლებელია გაიზარდოს „TBC PLC“-ის დირექტორთა საბჭოს მიერ, ბანკის აქციონერთა შესაძლებლობის ფარგლებში, 1:2-მდე);
3. მაქსიმუმ 50% გადავადებული ცვლადი ანაზღაურებისა და მაქსიმუმ 50% არა გადავადებული ცვლადი ანაზღაურებისა შესაძლოა გადახდილი იქნეს ფულადი, ხოლო დარჩენილი ნაწილი - აქციების სახით;
4. 2022 წლის 1 იანვრიდან, გადავადებული ცვლადი ანაზღაურება სრულად გადახდილი იქნება აქციების სახით.

ყველა სხვა თანამშრომელი ბანკში იღებს ხელფასს ფულადი სახით. მათი ფუნქციების შესაბამისად, შესაძლებელია მათ უფლება ჰქონდეთ მიიღონ ბონუსი ფულადი ან აქციების სახით. გენერალური დირექტორის, დირექტორისა და თანამშრომელთა კომპენსაცია გადაიხდება მათ ფუნქციაზე, გამოცდილებაზე დაყრდნობით და გავრცელდება შესაბამისი საბაზრო მონაცემები, როგორც შიდა, ასევე გარე დამოკიდებულებებისთვის.

ანაზღაურების კონტროლის ფუნქციები შექმნილია იმისათვის, რომ:

1. უზრუნველყოფილ იყოს ეფექტურობა და დამოუკიდებლობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ბიზნეს-ლაინების გავლენის გარეშე;
2. აღკვეთილ იქნას ინტერესთა კონფლიქტები, მათ შორის კონტროლის მქონე თანამშრომლების დამოუკიდებლობის შელახვა;
3. კონტროლის ფუნქციის მქონე თანამშრომლების ცვალებადი ანაზღაურება არ იყოს დამოკიდებული იმ ბიზნეს-ლაინების ფინანსურ შედეგებზე, რომლებზეც კონტროლის ფუნქციის მქონე თანამშრომლებს მოეთხოვებათ მონიტორინგის და შემოწმების განხორციელება.

ანაზღაურების გეგმა და სტრუქტურა

ბანკის ანაზღაურების პოლიტიკა ეფუძნება სამართლიანობის პრინციპებს თანამშრომელთა ყველა კატეგორიაში. ყოველ წელს ადამიანური კაპიტალის დეპარტამენტი გადახედავს ჩვენი შიდა პოლიტიკის გამოყენებას თითოეული დეპარტამენტის მიერ და თითოეული თანამშრომელი ფასდება მიღწევების და ბანკის სტრატეგიის და ბიზნეს-მიზნების წარმატებაში წვლილის შეტანის მიხედვით. საშუალო რგოლის მენეჯერების შესრულების მაჩვენებლები ასევე რეგულარულად და ცვალებადი გრაფიკით ფასდება 360-მეთოდოლოგიის გამოყენებით, სრულყოფილი უკუკავშირის მისაღებად, მათ შორის ინფორმაცია მათი დაქვემდებარებული პირებისგან. ჩვენი ანაზღაურების პოლიტიკა უფრო მაღალი მაჩვენებლების მქონე თანამშრომლებს უფრო მაღალი ანაზღაურების მიღების შესაძლებლობას აძლევს მათი ცვალებადი ანაზღაურებით (შესაბამის თანამშრომლებზე).

რისკების გათვალისწინება ბანკის ანაზღაურების სისტემაში

ბანკში ანაზღაურების პოლიტიკა და პროცედურები ინარჩუნებენ ბალანსს ბანკის ბიზნეს-მიზნებს, ტალანტების მოზიდვასა და შენარჩუნების ძალისხმევებს, ასევე სასურველ რისკ-პროფილებს შორის. ცვალებადი ანაზღაურება ჯილდოების მოტივაციაა და ხელს უწყობს სწორ ქცევას და მაჩვენებლებს თანამშრომლებისთვის განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, ასახავს სპეციფიკურ მოთხოვნებს ბიზნეს-ერთეულსა და ინდივიდუალურ დონეებზე შესრულების მაჩვენებლებისთვის.

ანაზღაურების სისტემა უზრუნველყოფს იმას, რომ შეფასება და შესაბამისი ანაზღაურება კონტროლის ფუნქციების მქონე თანამშრომლებისთვის (რისკის მართვა, შესაბამისობა და შიდა აუდიტი) დამოუკიდებელია მათი ზედამხედველობის და/ან კონტროლის ქვეშ მყოფი სამსახურების საქმიანობის შედეგებისგან და ისინი ფასდება მათი შესრულების მაჩვენებლების ეფექტურობის და ხარისხის გათვალისწინებით. ბანკის ანაზღაურების სისტემა შეესაბამება რისკის მართვის სტრატეგიას. ის მოიცავს ცვალებადი გადახდის კომპონენტებს რაც ითვალისწინებს ბანკის მთავარ რისკებს: საკრედიტო, საოპერაციო, ფინანსური (ლიკვიდობა და საბაზრო რისკები), მარეგულირებელი და კანონშესაბამისობასთან დაკავშირებული რისკები (დეტალური ინფორმაცია თითოეულ რისკზე წარმოდგენილია თავში მნიშვნელოვანი რისკების შესახებ).

ცვალებადი ანაზღაურება მოიცავს კომპონენტებს რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასებით. ის განისაზღვრება ყოველი წლის დასაწყისში და ფასდება ინდივიდუალურად, სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის და

ფუნქციის მიხედვით. ყოველი მიმართულების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მიზნები განისაზღვრება ბანკის სტრატეგიის შესაბამისად და რისკის დასაშვები დონის მიხედვით და ისინი უზრუნველყოფენ ბანკის საერთო მიზნების შესრულებას. მიზნები ანაზღაურების კომპონენტში გათვალისწინებულია როგორც რისკის მართვის, ასევე ბიზნეს-ლაინების თანამშრომლებისთვის. ეფექტურობის და წარმადობის შეფასება კომპანიის სტრატეგიის და მდგრადობასთან დაკავშირებული მიზნების საფუძველზე განისაზღვრება, ხოლო შესრულების ღონისძიებები შესაბამისი გახანგრძლივების მიზნებთან ერთად, რაც მოიცავს კორპორაციულ ფინანსურ შესრულების ძირითად მაჩვენებლებს, ასევე კორპორაციულ არაფინანსურ და პერსონალურ შესრულების ძირითად მაჩვენებლებს.

საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფის“ აღმასრულებელი და არააღმასრულებელი დირექტორების (ერთად მოხსენიებული „დირექტორებად“) ანაზღაურება

დეტალური ინფორმაცია დირექტორების არსებული ანაზღაურების პოლიტიკის შესახებ იხილეთ საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფის“ ყოველწლიურ ანგარიშში - 2021 წ. ახალი ანაზღაურების პოლიტიკა, რომელიც ძალაში 2022 წლის 1 იანვარს შევიდა და დამტკიცდა კომპანიის აქციონერების მიერ 2021 წლის საერთო წლიურ კრებაზე, წარმოდგენილია საჯარო სააქციო საზოგადოება „თიბისი ბანკის ჯგუფის“ წლიურ ანგარიშში - 2020 წ.

10. ტერმინების განმარტება

- AGM – წლიური საერთო კრება
- ALCO – აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი
- ბანკი – სს „თიბისი ბანკი“
- CEE – ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპა
- CEO – გენერალური დირექტორი
- CFO – ფინანსური დირექტორი
- CGN – კორპორაციული მმართველობის და თანამდებობაზე შერჩევის კომიტეტი
- CIB – კორპორაციული საინვესტიციო საბანკო საქმიანობა
- CIS – დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა
- COO – ოპერაციული დირექტორი
- CRO – რისკების მართვის დირექტორი
- EBRD – ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
- EMEA – ევროპა, შუა აზია და აფრიკა
- ERM – საწარმოს რისკის მართვა
- ESRM – გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის მართვა
- FDI – პირდაპირი უცხოური ინვესტიცია
- მშპ – მთლიანი შიდა პროდუქტი
- ლარი – ქართული ლარი, საქართველოს ეროვნული ვალუტა
- GHG – სათბურე აირები
- HR – ადამიანური რესურსები
- IFC – საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია
- IFI – საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებები
- ფასს – ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების
- IMF – საერთაშორისო სავალუტო ფონდი
- IPCC – კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი კომისია
- IPO – პირველადი საჯარო შეთავაზება
- IT – საინფორმაციო ტექნოლოგიები
- JSC – სააქციო საზოგადოება
- KPI – შესრულების ძირითადი მაჩვენებელი
- LSE – ლონდონის საფონდო ბირჟა
- MBA – ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი
- MRT – მატერიალური რისკის მიმღები
- MSME – მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები
- სებ – საქართველოს ეროვნული ბანკი
- NIM – წმინდა საპროცენტო მარჟა
- PLC – საჯარო სააქციო საზოგადოება
- SME – მცირე და საშუალო ზომის საწარმოები
- UK – დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო
- US\$ – აშშ დოლარი, შეერთებული შტატების ეროვნული ვალუტა



თიბისი

მადლობა